

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე  
2008 წელი №8

ს ა ქ მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს

შ ე წ ყ ვ ე ტ ა - შ ე ჩ ე რ ე ბ ა

1. საქმის წარმოების შეწყვეტა
  - მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა
  - საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა
  - სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება
2. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები და ვადები
  - საქმის წარმოების შეჩერების ვადები
  - საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები

## 1. საქმის წარმოების შეწყვეტა

### საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

#### განჩინება

#ას-1000-1301-07

28 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან არასაცხოვრებელი ფართის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 5 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ნ. კ-შვილმა, ე. პ-იანმა და ვ. ვ-ოვამ მოპასუხეების - გ. ს-შვილისა და თ. მ-შვილის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეების მფლობელობიდან უკანონოდ დაკავებული ფართის გამოთხოვა და აღნიშნული ფართიდან მოპასუხეთა გამოსახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. კ-შვილის, ე. პ-იანისა და ვ. ვ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეების გამოუცხადებლობის გამო - გამოთხოვილ იქნა გ. ს-შვილისა და თ. მ-შვილის უკანონო მფლობელობიდან თბილისში, ... მე-3 მ/რ-ის 88-ე კორპუსის სხვენში მოპასუხეთა მიერ დაკავებული ფართი.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა გ. ს-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მარტის განჩინებით გ. ს-შვილის საჩივარი 2006 წლის 28 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ს-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით გ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მარტის განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ს-შვილმა (წარმომადგენელი ჯ. მ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 28 იანვრის განჩინებით გ. ს-შვილის (წარმომადგენელი ჯ. მ-შვილი) საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესაძლებლობად.

2008 წლის 27 მარტს საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა კასატორმა გ. ს-შვილმა, რომელმაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე და ითხოვა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კასატორის შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და შეწყდეს საქმის წარმოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა - გ. ს-შვილმა საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ გ. ს-შვილის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო საჩივრის წარმოება.

საკასაციო სასამართლო 399-ე და 378-ე მუხლების საფუძველზე განუმარტავს კასატორს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 399-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ს-შვილის შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე შეწყდეს გ. ს-შვილის საკასაციო საჩივრის წარმოება;
3. განემარტოს კასატორს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით;
4. გ. ს-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი - 200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - #300773150, დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე;
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#ას-413-659-08

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** ბინიდან გამოსახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს 2005 წლის 5 იანვარს მიმართა ლ. ს-შვილმა სასარჩელო განცხადებით მოპასუხე თ. კ-შვილის მიმართ ბინიდან გამოსახლების თაობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2004 წლის 2 ნოემბერს, ლ. რ-მის მინდობილი მესაკუთრის - ტ. გ-

ძისგან, რომელიც მოქმედებდა აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურის უფროსის - ზ. თ-შვილის მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, შეიძინა საცხოვრებელი ბინა ქ. თბილისში, ... ქ. #12-ის, ბინა #8; ნასყიდობის ხელშეკრულება დამოწმდა ნოტარიულად, რის შემდეგაც ლ. ს-შვილი მესაკუთრედ აღირიცხა საჯარო რეესტრში. მოსარჩელე მიუთითებს, რომ აღნიშნულ ბინაში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ცხოვრობს თ. პ-შვილი თანმხლებ პირებთან ერთად. ბინის ყოფილ მესაკუთრეს, ლ. რ-მეს, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფება აშშ-ში, არავითარი სახელშეკრულებო ურთიერთობა არ აკავშირებს მოპასუხესთან. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ თ. პ-შვილი უარს აცხადებს როგორც ქირავნობის ხელშეკრულების დადებაზე, ასევე, ბინის დაცლაზე. მოსარჩელე მოითხოვს ... #12-ში მდებარე ბინა #8-დან თ. პ-შვილისა და მასთან მცხოვრები პირების გამოსახლებას.

2005 წლის 28 თებერვალს, სასამართლოს მიმართა ჯ. ფ-შვილმა, რომელმაც, როგორც მესამე პირმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მოითხოვა მისი სარჩელის წარმოებაში მიღება და ძირითად სარჩელთან ერთად განხილვა. ამავე დღეს, 2005 წლის 28 თებერვალს წარმოდგენილი შესაგებლით, მოპასუხე თ. პ-შვილმა არ ცნო სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნა მიიჩნია უკანონოდ და დაუსაბუთებლად და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებათა გამო: იგი სადავო ბინაში ცხოვრობს მოქალაქე ჯ. ფ-შვილის ნებართვით, რომელიც ფლობს და განკარგავს ამ ბინას. 2004 წლის 2 სექტემბერს მასთან გააფორმა ქირავნობის ხელშეკრულება ორი წლის ვადით. მოპასუხე მიიჩნევს, რომ ილახება მისი, როგორც საცხოვრებელი ბინის დამქირავებლის ინტერესები, ვინაიდან არ იცის, ვის გადაუხადოს ბინის ქირის საფასური. ჯ. ფ-შვილის სარჩელი მიმართულია მოპასუხეების - ლ. ს-შვილისა და ლ. რ-მის მიმართ. ჯ. ფ-შვილი ითხოვს 1990 წლის 26 სექტემბრის ნოტარიული წესით დამოწმებული, ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობას და გაყიდვის ხელშეკრულების გაუქმებას. ჯ. ფ-შვილმა მიუთითა, რომ მოპასუხე ლ. რ-მესთან 1986-1999 წლებში შექმნილი ჰქონდა ოჯახი, ისინი ცხოვრობდნენ ქირით; 1990 წელს გადაწყვიტა შეემინა ბინა; ვინაიდან მას თავის ოჯახთან ერთად ჰქონდა ბინა ... ქუჩაზე და, იმჟამად მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, არ შეეძლო ჰქონოდა პირად საკუთრებაში ერთზე მეტი საცხოვრებელი, ბინის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა ლ. რ-მესთან. ჯ. ფ-შვილი განმარტავს, რომ ხელშეკრულება თვალთმაქცური ხასიათისაა, ვინაიდან ბინა პირადად მან შეიძინა, ხოლო გაფორმდა ლ. რ-მის სახელზე. ბინის საფასური პირადად მან გადაუხადა თავისი სახსრებიდან გამყიდველს, მის მეგობარს გ. კ-აკს. მოგვიანებით თავისი სახსრებით მან განახორციელა შემდეგში ამ ბინის რეკონსტრუქცია და ჩაატარა რემონტი. ლ. რ-მის აშშ-ში გამგზავრების შემდეგ, 1999 წლიდან ბინას ის ფლობს და განკარგავს. 2004 წლის 2 სექტემბრიდან 2 წლის ვადით ბინა მიაქირავა თავის ახლობელს თ. პ-შვილს. ლ. რ-მემ, მისი თანხმობის გარეშე, სადავო ბინა მიჰყიდა მათ კარის მეზობელს, ბინა #8-ში მცხოვრებ ლ. ს-შვილს, რომელმაც იცოდა, რომ ნივთი უფლებრივად უნაკლო არ იყო და ისარგებლა მხოლოდ იმით, რომ ბინის მესაკუთრედ ლ. რ-მე იყო დაფიქსირებული და არაკეთილსინდისიერად შეისყიდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ. ფ-შვილი ითხოვს 1990 წლის 26 სექტემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების, როგორც თვალთმაქცურად დადებულის, ბათილად ცნობას, ხოლო 2004 წლის 2 ნოემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების, როგორც არაკეთილსინდისიერად დადებულის, გაუქმებას.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 მარტის განჩინებით, საქმეში მესამე პირად ჩაერთო ჯ. ფ-შვილი.

ამავე სასამართლოს 2005 წლის 21 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე ლ. ს-შვილის მოთხოვნა და ყადაღა დაედო სადავო ბინაში არსებულ, თ. პ-შვილის მფლობელობაში არსებულ ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ჯ. ფ-შვილმა და თ. პ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებით თ. პ-შვილისა და ჯ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს თ. პ-შვილმა და ჯ. ფ-შვილმა.

2008 წლის 25 ივლისს ჯ. ფ-შვილმა და თ. პ-შვილმა განცხადებით მიმართეს უზენაეს სასამართლოს და უარი თქვეს საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა ჯ. ფ-შვილისა და თ. პ-შვილის განცხადება და მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. საქმის ზეპირი განხილვისას

სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება სასამართლო ხარჯების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან, ჯ. ფ-შვილმა და თ. პ-შვილმა უარი განაცხადეს საკასაციო საჩივარზე, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსაჩივლე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორებს გადახდილი აქვთ სახელმწიფო ბაჟი - 1000 ლარის ოდენობით. ვინაიდან, კასატორებმა უარი განაცხადეს საკასაციო საჩივრის განხილვაზე, მათ უნდა დაუბრუნდეთ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 399-ე, 372-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ჯ. ფ-შვილისა და თ. პ-შვილის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განჩინებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

მოცემულ საქმეზე შეწყდეს საკასაციო წარმოება;

კასატორებს დაუბრუნდეთ მათ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 1000 ლარის ოდენობით;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#ას-801-1016-08 24 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტორების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის ბათილობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება, ქონებიდან წილის მიკუთვნება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 31 ივნისს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა კ. ჯ-მემ მოპასუხეების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის, ნოტარიუს მ. კ-მისა და ნ. ჟ-ტის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ნ. ჟ-ტის სახელზე გაცემული მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობა, შესაბამისად, საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილებების შეტანა და მოსარჩელისთვის მემკვიდრეობა გ. ჯ-მის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან 1/2-ის მიკუთვნება.

მოსარჩელის განმარტებით, მისი მამა - გ. ჯ-მე საკუთრების უფლებით ფლობდა ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე 684 კვ.მ საკარმიდამო ნაკვეთს და მასზე განთავსებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლს. გ. ჯ-მის გარდაცვალების შემდეგ მოსარჩელემ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, მემკვიდრეობის მისაღებად ნ-თვიან ვადაში მიმართა ქობულეთის რაიონის სასამართლო ბიუროს სამკვიდრო ქონების და მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მიღების მოთხოვნით. აღმოჩნდა, რომ სამკვიდრო მოწმობა მიღებული ჰქონდა და საჯარო რეესტრშიც მესაკუთრედ რეგისტრირებული იყო

მემკვიდრეობის უფლების მქონე მხოლოდ ერთი პირი - ნ. ჯ-მე (გარდაცვლილის მეუღლე და მოსარჩელის დედა). ამით მოსარჩელის კანონით დადგენილი უფლებები იქნა ხელყოფილი.

ც. და ჯ. ჯ-მეებმა წარადგინეს დამოუკიდებელი სარჩელი მოპასუხეების - კ. ჯ-მის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურისა და ნოტარიუს მ. კ-მის მიმართ. მოსარჩელებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებად ჩაბმა და თავიანთი სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

მათ განმარტეს, რომ აწ გარდაცვლილის სამკვიდროს 1/2 მართლაც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მათ დედას - ნ. ჟ-ტს, დარჩენილი ქონების 1/2 კი თანაბარწილად ეკუთვნით ნ., კ., ჯ. და ც. ჯ-მეებს, თითოეულს 1/8-ის უფლებით. ისინი ფაქტობრივად დაეუფლნენ გ. ჯ-მის სამკვიდრო ქონებას, რაც დასტურდება იმით, რომ გარდაცვალებამდეც და გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრება გააგრძელეს სადავო საცხოვრებელ სახლში. გ. ჯ-მის გარდაცვალების შემდეგ ჯ. ჯ-მე დაეუფლა გ. ჯ-მის სალარო წიგნაკს, ც. ჯ-მე კი - ოქროს ბეჭედს. ც. და კ. ჯ-მეებმა მოითხოვეს ნოტარიუს მ. კ-მის მიერ 2007 წლის 3 ივლისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, მათი საკუთრების უფლების დადგენილად ცნობა მათ მიერ ფაქტობრივი ფლობით მიღებულ ქონებაზე, მდებარე ქ. ქობულეთში, ... #...-ში, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსთვის რეესტრის ჩანაწერებში შესწორების შეტანის დაკისრება და ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე უძრავი ქონების 1/8-ის მესაკუთრედ ც. ჯ-მის, ხოლო სხვა 1/8-ის მესაკუთრედ ჯ. ჯ-მის აღრიცხვა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით კ. ჯ-მის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნ. ჟ-ტის სახელზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე და ამ ქონების 1/2 საკუთრების უფლებით მიეკუთვნა კ. ჯ-მეს.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ც. ჯ-მემ, ჯ. ჯ-მემ და ნ. ჟ-ტმა, რომლებმაც გასაჩივრებელი გადაწყვეტილებით გაუქმება, იმის გათვალისწინებით, რომ ნაწილობრივ ცნეს თავდაპირველი სარჩელი, მისი ნაწილობრივი დაკმაყოფილება (1/8-ის მიკუთვნება კ. ჯ-მისთვის) და საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ჟ-ტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ც. ჯ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ჯ. ჯ-მის სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის გამო ამ ნაწილში შეწყდა საქმის წარმოება, გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, კ. ჯ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ქობულეთის რაიონული სასამართლოს ნოტარიუს მ. კ-მის მიერ გაცემული 2007 წლის 3 ივლისის სანოტარო აქტი - სამკვიდრო მოწმობა #2-283 და კ. ჯ-მე ცნობილ იქნა ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/4-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ; ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/4-ის მესაკუთრედ აღირიცხა კ. ჯ-მე; ნ. ჟ-ტის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და იგი ცნობილ იქნა ქ. ქობულეთში, ... ქ. #...-ში მდებარე სახლთმფლობელობის 3/4-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ც. ჯ-მის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ც. და ჯ. ჯ-მეებმა დამოუკიდებელი სასარჩელო განცხადებით დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირებად ჩაბმისა და თავიანთი დამოუკიდებელი მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს. მართალია, ნ. ჟ-ტმა სასამართლოში შემოტანილ პროცესუალურ დოკუმენტს «შესაგებელი» უწოდა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იგი თავისი პროცესუალური ბუნებით შეგებებული სარჩელია, ვინაიდან წარმოდგენილ სარჩელთან დაკავშირებით პოზიციას დაფიქსირებული და დამოუკიდებელი მოთხოვნაა დაყენებული, რომლითაც სადავო ქონების ნახევრის თანამესაკუთრედ ცნობას ითხოვს. მიუხედავად ც. და ჯ. ჯ-მეების მიერ სასარჩელო განცხადებისა და ნ. ჟ-ტის მიერ შეგებებული სარჩელის წარდგენისა, სასამართლოს მათ დასაშვებობაზე არ უმსჯელია, შესაბამისად, ისინი წარმოებაში მიღებულად ითვლება, რის გამოც სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით უნდა ემსჯელა მათზე და შესაბამისი გადაწყვეტილება მიეღო. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი (მოწმეთა დაკითხვა არ განხორციელებულა, თუმცა სასამართლოს ფაქტობრივად მიღებული ჰქონდა განჩინება მოწმეთა დაკითხვის შესახებ), რაც საქმეზე საბოლოოდ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ პირველი რიგის მემკვიდრის - ც. ჯ-მის მიერ სამკვიდროს დაუფლების ფაქტი არ დასტურდება. ც. ჯ-მეს არც ნოტარიუსისთვის მიუმართავს 6-თვიან ვადაში სამკვიდრო მოწმობის მისაღებად და მის მიერ არც ფაქტობრივი ფლობის ფაქტია დადასტურებული. რაც შეეხება ც. ჯ-მის ხშირ სტუმრობას დედასთან, ისეთი მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა, როგორც ც. ჯ-მე, როგორც ნორმალური მოსიყვარულე შვილი, იჩენდა მართოდ დარჩენილი დედის მიმართ, ვერ ჩაითვლება ფაქტობრივ ფლობად, ვინაიდან ქონების ფაქტობრივ ფლობაში ქონების ისეთი ფლობა იგულისხმება, როცა გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე ცხოვრობს იმავე სახლში, რომელშიც მამკვიდრებელი ცხოვრობდა. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ კ. ჯ-მემ სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით მიიღო, ხოლო ჯ. ჯ-მე, მხარეთა

მტკიცებით, აწ გარდაცვლილის შვილიშვილია და არა შვილი, მხარემ კი ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ჯ. ჯ-ძის შვილად ყოფნის ფაქტს დაადასტურებდა. აპელანტის წარმომადგენელმა (რომელსაც ამის უფლებამოსილება გააჩნდა) ჯ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარზე უარი განაცხადა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ჯ-ძემ (წარმომადგენელი დ. ვ-ძე), რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სამკვიდრო ქონების 1/2-ზე შემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით კ. ჯ-ძის (წარმომადგენელი დ. ვ-ძე) საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად.

2008 წლის 11 ნოემბერს და 19 ნოემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებებით მომართა კასატორმა კ. ჯ-ძემ (წარმომადგენელი დ. ვ-ძე), რომელმაც უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე და იშუამდგომლა საქმეზე წარმოების შეწყვეტა, ასევე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მიღებული ყველა ღონისძიების გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კასატორის შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა შეწყდეს საკასაციო საჩივარზე წარმოება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორმა - კ. ჯ-ძემ საკასაციო საჩივარზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ კ. ჯ-ძის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო საჩივრის წარმოება.

საკასაციო სასამართლო 399-ე და 378-ე მუხლების საფუძველზე განუმარტავს კასატორს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

წარმოდგენილი განცხადებებით კასატორი ასევე ითხოვს საქმეზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ყველა ღონისძიების (ყადაღა) გაუქმებას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე არ არის გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის რაიმე ღონისძიება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მოკლებულია ამ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო კასატორის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 500 ლარი ექვემდებარება მთლიანად დაბრუნებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 399-ე მუხლებით და

### და ა ა დ გ ი ნ ა :

1. კ. ჯ-ძის შუამდგომლობა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. შეწყდეს კ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარზე წარმოება;
3. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება;
4. განემარტოს კასატორს, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო მას ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით;
5. კ. ჯ-ძეს დაუბრუნდეს კ. ჯ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 500 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი - 200122900, მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი - #300773150, დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### საქმის მასალების შეწყვეტა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო

#### განჩინება

#ას-898-1107-08 12 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია

დავის საგანი: ქორწინების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ფ. გ-ძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ი. დ-ძის მიმართ და მიუთითა, რომ 1989 წლის 3 თებერვალს ის და აწ გარდაცვლილი რ. კ-ძე დაქორწინდნენ. რამდენიმე წლის თანაცხოვრების შემდეგ დაშორდნენ, ვინაიდან შვილი არ შეეძინათ, მაგრამ განქორწინება არ გაუფორმებიათ. გარკვეული დროის შემდეგ მისმა ქმარმა მოიყვანა მეორე ცოლი, რომლისგანაც შეეძინა შვილი. მოსარჩელემ მოითხოვა ი. და რ. კ-ძეს შორის რეგისტრირებული ქორწინების ბათილად ცნობა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააგენტოს ბათუმის ტერიტორიული სამსახურის მიერ 2005 წლის 16 დეკემბერს რეგისტრირებული ქორწინება ი. დ-ძესა და რ. კ-ძეს შორის.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ი. დ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. დ-ძის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულების ნაწილში.

ფ. გ-ძის მოთხოვნა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ი. დ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით ი. დ-ძის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და კასატორს დაევალა სახელმწიფო ბაჟის - 300 ლარის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

2008 წლის 8 დეკემბერს ი. დ-ძემ და მისმა წარმომადგენელმა ა. მ-ძემ განცხადებით მიმართეს საკასაციო პალატას, რომლითაც უარი განაცხადეს საკასაციო საჩივარზე.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. დ-ძისა და მისი წარმომადგენლის - ა. მ-ძის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.



ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან, ი. დ-ემ და მისმა წარმომადგენელმა ა. მ-ემ უარი განაცხადეს საკასაციო საჩივარზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მათი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. მოცემულ საქმეზე საკასაციო წარმოება უნდა შეწყდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 399-ე, 372-ე, 284-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

ი. დ-მისა და მისი წარმომადგენლის - ა. მ-მის მოთხოვნა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ დაკმაყოფილდეს;

შეწყდეს საკასაციო საქმის წარმოება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარზე;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#ას-539-881-07

29 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**მ. ცისკამე (მომხსენებელი),**

**ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. გ-იანმა 2004 წლის სექტემბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხე «სპი-კაპაგ-პეტროფაკის» მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ა. და ე. ბ-მეებმა და ა. ა-იანმა 2004 წლის ოქტომბერში ასევე სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს მოპასუხე «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მილსადენის კომპანიის» მიმართ და მოითხოვეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 7 დეკემბრის განჩინებით არასათანადო მოპასუხე «ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია» შეიცვალა სათანადო მოპასუხით «სპი-კაპაგ-პეტროფაკით».

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 23 მარტის განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს ა. ბ-მეს, ე. ბ-მეს, ა. ა-იანს და გ. გ-იანს უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. და ე. ბ-მეებმა, ა. ა-იანმა და გ. გ-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის განჩინებით ა. ბ-მის, ა. ა-იანის, ე. ბ-მის, გ. გ-იანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 აპრილის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. გ-იანმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის სხდომაზე მხარეებმა იშუამდგომლეს საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

შპს «სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეიშენალ ლიმიტედის» ფილიალი მორიგების დამტკიცების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში მოსარჩელე გ. გ-იანის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე გადარიცხავს 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

გ. გ-იანი უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენ თანხაზე და მოპასუხის მიმართ არანაირი პრეტენზია ან მოთხოვნა აღარ გააჩნია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დამთავრონ. იმავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. გ-იანისა და შპს «სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეიშენალ ლიმიტედის» მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს შემდეგი პირობებით:

შპს «სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეიშენალ ლიმიტედი» კისრულობს ვალდებულებას მორიგების დამტკიცების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში გ. გ-იანის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე გადარიცხოს 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

გ. გ-იანი უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენ თანხაზე და მოპასუხის მიმართ არანაირი პრეტენზია ან მოთხოვნა აღარ გააჩნია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. გ-იანს მხარეთა მორიგების გამო უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1000 ლარიდან 500 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 218-ე მუხლის პირველი ნაწილით, 272-ე მუხლის «დ» პუნქტით, 49-ე მუხლის პირველი ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება გ. გ-იანსა და შპს «სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეიშენალ ლიმიტედს» შორის შემდეგი პირობებით:

შპს «სპი კაპაგ პეტროფაკ ინტერნეიშენალ ლიმიტედი» კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს გ. გ-იანს 5000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში საკასაციო საჩივრით მოთხოვნილი თანხის სანაცვლოდ მორიგების დამტკიცების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

გ. გ-იანი უარს აცხადებს სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენ თანხაზე და მოპასუხის მიმართ არანაირი პრეტენზია ან მოთხოვნა აღარ გააჩნია.

მხარეთა მორიგების გამო გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები და მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება.

განემართოთ მხარეებს, რომ იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით, იმავე მხარეებს შორის სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა არ შეიძლება.

მხარეთა მორიგების გამო გ. გ-იანს დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1000 ლარიდან 500 ლარი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

## განჩინება

#ას-747-1073-07

5 თებერვალი, 2007 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე

დავის საგანი: მემკვიდრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ჭ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ჭ-შვილის მიმართ სამკვიდროს მიღების უფლების აღდგენისა და მემკვიდრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2001 წელს გარდაიცვალა მხარეთა დედა - ლ. ჭ-შვილი, რომლის დანაშთი ქონება ზეპირი შეთანხმებისამებრ უნდა დარჩენოდა მოსარჩელის შვილს მ. ჭ-შვილს. მოსარჩელემ და მისმა შვილმა ფაქტობრივად მიიღეს სადავო მემკვიდრეობა, თუმცა სამკვიდრო მოწმობის მისაღებად მხარეებს ნოტარიუსისათვის არ მიუმართავთ. 2006 წელს დედის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება აღიდგინა ჯ. ჭ-შვილის დამ მ. ჭ-შვილმა, რომელმაც არ მიუთითა, რომ ლ. ჭ-შვილს მის გარდა სხვა მემკვიდრეც ჰყავდა და მოსარჩელის წილიც უკანონოდ მიითვისა.

მ. ჭ-შვილმა სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა ჯ. ჭ-შვილის უღირს მემკვიდრედ ცნობა იმ მოტივით, რომ ეს უკანასკნელი დედის სიცოცხლეში მოითხოვდა ლ. ჭ-შვილისაგან მთელი თავისი ქონების ჯ. ჭ-შვილის შვილისათვის დატოვებას და დედისაგან უარის მიღების შემდეგ ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა მას. ლ. ჭ-შვილმა მოსარჩელისაგან თავის დასაცავად ეზოში ღობე აღმართა და ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა მასთან.

საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაება გ. ჭ-შვილი-ს-იძე.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ჯ. ჭ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, იგი ცნობილ იქნა დედის - ლ. ჭ-შვილი-წ-ძის დანაშთი ქონების მემკვიდრედ სხვა პირველი რიგის მემკვიდრეებთან ერთად თანაბარ წილად, ქ. წყალტუბოს ნოტარიუსის 2006 წლის 13 ივლისს მ. ჭ-შვილის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა და 2006 წლის 3 ნოემბერს გ. ჭ-შვილი-ს-ძის სახელზე შედგენილი სანოტარო აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთისა და შენობის ჩუქების ხელშეკრულება გაუქმდა, შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ჭ-შვილმა და გ. ჭ-შვილი-ს-იძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 3 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა შორის სადავო უძრავი ქონება იყო მათი მშობლების - ბ. და ლ. ჭ-შვილების საერთო საკუთრება. ლ. ჭ-შვილი გარდაიცვალა 2002 წლის 2 დეკემბერს. 2006 წლის 13 ივლისს მ. ჭ-შვილმა მიმართა წყალტუბოს ნოტარიუს ი. ქ-ძეს და მოითხოვა წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მდებარე დედის დანაშთი ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მიღება. სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ, 2006 წლის 3 ნოემბერს, მ. ჭ-შვილმა აღნიშნული ქონება აჩუქა თავის დას - გ. ჭ-შვილი-ს-იძეს, რომელმაც სადავო ქონება საჯარო რეესტრში აღრიცხა თავის სახელზე. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით გამოარკვია, რომ აწ გარდაცვლილ ლ. ჭ-შვილს ჯ., მ. და გ. ჭ-შვილების გარდა ასევე ჰყავდა სხვა პირველი რიგის მემკვიდრე - ლ. ჭ-შვილი, რომელიც რაიონულ სასამართლოს მხარედ საქმეში არ ჩაურთია, მაშინ, როდესაც ჯ. ჭ-შვილის სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა ლ. ჭ-შვილის უფლებებსაც შეეხოს. ამდენად, სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ლ. ჭ-შვილი მოცემული საქმის განხილვაზე კანონით დადგენილი წესით მიწვეული არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ. ჭ-შვილი-ს-იძემ და მ. ჭ-შვილმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლი, როდესაც გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმა იმ მოტივით, რომ ლ. ჭ-შვილის ერთ-ერთი პირველი რიგის მემკვიდრე ლ. ჭ-შვილი საქმის განხილვაზე მიწვეული არ ყოფილა. ლ. ჭ-შვილის საქმის განხილვაზე მოწვევა არ მოუთხოვია არც ერთ მხარეს და არც თავად ლ. ჭ-შვილს, რომლისთვისაც ცნობილია მიმდინარე დავის თაობაზე, თუმცა სამკვიდროსთან დაკავშირებით მას რაიმე პრეტენზია არ გააჩნია. ამდენად, სააპელაციო სასამართლო გასცდა კანონისმიერი შეზღუდვის ფარგლებს და მიიღო უკანონო განჩინება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. ჯ. ჭ-შვილი გ. ჭ-შვილი-ს-იძესა და მ. ჭ-შვილს გადაუხდის 7000 ლარს, რის სანაცვლოდ, წყალტუბოს რაიონის სოფ. ... მდებარე ლ. წ-ძე-ჭ-შვილის დანაშთი მთელი სამკვიდრო - წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრირებული 0,27 ჰა მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები აღირიცხოს ჯ. ჭ-შვილის სახელზე;

2. 7000 ლარი გადახდილი იქნება შემდეგი თანმიმდევრობით: 1000 ლარი - 2008 წლის 5 თებერვალს ქ. თბილისში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომაზე, 2000 ლარი გადახდილი იქნება 2008 წლის 1 მარტამდე, რაც დადასტურდება სანოტარო წესით, 4000 ლარი კი დაიფარება 2008 წლის ივლისის ბოლომდე.

3. მ. ჭ-შვილს მიეკუთვნოს მოძრავი ქონება, კერძოდ: სამზარეულოს თეთრი კარადა, ორი ძველებული რკინის საწოლი, ორი ხის მაგიდა (ერთი - ძველებური, მეორე - ლაქიანი), ერთი ძველებური დივანი, ერთი ტანსაცმლის ლაქიანი კარადა, ორი ლეიბი, ერთი საბანი და ტანსაცმლის დასაკიდი.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით და

## **და ა ა დ გ ი ნ ა :**

დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე - ჯ. ჭ-შვილის სარჩელის გამო მ. ჭ-შვილის მიმართ სამკვიდროს მიღების უფლების აღდგენისა და მემკვიდრედ ცნობის თაობაზე, ასევე მ. ჭ-შვილის შეგებებული სარჩელის გამო ჯ. ჭ-შვილის მიმართ უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ შემდეგი პირობებით:

1. ჯ. ჭ-შვილი გ. ჭ-შვილი-ს-იძესა და მ. ჭ-შვილს გადაუხდის 7000 ლარს, რის სანაცვლოდ, წყალტუბოს რაიონის სოფ. ... მდებარე ლ. წ-ძე-ჭ-შვილის დანაშთი მთელი სამკვიდრო - წყალტუბოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ რეგისტრირებული 0,27 ჰა მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები აღირიცხოს ჯ. ჭ-შვილის სახელზე;

2. 7000 ლარი გადახდილი იქნება შემდეგი თანმიმდევრობით: 1000 ლარი - 2008 წლის 5 თებერვალს ქ. თბილისში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხდომაზე, 2000 ლარი გადახდილი იქნება 2008 წლის 1 მარტამდე, რაც დადასტურდება სანოტარო წესით, 4000 ლარი კი დაიფარება 2008 წლის ივლისის ბოლომდე.

3. მ. ჭ-შვილს მიეკუთვნოს მოძრავი ქონება, კერძოდ: სამზარეულოს თეთრი კარადა, ორი ძველებული რკინის საწოლი, ორი ხის მაგიდა (ერთი - ძველებური, მეორე - ლაქიანი), ერთი ძველებური დივანი, ერთი ტანსაცმლის ლაქიანი კარადა, ორი ლეიბი, ერთი საბანი და ტანსაცმლის დასაკიდი.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებები.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ჯ. ჭ-შვილის სარჩელის გამო მ. ჭ-შვილის მიმართ სამკვიდროს მიღების უფლების აღდგენისა და მემკვიდრედ ცნობის თაობაზე, ასევე მ. ჭ-შვილის შეგებებული სარჩელის გამო ჯ. ჭ-შვილის მიმართ უღირს მემკვიდრედ ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-888-1195-07

5 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე**

**დავის საგანი:** შვილის გვარის განსაზღვრა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ო-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ. ა-შვილის მიმართ ქ.თბილისის ვაკის რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2000 წლის 6 აპრილის #270 სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანისა და არასრულწლოვანი ბავშვისათვის დედის გვარის მიკუთვნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში, რა დროსაც შეეძინათ შვილი - ბ. ა-შვილი. ქორწინების შეწყვეტის შემდეგ ბავშვი საცხოვრებლად დარჩა დედასთან, რის გამოც, სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ბავშვს უნდა მიეკუთვნოს მოსარჩელის გვარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შვილისათვის გვარის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც თ. ო-მემ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 28 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ 1999 წლის ივნისიდან თ. ო-მე ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა ბ. ა-შვილთან. 2000 წლის 5 აპრილს მათ შეეძინათ შვილი - ბ. ა-შვილი. ქორწინების შეწყვეტის შემდეგ თ. ო-მემ მოითხოვა ბავშვისათვის დედის გვარის მიკუთვნება. სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლი, ქორწინების შეწყვეტისას, ბავშვისათვის გვარის გამოცვლას არ იწვევს. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ დედის გვარის მიკუთვნებაზე ბ. ა-შვილის ინტერესის არსებობა ვერ დაადასტურა. სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის, «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» კანონის 74-ე მუხლისა და 73-ე მუხლის მეორე პუნქტის სამართლებრივი ანალიზით სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელისა და გვარის უფლება პირადი ხასიათის უფლებებია და მისი შეცვლის შესაძლებლობას კანონმდებელი მხოლოდ იმ პირს აძლევს, ვინც ამ სახელს ატარებს, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს. სასამართლომ ჩათვალა, რომ გვარის დამკვინებლობა უნდა შეაფასოს ასევე ამ გვარის მატარებელმა და მესამე პირის, თუნდაც მშობლის შეფასება არ შეიძლება საფუძველად დაედოს არასრულწლოვანის გვარის შეცვლას. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულს ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 1196-ე მუხლიც, რომელიც 10 წელზე მეტი ასაკის ბავშვისათვის გვარის შესაცვლელად თავად არასრულწლოვანის თანხმობას ითვალისწინებს. სასამართლომ არ გაიზიარა თ. ო-მის არგუმენტი, რომ ბავშვი მიჩვეულია დედის გვარის ტარებას და შეტყობინება, რომ იგი ა-შვილი, ზიანს მიაყენებს. სასამართლომ ჩათვალა, რომ შვილისათვის გვარის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მისი ინტერესების გათვალისწინებით, რაც განპირობებული უნდა იყოს ობიექტური სინამდვილით და არა ხელოვნურად შექმნილი ფაქტორებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება თ. ო-მემ გასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა «სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ» კანონის 74-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტი, როდესაც არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი გვარის - «ა-შვილი» არაკეთილზომიერება. დასახელებული ნორმის განაწესი ეხება როგორც სრულწლოვანებს, ისე არასრულწლოვანებს, ამდენად, სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად ამავე კანონის 73-ე მუხლის მეორე პუნქტი არასწორად მიუთითა. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მესამე ნაწილი, ვინაიდან საქმეში არ ჩართო ბ. ა-შვილი.

ამასთან, კასატორმა მოითხოვა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ საფუძველით, რომ მხარეთა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით მოწინააღმდეგე მხარე ცნობს სასარჩელო მოთხოვნასა და საკასაციო საჩივარს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. მოპასუხე ბ. ა-შვილი თანახმაა, ბ. ა-შვილს მიეკუთვნოს დედის - თ. ო-ძის გვარი;

2. აღნიშნულის სანაცვლოდ, თ. ო-ძე უარს აცხადებს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სამოქალაქო საქმეზე - ბ. ა-შვილის სარჩელი გამო თ. ო-ძის მიმართ ბავშვთან ურთიერთობის თაობაზე და თ. ო-ძის შეგებებული სარჩელის გამო ბ. ა-შვილის მიმართ ალიმენტის დაკისრების შესახებ) ბ. ა-შვილის სარჩენად თ. ო-ძის სასარგებლოდ ალიმენტის - ყოველთვიურად 50 ლარის მიღებაზე.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ო-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე, ამდენად, თ. ო-ძეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი უნდა დაუბრუნდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე - თ. ო-ძის სარჩელის გამო ბ. ა-შვილის მიმართ შვილის გვარის განსაზღვრის თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. მოპასუხე ბ. ა-შვილი თანახმაა, ბ. ა-შვილს მიეკუთვნოს დედის - თ. ო-ძის გვარი;

2. აღნიშნულის სანაცვლოდ, თ. ო-ძე უარს აცხადებს ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 12 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (სამოქალაქო საქმეზე - ბ. ა-შვილის სარჩელი გამო თ. ო-ძის მიმართ ბავშვთან ურთიერთობის თაობაზე და თ. ო-ძის შეგებებული სარჩელის გამო ბ. ა-შვილის მიმართ ალიმენტის დაკისრების შესახებ) ბ. ა-შვილის სარჩენად თ. ო-ძის სასარგებლოდ ალიმენტის - ყოველთვიურად 50 ლარის მიღებაზე.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება თ. ო-ძის სარჩელის გამო ბ. ა-შვილის მიმართ შვილის გვარის განსაზღვრის თაობაზე.

თ. ო-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 300 ლარი.

მხარეები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდნენ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მიხეილ გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ცისკაძე (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:**

**სარჩელში:** მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობა; ნოტარიუს პ. შ-იას მიერ 2003 წლის 23 ოქტომბერს ო. და ზ. ტ-ძეების სახელზე ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1\3-ზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა 1\6-ის ნაწილში; შ. ხ-ოვის სახელზე ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე სახლის 1\3-ის შესახებ ბორჯომის რაიონის საჯარო რეესტრის მიერ 2003 წლის 6 ოქტომბერს და ზ. და ო. ტ-ძეების სახელზე 2003 წლის 24 ოქტომბერს განხორციელებული ჩანაწერის გაუქმება საცხოვრებელი ბინის 1\6-ის ნაწილში; 4.2003 წლის 28 ოქტომბერს ო. ტ-ძისა და ზ. ტ-ძის წარმომადგენელსა და ბ. ლ-ძეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

**შეგებებულ სარჩელში:** მ. ლ-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ლ-ძემ 2004 წლის ოქტომბერში სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების ო. და ზ. ტ-ძეების, ბ. ლ-ძის მიმართ და მოითხოვა ბორჯომის ნოტარიუს თ. ჩ-შვილის მიერ 1985 წლის 22 მარტს შ. ხ-ოვის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, თბილისის ნოტარიუს პ. შ-იას მიერ 2003 წლის 23 ოქტომბერს გაცემული, ო. და ზ. ტ-ძეების სახელზე სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, ბორჯომის რაიონის საჯარო რეესტრის 2003 წლის 6 ოქტომბრის ჩანაწერით შ. ხ-ოვის სახელზე ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე სახლის 1/3-ის აღრიცხვა და 2003 წლის 24 ოქტომბრის ჩანაწერის იგივე ბინის ო. და ზ. ტ-ძეების სახელზე აღრიცხვა, საჯარო რეესტრში სათანადო ცვლილებების შეტანა. ო. და ზ. ტ-ძეების წარმომადგენელს ნ. ლ-ძესა და ბ. ლ-ძეს შორის რეესტრირებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, მოსარჩელის სამკვიდრო ქონების უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირად აღიარება.

ნ. ლ-ძემ და ბ. ლ-ძის წარმომადგენელმა შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელის თ. ლ-ძის მიმართ შ.ხ-ოვის სახელზე 1985 წლის 22 მარტს გაცემული სამკვიდრო მოწმობის ძალაში დატოვების და იმავე თარიღით მ. ლ-ძესა და შ. ხ-ოვის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ.

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ლ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. დაკმაყოფილდა ბ. და ნ. ლ-ძეების შეგებებული სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ბორჯომის ნოტარიუსის თ. ჩ-შვილის მიერ შ. ხ-ოვისა და მ. ლ-ძის სახელზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ლ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით თ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; თ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი 1985 წლის 22 მარტის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა გაცემული ნოტარიუსის მიერ შ. ხ-ოვის სახელზე; გაუქმდა 1985 წლის 22 მარტის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე 2003 წლის 6 ოქტომბერს განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი შ. ხ-ოვის სახელზე 1/6-ის ნაწილში; სამკვიდრო მოწმობა გაცემული 2003 წლის 23 ოქტომბერს, რომლითაც ზ. და ო. ტ-ძეები ცნობილი იქნენ ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/3-ის (2/6) თანამესაკუთრებად, ბათილად იქნა ცნობილი 1/6 ნაწილში და 1/6 ნაწილი დარჩა მ. ლ-ძის საკუთრებად. გაუქმდა 2003 წლის 23 ოქტომბრის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე 2003 წლის 24 ოქტომბერს ზ. და ო. ტ-ძეების სახელზე განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი ბინაზე, მდებარე ბორჯომში, ... ქ. #50, 1\6 ნაწილში. ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 28 ოქტომბერს ზ. და ო. ტ-ძეების რწმუნებულ ნ. ლ-ძესა და ბ. ლ-ძეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 1\6 ნაწილში; ბ. და ნ. ლ-ძეების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ნ. ლ-ძემ და ბ. ლ-ძემ საკასაციო საჩივარი შეიტანეს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე, მოითხოვეს მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით მათი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება და სარჩელზე უარის თქმა.

მხარეებმა 2008 წლის 12 თებერვალს საკასაციო სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

ბ. ლ-მე თანახმაა ქ. ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ლ-მის 1/6-ის სანაცვლოდ თ. ლ-მის უფლებამონაცვლე მ. მ-შვილს გადაუხადოს 3500 აშშ დოლარი ექვსი თვის განმავლობაში შემდეგი გრაფიკით:

1. 2008 წლის 12 მარტის ჩათვლით - 1000 აშშ დოლარი;
2. 2008 წლის 12 აპრილის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;
3. 2008 წლის 12 მაისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;
4. 2008 წლის 12 ივნისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;
5. 2008 წლის 12 ივლისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;
6. 2008 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;

თანხის გადახდა მოხდეს მ. მ-შვილის საბანკო ანგარიშზე;

ქ. ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6, რომელზეც მ. ლ-მის საკუთრება აღიარებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით აღირიცხოს ბ. ლ-მის საკუთრებად ზემოთ მითითებული თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახურში.

მ. მ-შვილი 3500 აშშ დოლარის მიღების შემდეგ უარს აცხადებს ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე მთლიან საცხოვრებელ სახლზე, ასევე, არ აწარმოებს რაიმე დავას.

ექვსი თვის განმავლობაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ბორჯომში, ... ქ. #50-ში, მდებარე მ. ლ-მის კუთვნილი 1/6 საკუთრების უფლებით აღირიცხოს მ. მ-შვილის საკუთრებად.

ამ მორიგების დამტკიცების შემდეგ მხარეებს სადავო და რაიმე პრეტენზია ერთმანეთის მიმართ არ ექნებათ მომავალში და მხარეები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებას და მოცემულ საქმეზე საქმის წარმოების შეწყვეტას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. იმავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველწინადად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. ლ-მის უფლებამონაცვლე მ. მ-შვილისა და ბ. ლ-მის წარმომადგენელი ნ.ბეგიაშვილის მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს შემდეგი პირობებით:

ბ. ლ-მე კისრულობს ვალდებულებას ქ. ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ლ-მის 1/6-ის სანაცვლოდ მ. მ-შვილს გადაუხადოს 3500 აშშ დოლარი ექვსი თვის განმავლობაში შემდეგი გრაფიკით: 2008 წლის 12 მარტის ჩათვლით - 1000 აშშ დოლარი; 2008 წლის 12 აპრილის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი; 2008 წლის 12 მაისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი; 2008 წლის 12 ივნისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი; 2008 წლის 12 ივლისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი; 2008 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით - 500 აშშ დოლარი. მორიგების აქტის თანახმად, განისაზღვრა თანხის გადახდა მ. მ-შვილის საბანკო ანგარიშზე; ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6, რომელზეც მ. ლ-მის საკუთრება აღიარებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით აღირიცხოს ბ. ლ-მის საკუთრებად ზემოთმითითებული თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახურში; მ. მ-შვილი 3500 აშშ დოლარის მიღების შემდეგ უარს აცხადებს ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე მთლიან საცხოვრებელ სახლზე. ექვსი თვის განმავლობაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე, მ. ლ-მის კუთვნილი 1/6 საკუთრების უფლებით აღირიცხოს მ. მ-შვილის საკუთრებად. ამ მორიგების დამტკიცების შემდეგ მხარეებს სადავო და რაიმე პრეტენზია არ ექნებათ მომავალში ერთმანეთის მიმართ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორებს მხარეთა მორიგების გამო უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 218-ე მუხლის პირველი ნაწილით, 272-ე მუხლის «დ» პუნქტით, 49-ე მუხლის მეორე ნაწილით და



## და ა დ გ ი ნ ა :

დამტკიცდეს მორიგება ნ. და ბ. ლ-ძეებსა და თ. ლ-ძის უფლებამონაცვლე მ. მ-შვილს შორის შემდეგი პირობებით:

ბ. ლ-ძე კისრულობს ვალდებულებას ქ. ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მ. ლ-ძის 1/6-ის სანაცვლოდ მ. მ-შვილს გადაუხადოს 3500 აშშ დოლარი ექვსი თვის განმავლობაში შემდეგი გრაფიკით:

2008 წლის 12 მარტის ჩათვლით - 1000 აშშ დოლარი;

2008 წლის 12 აპრილის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;

2008 წლის 12 მაისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;

2008 წლის 12 ივნისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;

2008 წლის 12 ივლისის ჩათვლით - 500 აშშ დოლარი;

2008 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით - 500 აშშ დოლარი. მორიგების აქტის თანახმად, განისაზღვროს თანხის გადახდა მ. მ-შვილის საბანკო ანგარიშზე;

ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/6, რომელზეც მ. ლ-ძის საკუთრება აღიარებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით, აღირიცხოს ბ. ლ-ძის საკუთრებად ზემოთმითითებული თანხის სრულად გადახდის შემთხვევაში ბორჯომის სარეგისტრაციო სამსახურში;

მ. მ-შვილი 3500 აშშ დოლარის მიღების შემდეგ უარს აცხადებს ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე მთლიან საცხოვრებელ სახლზე. ექვსი თვის განმავლობაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ბორჯომში, ... ქ. #50-ში მდებარე მ. ლ-ძის კუთვნილი 1/6 საკუთრების უფლებით აღირიცხოს მ. მ-შვილის საკუთრებად.

მხარეთა მორიგების გამო გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები და მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება.

განემართოთ მხარეებს, რომ იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძველით, იმავე მხარეებს შორის სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა არ შეიძლება.

მხარეთა მორიგების გამო კასატორებს ნ. და თ. ლ-ძეებს დაუბრუნდეთ მათ მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის**

**წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-693-970-04

18 თებერვალი, 2008 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**მ. ცისკაძე (მომხსენებელი),**

**რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** სააღსრულებო ფურცლის გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს «ბეღელის» დირექტორმა დ. მ-ძემ 2003 წლის მარტში სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს «საერთაშორისო იურიდიული კომპანია «იურსერვისის» მიმართ და მოითხოვა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2003 წლის 18 თებერვალს გაცემული სააღსრულებო ფურცლის #2-100 გაუქმება.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით სს «ბეღელის» სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინების საფუძველზე 2003 წლის 18 თებერვალს ამოწერილი სააღსრულებო ფურცელი #2-100.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს საერთაშორისო იურიდიული კომპანია «იურსერვისის» რწმუნებულმა შპს «დითას» დირექტორმა დ. ა-ძემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახლი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინების საფუძველზე 2002 წლის 18 თებერვალს ამოწერილი #2-100 სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს «იურსერვისის» წარმომადგენელმა დ. ა-ძემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 2 თებერვლის განჩინებით შეჩერდა შპს «იურსერვისის» წარმომადგენელი დ. ა-ძის საკასაციო საჩივრის განხილვა ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 სექტემბრის განჩინებით წარმოებაში მიღებულ სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით მოცემულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება.

მხარეებმა საკასაციო სასამართლოს წარმოდგინეს განცხადება საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ და შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

კასატორი შპს «იურსერვისი», რომელსაც საკასაციო სასამართლოში წარმოადგენს შპს იურიდიული კომპანია «დითა» მისი დირექტორის - დ. ა-ძის სახით, ადასტურებს, რომ შპს «ბეღელის» (სს «ბეღელის» უფლებამონაცვლე) მიერ სრულად და კეთილსინდისიერად არის შესრულებული დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებით დამტკიცებული მორიგებითა და ამ მორიგების საფუძველზე, იმავე მხარეებს შორის 2002 წლის 18 მარტს გაფორმებული შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, რის გამოც აღარ არსებობს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 18 თებერვალს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის აღსრულების საფუძველი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს შპს «ბეღელის» (სს «ბეღელის» უფლებამონაცვლის) მიმართ არ გააჩნია და არც შემდგომში ექნება არავითარი მოთხოვნა, პრეტენზია ან/და სარჩელი, რაც გამომდინარეობს ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებისა და ამ განჩინების საფუძველზე 2003 წლის 18 თებერვალს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლიდან.

კასატორი უარს ამბობს, შპს «ბეღელის» მიმართ 2003 წლის 18 თებერვლის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ნებისმიერი სახის მოთხოვნის წარდგენასა და სააღსრულებო ღონისძიების განხორციელებაზე;

მოწინააღმდეგე მხარე შპს «ბეღელი» ადასტურებს, რომ წინამდებარე მორიგების პირობების გათვალისწინებით, კასატორის მიმართ არ გააჩნია და არც შემდგომში ექნება რაიმე სახის მოთხოვნა, სარჩელი ან/და პრეტენზია, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს მხარეთა შორის გაფორმებული 2002 წლის 15 იანვრის და 2002 წლის 18 მარტის შეთანხმებებიდან;

მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2002 წლის 15 იანვრის და 2002 წლის 18 მარტის შეთანხმებებიდან, ასევე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებიდან და ამ განჩინების საფუძველზე გამოწერილი 2003 წლის 18 თებერვლის სააღსრულებო ფურცლიდან გამომდინარე რაიმე სახის მოთხოვნა, სარჩელი ან პრეტენზია ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ;

შეთანხმების გამო მხარეებმა მოითხოვეს წინამდებარე მორიგების აქტის დამტკიცება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტა. საქმის წარმოების შეწყვეტის შედეგები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით, მხარეებისათვის ცნობილია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. იმავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს «ბეღელისა» და შპს «იურსერვისის» მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს შემდეგი პირობებით:

კასატორი შპს «იურსერვისი», რომელსაც საკასაციო სასამართლოში წარმოადგენს შპს იურიდიული კომპანია «დითა» მისი დირექტორის დ. ა-ძის სახით, ადასტურებს, რომ შპს «ბეღელის» (სს «ბეღელის» უფლებამონაცვლე) მიერ სრულად და კეთილსინდისიერად არის შესრულებული დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებით დამტკიცებული მორიგებითა და ამ მორიგების საფუძველზე, იმავე მხარეებს შორის 2002 წლის 18 მარტს გაფორმებული შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, რის გამოც აღარ არსებობს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 18 თებერვალს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის აღსრულების საფუძველი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს შპს «ბეღელის» (სს «ბეღელის» უფლებამონაცვლის) მიმართ არ გააჩნია და არც შემდგომში ექნება არავითარი მოთხოვნა, პრეტენზია ან/და სარჩელი, რაც

გამომდინარეობს ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებისა და ამ განჩინების საფუძველზე 2003 წლის 18 თებერვალს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლიდან.

კასატორი უარს ამბობს შპს «ბელელის» მიმართ 2003 წლის 18 თებერვლის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ნებისმიერი სახის მოთხოვნის წარდგენასა და სააღსრულებო ღონისძიების განხორციელებაზე;

მოწინააღმდეგე მხარე შპს «ბელელი» ადასტურებს, რომ წინამდებარე მორიგების პირობების გათვალისწინებით, კასატორის მიმართ არ გააჩნია და არც შემდგომში ექნება რაიმე სახის მოთხოვნა, სარჩელი ან/და პრეტენზია, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს მხარეთა შორის გაფორმებული 2002 წლის 15 იანვრის და 2002 წლის 18 მარტის შეთანხმებებიდან;

მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2002 წლის 15 იანვრის და 2002 წლის 18 მარტის შეთანხმებებიდან, ასევე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებიდან და ამ განჩინების საფუძველზე გამოწერილი 2003 წლის 18 თებერვლის სააღსრულებო ფურცლიდან გამომდინარე რაიმე სახის მოთხოვნა, სარჩელი ან პრეტენზია ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ;

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტით, 284-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება შპს «ბელელსა» და შპს «იურსერვისს» შორის შემდეგი პირობებით:

კასატორი შპს «იურსერვისი», რომელსაც საკასაციო სასამართლოში წარმოადგენს შპს იურიდიული კომპანია «დითა» მისი დირექტორის დ. ა-მის სახით, ადასტურებს, რომ შპს «ბელელის» (სს «ბელელის» უფლებამონაცვლე) მიერ სრულად და კეთილსინდისიერად არის შესრულებული დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებით დამტკიცებული მორიგებითა და ამ მორიგების საფუძველზე, იმავე მხარეებს შორის 2002 წლის 18 მარტს გაფორმებული შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება, რის გამოც აღარ არსებობს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 18 თებერვალს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლის აღსრულების საფუძველი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს შპს «ბელელის» (სს «ბელელის» უფლებამონაცვლის) მიმართ არ გააჩნია და არც შემდგომში ექნება არავითარი მოთხოვნა, პრეტენზია ან/და სარჩელი, რაც გამომდინარეობს ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებისა და ამ განჩინების საფუძველზე 2003 წლის 18 თებერვალს გამოწერილი სააღსრულებო ფურცლიდან.

კასატორი უარს ამბობს, შპს «ბელელის» მიმართ 2003 წლის 18 თებერვლის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ნებისმიერი სახის მოთხოვნის წარდგენასა და სააღსრულებო ღონისძიების განხორციელებაზე;

მოწინააღმდეგე მხარე შპს «ბელელი» ადასტურებს, რომ წინამდებარე მორიგების პირობების გათვალისწინებით, კასატორის მიმართ არ გააჩნია და არც შემდგომში ექნება რაიმე სახის მოთხოვნა, სარჩელი ან/და პრეტენზია, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს მხარეთა შორის გაფორმებული 2002 წლის 15 იანვრის და 2002 წლის 18 მარტის შეთანხმებებიდან;

მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2002 წლის 15 იანვრის და 2002 წლის 18 მარტის შეთანხმებებიდან, ასევე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 იანვრის განჩინებიდან და ამ განჩინების საფუძველზე გამოწერილი 2003 წლის 18 თებერვლის სააღსრულებო ფურცლიდან გამომდინარე რაიმე სახის მოთხოვნა, სარჩელი ან პრეტენზია ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ;

მხარეთა მორიგების დამტკიცების გამო გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებები და შეწყდეს საქმის წარმოება.

განემართოთ მხარეებს, რომ იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძველით, იმავე მხარეებს შორის სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა არ შეიძლება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** თანხის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ა-დემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ხ-იანის მიმართ თანხის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2002 წლის ნოემბერში მხარეთა შორის დაიდო ქ.თბილისში, ლიახვის ქ.#53-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ზეპირი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, მოსარჩელეს მოპასუხისათვის ეტაპობრივად უნდა გადაეხადა 60 000 აშშ დოლარი. შეთანხმებისამებრ, ლ. ა-დემ ლ. ხ-იანს 2003 წლის თებერვლამდე გადაეხადა 20 000 აშშ დოლარი. მოპასუხემ უძრავი ნივთის ღირებულება 10 000 აშშ დოლარით გაზარდა, რასაც მოსარჩელე დასთანხმდა და ვალდებულება იკისრა, 2004 წლის ოქტომბრამდე, როდესაც მოხდებოდა ნასყიდობის სანოტარო წესით გაფორმება, დაეფარა 50 000 აშშ დოლარი, რაზეც შედგა ხელწერილი. ლ. ა-დემ, საკუთარი ხარჯებით, ზემოხსენებული ბინა დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში ლ. ხ-იანის სახელზე, რითაც მოამზადა ზემოთ მითითებული გარიგების დადების წინაპირობა. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე პუნქტის დარღვევით, დათქმულ დროს ლ. ხ-იანმა უარი განაცხადა როგორც დარჩენილი 50 000 აშშ დოლარის მიღებაზე, ისე მანამდე მიღებული 20 000 აშშ დოლარის დაბრუნებაზე. სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 976-ე მუხლის საფუძველზე ლ. ხ-იანს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 20000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 2004 წლის ოქტომბრიდან თანხის სრულ დაფარვამდე ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე თანხის - 2,5%-ის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის 2002 წლის ნოემბერში დაიდო ლ. ხ-იანის კუთვნილი ბინის ნასყიდობის ზეპირი გარიგება, რომლის მიხედვით მოსარჩელეს უძრავი ნივთი უნდა ეყიდა ქ.მოსკოვში მცხოვრებ მმისვლილ შ. ა-ძისათვის. ლ. ა-დემ და მისმა შვილმა გ. ტ-დემ მოპასუხეს ბეს სახით გადასცეს 20 000 აშშ დოლარი და მხარეები შეთანხმდნენ, რომ დარჩენილ 40 000 აშშ დოლარს მოსარჩელე 2003 წლის მაისში დაფარავდა. მოგვიანებით მოსარჩელემ თანხის გადახდის დრო რამდენჯერმე შეცვალა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დოლარის კურსი დაეცა და, ლ. ხ-იანის მოთხოვნით, გადასახდელი თანხის ოდენობა 10 000 აშშ დოლარით გაიზარდა. თანხის გადახდის ვადის ამოწურვის დღეს, 2004 წლის ოქტომბრის მიწურულს, მოპასუხესთან მივიდა გ. ტ-დემ, რომელმაც დამატებით 10 000 აშშ დოლარის გადახდაზე უარი განაცხადა და მოითხოვა დარჩენილი 40 000 აშშ დოლარის გადახდის ვადის კვლავ გადაწევა, რითაც მოსარჩელემ, ფაქტობრივად, დაარღვია ნაკისრი ვალდებულება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 423-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხემ ბეს სახით გადახდილი თანხის დაბრუნებაზე ლ. ა-დემს მართებულად უთხრა უარი.

ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ლ. ხ-იანს ლ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 20 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ხ-იანმა, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში - ლ. ა-დემ.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ლ. ხ-იანი გარდაიცვალა და მის უფლებამონაცვლებად საქმეში ჩაბმულ იქნენ ე., გ. და ნ. ხ-იანები.

თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ხ-იანის უფლებამონაცვლეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ლ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ყოველთვიურად ძირითადი თანხის 2,5% სარგებლის გადახდის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე., გ. და ნ. ხ-იანებს დაეკისრათ ფულად ვალზე პროცენტის - 9000 აშშ დოლარისა და 2007 წლის მაისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 300 აშშ დოლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წლის ნოემბერში ლ. ა-დემ და ლ. ხ-იანი შეთანხმდნენ 60 000 აშშ დოლარად საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თაობაზე, რასთან დაკავშირებითაც ლ. ა-დემ ლ. ხ-იანს გადასცა 20000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 40 000 აშშ დოლარი მოსარჩელეს უნდა გადაეხადა 2003 წლის ბოლოს. 2004 წლის დასაწყისში დოლარის კურსის დაცემის გამო მხარეები შეთანხმდნენ, რომ, დარჩენილი 40000 აშშ დოლარის ნაცვლად, მოსარჩელეს 2004 წლის ოქტომბრის ბოლომდე გადაეხადა 50 000 აშშ დოლარი. სასამართლომ მიიჩნია, რომ

მხარეთა შორის სანოტარო წესის დაუცველად დაიღო უძრავი ქონების ნასყიდობა გადახდის განვადებით. პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ მოსარჩელის მიერ მისთვის გადაცემული 20 000 აშშ დოლარი წარმოადგენდა ბეს, ვინაიდან აღნიშნული გარემოება მხარემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სათანადოდ - სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით ან სხვა მტკიცებულებით, ვერ დაადასტურა. სასამართლოს მითითებით, სადავო ურთიერთობა უნდა მოწესრიგებულიყო არა სამოქალაქო კოდექსის 421-ე-423-ე მუხლებით, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმებით, რომლებიც ითვალისწინებენ გადახდის განვადებას. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 506-ე მუხლით, იმ დროისათვის მოქმედი ამავე კოდექსის 323-ე მუხლით და მიიჩნია, რომ სადავო გარიგება დადებულ იქნა კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად, რაც, სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, გარიგების ბათილად ცნობის საფუძველია. პალატამ ჩათვალა, რომ, ამავე კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ლ. ა-ძის მოთხოვნა ლ. ხ-იანისა და მისი უფლებამონაცვლეების მიმართ გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ კანონიერია. სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა პროცენტის მიღების შესახებ და მიიჩნია, რომ პროცენტის რაოდენობა უნდა იყოს გონივრული, შეესაბამებოდეს ბანკთაშორის აუქციონზე არსებულ პროცენტს და შეადგენდეს ყოველთვიურად ძირითადი თანხის 1,5%-ს. პალატის მითითებით, ლ. ა-ძე მოითხოვს, პროცენტის გადახდა დაიწყოს 2004 წლის ოქტომბრიდან, თუმცა პალატამ ჩათვალა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს გადაწყვეტილების გამოტანამდე - 2007 წლის აპრილის ჩათვლით, 30 თვეზე 1,5% - 300 აშშ დოლარი, სულ - 9000 აშშ დოლარი და მხარეს ასევე დაეკისროს ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის გადახდა გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ე., გ. და ნ. ხ-იანებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება სანოტარო ფორმის დაუცველად დადებულ უძრავი ქონების ნასყიდობად გადახდის განვადებით. სამოქალაქო კოდექსის 421-423-ე მუხლები, ამავე კოდექსის 506-ე მუხლისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ბეს წერილობით ფორმას და არც ბეს მიცემის სანოტარო დამოწმებაზე არ მიუთითებს. სათანადო ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდებოდა თანხის გადახდის შემდეგ. მხარეთა შორის განვადებით გადახდილი ნასყიდობის არარსებობა დასტურდება იმითაც, რომ ლ. ა-ძეს, სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლიდან გამომდინარე, არ მოუთხოვია უძრავი ნივთის გადაცემა. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით, მხარეთა შორის შეთანხმება მოხდა სწორედ ბეს გადაცემაზე და არა თანხის განვადებით გადახდაზე. აღნიშნული დასტურდება თავად ლ. ა-ძის მიერ წარდგენილი აუდიო კასეტით, მოწმეების ჩვენებებით, რომელთა მიხედვით მოსარჩელემ რამდენჯერმე დაარღვია შეთანხმება, კერძოდ, 2005 წლის მაისში, აგვისტოსა და დეკემბერში. შემდეგ ლ. ა-ძემ ხელწერილით იკისრა 50 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, თუმცა მოგვიანებით საერთოდ უარი თქვა ბინის ყიდვაზე. სასამართლომ უკანონოდ დააკისრა კასატორ მხარეს ყოველთვიური პროცენტის გადახდა და არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მეორე ნაწილი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავო თანხის გადაცემა მოხდა არა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე, არამედ კონკრეტული სამართლებრივი საფუძველით, კერძოდ, ბეს სახით.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. ლ. ხ-იანის უფლებამონაცვლეები - ე., გ. და ნ. ხ-იანები 2008 წლის 1 სექტემბრამდე გადაუხდიან ლ. ა-ძეს 20000 აშშ დოლარს;
  2. დადგენილ ვადაში აღნიშნული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ე., გ. და ნ. ხ-იანებს ლ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრებათ 25000 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოხდება ამ საქმეზე დაყადაღებული ქონების რეალიზაციის გზით სააღსრულებო ბიურის მეშვეობით.
- მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე., გ. და ნ. ხ-იანებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2379,45 ლარის ნახევარი - 1189,73 ლარი, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსახილველი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟის კანონით გათვალისწინებული ოდენობის ნახევარი. მოცემულ შემთხვევაში კასატორებმა წინასწარ გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი 2379 ლარისა და 45 თეთრის ოდენობით, ამდენად, მათ უნდა დაუბრუნდეს მითითებული თანხის ნახევარი - 1189 ლარი და 73 თეთრი ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე - ლ. ა-ძის სარჩელის გამო ე., გ. და ნ. ხ-იანების მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. ლ. ხ-იანის უფლებამონაცვლეები - ე., გ. და ნ. ხ-იანები 2008 წლის 1 სექტემბრამდე გადაუხდიან ლ. ა-ძეს 20000 აშშ დოლარს;

2. დადგენილ ვადაში აღნიშნული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ე., გ. და ნ. ხ-იანებს ლ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრებათ 25000 აშშ დოლარის გადახდა, რაც მოხდება ამ საქმეზე დაყადაღებული ქონების რეალიზაციის გზით სააღსრულებო ბიურის მეშვეობით.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებები.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ლ. ა-ძის სარჩელის გამო ე., გ. და ნ. ხ-იანების მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე.

ე., გ. და ნ. ხ-იანებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეთ სახელმწიფო ბაჟი - 1189 ლარი და 73 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#ას-269-599-07

29 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** არასრულწლოვანი ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ხ. მ-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. გ-ძის მიმართ არასრულწლოვანი შვილის აღსაზრდელად გადაცემის შესახებ. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

საქმეში დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად ჩაება ქ.ქუთაისის მერიის განათლების საქალაქო სამსახური.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ხ. მ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა და მცირეწლოვანი ე. გ-ძე აღსაზრდელად გადაეცა დედას - ხ. მ-ოვას.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება

გაუქმდა და ხ. მ-ოვას სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე, 2002 წლის 28 თებერვალს დაბადებული მცირეწლოვანი ე. გ-ძის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა მამის - ა. გ-ძის საცხოვრებელი ადგილი.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ხ. მ-ოვამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განჩინებით ხ. მ-ოვასა და ა. გ-ძეს შორის დამტკიცდა მორიგება. შეწყდა ხ. მ-ოვას სარჩელის გამო, სამოქალაქო საქმის წარმოება ა. გ-ძის მიმართ არასრულწლოვანი შვილის აღსაზრდელად გადაცემის თაობაზე და გაუქმდა ამ საქმეზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ა. გ-ძემ განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ ხ. მ-ოვასა და მას მორიგების თანახმად, უნდა გაეღოთ თანაბარი თანხა ბავშვის აღსაზრდელად. მიუხედავად იმისა, რომ მან შეასრულა მორიგების პირობა და ბავშვის განვითარებისათვის დახარჯა 4000 ლარი, ხ. მ-ოვას არ გაუღია ხარჯები ბავშვის აღზრდისათვის, რის საფუძველზეც მოითხოვა სააღსრულებო ფურცლის ამოწერა და ხ. მ-ოვასათვის მის სასარგებლოდ 2000 ლარისა და შემდომში 400 ლარის დაკისრება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. გ-ძის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განჩინებით ხ. მ-ოვასა და ა. გ-ძეს შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით: ე. გ-ძე აღსაზრდელად დარჩებოდა მამასთან - ა. გ-ძესთან, ხოლო დედას - ხ. მ-ოვას ბავშვთან ურთიერთობის საშუალება ექნებოდა ყოველ პარასკევს 15:00 საათიდან მომდევნო კვირის ორშაბათის 11:00 საათამდე. ხ. მ-ოვას შესაძლებლობა ექნებოდა აღნიშნული დღეები გამოეყენებინა ბავშვის შეგუება-აღზრდის მიზნით. ერთი მხრივ, ხ. მ-ოვა ბავშვის მასთან ყოფნის პერიოდში უფლებას აძლევდა ა. გ-ძეს შეხვედროდა ბავშვს მხოლოდ მისი მონახულებისა და არა წაყვანის მიზნით. თავის მხრივ, ა. გ-ძე ბავშვის მასთან ყოფნის პერიოდში უფლებას აძლევდა ხ. მ-ოვას შეხვედროდა ბავშვს მხოლოდ ნახვის მიზნით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბავშვის ადგილსამყოფელს შეატყობინებდნენ ერთმანეთს მორიგების აქტით შეთანხმებული დღეების მიხედვით და თანაბარწილად გაიღებდნენ სათანადო ხარჯებს ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის. 2007 წლის ზაფხულის განმავლობაში ბავშვის დასვენების თაობაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ მამა ა. გ-ძე წაიყვანდა ბავშვს და შეატყობინებდა დედა ხ. მ-ოვას ბავშვის, ე. გ-ძის ადგილსამყოფელს. ა. გ-ძე ყოველწლიურად შეუწყობდა ხელს შვილს - ე. გ-ძეს და შეუქმნის სათანადო პირობებს დედასთან - ხ. მ-ოვასთან შეგუების, ურთიერთობისა და აღზრდის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გამოთქვამდა თანხმობას, დედა ხ. მ-ოვა წაიყვანდა ბავშვს, ე. გ-ძეს დასასვენებლად იმ პირობით, რომ, თუკი ე. გ-ძე მოითხოვდა მამასთან სატელეფონო დაკავშირებას ან მამასთან წაყვანას, ხ. მ-ოვა, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, იმოქმედებდა ე. გ-ძის სურვილის მიხედვით და მის სასარგებლოდ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით ისინი განსაზღვრავენ დავის საგანსა და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ, ხოლო მეორე ნაწილის შესაბამისად მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მხარეები მორიგდნენ.

მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავა დამთავრდა რა მორიგებით, საქმის წარმოება შეწყდა, მხარეები ა. გ-ძის განცხადებაში მითითებულ თანხაზე არ შეთანხმებულან, იგი სხვა დავის საგანს წარმოადგენს და მასზე, შესაბამისად, სასამართლოს არც ერთ ინსტანციას არ უმსჯელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. გ-ძის განცხადება ხ. მ-ოვასათვის 2000 ლარისა და შემდგომ ყოველთვიურად 400 ლარის დაკისრებისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 284-ე, მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. გ-ძის განცხადება ხ. მ-ოვასათვის თანხის დაკისრებისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-561-902-07

4 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
მ. ცისკაძე (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** მინდობილობის ბათილად ცნობა; კანონით მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობა; ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღებულად ცნობა; სამკვიდრო ქონებაზე თანამესაკუთრედ აღიარება; ხელშეშლის აღკვეთა; უკანონო მფლობელობიდან ბინის გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. ლ-მემ 2005 წლის მარტში სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: გ. ქ-ელის, ზ. ს-ძის, ნ. ქ-ელის, ნ. ქ-ელის, ი., მ. და ქ. ქ-ელების მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან მის საკუთრებაში რიცხული ქ. გორში, ... ქ. #24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის გამოთხოვა.

გ. ქ-ელმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ი. ლ-ძის მიმართ და მოითხოვა 2001 წლის 25 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

მ., ი. და ქ. ქ-ელებმა, როგორც მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, სასარჩელო განცხადებით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს დედის, ნ. ქ-ელის სახელზე 2001 წლის 20 აპრილს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობა, ნ. ქ-ელის მიერ გ. ქ-ელზე გაცემული მინდობილობის ბათილად ცნობა, ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღებულად ცნობა, სამკვიდრო ქონებაზე თანამესაკუთრედ აღიარება; 2001 წლის 25 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ი. ლ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; დაკმაყოფილდა გ. ქ-ელის შეგებებული სარჩელი - ბათილად იქნა ცნობილი ნ. ქ-ელის წარმომადგენელ გ. ქ-ელსა და ი. ლ-ძეს შორის დადებული 2001 წლის 25 აპრილის ქ. გორში, ... ქ. #24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება; ი., მ. და ქ. ქ-ელების სარჩელი დაკმაყოფილდა - ბათილად იქნა ცნობილი 2001 წლის 20 აპრილის ნოტარიუს მ. მ-შვილის მიერ ნ. ქ-ელის სახელზე გაცემული კანონისმიერი უფლების სამკვიდრო მოწმობა, რომლის თანახმად, ნ. ქ-ელი მისი ქმრის ნ. ქ-ელის ერთადერთი მემკვიდრეა. ბათილად იქნა ასევე ცნობილი ნ. ქ-ელსა და ი. ლ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება მისგან გამომდინარე ყველა იურიდიული შედეგით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ლ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ი. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა. ქ. გორში, ... ქ. #24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი გამოთხოვილი იქნა გ. ქ-ელის, ზ. ს-ძის, ნ. ქ-ელის, ნ. ქ-ელის, ი., მ. და ქ. ქ-ელების უკანონო მფლობელობიდან და გადაეცა ი. ლ-ძეს გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში. გ. ქ-ელი, ზ. ს-ძე, ნ. ქ-ელი, ნ. ქ-ელი, ი., მ. და ქ. ქ-ელები გამოსახლებულნი იქნენ ქ. გორში, ... ქუჩა #24-ში მდებარე ი. ლ-ძის საკუთრებაში რიცხული საცხოვრებელი სახლიდან; გ. ქ-ელის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ი., მ. და ქ. ქ-ელების დამოუკიდებელი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გ. ქ-ელმა საკასაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ი., მ., ქ. ქ-ელებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

მხარეებმა 2008 წლის 4 მარტს საკასაციო სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

2008 წლის 4 მარტიდან სამი თვის განმავლობაში მოპასუხე გ. ქ-ელი გადაუხდის მოსარჩელე ი. ლ-ძეს 21000 აშშ დოლარს.

თანხის გადახდისთანავე მოსარჩელე ი. ლ-ძე უზრუნველყოფს თავის საკუთრებაში არსებული ბინის, მდებარეს ქ. გორში, ... ქ. #24-ში, საკუთრების უფლებით მოპასუხეებისათვის გადაფორმებას.



თუ სამი თვის განმავლობაში გ. ქ-ელი არ გადაუხდის მოსარჩელე ი. ლ-ძეს აღნიშნულ თანხას, მისი გადახდა განხორციელდება ზემოხსენებული სახელმწიფოებრივი აუქციონზე რეალიზაციის გზით.

თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის გ. ქ-ელი ი. ლ-ძეს აუნაზღაურებს ზარალს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე გ. ქ-ელი დადებს საკრედიტო ხელშეკრულებას ბანკთან, ხოლო ბანკი მოითხოვს კრედიტის უზრუნველყოფას, მოსარჩელე ი. ლ-ძე უზრუნველყოფს თავის საკუთრებაში არსებული ბინის, მდებარეს ქ. გორში, ... ქ. #24-ში, იპოთეკით დატვირთვას ზემოხსენებული ვალის დაფარვის მიზნით.

რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან ი. ლ-ძის მიერ თანხის მიღების შემდეგ დარჩენილი თანხა გადაეცემა მოპასუხეებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. იმავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელე ი. ლ-ძის, მოპასუხეების გ., ი., ნ., მ. და ქ. ქ-ელებისა და ზ. ს-ძის წარმომადგენელი მ. გ-ძისა და ნ. ქ-ელის წარმომადგენელი გ. ქ-ელის მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს შემდეგი პირობებით:

გ. ქ-ელი კისრულობს ვალდებულებას მორიგების დამტკიცების დღიდან, 2008 წლის 4 მარტიდან სამი თვის განმავლობაში ი. ლ-ძეს გადაუხადოს 21000 აშშ დოლარი. თანხის გადახდისთანავე მოსარჩელე ი. ლ-ძე უზრუნველყოფს თავის საკუთრებაში არსებული ბინის, მდებარე ქ. გორში, ... ქ. #24-ში, საკუთრების უფლებით მოპასუხეებზე აღრიცხვას; თუ სამი თვის განმავლობაში გ. ქ-ელი არ გადაუხდის მოსარჩელე ი. ლ-ძეს აღნიშნული თანხას, მისი გადახდა განხორციელდება ზემოთ მითითებული ბინის აუქციონზე რეალიზაციის გზით. მორიგების აქტის თანახმად, თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის გ. ქ-ელი ი. ლ-ძეს აუნაზღაურებს ზარალს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე გ. ქ-ელი დადებს საკრედიტო ხელშეკრულებას ბანკთან, ხოლო ბანკი მოითხოვს კრედიტის უზრუნველყოფას, მოსარჩელე ი. ლ-ძე უზრუნველყოფს თავის საკუთრებაში არსებული ბინის, მდებარეს ქ. გორში, ... ქ. #24-ში, იპოთეკით დატვირთვას ზემოხსენებული ვალის დაფარვის მიზნით. რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან ი. ლ-ძის მიერ თანხის მიღების შემდეგ დარჩენილი თანხა გადაეცემა მოპასუხეებს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 218-ე მუხლის პირველი ნაწილით, 272-ე მუხლის «დ» პუნქტით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება ი. ლ-ძეს, გ., ი., ნ., მ. და ქ. ქ-ელებს, ზ. ს-ძის წარმომადგენელ მ. გ-ძესა და ნ. ქ-ელის წარმომადგენელ გ. ქ-ელს შორის შემდეგი პირობებით:

გ. ქ-ელი კისრულობს ვალდებულებას მორიგების დამტკიცების დღიდან, 2008 წლის 4 მარტიდან სამი თვის განმავლობაში ი. ლ-ძეს გადაუხადოს 21000 აშშ დოლარი. თანხის გადახდისთანავე ი. ლ-ძე უზრუნველყოფს თავის საკუთრებაში არსებული ბინის, მდებარეს ქ. გორში, ... ქ. #24-ში, საკუთრების უფლებით მოპასუხეებზე აღრიცხვას; თუ სამი თვის განმავლობაში გ. ქ-ელი არ გადაუხდის მოსარჩელე ი. ლ-ძეს აღნიშნული თანხას, მისი გადახდა განხორციელდება ზემოთ მითითებული ბინის აუქციონზე რეალიზაციის გზით. თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის გ. ქ-ელი აუნაზღაურებს ზარალს ი. ლ-ძეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე გ. ქ-ელი დადებს საკრედიტო ხელშეკრულებას ბანკთან, ხოლო ბანკი მოითხოვს კრედიტის უზრუნველყოფას, მოსარჩელე ი. ლ-ძე უზრუნველყოფს თავის საკუთრებაში არსებული ბინის, მდებარეს ქ. გორში, ... ქ. #24-ში, იპოთეკით დატვირთვას ზემოხსენებული ვალის დაფარვის მიზნით. რეალიზაციიდან მიღებული თანხიდან ი. ლ-ძის მიერ თანხის მიღების შემდეგ დარჩენილი თანხა გადაეცემა მოპასუხეებს.

მხარეთა მორიგების გამო გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები და მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება.

განემართოთ მხარეებს, რომ იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით, იმავე მხარეებს შორის სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა არ შეიძლება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა; სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### განჩინება

#ას-593-931-07

10 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ზ. ბ-ძის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმისა და საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის მოხსნის შესახებ

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ი. კ-ოზის წარმომადგენელმა გ. კ-ონიამ და აღნიშნა, რომ 2001 წლის 21 მაისის ზ. ბ-ძისაგან შეიძინა ქ. ქუთაისში, ... #137\39 მდებარე საცხოვრებელი ბინა, რომელიც შედგება სამი საცხოვრებელი ოთახისაგან. იმავე დღეს აღნიშნულზე ქუთაისის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსმა ე. გ-შვილის მიერ გაფორმებული იქნა ნასყიდობის ხელშეკრულება #1-99\9, ხელშეკრულების რეგისტრაცია მოხდა საჯარო რეესტრში და შესაბამისად ი. კ-ოზი გახდა ბინის მესაკუთრე. მიუხედავად ამისა და მისი არაერთი მოთხოვნისა ზ. ბ-ძე არ ანთავისუფლებს აღნიშნულ ფართს, ხელს უშლის ი. კ-ოზს მისი საკუთრებით სარგებლობაში, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად მოითხოვს ხელშეშლის აღკვეთას და ზ. ბ-ძის მისი კუთვნილი ბინიდან გამოსახლებას.

სასამართლოს ასევე შეგებებული სარჩელით მიმართეს ზ. ბ-ძის წარმომადგენელმა რ. ხ-ავამ, ი. ჩ-ძემ და აღნიშნეს, რომ 2001 წლის 21 მაისს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ზ. ბ-ძემ 13000 დოლარად საცხოვრებელი ბინა მდებარე ქ. ქუთაისში, ... #137\39-ში მიიყიდა ი. კ-ოზს, რომელსაც ზემოთ აღნიშნული თანხიდან 8000 აშშ დოლარი არ გადაუხდია, უფრო მეტიც უშუალოდ ი. კ-ოზს არანაირი თანხა ზ. ბ-ძისათვის არ გადაუხდია და თანხის გადაცემას ახორციელებდა ი. კ-ოზის დედა ლ. ვ-ძე. ამდენად, ზ. ბ-ძემ შეასრულა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მოთხოვნა გაუფორმა მყიდველს ბინა, ხოლო მყიდველმა ი. კ-ოზმა არ შეასრულა ამავე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა და არ არ გადაუხადა გამყიდველს თანხა, რითაც დაარღვია ასევე ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა ვალდებულების ჯეროვნად შესრულების თაობაზე, რაც იწვევს ამავე კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგის გაუქმებას, ნასყიდობის ხელშეკრულებაში არასწორად არის დაფიქსირებული რომ ბინა გაიყიდა 8500 ლარად, რაც არასწორია ვინაიდან ბინა გაიყიდა 13000 დოლარად და აქედან 8000 აშშ დოლარი მიღებული არა აქვს ზ. ბ-ძეს. დანარჩენი თანხა მიღებული აქვს ზ. ბ-ძეს ლ. ვ-ძისაგან და ქ. კ-შვილისაგან. ნასყიდობის ხელშეკრულებაში რეალური ფასის 13000 დოლარის დამალვა გამოწვეული იყო იმით, რომ ხელშეკრულება თვალთმაქცურია და დარღვეულია სამოქალაქო კოდექსის 56-ე, 361-ე, 405-ე, 477-ე მუხლების მოთხოვნები, რის გამოც მოითხოვს ქუთაისის სანოტარო ბიუროს ნოტარიუს ე. გ-შვილის მიერ 2001 წლის 21 მაისს დამოწმებული საცხოვრებელი სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ზ. ბ-ძესა და ი. კ-ოზს შორის. ასევე საჯარო რეესტრის ჩანაწერის ქ. ქუთაისში ... #139\39-ში მდებარე ბინის ი. კ-ოზის საკუთრებასთან დაკავშირებით გაუქმებას, სადაო ბინის ზ. ბ-ძის სახელზე აღრიცხვას და ი. კ-ოზის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით ი. კ-ოზის სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებულ სარჩელს ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ბ-ძემ და ი. ჩ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს ზ. ბ-ძემ და ი. ჩ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით ი. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

კასატორია აზრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ისე დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები დეტალურად და სრულყოფილად არ შეუსწავლია საქმის მასალები.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა ზ. ბ-მემ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ზ. ბ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად.

ზ. ბ-მემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატას და მოითხოვა საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო საკასაციო წარმოების შეწყვეტა და ასევე მოითხოვა საცხოვრებელ ბინაზე ბინაზე ყადაღის მოხსნა თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე პალატის 2006 წლის 19 ივნისის განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა განცხადების მოტივების შემოწმების, საქმის მასალების განხილვის შედეგად თვლის, რომ ზ. ბ-მის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის და საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის მოხსნის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 18 მაისი გადაწყვეტილებით ი. კ-ოზის სარჩელი დაკმაყოფილდა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე პალატის 2006 წლის 19 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა ზ. ბ-მის და ი. ჩ-მის წარმომადგენლის რ. ხ-აგას მოთხოვნა და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო ქ. ქუთაისში, ... #137/39-ში მდებარე ი. კ-ოზის სახელზე რიცხულ ბინას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე პალატის 2007 წლის 13 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ზ. ბ-მის და ი. ჩ-მის სააპელაციო საჩივარი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომელიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის გარდა იმ გამონაკლისებისა რომელთაც ეს თავი შეიცავს, 372-ე მუხლის შესაბამისად კი საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» პუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

საკასაციო საქმის წარმოება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმის წარმოება შეწყდა საკასაციო სასამართლოში ზ. ბ-მის მიერ საკასაციო საჩივარზე უარის თქმის გამო, პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა გაუქმდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1991, 272-ე 284-ე, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მესამე ნაწილით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დაკმაყოფილდეს ზ. ბ-მის განცხადება.

საქმის წარმოება ზ. ბ-მის საკასაციო საჩივართან მიმართებაში შეწყდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 19 ივნისის განჩინებით დადებული ყადაღა მოეხსნას ქ. ქუთაისში, ... #137/39-ში მდებარე ი. კ-ოზის სახელზე რიცხულ ბინას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
მ. ცისკაძე**

**დავის საგანი:** საერთო საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთა, კიბის მოწყობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

რ. ბ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. და ი. ბ-ძეების მიმართ საერთო საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთისა და კიბის მოწყობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1969 წლის 26 თებერვლის სამკვიდრო მოწმობით ქ. ქუთაისში, ... ქ. #40-სა და ... ქ. #16-ში მდებარე სახლი და 1426 კვ.მ მიწის ნაკვეთი აღირიცხა ბ. ბ-ძეების მემკვიდრე ი. და რ. ბ-ძეების თანსაკუთრებად. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხეები ხელს უშლიან მოსარჩელეს, ისარგებლოს კუთვნილი მიწის ნაკვეთით, რაც იმაში გამოიხატება, რომ გადაუტყობს საკარმიდამო ეზოში ჩასასვლელი სახლის მოპასუხის კუთვნილ ნაწილში მდებარე ერთადერთი კიბისკენ მიმავალი გზა. რ. ბ-ძეს სურდა სახლის კუთვნილ ნაწილზე თავისი კიბის აშენება, თუმცა აღნიშნულისათვის საჭირო იყო არქიტექტურული პროექტი და მოზიარის თანხმობა, რაზეც მოპასუხეებმა მოსარჩელეს სანატარო წესით უარი უთხრეს. 2002 წელს რ. ბ-მემ ერთხელ უკვე მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა საერთო საკუთრებიდან მისთვის რეალური წილის გამოყოფა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყოფის ფარგლებში, თუმცა სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოება შეწყდა მორიგების გამო და მხარეები შეთანხმდნენ საერთო საკუთრებით ესარგებლათ სარჩელის აღძრვამდე არსებული პირობების გათვალისწინებით. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხეებმა მორიგების პირობა დაარღვიეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლოში მხარეთა მორიგებისას დადგინდა სადავო მიწის ნაკვეთით საერთო სარგებლობა. დავის მიმდინარეობისას ბ. ბ-ძე გარდაიცვალა. საერთო ნათესავების თხოვნით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ რ. ბ-ძეს სადავო მიწის ნაკვეთზე რაიმე პრეტენზია აღარ ექნებოდა. ამასთან, თავდაპირველ სარჩელში რ. ბ-ძე თავად აღიარებდა, რომ დავამდე დაახლოებით 2 წლით ადრე ბ. ბ-ძემ მას მიწის ნაკვეთით სარგებლობა აუკრძალა. მხარეთა შორის დამტკიცებული მორიგების აქტით დასტურდება, რომ მათ სადავო უძრავი ქონებით უნდა ისარგებლონ სარჩელის აღძვრამდე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სარჩელის აღძვრამდე რ.ბ-ძეს მიწის ნაკვეთზე რაიმე უფლება დაკარგული ჰქონდა და სადავო მიწა წარმოადგენდა ბ.ბ-ძის საკუთრებას. ნ. და ი. ბ-ძეები არ არიან სათანადო მოპასუხეები, ვინაიდან, მართალია, მათ ფაქტობრივი ფლობით მიიღეს ბ. ბ-ძის სამკვიდრო, მაგრამ იგი თავიანთ საკუთრებად არ აღურიცხავთ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ბ. ბ-ძეს მხარეთა გარდა კიდევ ჰყავდა პირველი რიგის მემკვირე - ქალიშვილი, რომელსაც ასევე უფლება აქვს, მიიღოს მამის დანაშთი ქონება. ამდენად, მოპასუხეები უფლებამოსილი არ არიან, თანხმობა მისცენ მოსარჩელეს სადავო კიბის მოწყობაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. და ი. ბ-ძეებს აკრძალათ რ. ბ-ძისათვის საერთო საკუთრების ნაკვეთით სარგებლობის ხელშეშლა, მოსარჩელის მიერ საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთში ჩასასვლელი კიბის მოწყობაზე ნ. და ი. ბ-ძეების უარი ჩაითვალა უკანონოდ და რ. ბ-ძეს, შესაბამისი პროექტისა და ნებართვის მიხედვით, ნება დაერთო, მოაწყოს საცხოვრებელი ფართიდან საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთში ჩასასვლელი კიბე შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოა 1426 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც, მოსარჩელის მოსაზრებით, საერთო სარგებლობისაა, ხოლო მოპასუხის აზრით კი, მემკვიდრეების საკუთრებაა. განსახილველ საქმეებს დაერთო #2/49-2003 და #2/75-2004 სამოქალაქო საქმეები რ. ბ-ძის 2002 წლის 14 იანვრის სარჩელის გამო ბ. ბ-ძის მიმართ ქ. ქუთაისში, ... ქ. #40-სა და ... ქ. #18-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1426 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან კუთვნილი რეალური წილის გამოყოფის შესახებ და ბ. ბ-ძის 2003 წლის 24 თებერვლის შეგებებული სარჩელის გამო რ. ბ-ძისა და ქუთაისის ტექნიკური ინჟინერიის ბიუროს მიმართ სადავო მიწის ნაკვეთის შესახებ ტექადრიცხვის ბიუროს ჩანაწერში ცვლილებების შეტანის თაობაზე. #2/49 საქმეზე რ. ბ-ძის სარჩელი დარჩა განუხილველი, თუმცა 2003 წლის 13 ივნისს რ. ბ-მემ ანალოგიური მოთხოვნით ხელახლა მიმართა სასამართლოს, რომლის საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ სადავო სახლთმფლობელობა და 2022 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი იყო მისი ბაბუის - ბ. ბ-ძის საკუთრება. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეთა შორის სადავოდ არ გამხდარა ხსენებული 2202 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1957 წელს 44 კვ.მ-ის სამოსახლოდ რ. ბ-ძის მამიდაშვილ ა. მ-ძისათვის, ხოლო 1959 წელს 332 კვ.მ-ის გ. კ-ძისათვის საკუთრებაში გადაცემის ფაქტი. კოლეგიამ ასევე დაადგინა, რომ ბ. ბ-ძე გარდაიცვალა 1959 წლის 30 მაისს და #2/49 საქმეში წარმოდგენილი 1969 წლის 26 ნოემბრის სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მის დანაშთ ქონებაზე

მემკვიდრეობა აღიდგინეს მამკვიდრებლის ვაჟიშვილმა ი. ბ-მემ და ბ. ბ-მის შვილიშვილმა რ. ბ-მემ, რის საფუძველზეც მოსარჩელე შეუზღუდავად სარგებლობდა საერთო საკუთრების ნაკვეთით. სარჩელის აღძვრამდე ორი წლით ადრე კი ბიძაშვილმა ბ. ბ-მემ მეუღლესთან ერთად მავთულის ღობით გადაუკეტა სადავო მიწის ნაკვეთში ჩასასვლელი. #2/49 და #2/75 საქმეების მასალებით სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე 1426 კვ.მ მიწის ნაკვეთს არ მიიჩნევდა საერთო სარგებლობის ქონებად იმ მოტივით, რომ 1969 წლის 26 ნოემბრის სამკვიდრო მოწმობით რ.ბ-მის მემკვიდრეობა აღდგენილ იქნა მხოლოდ საცხოვრებელი სახლისა და არა მიწის ნაკვეთის ნაწილში. ფაქტობრივად, ბ. ბ-მემ მოსარჩელის დედას სიცოცხლეშივე გამოუყო 332 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც ამ უკანასკნელმა მიჰყიდა გ.კ-მეს. სასამართლო კოლეგიამ დაადგინა, რომ 2005 წლის 13 მაისს საქმის სააპელაციო პალატაში განხილვის დროს ბ. ბ-მე გარდაიცვალა და მის უფლებამონაცვლებად ცნობილ იქნენ ნ. და ი. ბ-მეები, რის შემდეგ მხარეებს შორის დამტკიცებული მორიგებით ისინი შეთანხმდნენ სადავო მიწის ნაკვეთით ესარგებლათ სარჩელის აღძვრამდე არსებული წესით. სასამართლომ არ გაიზიარა ნ. ბ-მის მტკიცება, რომ ბ. ბ-მის დანაშთი ქონების მემკვიდრეა მისი ქალიშვილი, რადგან მხარემ 6 თვის ვადაში მამკვიდრებლის ქალიშვილის მიერ ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მისაღებად მიმართვის ან სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ წარადგინა. სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალია ნ. და ი. ბ-მეების მოსაზრება მათი არასათანადო მოპასუხეებად მიჩნევის შესახებ იმ საფუძველზე, რომ მოპასუხეები საჯარო რეესტრში სადავო ქონების მესაკუთრეებად ჯერ არ დარეგისტრირებულან და ფაქტობრივი ფლობით მიიღეს სამკვიდრო. კოლეგიამ მიიჩნია, რომ მესაკუთრის უფლება შესაძლოა შეილახოს როგორც თანამესაკუთრის, ასევე მფლობელის მიერაც. მოცემულ შემთხვევაში კი მოსარჩელეს მოპასუხეთა კეთილსინდისიერი მფლობელობა სადავოდ არ გაუხდია. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო 1426 კვ.მ მიწის ნაკვეთის მხარეთა საერთო საკუთრებაში ყოფნის ფაქტს ადასტურებს #2/75 საქმეში არსებული 2003 წლის 17 თებერვლის საარქივო ამონაწერი და #2/49 საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის ტექადრიცხვის სამსახურის 2003 წლის 13 თებერვლის ცნობა. ამასთან, 2003 წლის 13 ივნისს რ. ბ-მის მიერ აღძრული სარჩელის განხილვისას აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დადასტურდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა ვერ წარადგინეს რაიმე წერილობითი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მხარეთა მიერ სადავო მიწის ნაკვეთით სარგებლობის დამკვიდრებულ წესს. ასეთ მტკიცებულებად კოლეგიამ არ ჩათვალია არც ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 1 ივლისის სხდომის ოქმი და განჩინება, რომელთა მიხედვით, ნ. ბ-მის აზრით, რ. ბ-მე დასთანხმდა 2003 წლის 13 ივნისის სარჩელის შეტანამდე არსებულ მდგომარეობას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მოპასუხის ხელშეშლის გამო მოსარჩელე ვერ სარგებლობდა და ვერც შემდგომში ისარგებლებდა სადავო ნაკვეთით და ამ მოტივით თქვა უარი სარჩელზე. სასამართლომ ჩათვალია, რომ სარჩელის შეტანამდე არსებული მდგომარეობა ნიშნავდა მიწის ნაკვეთის კვლავ საერთო სარგებლობაში დატოვებას, ვინაიდან რ. ბ-მის 2003 წლის 13 ივნისის სარჩელის მოთხოვნა იყო საერთო საკუთრებიდან რეალური წილის გამოყოფა და არა მოპასუხეთა ხელშეშლის აღკვეთა. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ 1426 კვ.მ მიწის ნაკვეთი იყო ი. ბ-მის მემკვიდრეთა და რ. ბ-მის თანასაკუთრება. ადგილზე დათვალიერების შედეგად სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოპასუხეებმა სახლის პირველ სართულზე მდებარე აივანი იმგვარად გატიხრეს, რომ სადავო მიწის ნაკვეთში ჩასასვლელი კიბე მდებარეობს მოპასუხეთა მფლობელობაში არსებული სახლის ნაწილში, რის გამოც რ.ბ-მეს საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთით სარგებლობის საშუალება მოესპო. კოლეგიის მითითებით, საქმის განხილვისას ნ. ბ-მემ დაადასტურა სადავო ხელშეშლისა და კიბის მიშენებაზე უარის თქმის ფაქტი, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საკმარისი საფუძველია. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის მეორე ნაწილით, 170-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ რ. ბ-მის მოთხოვნა სათანადო ნებართვის არსებობისას კიბის მიშენების შესახებ კანონიერია.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ბ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის განჩინებით სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია, რის გამოც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. ბ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა 2005 წლის 1 ივლისის განჩინება მხარეთა შორის მორიგების დამტკიცებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, რომლითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება რ. ბ-მისათვის სადავო მიწის ნაკვეთიდან 300 კვ.მ-ს გამოყოფის შესახებ. ამდენად, მოსარჩელემ უარი თქვა 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებით გამოყოფასა და სარგებლობაზე. სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა საქმის მასალებით დადასტურებულ იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის სადავო მიწის ნაკვეთი გაყოფილი იყო შემდეგნაირად: მოსარჩელე სარგებლობდა 126 კვ.მ-ით, რომელზეც მისი სახლი და აივანია განთავსებული, მოპასუხე კი - 1300 კვ.მ-ით. ამდენად, სასამართლომ მოსარჩელეს ნება დართო, კიბე მოპასუხის ეზოში მოეწყო. სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილი და 106-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი, რომელთა მიხედვით განსახილველ

საქმეზე უდავოდ დადგენილად უნდა მიჩნეულიყო ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარეთა მორიგებისას მოწინააღმდეგე მხარემ სარჩელზე უარის თქმით უარი თქვა სადავო მიწის ნაკვეთის არა მარტო საკუთრების, არამედ სარგებლობის უფლებაზე. გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად საერთოდ დაუსაბუთებელია. არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული ტექნიკური ნაწილის არქივიდან გაცემული გეგმა-ნახაზი, რომლითაც ირკვევა, რომ აივანი, რომელზეც რ. ბ-მეს სადავო კიბის მოწყობა სურს, არის უკანონო და მისი დაკანონების დამადასტურებელი მტკიცებულება მხარეს არ წარმოუდგენია. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია სახლის უკანონო მინაშენზე მოეწყოს ნაკვეთში ჩასასვლელი კიბე, თუნდაც ეს მიწის ნაკვეთი რ.ბ-მის საკუთრება იყოს. სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის დარღვევით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან იმავე მხარეებს შორის არსებული დავა დამთავრდა 2005 წლის 1 ივლისს მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტით. საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 1 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა ბ. ბ-მის უფლებამონაცვლის - ი. ბ-მის, რ. ბ-მისა და მის წარმომადგენელ მერაბ ფილიპოვის შუამდგომლობები საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მოცემულ დავაზე საქმის წარმოება შეწყდა. მითითებული დავა აღიძრა რ. ბ-მის სარჩელის გამო ბ. ბ-მის მიმართ საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთიდან წილის გამოყოფის თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. მოცემული დავა კი აღძრულია რ. ბ-მის ნეგატორული სარჩელის საფუძველზე ნ. და ი. ბ-მების მიმართ და სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საერთო ნაკვეთით სარგებლობაში მოპასუხეთათვის ხელშეშლელი მოქმედების აკრძალვა. ამრიგად, კასატორის მიერ მითითებული სამოქალაქო საქმის დავის საგანი და საფუძველი განსხვავდება მოცემული საქმის დავის საგნისა და საფუძვლისაგან და, შესაბამისად, არ გვაქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ამასთან, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ კასატორის მიერ მითითებული 2005 წლის 1 ივლისის განჩინებით მხარეთა შორის მორიგება არ დამტკიცებულა და საქმის წარმოება შეწყდა მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს საკასაციო საჩივრის არგუმენტზე, რომ ნაგებობა - აივანი, რაზედაც საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთში ჩასვლელი კიბე უნდა მოეწყოს უკანონოა. აღნიშნულ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია, ვინაიდან იგი ამ ინსტანციაში მხარეს ამ საფუძველით სადავოდ არ გაუხდია. საკასაციო სასამართლო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რა რ. ბ-მის სარჩელი თავისი საცხოვრებელი ფართიდან საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთში ჩასასვლელი კიბის მოწყობაზე, აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი პროექტისა და ნებართვის მიხედვით. ამდენად, სადავო კიბე მხოლოდ კომპეტენტური ორგანოების დასკვნის საფუძველზე უნდა გაკეთდეს.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ განჩინება სამართლებრივად დაუსაბუთებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არ მიუთითა მატერიალური ნორმები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მესამე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მეორე ნაწილით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

### განჩინება

#ას-937-1243-07

18 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მშენებლობის მოშლა, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ნ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. თ-შვილისა და ვ. ო-ოვის მიმართ საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან წილის გამოყოფის, სამშენებლო პროექტის გაუქმების, კომპენსაციის - 5000 ლარის, ასევე, მატერიალური და მორალური ზიანის - 2000 ლარის ანაზღაურების, უკანონოდ აშენებული კიბის, აივნისა და კანალიზაციის მოშლის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ.თბილისში, ... ქ #7-ში მდებარე სახლში მხარეებს აქვთ საერთო სარგებლობის ღია აივანი, აბაზანა და 8 კვ.მ საერთო სამზარეულო. 2002 წლიდან მოპასუხეები აწარმოებენ უკანონო მშენებლობას, კერძოდ, მ. თ-შვილმა, მოსარჩელის თანხმობის გარეშე, საერთო სარგებლობის სამზარეულოში მოხსნა კარ-ფანჯარა, მოშალა სველი წერტილები, ამოაშენა გასასვლელი ფანჯრების ღიობი, არაკაპიტალური კედელი შეცვალა კაპიტალურით. მხარეთა შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, რასაც მოჰყვა მ. ნ-მის მიმართ ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა. ამდენად, მხარეთა შორის თანასაკუთრება უნდა გაიყოს. მეორე სართულზე მცხოვრებმა მოპასუხე ვ. ო-ოვმა კი მისი ოთახების წინ საყრდენ კედელზე გააკეთა საკანალიზაციო და წყლის მილები, უკანონოდ დამტკიცებული პროექტის საფუძველზე სამზარეულოს წინ ააშენა აივანი და კიბე. აღნიშნულით მ.ნ-მის საცხოვრებელი ოთახი დაზნელდა, გაუარესდა ბინის ხედი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძველით, რომ სასარჩელო მოთხოვნა უკანონოა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მათ სადავო სამუშაოები აწარმოეს სათანადო ნებართვის საფუძველზე და აღნიშნულით მ. ნ-მის უფლებები არ შელახულა.

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ნ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 27 სექტემბრის განჩინებით დადგინდა, რომ მოცემული დავა მხოლოდ პროექტის ბათილად ცნობის ნაწილში უნდა იქნეს განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაეცეს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას. ამასთან, საქმის წარმოება სამოქალაქო სამართალწარმოების ნაწილში შეჩერდა ადმინისტრაციული პალატის მიერ დავის გადაწყვეტამდე. განსჯადობის საკითხის განსახილველად საქმე გაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 9 დეკემბრის განჩინებით მ. ნ-მის სააპელაციო საჩივარი - «... ქ. #7-ში მცხოვრები მოქალაქე ვ. ო-ოვი სამზარეულოს წინ ეზოში ჩასასვლელი კიბის მოწყობის პროექტის გაუქმების შესახებ» განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას, რომლის 2005 წლის 18 ივლისის განჩინებით მ. ნ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდამ - გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საქმის განხილვის დროს ვ. ო-ოვი გარდაიცვალა და მის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება ვ. კ-ოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 5 დეკემბრის განჩინებით მ. ნ-მის სარჩელი ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურისა და ვ. კ-ოვას მიმართ ადმინისტრაციული აქტის, პროექტის ბათილად ცნობის თაობაზე საქმის წარმოება შეწყდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 ივლისს განჩინებით სამოქალაქო ნაწილში საქმის წარმოება განახლდა. ამავე პალატის 2007 წლის 22 იანვრის განჩინებით კი საქმის წარმოება მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში შეწყდა სარჩელზე უარის თქმის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით მ. ნ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ვ. კ-ოვას დაევალა ქ. თბილისში, ... ქ. #72-ში მდებარე ეზოს თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა, კერძოდ, მის მიერ სამზარეულოს წინ მიშენებული ეზოში ჩასასვლელი კიბისა და აივნის საკუთარი ხარჯით მოშლა, სასარჩელო მოთხოვნა ვ. კ-ოვას მიმართ მიღების მოშლისა და მ. თ-შვილის მიმართ საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები არიან მრავალბინიანი სახლის მობინადრეები. მ. ნ-ძის ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნაა მრავალბინიან სახლში საზიარო უფლების გაუქმება. სასამართლომ იხელმძღვანელა «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის მეორე, მესამე ნაწილებით, მე-18-ე მუხლით, 26-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის «ვ» ქვეპუნქტით და მიიჩნია, რომ სადავო ფართი წარმოადგენს მრავალბინიანი სახლის მობინადრეთა თანსაკუთრებას, ამდენად, მისი გასხვისებისა და მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემის უფლება აქვს ამხანაგობის თავმჯდომარეს ბინათმესაკუთრების ამხანაგობის წევრთა კრებასთან შეთანხმებით. ამდენად, სადავო ფართის მიკუთვნების საკითხი თავდაპირველად უნდა გადაწყვიტოს ამხანაგობამ და მხოლოდ მის მიერ ფართის მიკუთვნებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ზემოხსენებული კანონის 28-ე მუხლის მერვე ნაწილი ითვალისწინებს ამხანაგობის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მ. ნ-ძის მოთხოვნა კანალიზაციის მილის მოშლის შესახებ იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, აღნიშნული მოქმედებით კანონით გათვალისწინებული რა უფლება დაირღვა. «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის მეოთხე ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სასამართლომ ჩათვალა, რომ ვ. კ-ოვამ სადავო კიბის მოწყობით შეზღუდა მ. ნ-ძის უფლება სხვა მესაკუთრებთან ერთად ესარგებლა იმ მიწის ნაკვეთით, რომელზეც კიბეა განთავსებული. პალატამ ასევე გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ კიბისა და აივნის მშენებლობით ვ. კ-ოვას ინდივიდუალური საკუთრება გაიზარდა, საერთო საკუთრებაში მ. ნ-ძის წილი კი შემცირდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ნ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ვ. კ-ოვას წარმომადგენელმა პ. კ-ძემ გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა აღნიშნულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების, 394-ე მუხლის «ე» ქვეპუნქტისა და 105-ე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ამავე კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით, სამოქალაქო საქმის წარმოება შეაჩერა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სადავო მშენებლობის პროექტის კანონიერების შესახებ დავის გადაწყვეტამდე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოცემული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა ადმინისტრაციული წესით მიმდინარე დავის შედეგის გარკვევამდე შეუძლებელი იყო და ადმინისტრაციულ დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა ექნებოდა სამოქალაქო საქმის მიმართ. სასამართლო გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის ბრძანება დარჩა ძალაში. სწორედ აღნიშნული ბრძანება წარმოადგენდა მოცემულ სამოქალაქო საქმეზე სადავო კიბის აშენების დოკუმენტურ საფუძველს. სააპელაციო სასამართლომ მითითებული გარემოება არ გაითვალისწინა და კასატორს, რომელსაც ადმინისტრაციული აქტით მინიჭებული აქვს სადავო კიბის აშენების უფლება, აღნიშნული კანონიერი უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა მოუსპო. ამდენად, პალატამ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განხილულ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას კანონით გათვალისწინებული პრეიუდიციული ძალა არ მიანიჭა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ თავად მ. ნ-ძემ აცნობიერებდა სადავო კიბის მოშლის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართებაში კიბის პროექტის მნიშვნელობას, რის გამოც მან აღნიშნული დოკუმენტი ადმინისტრაციული წესით სადავოდ გახადა. სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორმა სადავო მშენებლობით მ. ნ-ძის უფლებები შეზღუდა, თუმცა არ გამოურკვევია, რა ფაქტობრივი მონაცემები და მტკიცებულებები ადასტურებენ უფლების შეზღუდვის ფაქტს. ამასთან, სასამართლომ საერთოდ არ განიხილა ვ. კ-ოვას შუამდგომლობა ადგილზე დათვალიერების შესახებ, რა დროსაც დადგინდებოდა, რომ სადავო კიბე კასატორის ბინაში ერთადერთი შესასვლელია. სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» კანონი, ვინაიდან სადავო ურთიერთობა წარმოიშვა აღნიშნული კანონის მიღებამდე, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 208-ე-232-ე მუხლებით. პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც სადავო კიბეა განთავსებული, «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მობინადრეთა, მათ შორის, მოსარჩელის საერთო საკუთრებაა, ვინაიდან აღნიშნული გარემოება სათანადოდ - საჯარო რეესტრის ამონაწერით არ დადასტურებულა.



კანონმდებლის მითითება, რომ მრავალბინიანი სახლის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთი მობინადრეთა თანასაკუთრებაა, გულისხმობს იმას, რომ ბინათმესაკუთრეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც სახლი უშუალოდ მდებარეობს და რომელიც საჯარო რეესტრში მრავალბინიანი სახლის სახელზეა რეესტრირებული. რაც შეეხება იმ ნაკვეთს, რომელიც სახლს გარს აკრავს, იგი მრავალბინიან სახლს მიეკუთვნება, «მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის» შესაბამისად, კონკრეტული საზღვრების დადგენისა და მათი საჯარო რეესტრში რეესტრაციის გზით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სადავო კიბისა და აივნის მოწყობით კასატორის ინდივიდუალური საკუთრება გაიზარდა, მ. ნ-ძის წილი კი შემცირდა, ვინაიდან კიბის უჯრედი თავისი კონსტრუქციული და ფუნქციური დანიშნულებით არ წარმოადგენს ინდივიდუალური საკუთრების ობიექტს. რაც შეეხება აივანს, პროექტის მიხედვით, იგი კიბის კონსტრუქციის ნაწილია, თბილისის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის 2004 წლის 9 თებერვლის საინვენტარიზაციო გეგმით კი დასტურდება, რომ სადავო კონსტრუქცია აგებულია პროექტის სრული დაცვით. აღსანიშნავია, რომ კიბე აშენდა 2007 წლის 11 ივლისის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 228-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული მრავალბინიანი სახლის მესაკუთრეთა უბრალო უმრავლესობის ნებართვის საფუძველზე შემუშავებული პროექტის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებით ვერ დაადასტურა სადავო მშენებლობის უკანონობა და აღნიშნულით გამოწვეული ზიანის არსებობა. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ სხვადასხვა უწყების მიწერილობებს კიბის კანონდარღვევით აშენების შესახებ, ისინი გაზიარებული არ უნდა იყოს, რადგან არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, რომელმაც სადავო მშენებლობა მართლზომიერად ჩათვალა და აღნიშნული დადასტურდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 მაისის #3/844-07 გადაწყვეტილებით.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. ვ. კ-ოვა მორიგების აქტის დამტკიცებიდან 14 დღის ვადაში მ. ნ-ძეს გადაუხდის 2000 აშშ დოლარს;

2. მიღებული თანხის სანაცვლოდ, მ. ნ-ძე უარს ამბობს ყველა იმ პრეტენზიაზე, რომელიც მას გააჩნდა ვ. კ-ოვას მიმართ ქ. თბილისში, ... ქ.#7-ში მდებარე მრავალბინიან სახლთან მიმართებაში ქონებრივ უფლებებზე, კერძოდ, კიბისა და აივნის მიშენებაზე და აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აღნიშნულ საკითხზე მას ვ. კ-ოვას ან მისი უფლებამონაცვლის მიმართ რაიმე პრეტენზია არ ექნება;

3. მ. ნ-ძე თანხმობას აცხადებს, რომ იგი უარს იტყვის იმ სარჩელზე, რომელიც მან აღძრა ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ვ. კ-ოვას მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (საქმე #3/844-07) და რომელიც ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაშია (საქმე #35/1274-07);

4. ვ. კ-ოვა თანახმაა, რომ კიბის მიერ დაკავებული ადგილის ხარჯზე საერთო საკუთრებაში თავისი წილის გაზრდა არ მოითხოვოს.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. კ-ოვას სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის ნახევარი - 150 ლარი, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების შესაბამისად, თუ სასამართლოს

მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსახილველი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟის კანონით გათვალისწინებული ოდენობის ნახევარი. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა წინასწარ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით, ამდენად, მას უნდა დაუბრუნდეს მითითებული თანხის ნახევარი - 150 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე - მ. ნ-ძის სარჩელის გამო ვ. კ-ოვას მიმართ უკანონო მშენებლობის მოშლისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. ვ. კ-ოვა მორიგების აქტის დამტკიცებიდან 14 დღის ვადაში მ. ნ-ძეს გადაუხდის 2000 აშშ დოლარს;

2. მიღებული თანხის სანაცვლოდ, მ. ნ-ძე უარს ამბობს ყველა იმ პრეტენზიაზე, რომელიც მას გააჩნდა ვ. კ-ოვას მიმართ ქ.თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე მრავალბინიან სახლთან მიმართებაში ქონებრივ უფლებებზე, კერძოდ, კიბისა და აივნის მიშენებაზე და აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აღნიშნულ საკითხზე მას ვ. კ-ოვას ან მისი უფლებამონაცვლის მიმართ რაიმე პრეტენზია არ ექნება;

3. მ. ნ-ძე თანხმობას აცხადებს, რომ იგი უარს იტყვის იმ სარჩელზე, რომელიც მან აღძრა ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისა და ვ. კ-ოვას მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (საქმე #3/844-07) და რომელიც ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაშია (საქმე #35/1274-07);

4. ვ. კ-ოვა თანახმაა, რომ კიბის მიერ დაკავებული ადგილის ხარჯზე საერთო საკუთრებაში თავისი წილის გაზრდა არ მოითხოვოს.

გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება მ. ნ-ძის სარჩელის გამო ვ. კ-ოვას მიმართ უკანონო მშენებლობის მოშლისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ვ. კ-ოვას სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის ნახევარი - 150 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-666-996-07

24 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** თანხის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ე-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ს-ძის მიმართ თანხის - 20077,6 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ე-ძეს უარი ეთქვა ქ. ქუთაისში, ... ქ. #91-ში მდებარე სახლიდან ი. და მ. ს-ძეების გამოსახლებაზე, ხოლო ი. ს-ძის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, მხარეებს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი და ი. ს-ძეს ნ. ე-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 11000 ლარის გადახდა. მითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 1998 წლის 24 დეკემბერს, სადავო ბინა აღირიცხა ი. ს-ძის სახელზე, თუმცა მოპასუხეს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულება არ შეუსრულებია და

მოსარჩელისათვის თანხა არ გადაუცია. ამავე კოდექსის 403-ე მუხლის შესაბამისად, ი. ს-მეს უნდა დაეკისროს ასევე ზიანის ანაზღაურებაც.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ი. ს-მემ ვერ მოახერხა სადავო 11000 ლარის გადახდა, რადგან 1998 წელს სააღსრულებო წარმოება, რომლის დროსაც მოპასუხემ ვალის ნაწილი შეიტანა, შეჩერდა ნ.ე-მის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განხილვამდე - 2003 წლამდე. მოპასუხეს სადავო ვალდებულება უნდა შეესრულებინა კუთვნილი ბინის გასხვისების გზით, რისთვისაც მონახა კიდეც ბინის მყიდველი, მაგრამ ვერ გაყიდა ყადაღის არსებობის გამო. ამდენად, ი. ს-მემ თანხა ვერ გადაიხადა მოსარჩელის მხრიდან ხელშეშლის მიზეზით, ვინაიდან ნ. ე-მეს სურს არა ფულის, არამედ - მოპასუხის კუთვნილი ბინის მიღება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ნ. ე-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. მოცემული საქმე განხილულ იქნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა, ნ.ე-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 15 296 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 24 დეკემბრის განჩინებით კანონიერ ძალაში შევიდა გადაწყვეტილება, რომლითაც ი. ს-მეს ნ. ე-მის სასარგებლოდ დაეკისრა 11 000 ლარის გადახდა. ი. ს-მემ გადაიხადა მხოლოდ 1600 ლარი. საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიუროდან გამოთხოვილი მასალებით ირკვევა, რომ 2003 წლის 1 აგვისტოს ნ. ე-მემ 1600 ლარი დეპოზიტად გაიტანა. სააპელაციო სასამართლოში ი. ს-მის განმარტებითა და ზემოაღნიშნული სააღსრულებო საქმით დასტურდება, რომ ი. ს-მემ აღმასრულებელთან თანხა სრულად ბოლოს 2005 წელს მიიტანა. მოპასუხის მითითებით, მას თან ახლდა უშიშროების ყოფილი თანამშრომელი, თუმცა ნ. ე-მემ თანხა არ მიიღო, ვინაიდან ყოველთვის სახლის წართმევა უნდოდა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ი. ს-მის სადავო ვალდებულება შესრულებულად ვერ ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლო გაიზიარებს, რომ მას 1999 წელს გადასახდელი თანხა დეპოზიტზე დადებული ჰქონდა და კრედიტორი შესრულების მიღებას აყოვნებდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლის თანახმად, ნ. ე-მე უფლებამოსილი იყო, არ მიეღო ი.ს-მის მიერ ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება. პალატამ ჩათვალა, რომ, ამავე კოდექსის 317-ე მუხლის მიხედვით, არასწორია მითითება, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის კანონი პროცენტის დარიცხვას არ ითვალისწინებს, ვინაიდან სწორად სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 1998 წლის 24 დეკემბერს ი. ს-მეს წარმოეშვა ნ. ე-მისათვის 11 000 ლარის გადახდის ვალდებულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების დრო 1998 წლის 24 დეკემბრიდან უნდა აითვალოს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი ბანკთა საკრედიტო აუციონის საპროცენტო განაკვეთის დინამიკაზე, რომლის თანახმად სადავო პერიოდისათვის საშუალო ყოველთვიურ პროცენტად მიიჩნია 2%. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო პერიოდი მოიცავს 1999 წლის იანვრიდან 2005 წლის იანვრის ჩათვლით დროს, ვინაიდან სარჩელი აღიძრა 2005 წლის 1 თებერვალს, ამასთან, თანხის ნაწილი 2003 წლის მაისში ი.ს-მემ გადაიხადა, რაც კრედიტორმა ამავე წლის აგვისტოში მიიღო, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლზე დაყრდნობით, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს 1998 წლის 24 დეკემბრიდან 2003 წლის 31 ივლისამდე 11000 ლარის 2%-ის, ხოლო 2003 წლის 1 აგვისტოდან 2005 წლის იანვრის ჩათვლით - 9600 ლარის 2%-ის, სულ - 15125 ლარის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინებით ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში შესწორება შევიდა და სამოტივაციო ნაწილის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ი. ს-მისათვის დასაკისრებელი თანხის ოდენობა გაანგარიშდეს შემდეგნაირად: 1998 წლის 24 დეკემბრიდან 2003 წლის 1 აგვისტომდე - 11 000 ლარის 2%, ხოლო 2003 წლის აგვისტოდან 2005 წლის იანვრის ჩათვლით - 9400 ლარის 2%, რაც შეადგენს 15484 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ი. ს-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა. გაურკვეველია, რომელი მტკიცებულების, ფაქტობრივი გარემოებისა და გაანგარიშების საფუძველზე დააკისრა პალატამ კასატორს 15296 ლარის გადახდა თვიური 2%-ის გათვალისწინებით. ასევე დასაბუთებული პროცენტის ოდენობის განსაზღვრა. სასამართლომ მტკიცებულებად არ გამოიყენა მხარის მიერ წარდგენილი აუდიტორული დასკვნა. სააპელაციო პალატამ არ გამოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების წარმოების მასალები და უსაფუძვლოდ არ მიიღო ი. ს-მის წარდგენილი წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდებოდა, რომ კასატორმა 1600 ლარი ჯერ კიდევ 1999 წლის მაისში შეიტანა და, ნ. ე-მის განმარტებით, 2003 წლის აგვისტომდე თანხა სააღსრულებო ბიუროს დეპოზიტზე იდო. აღნიშნული ფაქტობრივი

გარემოების გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროცენტის ოდენობის სწორი განსაზღვრისათვის და იმის დასადგენად, თუ რომელი მხარის ბრალით დაყოვნდა აღსულება. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს 1998 წლის 24 დეკემბერს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების დროული შეუსრულებლობის გამო პროცენტის გადახდევინება, კერძოდ, 1998 წლის 24 დეკემბრიდან 2005 წლის 1 თებერვლამდე ბანკთაშორისი აუქციონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ანაზღაურება. აღნიშნულის საფუძველზე ი. ს-ძეს დაეკისრა პროცენტის გადახდა 1999 წლის იანვრიდან სარჩელის აღძვრამდე - 2005 წლის 1 თებერვლამდე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე, თუმცა ი. ს-ძე მოითხოვდა რა პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას, პალატა ვალდებული იყო, შეეფასებინა დასახელებულ გადაწყვეტილებაში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი - ხანდაზმულობის საკითხი. ამდენად, სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები. სადავო ვალდებულების შესრულების უფლება მოსარჩელეს წარმოემვა 1998 წლის დეკემბერში და სარჩელი აღძრა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის აღდგენა ნ. ე-ძეს არ მოუთხოვია. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პროცენტის გადახდევინებას კანონი არ ითვალისწინებს. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას პალატამ არ გამოიყენა ამავე კოდექსის 384-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც პროცენტის გადახდევინება შესაძლებელია, თუ ვალდებულება ან ხელშეკრულება აღნიშნულს ითვალისწინებს. სასამართლომ ბანკთაშორისი აუქციონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთით ისარგებლა სადავო პროცენტის ოდენობის განსაზღვრისას, თუმცა არ მიუთითა კანონი, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში დაეყრდნო. ბანკთაშორისი აუქციონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთი კი გამოიყენება მხოლოდ საკრედიტო და არა სხვა ვალდებულებების მიმართ, რაც თავად პალატის მიერ მითითებული «ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონის საპროცენტო განაკვეთის დინამიკით» დასტურდება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 4 თვის განმავლობაში მორიგების აქტზე ხელის მოწერის დღიდან ი. ს-ძე გადაუხდის, ხოლო ნ. ე-ძე მიიღებს 10000 ლარს;

2. ი. ს-ძე ნ. ე-ძეს 4 თვეში გადაუხდის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკისრებულ 9400 ლარს;

3. მორიგების აქტზე ხელის მოწერის შემდეგ მხარეებს ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით პრეტენზიები არ ექნებათ.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებინ და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცენტო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცენტო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ს-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 764,80 ლარის ნახევარი - 382,40 ლარი, კერძოდ: სამოქალაქო საპროცენტო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსახილველი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟის კანონით გათვალისწინებული ოდენობის ნახევარი. მოცემულ

შემთხვევაში კასატორმა წინასწარ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 764,80 ლარის ოდენობით, ამდენად, მას უნდა დაუბრუნდეს მითითებული თანხის ნახევარი - 382,40 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე - ნ. ე-ძის სარჩელის გამო ი. ს-ძის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 4 თვის განმავლობაში მორიგების აქტზე ხელის მოწერის დღიდან ი. ს-ძე გადაუხდის, ხოლო ნ. ე-ძე მიიღებს 10000 ლარს;

2. ი. ს-ძე ნ. ე-ძეს 4 თვეში გადაუხდის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დაკისრებულ 9400 ლარს;

3. მორიგების აქტზე ხელის მოწერის შემდეგ მხარეებს ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით პრეტენზიები არ ექნებათ.

გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ნ. ე-ძის სარჩელის გამო ი. ს-ძის მიმართ თანხის ანაზღაურების თაობაზე.

ი. ს-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟი - 382,40 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-33-318-08

25 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** პარტნიორთა კრების ბათილად ცნობა, საწარმოს რეგისტრაციისა და სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. და მ. დ-შვილებმა, რ. ს-იანმა და მ. ტ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს „საღვეზელის“ დირექტორ ბ. მ-ძის მიმართ შპს „საღვეზელის“ პარტნიორთა 1995 წლის 1 დეკემბრის კრების ოქმის ბათილად ცნობის, შპს „საღვეზელის“ რეგისტრაციისა და სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერების გაუქმების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2002 წლის 20-21 მარტს გაზეთ «სიტყვა და საქმეს» #39-ში გამოქვეყნდა განცხადება, რომ ამავე წლის 22 მარტს ჩატარდება შპს «საღვეზელის» დამფუძნებელთა კრება საზოგადოების რეგისტრაციაში არსებული ხარვეზის შევსებისა და დამფუძნებელ პარტნიორთა სურვილის მიხედვით შპს-დან რეალური წილის გამოყოფის შესახებ. მოსარჩელები იყვნენ სახელმწიფო საწარმო «საღვეზელის» შრომითი კოლექტივის წევრები. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს 1993 წლის 27 ივლისის #1-3/123 ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო საწარმო «საღვეზელის» შრომით კოლექტივსა და ქონების მართვის სამინისტროს შორის დაიდო ქ. თბილისში, ... გამზირ #20-ში მდებარე 177 კვ.მ-ს იჯარის ხელშეკრულება ქონების 6203,31 აშშ დოლარად გამოსყიდვის უფლებით. ობიექტის ღირებულების 50% შეტანილ იქნა ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე, ხოლო 1530 აშშ დოლარი დაიფარა #12 საპრივატიზაციო აქტის საფუძველზე. ამდენად, ამხანაგობა «საღვეზელის» შრომითმა კოლექტივმა, რომელსაც ბ. მ-ძე ხელმძღვანელობდა, საკუთრებაში მიიღო ზემოხსენებული ფართი და ძირითადი საშუალებები, რაზეც გაიცა #23/150-პ საკუთრების მოწმობა. მოწმობას დაერთო მესაკუთრეთა სია, თუმცა მათი წილები რეალურად არ განსაზღვრულა. მოსარჩელებმა მხოლოდ საგაზეთო ინფორმაციით შეიტყვეს შპს «საღვეზელის» დაფუძნების შესახებ და მანამდე აღნიშნულის თაობაზე თავისი ნება არ გამოუხატავთ. ბ. მ-ძე ცდილობს, მიითვისოს მხარეთა საერთო საკუთრება და მოსარჩელებთან შეუთანხმებლად გაასხვისოს იგი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: შპს «საღვეზელე» დაფუძნდა 1995 წლის 1 დეკემბერს პარტნიორთა #1 კრების საფუძველზე და 1995 წლის 21 დეკემბერს გატარდა რეგისტრაციაში. აღნიშნული მომენტისათვის საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 6203 აშშ დოლარის ღირებულების ქ.თბილისში, ... გამზირის #20-ში მდებარე პრივატიზებული საწარმოსაგან. საზოგადოებაში პარტნიორთა წილები განაწილდა მათ მიერ განხორციელებული შენატანის პროპორციულად. სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან შპს «საღვეზელეს» დაფუძნებაში მოსარჩელები მონაწილეობდნენ, ხოლო მ. ტ-შვილი, როგორც მდივანი, კრების თავმჯდომარე ბ. მ-ძესთან ერთად ხელს აწერს კრების ოქმს. მოსარჩელე მხარემ სასამართლო რეგისტრაციისა და პარტნიორთა კრების ოქმის გასაჩივრების «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ვადები დაარღვია.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ზ. და მ. დ-შვილებმა, მ. ტ-შვილმა და რ. ს-იანმა გასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება როგორც შპს „საღვეზელის“ დირექტორმა ბ. მ-ძემ, ისე ზ. დ-შვილმა, მ. დ-შვილმა, მ. ტ-შვილმა და რ. ს-იანმა გასაჩივრეს საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 3 ივნისის განჩინებით მხარეთა საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 აგვისტოს განჩინებით რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

რაიონულ სასამართლოში მოცემული დავის განხილვისას მოსარჩელებმა წარადგინეს დაზუსტებული სასარჩელო განცხადება, მოითხოვეს შპს «საღვეზელეს» რეგისტრაციისა და მასში 2003 წლის 18 თებერვალს შეტანილი ცვლილებების გაუქმება, 1995 წლის 1 დეკემბრის კრების ოქმის ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: შპს «საღვეზელე» დაფუძნდა კანონდარღვევით, პარტნიორთა სადამფუძნებლო კრებას საზოგადოების ათივე პარტნიორი არ ესწრებოდა, დაირღვა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 5.4.1 და 5.4.3 მუხლები. 1995 წლის 30 ივნისის გაცემული #23/1503 საკუთრების მოწმობით შრომითი კოლექტივის წევრების წილობრივი საკუთრება განსაზღვრული არ არის, ამდენად, ქონება წარმოადგენს მათ სერთო საკუთრებას და უნდა განაწილდეს ათივე პარტნიორზე თანაბრად. საზოგადოების რეგისტრაციისას პარტნიორთა წილები განსაზღვრული არ იყო და ბ. მ-ძემ, მოცემული დავის მიმდინარეობისას, მოსარჩელებისა და სხვა პარტნიორთა თანხმობისა და კრების ჩატარების გარეშე ცვლილებები შეიტანა რეგისტრაციაში და მოსარჩელეთა წილები უკანონოდ განსაზღვრა. ზ. დ-შვილს მიეკუთვნა 1%, მ. ტ-შვილს - 0,5%, რ. ს-იანს - 1% მ. დ-შვილს - 0,5%, რითაც დაირღვა «მეწარმეთა შესახებ» კანონის 56-ე მუხლი. მ. და ზ. დ-შვილებს საწარმოს დაფუძნებაში მონაწილეობა რომ არ მიუღიათ იმითაც დასტურდება, რომ საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაცია, ხელშეკრულება და წესდება მათ მიერ ხელმოწერილი არ არის. საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ შპს «საღვეზელეს» დაფუძნების შესახებ განცხადებაზე და სადამფუძნებლო ხელშეკრულებაზე მ. ტ-შვილისა და რ. ს-იანს ხელმოწერები შესრულებულია სხვადასხვა პირების მიერ. საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესია, პარტნიორთა შორის წილების თანაბრად განსაზღვრა და რეგისტრაცია თითოეულის მიერ განხორციელებული შენატანის მიხედვით - 10 %-ით.

საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაება ა. ქ-ავა, ხოლო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებად საქმეში ჩაებნენ ზ. ბ-შვილი, დ. მ-ძე, ნ. ბ-შვილი, რ. ჯ-ძე და ბ. მ-ძე.

ა. ქ-ავამ მოითხოვა შპს «საღვეზელეს» რეგისტრაციის გაუქმება, 1995 წლის 1 დეკემბრის კრების ოქმის ბათილად ცნობა, ქ. თბილისში, ... ქ.#20-ში მდებარე 177 კვ.მ-ს 1/10-ის მესაკუთრედ ცნობა და საზოგადოების დარეგისტრირება «მეწარმეთა შესახებ» კანონის 5.4.1, 5.4.3 მუხლების შესაბამისად შემდეგი დასაბუთებით: ა. ქ-ავა წარმოადგენს საწარმო «საღვეზელეს» შრომითი კოლექტივის წევრ გულო ი-ავას პირველი რიგის მემკვიდრეს. მისთვის ცნობილი გახდა, რომ #23/150-3 საკუთრების მოწმობით შრომითი კოლექტივის 10 წევრს, მათ შორის, დედამის გ. ი-ავას, 1996 წლის 30 ივნისის #5-3 155 ხელშეკრულების, 1995 წლის 27 ივნისისა და 6 იანვრის მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა სადავო ფართი. მოსარჩელეთაგან ა. ქ-ავამ შეიტყო, რომ ბ. მ-ძემ უკანონოდ მითთვისა მხარეთა წილები და გ. ი-ავას მიაკუთვნა საწესდებო კაპიტალის მხოლოდ 1%. ბ. მ-ძემ უკანონოდ დააფუძნა შპს «საღვეზელე», რადგან გ. ი-ავამ საზოგადოების დაფუძნების თაობაზე არაფერი იცოდა და არც, «მეწარმეთა შესახებ» კანონის 5.4.1 მუხლის თანახმად, საწარმოს რეგისტრაციის შესახებ განცხადებაზე ხელი არ მოუწერია.

ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. და მ. დ-შვილების, რ. ს-იანისა და მ. ტ-შვილის სარჩელი შპს «საღვეზელის»

მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს «საღვეზელის» 1995 წლის 1 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების #1 ოქმი ბათილად იქნა ცნობილი, გაუქმდა ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1995 წლის #4/4-208 დადგენილება შპს «საღვეზელის» რეგისტრაციისა და 2003 წლის 18 თებერვლის დადგენილება საზოგადოების წესდებაში ცვლილების რეგისტრაციის შესახებ, სასარჩელო მოთხოვნა თანასაკუთრებაში არსებული ამხანაგობის ქონების განაწილებისა და მოსარჩელების 1/10 წილის შესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხე შპს «საღვეზელემ», ზ. და მ. დ-შვილებმა, რ. ს-იანმა, რ. ჯ-ძემ, ა. ქ-ავამ და მ. ტ-შვილმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «საღვეზელეს» სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ზ. და მ. დ-შვილების, რ. ს-იანის, მ. ტ-შვილის, ა. ქ-ავასა და რ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდა და სარჩელი შპს «საღვეზელეს» 1995 წლის 1 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების #1 ოქმის ბათილად ცნობის, კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1995 წლის 21 დეკემბრის #4/4-208 და 2003 წლის 18 თებერვლის დადგენილებების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, ასევე გაუქმდა 2002 წლის 17 მაისის განჩინებით განხორციელებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ქ. თბილისში, ... ქ.#20-ში მდებარე 177 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე ყადაღა მოიხსნა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ 1995 წლის 30 ივნისს გაიცა #23/1503 საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, რომლითაც სახელმწიფო საწარმო «საღვეზელეს» შრომით კოლექტივს, სულ - 10 თანამშრომელს, მათ შორის, მოსარჩელებს საკუთრებაში გადაეცათ ქ. თბილისში, ... გამზირის #20-ში მდებარე ძირითადი საშუალებების აქტიური ნაწილი და 177 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. საქმეში წარმოდგენილი 1995 წლის 1 დეკემბრის შპს «საღვეზელეს» დამფუძნებელთა კრების #1 ოქმის თანახმად, კრებაზე გადაწყდა ობიექტის პრივატიზების შემდგომ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად დარეგისტრირების საკითხი და დამტკიცდა მისი წესდება. ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით სამეწარმეო რესტრში დარეგისტრირდა 10 პარტნიორის მიერ დაფუძნებული შპს «საღვეზელე». 1994 წლის 10 ნოემბრის სახელმწიფო საწარმო «საღვეზელეს» მუშაკთა მიერ ობიექტის პრივატიზების მიზნით, დროებითი ამხანაგობის შექმნის შესახებ სადამფუძნებლო ხელშეკრულებით საპრივატიზაციო ქონებაში წილები შემდეგნაირად განისაზღვრა - ზ. მ-ძე - 47%, ქ. ბ-შვილი - 47%, ა. ჯ-ძე - 1%, , მ. ტ-შვილი - 0,5%, ნ. ბ-შვილი - 0,5%, დ. მ-ძე - 0,5%, გ. ი-ავა - 1%, რ. ს-იანი - 1%, ზ. და მ. დ-შვილები - 1% და 0,5%. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ მათ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას დროებითი ამხანაგობის შექმნის შესახებ ობიექტის პრივატიზების მიზნით, თუმცა აღნიშნულ ხელშეკრულებაში საპრივატიზაციო ქონებაში მათი წილობრივი მონაწილეობის თაობაზე მითითება არ ყოფილა. პალატამ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ხელშეკრულებით ამხანაგობის წევრებს შორის განაწილდა საპრივატიზაციო ქონებაში მათი წილები. დასახელებული დოკუმენტი ხელმოწერილია რ. ს-იანის, მ. ტ-შვილის, გ. ი-ავასა და ა. ჯ-ძის მიერ, ამდენად, აღნიშნულმა პირებმა გამოხატეს ნება საპრივატიზაციო ქონებაში წილის ოდენობაზე და ვალდებულება იკისრეს, 20 დღის განმავლობაში დაეფარათ შესაბამისი თანხა. სასამართლოს მითითებით, მ. და ზ. დ-შვილებმა ხელშეკრულებაზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობა სადავოდ გახადეს და საქმეში წარმოდგენილი 2003 წლის 9 სექტემბრის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, 1994 წლის 10 ნოემბრის ხელშეკრულება ხელმოწერილია არა მოსარჩელების, არამედ სხვა პირების მიერ. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით და ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნა არ გაიზიარა, ვინაიდან დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელები მიუთითებენ, რომ 1994 წლის 29 მაისის #178 ბრძანებულებით საწარმოს მუშაკებს უფლება მიეცათ ობიექტი პირდაპირი გზით შეესყიდათ, რის გამოც ქ.თბილისში, ... გამზირის #20-ში მდებარე სახელმწიფო საწარმო «საღვეზელეს» პრივატიზებისათვის შრომითმა კოლექტივმა შექმნა დროებითი ამხანაგობა, ამასთან, საკასაციო სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მ. და ზ. დ-შვილებმა აღნიშნეს, რომ დავის საგანია არა ობიექტის პრივატიზაციის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ნამდვილობა, არამედ შპს «საღვეზელეს» სადამფუძნებლო საბუთებზე არსებული ხელმოწერები. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელები ხელშეკრულებაზე მათი ხელმოწერების ნამდვილობას არ უარყოფენ. სასამართლოს მოსაზრებით, საკუთრების მოწმობაში მხარეთა წილების მიუთითებლობა არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წილები ათივე პარტნიორზე თანაბრად უნდა განაწილდეს. პალატამ მიიჩნია, რომ «პრივატიზების პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირ მიყიდვის შესახებ» საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის #178 ბრძანებულებით დამტკიცებული დაბულება ითვალისწინებს რა დროებითი ამხანაგობის შექმნას, სწორედ აღნიშნულ ამხანაგობებს უნდა განესაზღვრათ წილები გამოსასყიდ ქონებაზე მუშაკთა შენატანების პროპორციულად. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით მოსარჩელების მიერ ობიექტის საპრივატიზაციო ღირებულების, 6203 აშშ დოლარის 1/10-ის გადახდა არ დასტურდება, შპს «საღვეზელეს» დამფუძნებელთა განცხადებით

კი, რომელსაც ხელს აწერენ რ. ს-იანი, მ. ტ-შვილი, ა. ჯ-მე და გ. ი-ავა, თითოეულმა გადაიხადა 60 აშშ დოლარი, 30 აშშ დოლარი, 60 აშშ დოლარი, 60 აშშ დოლარი. «პრივატიზების პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირ მიყიდვის შესახებ» საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის #178 ბრძანებულების მე-8, მე-13 და მე-14 მუხლებზე დაყრდნობით პალატამ ჩათვალა, რომ შპს «საღვეხელეს» მოსარჩელეთა მონაწილეობის გარეშე დაფუძნება და სადამფუძნებლო დოკუმენტებზე მათი ხელმოწერების არარსებობა საზოგადოების 1995 წლის 1 დეკემბრის დამფუძნებელთა კრების #1 ოქმის ბათილობისა და შპს-ს რეგისტრაციის შესახებ ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 1995 წლის #4/4-208 დადგენილების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება, რადგან ქონების მართვის ორგანოს მიერ ამხანაგობასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ამხანაგობის ყოველი წევრი ვალდებული იყო, დაერეგისტრირებინა საზოგადოება გარკვეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რაც მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა კიდევ. სასამართლოს მითითებით, საზოგადოების რეგისტრაციის შემდგომ პარტნიორებს, სურვილისამებრ, შეეძლოთ გასულიყვენ საზოგადოებიდან და მიეღოთ წილის საკომპენსაციო თანხა. პალატამ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი სარჩელი აღიარებითი ხასიათისაა, მოსარჩელეთა განმარტებით, მათი იურიდიული ინტერესია, პარტნიორთა შორის წილები განისაზღვროს და საზოგადოება დარეგისტრირდეს საერთო ქონების გამოსყიდვისას თითოეული პირის ფულადი შენატანის მიხედვით თანაბარწილად 10%-ის ოდენობით. პალატამ ჩათვალა, რომ აღნიშნული ინტერესის დაკმაყოფილება ზემოხსენებული კრების ოქმის ბათილად ცნობითა და დადგენილების გაუქმების გზით მიღწეული ვერ იქნება. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა შპს «საღვეხელეს» წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2003 წლის 18 თებერვლის დადგენილების გაუქმების თაობაზე და დაადგინა, რომ ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა ცვლილება, საზოგადოების პარტნიორად გარდაცვლილი გულო ი-ავას ნაცვლად, მიღებულ იქნა მისი მემკვიდრე ა. ქ-ავა. სასამართლომ მიუთითა, რომ შპს «საღვეხელეს» 1995 წლის 21 დეკემბერს რეგისტრაციისას პარტნიორთა წილები არ დაფიქსირებულა, აღნიშნული მოხდა 2003 წლის 18 თებერვლის სადავო ცვლილებით, თუმცა აღნიშნული ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების გაუქმებით მასში ასახულ წილთა ოდენობა არ შეიცვლება, ვინაიდან პარტნიორთა წილები განისაზღვრა ჯერ კიდევ 1994 წლის 10 ნოემბრის ხელშეკრულებით. პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი ამხანაგობისათვის საერთო საკუთრებაში გადაცემული ქონების თანაბარწილად განაწილებისა და 1/10 წილზე მოსარჩელეთა შესაკუთრედ ცნობის შესახებ უსაფუძვლოა, რადგან სადავო ქონება საზიარო უფლების ობიექტი არ არის, საზოგადოების საკუთრებაა და პარტნიორს წილის კომპენსაციის მიღების უფლება მხოლოდ საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში აქვს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზ. და მ. დ-შვილებმა, რ. ს-იანმა, მ. ტ-შვილმა, ა. და მ. ქ-ავებმა და მათმა წარმომადგენელმა ა. გ-იამ გასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის 2003 წლის 9 სექტემბრის დასკვნით დასტურდება, რომ 1994 წლის 10 ნოემბრის ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაზე მ. და ზ. დ-შვილების ხელმოწერა არ არის. სასამართლომ დასახელებული დასკვნა სავალდებულოდ არასწორად არ ჩათვალა, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და აღნიშნული მტკიცებულება შეაფასა უსამართლოდ და არაობიექტურად. არ გაიზიარა რა ექსპერტიზის დასკვნა, პალატამ ვერ უარყო ის გარემოება, რომ სადამფუძნებლო ხელშეკრულებაზე მ. და ზ. დ-შვილებს ხელი არ მოუწერიათ. უსაფუძვლოა სასამართლოს დასკვნა, რომ საკასაციო პალატაში წარდგენილი შესაგებლით ხსენებულმა მოსარჩელებმა სადამფუძნებლო ხელშეკრულების ნამდვილობა არ უარყვეს, რადგან აღნიშნული დასკვნა შესაგებლის შინაარსიდან არ გამომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების ხელმოწერისას მასში ამხანაგობის წევრების წილები განსაზღვრული არ იყო, აღნიშნული განხორციელდა უკანონოდ, ხელმოწერის შემდგომ. «პრივატიზების პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირ მიყიდვის შესახებ» საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის #178 ბრძანებულებით დამტკიცებული დაბულების მე-9 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არ მოიპოვება საწარმოს მუშაკთა კრების ოქმი, რომელიც ამხანაგობის შექმნის გადაწყვეტილების მიღებას ასახავდა, ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება კი სანოტარო წესით დამოწმებული არ არის. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოებები, რომ ექსპერტიზის დასკვნით, სადავო შპს «საღვეხელეს» სადამფუძნებლო დოკუმენტებზე არსებული ხელმოწერები მოსარჩელების მიერ არ შესრულებულა, ამასთან, არც საზოგადოების დაფუძნების შესახებ განცხადებაში და არც წესდებაში პარტნიორთა წილები არ განსაზღვრულა. საქმის მასალებით არ დასტურდება, სადავო ქონების პრივატიზებისათვის მხარეთა მიერ გადახდილი თანხების ოდენობა. აღნიშნულის დასადასტურებლად სასამართლო არასწორად დაეყრდნო სადამფუძნებლო ხელშეკრულებასა და მოწინააღმდეგე მხარის განმარტებას, ვინაიდან ხსენებული თანხის გადახდა სათანადო მტკიცებულებით უნდა დადასტურებულიყო. სასამართლომ დაარღვია «მეწარმეთა შესახებ» კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნა, როდესაც მიიჩნია, რომ მოცემული დავისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს არ წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციაზე მოსარჩელეთა ხელმოწერლობა და მათი მონაწილეობის



გარეშე საწარმოს დაფუძნება. ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტებზე ზ. და მ. დ-შვილების ხელმოწერის არარსებობა, საწარმოს დაფუძნების შესახებ აღნიშნულ პირთა ნების მიუხედავად, საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი ვერ გახდება. გასაჩივრებული გადაწყვეტილება უსაფუძვლოა იმ ნაწილშიც, რომლითაც სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებულად აღიარებისას მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ვერ მიიღწევა, ასევე ამხანაგობის თანაზიარ საკუთრებაზე თითოეული პარტნიორის თანაბარწილად განაწილებაზე უარის თქმის ნაწილში, რადგან მეწარმეობა ნებაყოფლობით გაერთიანებაზე დამყარებული სამიქნობაა, შენატანები ნებაყოფლობით უნდა იქნეს შეტანილი და ამ შენატანების საფუძველზე განისაზღვროს პარტნიორთა წილი.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. შპს «საღვეზელეს» პარტნიორები: მ. ტ-შვილი 0,5% წილით, ა. ქ-ავა 1% წილით, რ. ს-იანი 1% წილით, ზ. დ-შვილი 1% წილით და მ. დ-შვილი 0,5% წილით უარს ამბობენ შპს «საღვეზელეს» მიმართ თავიანთ სარჩელში წამოყენებულ ყველა მოთხოვნასა და ასევე ყველა იმ მოთხოვნაზე, რომელიც შეიძლება განეცხადებინათ შპს «საღვეზელესს» და სახელმწიფო საწარმო «საღვეზელეს» დროებითი ამხანაგობის მიმართ ქონებრივი და არაქონებრივი პრეტენზიების სახით;

2. შპს «საღვეზელეს» პარტნიორები: მ. ტ-შვილი 0,5% წილით, ა. ქ-ავა 1% წილით, რ. ს-იანი 1% წილით, ზ. დ-შვილი 1% წილით და მ. დ-შვილი 0,5% წილით უარს ამბობენ შპს «საღვეზელეს» პარტნიორობაზე, საზოგადოებაში მათ კუთვნილ წილებზე და გადიან შპს «საღვეზელეს» პარტნიორთა რიგებიდან;

3. შპს «საღვეზელე» ვალდებულებას იღებს, ამ მორიგების მეორე მხარეს - მ. ტ-შვილს, ა. ქ-ავას, რ. ს-იანს, ზ. დ-შვილსა და მ. დ-შვილს შპს «საღვეზელეს» პარტნიორობიდან და ამხანაგობა საღვეზელეს წევრობიდან გასვლის სანაცვლოდ, მათი წილების - სულ 4,5%-ის - საკომპენსაციოდ, ექვსი თვის ვადაში გადაუხადოს 130000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი ამ მორიგების აქტის ხელმოწერის დღისათვის დადგენილი გაცვლითი საბანკო კურსით, რომელსაც ინაწილებენ თანაბრად;

4. სახელმწიფო საწარმო «საღვეზელეს» დროებითი ამხანაგობის კუთვნილ ქ.თბილისში, ... გამზირის #20-ში მდებარე 177 კვ.მ-ს მოსარჩელეთა განცხადების საფუძველზე მოეხსნას ყადაღა და აღნიშნული ქონება დაიტვირთოს იპოთეკით დასაკმაყოფილებელი პირების: მ. ტ-შვილის, ა. ქ-ავას, რ. ს-იანის, ზ. დ-შვილისა და მ. დ-შვილის სასარგებლოდ, ამ მორიგების აქტის მე-3 პუნქტში აღნიშნული შპს «საღვეზელეს» ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, რაც გაუქმდება შპს «საღვეზელეს» მიერ მისი ვალდებულების სრულად შესრულებისთანავე;

5. შპს «საღვეზელეს» მიერ მისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება ამ მორიგების მხარეებისათვის მათ პირად ან მათი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშებზე თანხის შეტანის დამადასტურებელი ქვითრები, რამაც ჯამში უნდა შეადგინოს 130000 აშშ დოლარი;

6. შპს «საღვეზელეს» პარტნიორთა რიგებიდან მ. ტ-შვილის, ა. ქ-ავას, რ. ს-იანის, ზ. დ-შვილისა და მ. დ-შვილის ამორიგება და შესაბამისი ცვლილების რეგისტრაცია შპს «საღვეზელეს» სამეწარმეო რეესტრში მოხდება შპს «საღვეზელეს» მხრიდან ამ მორიგების აქტის მე-3 პუნქტში მითითებული ვალდებულების სრულად შესრულების შემდგომ.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე - ზ. და მ. დ-შვილების, რ. ს-იანის, მ. ტ-შვილისა და ა. ქ-ავას სარჩელის გამო შპს «საღვეზელეს» მიმართ პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის, საწარმოს რეგისტრაციისა და სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების გაუქმების თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. შპს «საღვეზელეს» პარტნიორები მ. ტ-შვილი 0,5% წილით, ა. ქ-ავა 1% წილით, რ. ს-იანი 1% წილით, ზ. დ-შვილი 1% წილით და მ. დ-შვილი 0,5% წილით უარს ამბობენ შპს «საღვეზელეს» მიმართ თავიანთ სარჩელში წამოყენებულ ყველა მოთხოვნაზე და ასევე ყველა იმ მოთხოვნაზე, რომელიც შეიძლება განეცხადებინათ შპს «საღვეზელეს» და სახელმწიფო საწარმო «საღვეზელეს» დროებითი ამხანაგობის მიმართ ქონებრივი და არაქონებრივი პრეტენზიების სახით;

2. შპს «საღვეზელეს» პარტნიორები მ. ტ-შვილი 0,5% წილით, ა. ქ-ავა 1% წილით, რ. ს-იანი 1% წილით, ზ. დ-შვილი 1% წილით და მ. დ-შვილი 0,5% წილით უარს ამბობენ შპს «საღვეზელეს» პარტნიორობაზე, საზოგადოებაში მათ კუთვნილ წილებზე და გადიან შპს «საღვეზელეს» პარტნიორთა რიგებიდან;

3. შპს «საღვეზელე» ვალდებულებას იღებს, ამ მორიგების მეორე მხარეს მ. ტ-შვილს, ა. ქ-ავას, რ. ს-იანს, ზ. დ-შვილსა და მ. დ-შვილს შპს «საღვეზელეს» პარტნიორობიდან და ამხანაგობა საღვეზელეს წევრობიდან გასვლის სანაცვლოდ, მათი წილების სულ 4,5%-ის საკომპენსაციოდ, ექვსი თვის ვადაში გადაუხადოს 130000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი ამ მორიგების აქტის ხელმოწერის დღისათვის დადგენილი გაცვლითი საბანკო კურსით, რომელსაც ინაწილებენ თანაბრად;

4. სახელმწიფო საწარმო «საღვეზელეს» დროებითი ამხანაგობის კუთვნილ ქ.თბილისში, ... გამზირის #20-ში მდებარე 177 კვ.მ-ს მოსარჩელეთა განცხადების საფუძველზე მოეხსნას ყადაღა და აღნიშნული ქონება დაიტვირთოს იპოთეკით დასაკმაყოფილებელი პირების მ. ტ-შვილის, ა. ქ-ავას, რ. ს-იანის, ზ. დ-შვილისა და მ. დ-შვილის სასარგებლოდ, ამ მორიგების აქტის მე-3 პუნქტში აღნიშნული შპს «საღვეზელეს» ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, რაც გაუქმდება შპს «საღვეზელეს» მიერ მისი ვალდებულების სრულად შესრულებისთანავე;

5. შპს «საღვეზელეს» მიერ მისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება ამ მორიგების მხარეებისათვის მათ პირად ან მათი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანის დამადასტურებელი ქვითრები, რამაც ჯამში უნდა შეადგინოს 130000 აშშ დოლარი;

6. შპს «საღვეზელეს» პარტნიორთა რიგებიდან მ. ტ-შვილის, ა. ქ-ავას, რ. ს-იანის, ზ. დ-შვილისა და მ. დ-შვილის ამორიგება და შესაბამისი ცვლილების რეგისტრაცია შპს «საღვეზელეს» სამეწარმეო რეესტრში მოხდება შპს «საღვეზელეს» მხრიდან ამ მორიგების აქტის მე-3 პუნქტში მითითებული ვალდებულების სრულად შესრულების შემდგომ.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებები.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ზ. და მ. დ-შვილების, რ. ს-იანის, მ. ტ-შვილისა და ა. ქ-ავას სარჩელის გამო შპს «საღვეზელეს» მიმართ პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის, საწარმოს რეგისტრაციისა და სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების გაუქმების თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-21-307-08

15 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** გარიგების ბათილად ცნობა, უკანონო მშენებლობის მოშლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. ა-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. მ-შვილის, თიანეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოსა და მთავარი არქიტექტორის მიმართ ნაგებობის პროექტის, საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უკანონო მშენებლობის მოშლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2004 წლის 5 თებერვალს

მოსარჩელემ მ. მ-შვილისაგან შეიძინა . . . , 9 აპრილის ქ.#24-ში მდებარე 66,40 კვ.მ ნაგებობა და 108 კვ.მ მიწის ნაკვეთი. თიანეთის რაიონის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის მიერ 1997 წლის 12 თებერვალს ე. ა-შვილის სახელზე გაცემული ტექნიკური პასპორტის მონაცემებით მოსარჩელის კუთვნილი ნაგებობიდან ერთი მეტრის დამორებით არის სამეზობლო მიჯნა, ამდენად, კედლის ჩრდილოეთით არსებული 9 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასვე ეკუთვნის. 2004 წლის 22 აპრილს აღნიშნული 9 კვ.მ მიწის ნაკვეთი უკანონოდ ხელმეორედ გაიყიდა მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრე გ. მ-შვილზე, რომელმაც, თიანეთის მთავარი არქიტექტორის მიერ კანონდარღვევით დამტკიცებული პროექტის საფუძველზე, დაიწყო მშენებლობა.

მოპასუხე გ. მ-შვილმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა დაუსაბუთებელია და სადავო მიწის ნაკვეთი მისი საკუთრებაა, რომელიც გ. მ-შვილის მიერ ნ. მ-შვილისაგან შეძენილ 29 კვ.მ-ში შედის.

თიანეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. ა-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 8 ივნისის განჩინებით მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოეყო გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი გ. მ-შვილსა და ნ. მ-შვილს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილობისა და გ. მ-შვილის მიერ უკანონოდ აშენებული კედლის საკუთარი ხარჯებით დანგრევის შესახებ, საქმე ამ ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეცა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას, ხოლო მაღაზიის მიშენების პროექტის ბათილობის ნაწილში საქმის წარმოება შეჩერდა ზემოხსენებული სამოქალაქო დავის დასრულებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 14 სექტემბრის განჩინებით გ.მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება სადავო დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილობისა და გ. მ-შვილის მიერ უკანონოდ აშენებული კედლის საკუთარი ხარჯებით დანგრევის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხედ საქმეში ჩაბმულ იქნა ნ. მ-შვილი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. ა-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1996 წლის 30 აგვისტოს ნ. მ-შვილმა დაბა . . . მცხოვრები ზ. ო-შვილისაგან და ნ. პ-შვილისაგან შეიძინა დაბა . . . , 9 აპრილის ქ.#14-ში მდებარე 37 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა - ჯიხური, რომელიც გადავიდა მის სარგებლობაში და «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის შესაბამისად, 2001 წლის 20 მარტს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთიდან 29 კვ.მ აღირიცხა ნ. მ-შვილის სახელზე. 2004 წლის 22 აპრილს კუთვნილი 29 კვ.მ ნაკვეთი ნ. მ-შვილმა მიჰყიდა ნაკვეთის ჩრდილოეთით მომიჯნავე გ.მ-შვილს, რომელმაც ამავე წლის 27 აპრილს უძრავი ნივთი საჯარო რეესტრში თავის სახელზე აღრიცხა. 2004 წლის 5 თებერვალს ე. ა-შვილმა მ. მ-შვილისაგან იყიდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 108 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც იმავე დღეს აღრიცხა თავის სახელზე. სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის სამართლებრივი ანალიზის შედეგად სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგების დადებისას გ. მ-შვილისათვის ნივთის მესაკუთრე იყო ნ.მ-შვილი, ვინაიდან მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში ამ უკანასკნელის სახელზე ირიცხებოდა, თუნდაც, ფაქტობრივად, სადავო ფართი ე. ა-შვილის საკუთრება ყოფილიყო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ სადავო უძრავი ნივთის შეძენისას გ.მ-შვილისათვის ცნობილი იყო, რომ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობდა დავა ე. ა-შვილთან. კოლეგიის მითითებით, მოსარჩელემ საქმის განხილვისას განმარტა, რომ ხელშეკრულების დადებამდე მას გ.მ-შვილთან ამ საკითხზე არ უსაუბრია, ამასთან, მხარის მოთხოვნა ზემოხსენებულ საფუძველს არ ეფუძნება, არამედ მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობას, ვინაიდან მოპასუხეებს შორის დადებული გარიგების საგანი უფლებრივად ნაკლის მქონეა. სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული მოთხოვნის დასადასტურებლად მხარის მითითება, რომ მაღაზიის ტექპასპორტის პირველად ნახაზზე მაღაზიის ჩრდილოეთი კედელი ჩახაზულია მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთ ზოლიდან ერთი მილიმეტრის მანძილზე და ნახაზი შედგენილია რა 1/1000 მასშტაბით, 1 მმ-ში იგულისხმება 1 მეტრი, რომელიც მოსარჩელის საკუთრებაა. კოლეგიამ მიუთითა, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება უნდა განისაზღვროს საჯარო რეესტრის ამონაწერით, ხოლო უძრავი ქონების ადგილმდებარეობა - საკადასტრო რუკით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილ როგორც ე. ა-შვილის, ისე გ. მ-შვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საჯარო რეესტრის ამონაწერითა და საკადასტრო რუკებით სადავო 9 კვ.მ მიწის ურთიერთგადაფარვის ფაქტი არ დგინდება, რაც ასევე დაადასტურეს სასამართლო პროცესზე სპეციალისტებად დაკითხულმა თიანეთის

საჯარო რეესტრის სამსახურის მუშაკებმა - გ. ს-შვილმა და ე. კ-შვილმა. სასამართლომ მხარეთა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ერთი მეტრი სიგანისა და ცხრა მეტრი სიგრძის მიწა არ შეიძლება ყოფილიყო მოსარჩელის საკუთრება, ვინაიდან ე. ა-შვილის მიერ კუთვნილი მიწის ნაკვეთის შექმნამდე - 2001 წელს სადავო ფართი საჯარო რეესტრში ირიცხებოდა ნ. მ-შვილის სახელზე, როგორც 29 კვ.მ-ს ნაწილი და სამხრეთით ესაზღვრებოდა ჯერ კიდევ მ. მ-შვილის კუთვნილი 108 კვ.მ ნაკვეთი. აღნიშნული დასკვნა კოლეგიამ იმითაც გაამყარა, რომ ნ. მ-შვილის სახელზე რიცხულ 29 კვ.მ-ს სადავო 9 კვ.მ რომ გამოაკლდეს დარჩება 20 კვ.მ, რაც არ შეესაბამება საჯარო რეესტრის ამონაწერსა და საკადასტრო რუკის მონაცემებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო 9 კვ.მ მიწის ნაკვეთი ე. ა-შვილსა და მ. მ-შვილს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის საგანი ვერ გახდებოდა და ნ.მ-შვილსა და გ. მ-შვილს შორის 29 კვ.მ-ს ნასყიდობა გაფორმდა ზემოხსენებული გარიგებისაგან დამოუკიდებლად, რაც სასამართლო სხდომაზე მოწვეულმა სპეციალისტებმაც დაადასტურეს. კოლეგიამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლით, 489-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ სადავო 9 კვ.მ მიწის ნაკვეთი მოსარჩელის მიერ მ. მ-შვილისაგან თავისი 108 კვ.მ-ს შექმნამდე და მოპასუხეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისას უკვე იყო რეგისტრირებული ნ. მ-შვილის სახელზე, ამდენად, მოპასუხეთა შორის დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგანი - 29 კვ.მ მიწის ნაკვეთი უფლებრივად უნაკლოა და ე.ა-შვილს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს - გ. მ-შვილს პრეტენზია სადავო მიწის ნაკვეთზე მისი უფლების გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ე.ა-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ე. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი და სამართლებრივი შეფასებები. პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით, ვერ დაასაბუთა გ. მ-შვილის მიერ აგებული კედლის მისივე ხარჯებით აღების თაობაზე მოთხოვნის კანონიერება, ამასთან, სადავო მშენებლობის წარმოების თაობაზე თიანეთის მთავარი არქიტექტორის მიერ 2004 წლის 14 მაისს გაცემული პროექტის ბათილობის საკითხი განხილული არ არის, შესაბამისად, მის მიერ მშენებლობის უნებართვოდ წარმოების ფაქტი არ დასტურდება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ე. ა-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: როგორც სააპელაციო, ისე რაიონულმა სასამართლოებმა ყოველგვარი მტკიცებულებისა და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დადასტურებულად მიიჩნიეს ის ფაქტობრივი გარემოება, რომ 1996 წლის 30 აგვისტოს ნ. მ-შვილმა ზ. თ-შვილისა და ნ. კ-შვილისაგან შეიძინა დაბა ..., 9 აპრილის ქ. #14-ში მდებარე შენობა - ჯიხური, რომელიც განთავსებული იყო 37 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და «ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არა-სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ» კანონის შესაბამისად, 2001 წლის 20 მარტს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთიდან 29 კვ.მ აღირიცხა ნ.მ-შვილის სახელზე. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ 2004 წლის 22 აპრილს ნ.მ-შვილმა კუთვნილი უძრავი ქონება მიჰყიდა გ. მ-შვილს, რომელმაც სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, გამსხვივებული მიიჩნია სადავო 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა, გ. მ-შვილისათვის სადავო ნაკვეთის შესახებ ცნობილი თუ იყო, ვინაიდან სათანადო მტკიცებულებები საქმეში წარდგენილ იქნა, ამასთან, სასამართლოს შეეძლო დაენიშნა ექსპერტიზა. სააპელაციო პალატამ არ შეაფასა ის გარემოება, რომ 2004 წლის 5 თებერვალს კასატორმა მ. მ-შვილისაგან შეიძინა დაბა ..., 9 აპრილის ქ. #24-ში მდებარე 108 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და 37,92 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, რაც მხარეებს სადავო არ გაუხდიათ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ე. ა-შვილის სახელზე გაიცა #73/3799 საკუთრების მოწმობა და დაბა ..., რაიკოოპერატივის ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე სასურსათო მაღაზიის ტექნიკური პასპორტი. იგი აღირიცხა მაღაზიისა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 108 კვ.მ-ს მესაკუთრედ. აღნიშნული ტექნიკური პასპორტით დასტურდება, რომ მაღაზიის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს გ. მ-შვილის მაღაზია, მათ შორის გავლებულია მიჯნა, რომელიც ე. ა-შვილის მაღაზიის კედლიდან დამორებულია 1 სმ-ით. ნახაზი შედგენილია მასშტაბით 1/1000, ამდენად, 1 სმ უდრის 1 მეტრს, რითაც დასტურდება, რომ კასატორის მაღაზიის ჩრდილოეთის კედლის მხარეს მის საკუთრებაში არსებული სადავო მიწის ნაკვეთი 1 მეტრი სიგანითა და 9 მეტრი სიგრძით. მითითებული მიწის ნაკვეთი უკანონოდ, მესაკუთრის ნებართვის გარეშე, გასხვისა ნ. მ-შვილმა, რაც სასამართლომ არ გამოიკვლია, მიწის აზომვისა და ნაკვეთების ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზა არ დაუნიშნავს. გ. მ-შვილმა კასატორის მაღაზიის ჩრდილოეთი კედლიდან 15 სმ-ის მოშორებით ააშენა კედელი, რის გამოც შეუძლებელი გახდა სადავო 9 კვ.მ-ზე მაღაზიაში მოწყობილი ღუმელით სარგებლობა. ნ. მ-შვილმა საჯარო რეესტრში არასწორად დაარეგისტრირა ბაზრის ტერიტორიაზე განთავსებული 37 კვ.მ, რისი ნებართვაც არ ჰქონდა, ნაკვეთი განეკუთვნებოდა არასასოფლო-სამეურნეო მიწების კატეგორიას, წარმოადგენდა რაიკოოპერატივის საკუთრებას და მისი საკუთრებაში მიღების ან განკარგვის სამართლებრივი საფუძველი

ნ. მ-შვილს არ გააჩნდა. ფაქტობრივად, სადავო 9 კვ.მ უკანონოდ შეტანილ იქნა სწორედ აღნიშნულ 37 კვ.მ ნაკვეთში. 2004 წლის 9 ივლისის თ. ზ-ურის წერილით კასატორმა შეიტყო, რომ საჯარო რეესტრში სადავო 9 კვ.მ მიწის ნაკვეთი აღირიცხა გ. მ-შვილის სახელზე, რაც ერთი თვის ვადაში გახადა სადავოდ. სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება კასატორის კუთვნილი 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ ბათილად უნდა იქნას ცნობილი. სასამართლო დაეყრდნო ვარაუდს, რომ სადავო ნაკვეთი კასატორის საკუთრება ვერ იქნება და არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხეებს შენობა-ჯიხურის აშენების ან მიწის დამაგრების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ. სასამართლომ ჩათვალა, რომ კასატორის მიერ კუთვნილი 108 კვ.მ მიწის ნაკვეთის შემქნამდე, მოპასუხეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, სადავო ფართი რეგისტრირებული იყო ნ. მ-შვილის სახელზე, თუმცა მიწის ნაკვეთები არ აზომილა და საქმეზე შესაბამისი ექსპერტიზა არ ჩატარებულა. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ 2004 წლის 22 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულებას გასაყიდი ქონების ნ. მ-შვილის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტები არ ერთვის, რითაც დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი. ასევე აღსანიშნავია, რომ რაიკოოპერატივის წარმომადგენელ ლ. მოსახლიშვილის განმარტებითა და თიანეთის რაიკოოპერატივის 2007 წლის 20 ივლისის წერილით ირკვევა, რომ ნ. მ-შვილის მიერ გ. მ-შვილზე გასხვისებული ჯიხური უკანონოდაა აშენებული, მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგი იდგა ეკუთვის რაიკოოპერატივს და აღნიშნული უძრავი ნივთი ამ უკანასკნელს არ გაუსხვისებია. გ. მ-შვილი არ უნდა ჩათვალოს სადავო უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემქნადად, ვინაიდან საქმის მასალებში არსებული ნ. მ-შვილის განმარტებით, მან სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას განუმარტა გ. მ-შვილს, რომ ე. ა-შვილის მალაზიის ჩრდილოეთი კედელთან არსებული 1 მეტრის სიგანისა და 9 მეტრის სიგრძის მიწის ნაკვეთი კასატორს ეკუთვნოდა. აღნიშნული სასამართლო სხდომაზე დაადასტურა გ. მ-შვილმა, თუმცა სასამართლოს მითითებული გარემოება არ შეუფასებია. ამასთან, შემძენი ვალდებული იყო, გამსხვისებლისაგან მოეთხოვა როგორც ჯიხურის, ისე მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები. სასამართლოს არ გამოურკვევია ის გარემოება, რომ გ. მ-შვილის მიერ აღმართული სამეზობლო მიჯნა «ნაკვეთის საზღვრებზე დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის» მე-4 მუხლის მეოთხე ნაწილის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. გ. მ-შვილი გადაუხდის ე. ა-შვილს 1500 ლარს მორიგების დღიდან 5 დღის ვადაში, რის სანაცვლოდ, ე. ა-შვილი აღარ იდავებს 2004 წლის 22 აპრილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისა და 9 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის, ასევე უკანონოდ აშენებული კედლის მოპასუხის ხარჯებით აღების თაობაზე;

2. ე. ა-შვილი აღარ ხდის სადავოდ და უარს ამბობს სარჩელზე თიანეთის მთავარი არქიტექტორის მიერ 2007 წლის 14 მაისს გაცემული პროექტის ბათილად ცნობის შესახებ, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია ამავე სასამართლოს 2005 წლის 8 ივნისის განჩინებით შეჩერებული #38/917-05 საქმე;

3. გ. მ-შვილი არ შეუშლის ხელს ე. ა-შვილს სასაზღვრო მიჯნაზე სახლის კედლის აშენებაში. მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ა-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის ნახევარი - 75 ლარი, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილების შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ამასთან, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ

მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსახილველი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, მხარეთა მორიგების შემთხვევაში, გადახდილ უნდა იქნეს სახელმწიფო ბაჟის კანონით გათვალისწინებული ოდენობის ნახევარი. მოცემულ შემთხვევაში კასატორმა წინასწარ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით, ამდენად, მას უნდა დაუბრუნდეს მითითებული თანხის ნახევარი - 75 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე - ე. ა-შვილის სარჩელის გამო გ. მ-შვილისა და ნ. მ-შვილის მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უკანონო მშენებლობის მოშლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. გ. მ-შვილი გადაუხდის ე. ა-შვილს 1500 ლარს მორიგების დღიდან 5 დღის ვადაში, რის სანაცვლოდ, ე. ა-შვილი აღარ იდავებს 2004 წლის 22 აპრილის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისა და 9 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის, ასევე უკანონოდ აშენებული კედლის მოპასუხის ხარჯებით აღების თაობაზე;

2. ე. ა-შვილი აღარ ხდის სადავოდ და უარს ამბობს სარჩელზე თიანეთის მთავარი არქიტექტორის მიერ 2007 წლის 14 მაისს გაცემული პროექტის ბათილად ცნობის შესახებ, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია ამავე სასამართლოს 2005 წლის 8 ივნისის განჩინებით შეჩერებული #38/917-05 საქმე;

3. გ. მ-შვილი არ შეუშლის ხელს ე. ა-შვილს სასაზღვრო მიჯნაზე სახლის კედლის აშენებაში. გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ე. ა-შვილის სარჩელის გამო გ. მ-შვილისა და ნ. მ-შვილის მიმართ საჯარო რეესტრის ჩანაწერისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, უკანონო მშენებლობის მოშლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე.

ე. ა-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟი - 75 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-127-405-08

20 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ჯ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. გ-ის მიმართ დავალიანების - 2100 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელემ ქ.თბილისში, ... ქ.#14-ში მდებარე ბინა მიაქირავა მოპასუხეს ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის გადახდის პირობით. ქ.გ-ემ აღნიშნულ ფართში გახსნა სტომატოლოგიური კლინიკა, რაც დასტურდება მისი ქონების აღწერის აქტით. 2005 წლის 4 ოქტომბრიდან მოპასუხეს ქირა აღარ გადაუხდია, რის გამოც მას უნდა დაეკისროს 7 თვის დავალიანების გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2004 წლის 18 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა ნ.ჯ-იანის კუთვნილი ფართის იჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით, თვეში 300 აშშ დოლარის გადახდით. მოპასუხემ მითითებულ ფართში გახსნა სტომატოლოგიური კლინიკა, რისთვისაც ჩაატარა დაახლოებით 6500 ლარის ღირებულების რემონტი. ქ.გ-ემ საიჯარო ქირას ყოველი თვის 18 რიცხვში კეთილსინდისიერად იხდიდა. 2005 წლის სექტემბერში ნ.ჯ-იანმა მოსთხოვა ფართის დაცლა იმ საფუძვლით, რომ კუთვნილი ქონება გაასხვისა სხვა პირზე, რაზეც მოპასუხემ ხელშეკრულების პირობებზე მითითებით უარი განუცხადა. მოსარჩელემ თვითნებურად გამოცვალა სადავო ბინის კარის

გასაღები და ქ.გ-მე აღარ შეუშვა. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებზე და 2006 წლის 6 დეკემბრის განაჩენით ნ.ჯ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ. სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულმა მოწმეებმა სადავო ქირის გადახდის ფაქტი დაადასტურეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ.ჯ-იანის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. გ-მეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 680 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ 2004 წლის 18 მარტს მხარეთა შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება დამქირავებლის მიერ გამქირავებლისათვის ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის გადახდის პირობით. პალატამ ჩათვალა, რომ საქალაქო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას მიუთითა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 103-ე მუხლებზე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი არასწორად გაანაწილა. პალატის მოსაზრებით, უპირველეს ყოვლისა, მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა, სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შორის ქირავნობის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი, რაც მოპასუხის განმარტების საფუძველზეც დადგინდა. შემდგომ კი მოპასუხეს ევალუბოდა იმის მტკიცება, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და უნდა წარმოედგინა სადავო ქირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც არ მომხდარა. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ ნ. ჯ-იანმა, სადავო ბინის საკეტის გამოცვლით, ფაქტობრივად, 2005 წლის 8 ნოემბერს შეუწყვიტა ხელშეკრულება მოპასუხეს. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ქ. გ-მეს აპელანტისათვის 2005 წლის სექტემბრიდან 8 ნოემბრამდე ქირა არ გადაუხდია, რის გამოც უნდა დაეკისროს დავალიანების - 680 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ქ. გ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე-103-ე მუხლები და უკანონოდ არ გაიზიარა კასატორის წერილობითი და სიტყვიერი განმარტებანი, მოწმეთა ჩვენებები სადავო ქირის გადახდისა და დავალიანების არარსებობის შესახებ, მაშინ, როცა ნ. ჯ-იანმა ვერ დაადასტურა სადავო თანხის მიუღებლობა, ამდენად, გაურკვეველი და დაუსაბუთებელია, თუ რატომ გაიზიარა სასამართლომ ნ.ჯ-იანის განმარტებები დავალიანების არსებობის თაობაზე სათანადო მტკიცებულების წარუდგენლად. სასამართლომ დაარღვია ამავე კოდექსის 105-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები, ვინაიდან სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და თავისი შინაგანი რწმენა გადაწყვეტილებაში არ დაასაბუთა. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 556-ე, 557-ე, 558-ე, 561 და 563-ე მუხლები, რომელიც უნდა გამოეყენებინა. აღნიშნული საპროცესო და მატერიალური ნორმების დარღვევის გათვალისწინებით მცდარია სასამართლოს მოსაზრება, რომ ქ. გ-მეს უნდა გაექარწყლებინა მოსარჩელის მოთხოვნა ქირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენით. მართალია, ქ. გ-მემ, ავადმყოფობის გამო, ვერ წარუდგინა სასამართლოს მოტივირებული შესაგებელი, მაგრამ თავისი განმარტებებითა და მოწმეთა ჩვენებებით დაადასტურა, რომ ყოველი თვის 18 რიცხვში იხდიდა ქირას მომავალი თვის ანგარიშში. ნ. ჯ-იანის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას კასატორის მიმართ ასევე ადასტურებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 2006 წლის 6 დეკემბრის განაჩენი.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ქ. გ-მე ნ. ჯ-იანს გადაუხდის 250 აშშ დოლარს, რის სანაცვლოდაც ნ. ჯ-იანი ვალდებულებას იღებს, დაუბრუნოს ქ. გ-მეს კუთვნილი სამედიცინო აპარატურა საქმეში არსებული აღწერილობითი სიის მიხედვით, კერძოდ: 1 ცალი სტომატოლოგიური სავარძელი (თავისი 2 ცალი ბუნკით), 2 ცალი შუშის კარადა, 2 ცალი მინის სტომატოლოგიური მაგიდა, 1 ცალი კომპრესორი, 1 ცალი სტერილიზატორი, 1 ცალი დივანი-სავარძელი, 1 ცალი ოთხკუთხედი მაგიდა, 1 ცალი რენტგენის აპარატი, 1 ცალი პატარა სტომატოლოგიური სავარძელი, 1 ცალი ჰელიო «პუმკა», 1 ცალი «ნიკალას» ღუმელი, 3 ცალი ბიქსი, 1 ცალი სტომატოლოგიური სკამი, 1 ცალი პატარა გაზექურა, 3 ცალი კერამიკის ნიჟარა. შეთანხმებულ თანხას (250 აშშ დოლარს) ქ. გ-მე ნ. ჯ-იანს გადასცემს 2008 წლის 22 მაისს, აპარატურის მიღებისთანავე.

2. თუ ქ. გ-მე ნ. ჯ-იანს დათქმულ ვადაში ზემოაღნიშნულ თანხას არ გადაუხდის და არ წაიღებს აპარატურას, მაშინ ქ. გ-მე ნ.ჯ-იანს გადაუხდის 680 აშშ დოლარს, ხოლო თუ ნ. ჯ-იანი არ დაუბრუნებს ქ. გ-მეს კუთვნილ სამედიცინო აპარატურას, ნ. ჯ-იანი გადაუხდის ქ. გ-მეს აპარატურის ღირებულებას.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებოდნენ და აწერენ ხელს.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ - საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. გ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს ზ. რ-ძის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება სამოქალაქო საქმეზე - ნ. ჯ-იანის სარჩელის გამო ქ. გ-ძის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. ქ. გ-ძე ნ. ჯ-იანს გადაუხდის 250 აშშ დოლარს, რის სანაცვლოდაც ნ. ჯ-იანი ვალდებულებას იღებს, დაუბრუნოს ქ. გ-ძეს კუთვნილი სამედიცინო აპარატურა საქმის ფურცელ 8-ზე არსებული აღწერილობითი სიის მიხედვით, კერძოდ: 1 ცალი სტომატოლოგიური სავარძელი (თავისი 2 ცალი ბუნკით), 2 ცალი შუშის კარადა, 2 ცალი მინის სტომატოლოგიური მაგიდა, 1 ცალი კომპრესორი, 1 ცალი სტერილიზატორი, 1 ცალი დივანი-სავარძელი, 1 ცალი ოთხკუთხედი მაგიდა, 1 ცალი რენტგენის აპარატი, 1 ცალი პატარა სტომატოლოგიური სავარძელი, 1 ცალი ჰელიო «პუშკა», 1 ცალი «ნიკალას» ღუმელი, 3 ცალი ბიქსი, 1 ცალი სტომატოლოგიური სკამი, 1 ცალი პატარა გაზქურა, 3 ცალი კერამიკის ნიჟარა. ზემოაღნიშნულ თანხას (250 აშშ დოლარს) ქ. გ-ძე ნ. ჯ-იანს გადასცემს 2008 წლის 22 მაისს, აპარატურის მიღებისთანავე.

2. თუ ქ. გ-ძე ნ. ჯ-იანს დათქმულ ვადაში შეთანხმებულ თანხას არ გადაუხდის და არ წაიღებს აპარატურას, მაშინ ქ. გ-ძე ნ. ჯ-იანს გადაუხდის 680 აშშ დოლარს, ხოლო, თუ ნ. ჯ-იანი არ დაუბრუნებს ქ. გ-ძეს კუთვნილ სამედიცინო აპარატურას, ნ. ჯ-იანი გადაუხდის ქ. გ-ძეს აპარატურის ღირებულებას.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ნ. ჯ-იანის სარჩელის გამო ქ. გ-ძის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე.

განემარტოთ მხარეებს, რომ ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

დაუბრუნდეს ქ. გ-ძეს ზ. რ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 24 თებერვალს თერჯოლის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ა-მემ მოპასუხე დ. ა-მის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, მოპასუხის მიერ საზღვარზე აღმართული მავთულბადის აღება, უკანონოდ მითვისებული მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის დამხმარე ნაგებობისგან გათავისუფლება და მისთვის, როგორც მესაკუთრისთვის დაბრუნება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლ. ა-მე და მისი მაზლი - დ. ა-მე ჩაწერილები იყვნენ და ცხოვრობდნენ დედამთილის - ე. ა-მის კომლში. 1974 წლიდან მოპასუხე აღნიშნული კომლიდან ცალკე გამოეყო. მოგვიანებით, მოსარჩელემ აიშენა ახალი საცხოვრებელი სახლი, ძველი სახლით კი სარგებლობდა დედამთილი, რომლის გარდაცვალების შემდეგაც იგი დარჩა მოსარჩელის მფლობელობაში და აღირცხა მის საკუთრებად.

მოსარჩელის განმარტებით, მიწის პრივატიზაციის პერიოდში მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის #166 ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა კომლებისათვის, ოჯახებისათვის გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე, 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკო და სამოსახლო საკარმიდამო მიწის ნაკვეთები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად. ამასთან, თერჯოლის რაიონის სოფ. ... მიწის რეფორმის კომისიის მიერ მიწის მიღება-ჩაბარების 1997 წლის 20 აპრილის #437 აქტით სადავო მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებული იყო ე. ა-მის ძველი სახლი, მიუხედავად მოსარჩელის. 2001 წლის 24 აგვისტოს ლ. ა-მის სახელზე გაიცა მიწის საკუთრების დამადასტურებელი სარეგისტრაციო მოწმობა #4611. ამის მიუხედავად, მითითებული მიწის ნაკვეთი მისაკუთრა მოპასუხემ, საზღვარში გაავლო მავთულბაღე, ააგო ზედ დამხმარე ნაგებობა და უკანონოდ ფლობს მას, რითაც ილახება მოსარჩელის საკუთრების უფლება.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. ა-მის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საზღვარში გავლებული მავთულბადის გახსნა, ლ. ა-მისათვის #4611/2001 სარეგისტრაციო მოწმობის შესაბამისად #586 მიწის ნაკვეთში შემავალი 225 კვ.მ მიწის ნაკვეთის დაბრუნება და აღნიშნული მიწის ნაკვეთის ხელყოფის აღკვეთა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგინდა მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა ე. ა-მის კომლის საკარმიდამო ნაკვეთს, რომელზეც მდებარეობდა მისი საცხოვრებელი სახლი. დადგენილად იქნა მიჩნეული ისიც, რომ ე. ა-მის გარდაცვალების შემდეგ, 1986 წლიდან კომლის ქონება გადავიდა კომლის დარჩენილი წევრის - ლ. ა-მის საკუთრებაში, რომელმაც სადავო მიწის ნაკვეთზე მდგარი ძველი სახლის გვერდით ააგო ახალი საცხოვრებელი სახლი და საცხოვრებლად გადავიდა მასში. სადავო მიწის ნაკვეთზე მდებარე სახლი დაინგრა და მიწის ნაკვეთს დაეუფლა დ. ა-მე.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლსა და ამავე კოდექსის 311-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ უძრავ ნივთებზე, მიწაზე საკუთრებისა და სხვა უფლებების აღრიცხვა ხორციელდება საჯარო რეესტრში. ამასთან, «მიწის რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავი ქონების საკუთრების ოფიციალურ სახელმწიფო საბუთს წარმოადგენს უძრავი ქონების საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა, რომელშიც ასახულია საჯარო რეესტრში სააღრიცხვო ბარათზე მისი გაცემის მომენტისათვის აღრიცხული ყველა ინფორმაცია.

რამდენადაც საქმეში არსებული მიწის (უძრავი ქონების) საკუთრების #4611/2001 სარეგისტრაციო მოწმობის თანახმად, სადავო მიწის ნაკვეთი ლ. ა-მის საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო ამავე ნაკვეთის მართლობიერად ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოპასუხემ რაიონულ სასამართლოს ვერ წარუდგინა, სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ა-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ა-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა განმარტებების შეფასების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიუხედავად ლ. ა-მე სადავო ნივთის მესაკუთრეს არ წარმოადგენდა. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობდა ორივე

მხარის განმარტებიდან იმასთან დაკავშირებით, რომ სინამდვილეში ლ. ა-მეს მიწა სხვა ადგილას გაუზომეს, რის შესახებაც მან მხოლოდ 2001 წელს შეიტყო და ცვლილება შეატანინა საჯარო რეესტრის ჩანაწერში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ლ. ა-მემ იცოდა, რომ საჯარო რეესტრში საკუთრებად იმ ნაკვეთს არეგისტრირებდა, რომელიც მას უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით არ გადასცემია. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დ. ა-მე სადავო ნივთს ფლობდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის - მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და ეს აქტი გაუქმებული არ იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

კასატორის მითითებით, საქმეზე დანიშნული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის 2006 წლის 23 მარტის დასკვნით დგინდება, რომ სადავო მიწის ფართი შეადგენს 225 კვ.მ-ს. ამავე დასკვნის მიხედვით, დ. ა-მეზე გაცემულ მიწის საკუთრების სარეგისტრაციო #587 მოწმობაში აღნიშნული მიწის ნაკვეთი არ ირიცხება. ამასთან, მოპასუხემ მიწის მიღება-ჩაბარების აქტით ნივთის ფლობის უფლება მოიპოვა მიწათმომწობის შეცდომაში შეყვანის გზით, რამდენადაც საქმეზე მანამდე არსებული მასალები უდავოდ ასაბუთებდა ამ მიწის ნაკვეთის ლ. ა-მის სახელზე აღრიცხვის ფაქტს.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დ. ა-მე ნივთს ფლობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის - მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ვინაიდან საქმის მასალებით, კერძოდ კი მიწათმომწობ ო. გოგნაძის ჩვენებით ირკვევა, რომ დ. ა-მის სახელზე გაცემულ მიღება-ჩაბარების აქტში სადავო მიწის ნაკვეთის ასახვა არასწორად მოხდა.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ივნისის სხდომაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას მხარეებმა განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

პროცესის მონაწილე მხარეები, ერთი მხრივ, კასატორი ლ. ა-მე, ხოლო, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე მხარე - დ. ა-მე მორიგდნენ შემდეგზე:

სადავო ფართიდან 100 კვ.მ ლ. ა-მის მხარეზე გადაეცემა ლ. ა-მეს, ხოლო დანარჩენი დარჩება დ. ა-მის მფლობელობაში - საკუთრებაში.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-მისა და დ. ა-მის მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების გამო კასატორი ლ. ა-მე უნდა გათავისუფლდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება ლ. ა-მესა და დ. ა-მეს შორის შემდეგი პირობებით:

საქმეში მოცემული სადავო ფართიდან 100 კვ.მ ლ. ა-მის მხარეზე გადაეცემა ლ. ა-მეს, ხოლო დანარჩენი დარჩება დ. ა-მის საკუთრებასა და მფლობელობაში.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

4. ლ. ა-მე გათავისუფლდეს გადავადებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მორიგების გამო.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მხარეთა მორიგების საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტა

### განჩინება

#ას-234-495-08

25 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავატრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

3. ე-ევმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ნ. ა-შვილის მიმართ და მოითხოვა, ქ.თბილისში, ... ქ. #62-62/2-ში მდებარე საცხოვრებელ ოთახებზე - 13,7 კვ.მ, 4.65-2,85 კვ.მ და 0115-2.65 კვ.მეტრის მიმდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობა, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონისა და სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის საფუძველზე შემდეგ გარემოებათა გამო: ვ. ე-ევი 1997 წლიდან ცხოვრობდა ქ.თბილისში, ... ქ. #64-62-ში. ამ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2 ირიცხებოდა ი. ვ-ინის, ხოლო 1/2 - ი. ზ-ცის სახელზე. შინაურული ხელშეკრულების საფუძველზე ვლ. ე-ევმა ე. ზ-ცის კუთვნილი 1/2-დან შეისყიდა საცხოვრებელი ოთახი #13-6, 1 ოთახი თავისი მიმდებარე საკარმიდამო ნაკვეთით და გადაიხადა ბინის საფასური 17 000 რუსული რუბლი. ვინაიდან ბინა იყო უკანონო, ხელშეკრულება სანოტარო წესით არ გაფორმებულა. იგი რეგისტრირებულია და ცხოვრობს ამ ბინაში. სადავო საცხოვრებელი სახლი დაკანონდა 1991 წელს. 1993 წელს ე. ზ-ცმა თავისი 1/2-ის - 20 კვ.მ საცხოვრებელი ოთახი მიჰყიდა ნ. ა-შვილს, რომელმაც მთელი 1/2 გაიფორმა თავის სახელზე და მესაკუთრედაა რეგისტრირებული.

ნ. ა-შვილმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ვლ. ე-ევის მიმართ და მოითხოვა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 და მე-5 მუხლების შესაბამისად, ვლ. ე-ევის მიერ დაკავებული ფართის გათავისუფლება მის მიერ ვლ. ე-ევისათვის შესაბამისი, სხვა საცხოვრებელი სადგომის გადაცემის პირობით.

ქ.თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: ე. ზ-ცსა და ვ. ე-ევს შორის საცხოვრებელი სადგომის 1987 წლის 5 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად იქნა მიჩნეული და, შესაბამისად, ვლ. ე-ევი ცნობილ იქნა სადავო ფართის მესაკუთრედ, ცვლილება შევიდა ე. ზ-ცსა და ნ. ა-შვილს შორის დადებულ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებასა და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ჩანაწერებში, ნ. ა-შვილის შეგებებულ სარჩელს ეთქვა უარი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ა-შვილმა.

მოცემული საქმე განხილულ იქნა არაერთი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რა დროსაც ნ. ა-შვილმა მოთხოვნა დააზუსტა და მოითხოვა ვლ. ე-ევის ბინიდან გამოსახლება ყოველგვარი კომპენსაციისა და სამაგრიო საცხოვრებელი ფართის გადაცემის გარეშე.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავატრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ა-შვილის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ვლ. ე-ევი სადავო ბინიდან გამოსახლდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვლ. ე-ევმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2003 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით გარდაცვლილი ვლ.ე-ევის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება თ. პ-შვილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნ. ა-შვილის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ა-შვილის შეგებებული სარჩელი ვლ. ე-ევის უფლებამონაცვლედ თ. პ-შვილის ქ. თბილისში, ... ქუჩის პირველ ჩიხში მდებარე #64-66/2 საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლებისა და ბინის გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემის შესახებ დაკმაყოფილდა ნ. ა-შვილის მიერ თ. პ-შვილისათვის სადავო ბინის საბაზრო ღირებულების, 13 100 ლარის, 75%-ის - 9 825 ლარის გადახდის სანაცვლოდ შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ... #64-66/2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2-ის მესაკუთრეა ნ. ა-შვილი. 1987 წლიდან აღნიშნული სახლის იმდროინდელი მესაკუთრე ი. ზ-ცის თანხმობით ამავე ფართობი ცხოვრობდა და რეგისტრირებული იყო ვ. ე-ევი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტმა დააზუსტა მოთხოვნა და შეგებებული სარჩელით მოითხოვა მის სახელზე რიცხული ბინიდან მოპასუხის გამოსახლება კანონით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ. სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის სადავო არ არის ის გარემოება, რომ ვლ.ე-ევი აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობდა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგების საფუძველზე, ასევე პალატამ დაადგინა, რომ ვ. ე-ევის უფლებამონაცვლედ თ. პ-შვილი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა განხილულ უნდა იქნეს «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონის საფუძველზე, რომელიც არეგულირებს 1996 წლის 28 ივნისამდე მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის წარმოშობილ იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას საჭიროებს, იგი ეყრდნობა რა მოქმედი სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, ურთიერთობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის ნორმებისაგან განსხვავებულ წესებს ადგენს. პალატამ მიუთითა განსახილველ საქმეზე ჩატარებულ სასაქონლო ექსპერტიზის 2007 წლის 1 მაისის დასკვნაზე, რომლის თანახმად სადავო ბინის საბაზრო ღირებულებაა 13 100 ლარი. სასამართლომ იხელმძღვანელა ზემოხსენებული კანონის 1.1 მუხლის «ა» პუნქტით, მე-2 მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებით და ჩათვალა, რომ თ.პ-შვილი სადავო ფართიდან უნდა გამოსახლდეს მისთვის ბინის საბაზრო ღირებულების 75%-ის - 9 825 ლარის ანაზღაურების სანაცვლოდ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. პ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძველებით: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2003 წლის 11 დეკემბრის განჩინება შესულია რა კანონიერ ძალაში, სააპელაციო სასამართლოს აღარ ჰქონდა უფლება, კვლავ განეხილა სადავო ფართიდან კასატორის გამოსახლების საკითხი. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონი სუბიექტთა გამოსახლების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, არამედ განსაზღვრავს მესაკუთრის უფლებას, მოითხოვოს მოწინააღმდეგე მხარის მფლობელობის შეწყვეტა მხოლოდ შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში. განსახილველ შემთხვევაში სადავო სახლიდან მართლზომიერი მფლობელის გამოსახლების საკითხის განხილვა მოხდა მანამდე, ვიდრე მხარეთა შორის სამართალურითობა შეწყდებოდა. «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონი მესაკუთრესა და მოსარგებლეს მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში აყენებს, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაირღვა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში კასატორის, როგორც მოსარგებლის, სტატუსი მანამდეა განსაზღვრული, სანამ მესაკუთრე არ ისარგებლებს კანონით მისთვის მინიჭებული პირველი შეთავაზების უფლებით და არა ვალდებულებით, გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა, რადგან სასამართლო ვერ დაავალდებულებს მესაკუთრეს აღნიშნული თანხის გადახდას, კასატორს კი, უპირობოდ ვერ გამოასახლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ სადავო ფართიდან თ. პ-შვილის გამოსახლება გუმართლებელი იყო. სააპელაციო პალატამ საქმე განიხილა საპროცესო დარღვევებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის, 381-ე მუხლის მუხლისა და 83-ე მუხლის დარღვევით სასამართლომ საუარესოდ შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და არასწორად დართო ნება მოწინააღმდეგე მხარეს, გაეზარდა თავისი შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, რითაც უგულვებლყო კასატორის ინტერესები. სადავო სახლის ღირებულების დადგენისას სასამართლომ არასწორად გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა, ვინაიდან რეალურად კასატორი ფლობს არა 25,96 კვ.მ-ს, არამედ 80 კვ.მ-ს, რაც მოიცავს სახლს, კასატორის ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებულ ეზოსა და ეზოში განლაგებულ სათავსებს. ამასთან, სასამართლოს მიერ დადგენილი 9825 ლარი არ შეესაბამება სადავო ქონების ფაქტობრივ ღირებულებას, რაც მინიმუმ 30 225 ლარს შეადგენს. სააპელაციო პალატამ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ვინაიდან ვლ. ე-ევმა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლება მოიპოვა

შინაურული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მნიშვნელობა არა აქვს 1987 წელს ვინ განიკარგა სადავო სახლი, ე. თუ ი. ზ-ცმა, ვინაიდან აღნიშნული მოხდა მესაკუთრის თანხმობით და ნების ნაკლის არსებობის შემთხვევაშიც, იგი აღმოიფხვრა. ამდენად, მოცემული დავის განხილვისას სასამართლოს უნდა გამოეყენებინა ნასყიდობის შინაურული ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობით: თ. პ-შვილი 18 000 აშშ დოლარის მიღების სანაცვლოდ, უარს აცხადებს თავისი საკასაციო საჩივრის მოთხოვნაზე ქ.თბილისში, ... ქ.#62-62/2-ში მდებარე 13,7 კვ.მ, 4,65-2,85 კვ.მ საცხოვრებელი ოთახებისა და მიმდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის, ასევე ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის თაობაზე და თ. პ-შვილს ამ სახლთან დაკავშირებით მომავალში პრეტენზია აღარ ექნება.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. პ-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟი სახით 2008 წლის 29 თებერვალს გადახდილი 100 ლარი და 2008 წლის 19 მარტს ი. ქ-ძის მიერ გადახდილი 391,25 ლარი, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

დამტკიცდეს მორიგება თ. პ-შვილსა და ნ. ა-შვილს შორის შემდეგი პირობით: თ. პ-შვილი 18 000 აშშ დოლარის მიღების სანაცვლოდ, უარს აცხადებს თავისი საკასაციო საჩივრის მოთხოვნაზე ქ.თბილისში, ... ქ.#62-62/2-ში მდებარე 13,7 კვ.მ, 4,65-2,85 კვ.მ საცხოვრებელი ოთახებისა და მიმდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ ცნობის, ასევე, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის თაობაზე და თ. პ-შვილს ამ სახლთან დაკავშირებით მომავალში პრეტენზია აღარ ექნება.

დაუბრუნდეს თ. პ-შვილს 2008 წლის 29 თებერვალს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 100 ლარის ოდენობით, ასევე 2008 წლის 19 მარტს ი. ქ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 391,25 ლარის ოდენობით.

გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ვ. ე-ევის უფლებამონაცვლე თ. პ-შვილის სარჩელის გამო ნ. ა-შვილის მიმართ და ნ. ა-შვილის შეგებებული სარჩელის გამო ვ. ე-ევის უფლებამონაცვლე თ. პ-შვილის მიმართ ბინაზე მესაკუთრედ ცნობის, ბინიდან გამოსახლებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების დადებულად ცნობის თაობაზე.

განემარტოთ მხარეებს, რომ ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა  
მორიგების გამო  
(სამუშაოზე აღდგენა)**

**განჩინება**

#ას-424-668-08

1 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** შრომითი ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება (**სარჩელში**), თანხის დაბრუნება (**შეგებულ სარჩელში**)

**აღწერილობითი ნაწილი:**

2006 წლის 13 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ს. ჩ-ავამ მოპასუხე გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა შრომითი ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2002 წლის 13 სექტემბერს ს. ჩ-ავასა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას შორის დაიდო შრომის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირველი პარაგრაფის პირველი პუნქტის თანახმად, აღნიშნული ხელშეკრულების ამოწურვის ვადად სავარაუდოდ 2003 წლის 30 სექტემბერი განისაზღვრა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ არც ერთ მხარეს არ მოუთხოვია ხელშეკრულების შეწყვეტა. 2003 წლის 18 დეკემბერს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2005 წლის 31 დეკემბრამდე გააგრძელა. მოსარჩელის მითითებით, 2003 წლის 30 სექტემბერს შრომის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ შრომითი ხელშეკრულება, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის თანახმად, უვადო რეჟიმში გადავიდა.

2005 წლის 14 დეკემბერს ს. ჩ-ავას წინასწარ ეცნობა 2005 წლის 31 დეკემბერს ხელშეკრულების ვადის ამოწურვის თაობაზე. ამასთან, მოპასუხე საზოგადოებამ აღნიშნულ წერილში გამოხატა მზადყოფნა დარჩენილი შვებულების 10 დღისა და დეკრეტის ანაზღაურების თაობაზე. მოპასუხემ მოსარჩელისაგან მოითხოვა მითითებული წერილის ჩაბარების დადასტურება, აღნიშნული წერილი წარმოადგენდა სასამართლოს გარეშე მორიგების შემოთავაზებას მოსარჩელის მიერ შემდგომი დასაქმების უფლებაზე ნებაყოფლობით უარის თქმის მიზნით.

ზემოაღწერილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მოსარჩელემ მიიჩნია, რომ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხრიდან მასთან დადებული შრომის ხელშეკრულება უკანონოდ შეწყდა შემდეგი სამართლებრივი გარემოებების გამო:

მხარეებს შორის შრომის ხელშეკრულება დაიდო 2002 წლის 13 სექტემბერს, სავარაუდოდ 2003 წლის 30 სექტემბრამდე. წერილობითი ხელშეკრულება გაგრძელდა 2003 წლის 18 დეკემბრამდე. 2003 წლის 30 სექტემბრიდან 2003 წლის 18 დეკემბრამდე შრომითი ურთიერთობა მიმდინარეობდა უწყვეტად. შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, თუ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გრძელდება და მხარეები არ ითხოვენ მის შეწყვეტას, ხელშეკრულება ჩაითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით. ხელშეკრულების გაგრძელების დოკუმენტს ვერ მიენიჭება უპირატესობა შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლთან მიმართებაში, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმება ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესს და ლახავს დაქირავებულის ინტერესს, შესაბამისად, აღნიშნული შეთანხმება ბათილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლისა და შრომის კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად;

2002 წლის 13 სექტემბერს დადებული ხელშეკრულება უწყვეტად მოქმედებდა 2005 წლის 31 დეკემბრამდე. აღნიშნული ხელშეკრულება ვადიან ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან, შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, 3 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება ავტომატურად უვადო ხელშეკრულების რეჟიმში გადადის;

ის გარემოება, რომ მოპასუხე ორგანიზაცია მის მიერ გამოგზავნილ ყველა წერილზე მიღების დადასტურებას ითხოვდა, მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულების მოშლას წარმოადგენს, ვინაიდან დაქირავებულისათვის ვადიანი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შესახებ ინფორმაციის შეტყობინების ინსტიტუტს შრომის სამართალი არ იცნობს. ვადის ამოწურვა, შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის

პირველი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის თანახმად, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია და რაიმე დამატებით შეტყობინებას არ საჭიროებს;

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია შვებულების დროს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა, მოსარჩელის მითითებით კი იგი 2005 წლის 14 დეკემბერს დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა;

მუშაკთა რიცხოვნების ან შტატების შემცირების შემთხვევაშიც კი მოსარჩელეს სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ჰქონდა, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტის თანახმად, თანაბარი პირობების სამუშაოზე დარჩენის უპირატესობა გააჩნიათ ქალებს, რომელთაც ჰყავთ 3 წლამდე ასაკის ბავშვი. მოსარჩელეს უკვე სარჩელის შეტანის დღისათვის ორი სამ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავდა. გარდა ამისა, სარჩელის შეტანის დღემდე დარჩენილ დასაქმებულ თანამშრომელთაგან პროექტში მუშაობის ყველაზე ხანგრძლივი სტაჟი გააჩნდა. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის „გ» ქვეპუნქტის თანახმად კი უპირატესი დარჩენის უფლება გააჩნია იმ პირს, რომელსაც ამ ორგანიზაციაში მუშაობის უფრო ხანგრძლივი სტაჟი აქვს;

მოპასუხის მზადყოფნა მოსარჩელისათვის შვებულების შემდგომი დღეების ანაზღაურების თაობაზე წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან იმ ფაქტის კიდევ ერთხელ აღიარებას, რომ ს. ჩ-ავას მოპასუხე ორგანიზაციაში დასაქმების უფლება გააჩნდა, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 159-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დეკრეტული შვებულების ანაზღაურების უფლება მხოლოდ მომუშავე ქალს აქვს;

მოსარჩელის აზრით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების 2005 წლის 14 დეკემბრის წერილი ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლას წარმოადგენდა, თუმცა, მოპასუხე ორგანიზაციამ დოკუმენტის შენიღბვა სცადა, რათა მოსარჩელეს აღნიშნული დოკუმენტის გასაჩივრების ერთთვის ვადა გაეშვა. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ხელშეკრულების მოშლით მის მიმართ განხორციელდა აშკარა დისკრიმინაცია, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომელთაც 3 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ადმინისტრაციის ინიციატივით დათხოვნა.

ზემოაღწერილი დისკრიმინაციული ქმედებით მოსარჩელეს მორალური ზიანი მიაღწა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ მიჩნევა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, სასამართლო ხარჯის - 1350 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და მორალური ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, ქმედების ფორმისა და დისკრიმინაციული ხასიათისათვის - 7 500 ლარი, ხოლო საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის - 7 500 ლარი.

2006 წლის 27 აპრილს იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ, რომელმაც მოითხოვა მის მიერ ს. ჩ-ავასათვის შეცდომით და სათანადო ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და წარმომადგენლისათვის გადახდილი ჰონორარის ანაზღაურება. მოპასუხემ მიუთითა, რომ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ ს. ჩ-ავას გადაუხადა დეკრეტული შვებულების საზღაური 70+56 დღისათვის, საიდანაც ს. ჩ-ავას ეკუთვნოდა თანხა მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე - 76 დღის, დარჩენილი თანხა - 1532 ევრო კი შეცდომით იქნა გადახდილი, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს იგი უკან უნდა დაებრუნებინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ჩ-ავას სარჩელი და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა სამ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ხელშეკრულება ავტომატურად უვადო რეჟიმში გადავიდა. სასამართლოს მოსაზრებით, შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობდა შრომითსამართლებრივი კანონმდებლობიდან. სასამართლომ ს. ჩ-ავასა და გერმანიის ტექნიკურ თანამშრომლობის საზოგადოებას შორის თავდაპირველ ხელშეკრულებაში სხვადასხვა დროს შეტანილი ცვლილებები, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებისა თუ შრომის ანაზღაურების შესახებ, ახალ პირობებად მიიჩნია. შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველად მიიჩნია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა და არა ხელშეკრულების მოშლა ადმინისტრაციის ინიციატივით.

რაც შეეხებოდა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შეგებებული სარჩელის მოთხოვნებს, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიუთითა, რომ შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ასევე, თუ მიმდებს შეეძლო ევარაუდა, რომ შესრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა უკან დაბრუნების მოთხოვნის პირობები. საქალაქო სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში ს. ჩ-ავას შეეძლო ევარაუდა, რომ, მიუხედავად შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვისა, ადმინისტრაციას სურდა მისთვის თანხის სრულად გადახდა. შესაბამისად, სასამართლომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ დააკმაყოფილა.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ჩ-ავამ (წარმომადგენელი დ. კ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ს. ჩ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ჩ-ავამ (წარმომადგენელი დ. კ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ივნისის განჩინებით ს. ჩ-ავას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 22 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. ჩ-ავას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება ს. ჩ-ავას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ს. ჩ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, არაკანონიერად იქნა აღიარებული გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ს. ჩ-ავასთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა და ს. ჩ-ავა აღდგენილ იქნა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებაში «კავკასიის ქვეყნებში იუსტიციისა და სამართლებრივი რეფორმის მხარდაჭერის» პროექტის თანამშრომლად, მასვე აუნაზღაურდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან - 2005 წლის 31 დეკემბრიდან; ს. ჩ-ავას სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს ასევე უარი ეთქვა წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე.

საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ ს. ჩ-ავასთან თავდაპირველად შრომის ხელშეკრულება დადო, ხოლო შემდეგ ამ ხელშეკრულების ვადას აგრძელებდა იმ პირობით, რომ მისი მოქმედების ვადა იქამდე გაგრძელდებოდა, სანამ საქართველოში ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული პროექტი იარსებებდა. ამასთან, საქმის მასალებით არ დადასტურდა, რომ 2002 წლის 13 სექტემბრის ხელშეკრულებაში მითითებული პროექტი - «კავკასიის ქვეყნებში იუსტიციისა და სამართლებრივი რეფორმების მხარდაჭერა», დასრულდა.

სადავო საკითხის - შრომის ხელშეკრულების მოშლის კანონიერების შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ დროისათვის მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ განსაზღვრული ვადით შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) იდება არაუმეტეს სამი წლისა. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ ჩათვალა, რომ შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ვადის დარღვევით დადებული შრომითი ხელშეკრულება ბათილად უნდა მიჩნეულიყო სამ წელზე მეტი ვადით დადების ან გაგრძელების ნაწილში სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლიდან გამომდინარე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ბათილად მიიჩნია სამ წელზე მეტი ვადით გაგრძელების ნაწილში, მაგრამ იმავდროულად აღნიშნა, რომ რამდენადაც მითითებული 2002 წლის 13 სექტემბრის ხელშეკრულება უწყვეტად მოქმედებდა 2005 წლის 31 დეკემბრამდე, ანუ სამ წელზე მეტი ვადით, შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და 31-ე მუხლის შესაბამისად, იგი განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად უნდა ჩათვლილიყო და მასზე უნდა გავრცელებულიყო განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების წესები. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციის ინიციატივით ს. ჩ-ავასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლებოდა განხორციელებულიყო შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით და არა ამავე კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა კანონშესაბამოდ მიიჩნია იმ თვალსაზრისითაც, რომ შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დაუშვებელი იყო შვებულების ან დროებითი შრომისუნარობის დროს მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმეზე დასტურდებოდა 2005 წლის 14 დეკემბრიდან ს. ჩ-ავას დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის ფაქტი, სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა მასთან ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეთა შორის ვადიანი შრომის ხელშეკრულების არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც კი, მოსარჩელის მოთხოვნა ამ ხელშეკრულების შეწყვეტის არაკანონიერად აღიარებისა და მისი სამუშაოზე აღდგენის შესახებ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას იმის გამო, რომ



ადმინისტრაციის მიერ ადგილი ჰქონდა შრომის კანონთა კოდექსის 164-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დაუცველობას. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, დაუმეგებელია ორსული ქალებისა და იმ ქალების, რომლებსაც სამ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით. აღნიშნული ქალების სავალდებულო შრომით მოწყობას ადმინისტრაცია ახორციელებს აგრეთვე ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო მათი დათხოვნის შემთხვევაშიც. შრომითი მოწყობის პერიოდში მათ უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, მაგრამ არა უმეტეს სამი თვისა ვადიანი შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის დღიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ს. ჩ-ავა არის ორი სამ წლამდე ასაკის ბავშვის დედა, რომლის სავალდებულო შრომით მოწყობასთან მიმართებით დამსაქმებელს, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას, არავითარი ღონისძიებები არ განუხორციელებია, აგრეთვე, სხვა ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მისი მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენისა და შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობა შრომითსამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა, თუმცა ასეც რომ ყოფილიყო, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ წარდგენილი ავადმყოფობის ცნობით არ დასტურდებოდა მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, რაც მორალური ზიანისათვის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ სამოქალაქო სარჩელის განხილვის დროს მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ასეთი ცნობები გავრცელებულია. ცნობების გავრცელების ქვეშ იგულისმება ასეთი ცნობების გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვა. სადავო შემთხვევაში ს. ჩ-ავას მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვად მიაჩნდა ის გარემოება, რომ, ვინაიდან გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ხელშეკრულების ვადის ამოწურვით თანამშრომლებს ათავისუფლებდნენ მხოლოდ უხეში და სერიოზული დარღვევებისათვის, შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლის მოტივით სამუშაოდან მისმა გათავისუფლებამ მნიშვნელოვანი ჩრდილი მიაყენა მას და შელახა მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია საზოგადოებისა და საქმიანი პარტნიორების თვალში. აღნიშნული, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვერ ჩაითვლებოდა მითითებული მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად.

რაც შეეხებოდა მოთხოვნას წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, ასეთ ხარჯებს სასამართლო წაგებულ მხარეს დააკისრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო მტკიცებულებებით დადასტურებულია მითითებული ხარჯების გაწევის ფაქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება, შემდეგი საფუძვლებით:

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 26 ივნისის განჩინების შესაბამისად, თუკი სააპელაციო სასამართლოს მიერ (რომელსაც ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა აღნიშნული საქმე) ფაქტების ხელახლა შესწავლის შედეგად დადასტურდებოდა, რომ 2002 წლის 13 სექტემბრის ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებით მოგვიანებით მიღებული ცვლილებები ცალ-ცალკე ინარჩუნებდა ძალას და განიხილებოდა ერთ მთლიან ხელშეკრულებად, მაშინ სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივად უნდა შეეფასებინა უკანასკნელი ცვლილების (შრომის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით) კანონიერების საკითხი შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საკითხთან მიმართებაში ურთიერთგამომრიცხავია, რამდენადაც ერთ შემთხვევაში დადგენილდაა მიჩნეული შრომის ხელშეკრულების გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით დადების ფაქტი (შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტი), ხოლო მეორე შემთხვევაში საუბარია შრომის ხელშეკრულების მოქმედების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია უკანასკნელი ცვლილების (შრომის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების) კანონიერების საკითხი შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტთან მიმართებაში, რაც უზენაესი სასამართლოს მითითების შესაბამისად, მას უნდა განეხორციელებინა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია მხოლოდ პირველადი ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტის «იუსტიციისა და სამართლებრივი რეფორმების მხარდაჭერა კავკასიის ქვეყნებში» მოქმედების ვადა და დაადგინა, რომ ის დღემდე მოქმედებდა, მაგრამ არ გამოიკვლია ის პროექტი («კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნის ხელშეწყობა») და მისი მოქმედების ვადა, რომელშიც ს. ჩ-ავა შრომის

ხელშეკრულებაში 2005 წლის 18 მარტის ცვლილების შესაბამისად იქნა გადაყვანილი და ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე მსახურობდა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ ს. ჩ-ავა სამუშაოდან კანონდარღვევით იქნა დათხოვნილი, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მისი სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არასწორია, რამდენადაც ამ გადაწყვეტილებით მოსარჩელე აღდგენილ იქნა არა იმ პროექტში, სადაც კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე იყო დასაქმებული, არამედ პროექტში, რომელშიც თავდაპირველად დიიწყო შრომითი საქმიანობა.

გარდა ამისა, უკანონო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის იძულებით გაცემილი დროის ხელფასის ანაზღაურების ნაწილში. ამ შემთხვევაში კონკრეტული თანხა გაანგარიშებული და დადგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, გაურკვეველია, მხარისათვის ხელფასის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს მის სამუშაოზე აღდგენამდე, თუ დათხოვნის უკანონოდ მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინებით გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიაზე (ფორმალური დასაშვებობა) მხარეები მორიგდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

1. მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ აღნიშნული მორიგების აქტით დადგენილი პირობების სრულად და კეთილსინდისიერად შესრულების შემდეგ მოშლილად ჩაითვალოს მათ შორის 2002 წლის 13 სექტემბერს დადებული შრომითი ხელშეკრულება (ამ ხელშეკრულების შემდგომი გაგრძელების ჩათვლით).

2. ს. ჩ-ავა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისაგან მიიღებს 27 550 ევროს კანონით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით. ამ თანხიდან წარმოქმნილი ნეტო თანხა 24 244 ევროს ოდენობით (ეკვივალენტი ლარში) 2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 მაისამდე არსებული საშუალო კურსის შესაბამისად, ს. ჩ-ავას გადაერიცხება მორიგების აქტის ხელმოწერიდან სამი კვირის განმავლობაში საკუთარ ანგარიშზე: ს. ჩ-ავა, ბანკი რესპუბლიკა, ანგარიშის ნომერი: 4390 3400 0165 5737. ამ თანხიდან წარმოშობილი საშემოსავლო გადასახადი - 27 550 ევროს 12%, იგივე ვადაში გადახდილი იქნება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიერ შესაბამისი საგადასახადო სამსახურისათვის.

3. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტის მე-2 პუნქტით დადგენილი თანხა მოიცავს ს. ჩ-ავას ყველა პრეტენზიას გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიმართ, მათ შორის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის 28/1492-07 გადაწყვეტილებით დადგენილ თანხას 2008 წლის 1 მაისის მდგომარეობით.

4. მორიგების ამ აქტის დადებით გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება არ არის ვალდებული, აღიაროს მორიგების აქტის დადებამდე არსებული შრომითი ურთიერთობა.

5. მორიგების ამ აქტის დადებით შესრულებულად ითვლება ყველა ურთიერთპრეტენზია, რა სამართლებრივი საფუძვლითაც არ უნდა იყოს წარმოშობილი და მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ისინი ცნობილი მორიგების ამ აქტის დადების მომენტისათვის.

6. მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის #28/1492-07 გადაწყვეტილება, ისევე როგორც ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა გადაწყვეტილება, დავის საგნის გარეშე იქცევა და რომ ისინი უარს აცხადებენ აქედან წარმოშობილ თავიანთ უფლებებზე. რაიმე სახის იძულებითი აღსრულების განხორციელება, ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, დაუშვებელია.

7. სასამართლო ხარჯები, მორიგებასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით, ეკისრება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას. სასამართლოსგარეშე ხარჯებს იხდის თითოეული მხარე თვითონ, თვით მორიგებასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით.

8. მხარეები ვალდებული არიან, არ გაახმაურონ მესამე პირთა მიმართ სასამართლო პროცესთან და მორიგების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გადაუხადონ ერთმანეთს პირგასამტეხლო 3000 ევროს ოდენობით.

9. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, პირნათლად და კეთილსინდისიერად შეასრულონ ამ მორიგების აქტით დადგენილი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში აცხადებენ თანხმობას, განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები სათანადო ორგანოების მიერ.

10. ამ შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტის ბათილობა ან ბათილად ქცევა არ იწვევს სხვა დანარჩენი პუნქტების ბათილობას. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეცვალონ ბათილი პუნქტი მასთან აზრობრივად და მიზნობრივად ახლო მდგომი პუნქტით.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ, საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორს – გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას უნდა დაუბრუნდეს მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 3792 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

I. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ აღნიშნული მორიგების აქტით დადგენილი პირობების სრულად და კეთილსინდისიერად შესრულების შემდეგ მოშლილად ჩათვალოს მათ შორის 2002 წლის 13 სექტემბერს დადებული შრომითი ხელშეკრულება (ამ ხელშეკრულებების შემდგომი გაგრძელებების ჩათვლით).

2. ს. ჩ-ავა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისაგან მიიღებს 27 550 ევროს კანონით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით. ამ თანხიდან წარმოქმნილი ნეტო თანხა 24 244 ევროს ოდენობით (ეკვივალენტი ლარი) 2005 წლის 1 იანვრიდან 2008 წლის 1 მაისამდე არსებული საშუალო კურსის შესაბამისად, ს. ჩ-ავას გადაერიცხება მორიგების აქტის ხელმოწერიდან სამი კვირის განმავლობაში საკუთარ ანგარიშზე: ს. ჩ-ავა, ბანკი რესპუბლიკა, ანგარიშის ნომერი: 4390 3400 0165 5737. ამ თანხიდან წარმოშობილი საშემოსავლო გადასახადი – 27 550 ევროს 12%, იგივე ვადაში გადახდილი იქნება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიერ შესაბამისი საგადასახადო სამსახურისათვის.

3. მხარეები აღიარებენ, რომ მორიგების აქტის მე-2 პუნქტით დადგენილი თანხა მოიცავს ს. ჩ-ავას ყველა პრეტენზიას გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიმართ, მათ შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის 28/1492-07 გადაწყვეტილებით დადგენილ თანხას 2008 წლის 1 მაისის მდგომარეობით.

4. მორიგების ამ აქტის დადებით გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება არ არის ვალდებული, აღიაროს მორიგების აქტის დადებამდე არსებული შრომითი ურთიერთობა.

5. მორიგების ამ აქტის დადებით შესრულებულად ითვლება ყველა ურთიერთპრეტენზია, რა სამართლებრივი საფუძვლითაც არ უნდა იყოს წარმოშობილი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ისინი ცნობილი მორიგების ამ აქტის დადების მომენტისათვის.

6. მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის #28/1492-07 გადაწყვეტილება, ისევე როგორც ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა სხვა გადაწყვეტილება, დავის საგნის გარეშედ იქცევა და ისინი უარს აცხადებენ აქედან წარმოშობილ თავიანთ უფლებებზე. რაიმე სახის იძულებითი აღსრულების განხორციელება, ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, დაუშვებელია.

7. სასამართლო ხარჯები, მორიგებასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით, ეკისრება გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას. სასამართლოსგარეშე ხარჯებს იხდის თითოეული მხარე თვითონ, მორიგებასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით.

8. მხარეები ვალდებული არიან, არ გაახმაურონ მესამე პირთა მიმართ სასამართლო პროცესთან და მორიგების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გადაუხადონ ერთმანეთს პირგასამტეხლო 3000 ევროს ოდენობით.

9. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, პირნათლად და კეთილსინდისიერად შეასრულონ ამ მორიგების აქტით დადგენილი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში აცხადებენ თანხმობას,

განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული იძულებითი აღსრულების ღონისძიებები სათანადო ორგანოების მიერ.

10. ამ შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტის ბათილობა ან ბათილად ქცევა არ იწვევს სხვა დანარჩენი პუნქტების ბათილობას. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეცვალონ ბათილი პუნქტი მასთან აზრობრივად და მიზნობრივად ახლო მდგომი პუნქტით.

II. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

III. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმოკრულ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

IV. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 3792 ლარი ანგარიშიდან: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900, საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი - #220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300773150, დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე.

V. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

### განჩინება

#ას-754-1080-07

15 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 15 აგვისტოს ზ. ს-მემ და გ. დ-იამ ფოთის საქალაქო სასამართლოს ზ. ა-ნიას მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართეს და მოითხოვეს ქ. ფოთში, ... ქ. #28-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ასევე, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. მოსარჩელებმა განმარტეს, რომ აღნიშნული ფართი სპს «დომეს» ეკუთვნოდა, რომლის დამფუძნებლებიც თავად იყვნენ. მათ 2005 წლის 6 ივლისს აღნიშნული ფართი 10 000 ლარად ზ. ა-ნიას მიჰყიდეს, რომელსაც შემეძინილი ნივთის საფასური არაუგვიანეს 2005 წლის 7 ივლისისა უნდა გადაეხადა. მიუხედავად იმისა, რომ მათ ფართი გადასცეს მყიდველს, ამ უკანასკნელმა არ შეასრულა თავისი ვალდებულება. მოსარჩელეთა განმარტებით, მათსა და მოპასუხეს შორის არსებობდა განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, კერძოდ, ზ. ს-მე ზ. ა-ნიას შვილის ნათლია იყო და მხარეებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. რომ არა ეს გარემოება, ისინი მოპასუხეს ფართს მისი საფასურის გადახდის გარეშე არ გადასცემდნენ, ზ. ა-ნიამ არსებული ურთიერთობით ბოროტად ისარგებლა და თავი აარიდა ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდას. აღნიშნულით მან დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 361-ე და 55-ე მუხლების მოთხოვნები.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 15 აგვისტოს განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ზ. ა-ნიას სახელზე რიცხულ, ქ. ფოთში, ... ქ. 28-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართს ყადაღა დაედო.

ზ. ა-ნიამ თავის შესაგებელში აღნიშნა, რომ ვინაიდან სადავო ფართი სპს «დომეს» ეკუთვნოდა, გ. დ-ია და ზ. ს-მე არასათანადო მოსარჩელები იყვნენ.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ს-მისა და გ. დ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არა მათ შორის არსებული ნათესაური კავშირის, არამედ ორმხრივი ინტერესის გამო დაიდო, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი განსახილველ შემთხვევას არ ეხებოდა და მოსარჩელეთა მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება ზ. ს-მემ და გ. დ-იამ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. აპელანტებმა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვე-

ტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს. მათი განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად და ფაქტობრივად დაუსაბუთებელი იყო, ამასთან, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი, ასევე არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი.

აპელანტებმა აღნიშნეს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით არ ირკვეოდა რა ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია სასამართლომ დადგენილად. მათი მტკიცებით, მხარეთა შორის არსებულმა განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებულმა ურთიერთობამ გავლენა მოახდინა ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით ელემენტზე, ნასყიდობის საგნის ფასის გადაცემაზე შეთანხმების პროცესზე და რომ არა ეს ნდობა, ხელშეკრულება ფასის შემდგომი გადახდის პირობითაა დაიდებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ივლისის განჩინებით ზ. ს-ძისა და გ. დ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ფოთის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სადავო გარიგება დაიდო იურიდიულ პირს - სპს «დომესა» და ზ. ა-ნიას შორის, ამდენად, გარიგების შეცვლების უფლება ჰქონდა საწარმოს და არა მის დამფუძნებლებს. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასათანადო მხარის მიერ აღძრული სარჩელი მართებულად არ დააკმაყოფილა. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სარჩელი დაუსაბუთებელი იყო. თავისთავად ის გარემოება, რომ მყიდველი ვალდებული იყო ხელშეკრულების საგნის ფასი მეორე დღეს გადაეხადა, ნდობის ბოროტად გამოყენების ფაქტს არ ამტკიცებდა, მიუხედავად მხარეებს შორის არსებული ურთიერთობისა. ამასთან, სადავო გარიგებას საწარმოს სახელით ხელი პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორებმა მოაწერეს, რომლებსაც «მეწარმეთა შესახებ» კანონის 9.7-ე მუხლის მიხედვით, გულისხმიერების მოვალეობა ეკისრებოდათ. მოსარჩელებს არ მიუთითებიათ იმ გარემოებებზე, რომლებმაც, მათ, როგორც მეწარმეებს ნამდვილი ნების გამოვლენაში ხელი შეუშალა.

აღნიშნული განჩინება გ. დ-იამ და ზ. ს-მემ საკასაციო წესით გაასაჩივრეს. კასატორებმა აღნიშნეს, რომ როგორც პირველ, ისე სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას თანხმობას აცხადებდნენ არასათანადო მოსარჩელის სათანადო მხარით შეცვლაზე და სააპელაციო სასამართლოს საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი ამ საფუძვლით არ უნდა ეთქვა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქმის განხილვის მომენტისათვის სპს «დომე» აღარ ფუნქციონირებდა და შექმნილი იყო ახალი საზოგადოება - «ს-ძე და კომპანია». გარდა ამისა, კასატორების მტკიცებით, სასამართლომ მტკიცებულებები არასწორად შეაფასა, რადგანაც მოსარჩელები ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლად არა ფასის გადაუხდელობას ასახელებდნენ, არამედ იმ გარემოებას, რომ ზ. ა-ნიასა და მათ შორის არსებულმა განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებულმა ურთიერთობამ ხელშეკრულების დადებისას მათ ნებაზე გავლენა მოახდინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება სხვა სახით დაიდებოდა. კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი და არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 1 თებერვლის განჩინებით, გ. დ-ისა და ზ. ს-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას 2008 წლის 8 ივლისს მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი, შემდეგი პირობებით:

1. ზ. ს-ძე და გ. დ-ია უარს აცხადებენ თავიანთ საკასაციო საჩივარზე;
2. ზ. ს-ძე, გ. დ-ია და ზ. ა-ნია შეთანხმდნენ, რომ მოხდეს ქ. ფოთში, ... ქუჩის #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე, არასაცხოვრებელი 380 კვადრატული მეტრის გაყიდვა (რეალიზაცია), სადაც ამჟამად განთავსებულია კაფე-ბარი «ვერძი»;
3. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ობიექტის, ანუ ქ. ფოთში, ... ქუჩის #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე არასაცხოვრებელი 380 კვ.მ-ის რეალიზაციას განახორციელებს ორივე მხარე - ზ. ს-ძე, გ. დ-ია და ზ. ა-ნია, ამასთან, უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი პირობები:
  - ა. მომავალ მყიდველთან ყიდვა-გაყიდვის პირობების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს ორივე მხარე ერთმანეთის ხელშეწყობით;
  - ბ. მითითებული ობიექტის რეალიზაციისას, ობიექტის საწყისი ფასი განისაზღვროს 360 000 აშშ დოლარით, აქედან 55% ანუ 198 000 აშშ დოლარი გადაეცეს ზ. ა-ნიას, ხოლო 45%, ანუ 162 000 აშშ დოლარი გადაეცეს მეორე მხარეს - ზ. ს-ძესა და გ. დ-იას.
4. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, იმოქმედონ, რათა მოხდეს არასაცხოვრებელი 380 კვ.მ-ის (რომელიც მდებარეობს ქალაქ ფოთში, ... ქუჩის # 28<sup>ბ</sup>-ში,) გაყიდვა (რეალიზაცია) 2 წლის განმავლობაში, საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ ამ შეთანხმების საქართველო უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ დამტკიცების მომენტიდან;
5. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებენ მითითებულ ვადაში არასაცხოვრებელი ფართის რეალიზაციას, მოდავე მხარეები აცხადებენ თანხმობას, სადავო 380 კვ.მ-ზე, რომელიც მდებარეობს ქ.

ფოთში, ... ქუჩის #28<sup>ბ</sup>-ში, დადგინდეს საერთო წილადი საკუთრების უფლება, რაც უნდა გატარდეს სახელმწიფო რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში;

6. ორი წლის ვადაში ობიექტის ვერ გაყიდვის შემთხვევაში საჯარო რეესტრის სამსახური ვალდებული იქნება, ობიექტზე, ქ. ფოთში, ... ქუჩის #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე არასაცხოვრებელ 380 კვ.მ-ზე ზ. ს-ძე, გ. დ-აია და ზ. ა-ნია აღრიცხოს თანამესაკუთრებად საჯარო რეესტრში, შემდეგი პირობების გათვალისწინებით: ქ. ფოთში, ... ქუჩის #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე არასაცხოვრებელი 380 კვ.მ საერთო წილადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით ზ. ს-ძეს, გ. დ-აიას და ზ. ა-ნიას. ზ. ს-ძესა და გ. დ-აიას საკუთრების უფლებით ეკუთვნით საერთო საკუთრებაში არსებული ობიექტის იდეალური წილი - ფართის 45%. ზ. ა-ნიას საკუთრების უფლებით ეკუთვნის საერთო საკუთრებაში არსებული ობიექტის იდეალური წილი - 55%.

7. ფიზიკური პირები ზ. ს-ძე და გ. დ-აია უარს აცხადებენ სარჩელზე, რომელიც მათ მიერ წარდგენილია ქ. ფოთის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე მხარის - ზ. ა-ნიას მიმართ და რომლითაც მოსარჩელე მხარე ითხოვს ზ. ს-ძისა და გ. დ-აიას 2005 წლის 6 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლას. მითითებული ხელშეკრულებით სპს «დომეს» საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი გაიყიდა ზ. ა-ნიაზე. ამ ნასყიდობის ხელშეკრულებით ზ. ა-ნიამ სპს «დომეს» პარტნიორებისგან - ზ. ს-ძისა და გ. დ-აიასგან შეიძინა ქ. ფოთში, ... ქ. #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე უძრავი ქონება: არასაცხოვრებელი 380 კვ.მ, 10 000 ლარად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების პირობებს, თვლის, რომ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება მხარეთა უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორტების საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განჩინებით ზ. ს-ძესა და გ. დ-აიას გადაუვადდათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორები უნდა გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით და

## **და ა ა დ გ ი ნ ა :**

დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით:

1. ზ. ს-ძე და გ. დ-აია უარს აცხადებენ თავიანთ საკასაციო საჩივარზე;

2. ზ. ს-ძე, გ. დ-აია და ზ. ა-ნია შეთანხმდნენ, რომ გაიყიდოს ქ. ფოთში, ... ქუჩის #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე არასაცხოვრებელი 380 კვ.მ, სადაც ამჟამად განთავსებულია კაფე-ბარი «ვერძი»;

3. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ობიექტის, ანუ ქ. ფოთში, ... ქუჩის #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე არასაცხოვრებელი 380 კვ.მ-ის რეალიზაციას განახორციელებს ორივე მხარე - ზ. ს-ძე, გ. დ-აია და ზ. ა-ნია, ამასთან, უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი პირობები:

ა. მომავალ მყიდველთან ყიდვა-გაყიდვის პირობების შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს ორივე მხარე ერთმანეთის ხელშეწყობით;

ბ. მითითებული ობიექტის რეალიზაციისას, ობიექტის საწყისი ფასი განისაზღვროს 360 000 აშშ დოლარით, აქედან 55% ანუ 198 000 აშშ დოლარი გადაეცეს ზ. ა-ნიას, ხოლო 45%, ანუ 162 000 აშშ დოლარი გადაეცეს მეორე მხარეს - ზ. ს-ძესა და გ. დ-აიას. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას იმოქმედონ, რათა მოხდეს 380 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის, (რომელიც მდებარეობს ქალაქ ფოთში, ... ქუჩა # 28<sup>ბ</sup>-ში,) გაყიდვა (რეალიზაცია) 2 წლის განმავლობაში, საქმის მორიგებით დამთავრების შესახებ ამ შეთანხმების საქართველო უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გავორტების საქმეთა პალატის მიერ დამტკიცების მომენტიდან;

4. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებენ მითითებულ ვადაში არასაცხოვრებელი ფართის რეალიზაციას, მოდავე მხარეები აცხადებენ თანხმობას, სადავო 380 კვ.მ-ზე, რომელიც მდებარეობს ქ. ფოთში, ... ქუჩის # 28<sup>ბ</sup>-ში, დადგინდეს საერთო წილადი საკუთრების უფლება, რაც უნდა გატარდეს სახელმწიფო რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში;

5. ორი წლის ვადაში ობიექტის ვერ გაყიდვის შემთხვევაში საჯარო რეესტრის სამსახური ვალდებული იქნება ობიექტზე, ქ. ფოთში, ... ქუჩის #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე არასაცხოვრებელ 380 კვ.მ-ზე მოახდინოს საჯარო რეესტრში ზ. ს-ძის, გ. დ-აიას და ზ. ა-ნიას თანამესაკუთრებად აღრიცხვა,

შემდეგი პირობების გათვალისწინებით: ქ. ფოთში, ... ქუჩის # 28<sup>ბ</sup>-ში მდებარე არასაცხოვრებელი 380 კვ.მ საერთო წილადი საკუთრების უფლებით ეკუთვნით ზ. ს-ძეს, გ. დ-აიას და ზ. ა-ნიას. ზ. ს-ძესა და გ. დ-აიას საკუთრების უფლებით ეკუთვნით საერთო საკუთრებაში არსებული ობიექტის იდეალური წილი 45%-ის ოდენობით. ზ. ა-ნიას საკუთრების უფლებით ეკუთვნის საერთო საკუთრებაში არსებული ობიექტის იდეალური წილი 55%-ის ოდენობით.

6. ფიზიკური პირები ზ. ს-ძე და გ. დ-აია უარს აცხადებენ სარჩელზე, რომელიც მათ მიერ წარდგენილია ქ. ფოთის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე მხარის ზ. ა-ნიას მიმართ და რომლითაც მოსარჩელე მხარე ითხოვს ზ. ს-ძისა და გ. დ-აიას 2005 წლის 6 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლას. მითითებული ხელშეკრულებით სპს «დომეს» საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი გაიყიდა ზ. ა-ნიასზე. ამ ნასყიდობის ხელშეკრულებით ზ. ა-ნიამ სპს «დომეს» პარტნიორებისგან - ზ. ს-ძისა და გ. დ-აიასგან შეიძინა ქ. ფოთში, ... ქ. #28<sup>ბ</sup>-ში მდებარე უძრავი ქონება: არასაცხოვრებელი 380 კვ.მ, 10 000 ლარად.

მხარეთა მორიგების გამო შეწყდეს საქმის წარმოება სამოქალაქო საქმეზე - ზ. ს-ძისა და გ. დ-აიას სარჩელის გამო ზ. ა-ნიას მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ;

განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია;

ზ. ს-ძე და გ. დ-აია გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკასაციო წარმოების შეწყვეტა მორიგების გამო

### განჩინება

#ას-446-688-08

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რ. ჩ-შვილის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის თაობაზე.

### **პალატამ გაამოაკვირა:**

2004 წლის 13 იანვარს გ. ჩ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ნ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის ბინიდან გამოსახლება, ბინის ქირის დაკისრება და იმ ზიანის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებდა მიწისძვრის დროს კუთვნილ ბინაში რომ ეცხოვრა.

ნ. მ-შვილმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მის მიერ დაკავებული ფართის მესაკუთრედ ცნობა.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ნ. მ-შვილი გამოსახლებულ იქნა ქ. თბილისში ... ქ. #7-ში მდებარე მის მიერ დაკავებული ფართიდან. გ. ჩ-შვილის სარჩელი ბინის ქირის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა ნ. მ-შვილის შეგებებული სარჩელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე სასამართლოს 2004 წლის 6 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერდა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე.

სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 22 აგვისტოს განჩინებით ნ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოდგინდა იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამსახურის წერილი, რომლის თანახმად, სადავო ფართი საკუთრების უფლებით აღრიცხულია რ. ჩ-შვილის სახელზე, შესაბამისად, ამავე სასამართლოს 2008 წლის 29 იანვრის საოქმო განჩინებით არასათანადო მოსარჩელე - გ. ჩ-შვილი, შეიცვალა სათანადო მოსარჩელით - რ. ჩ-შვილით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი

გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ჩ-შვილის სარჩელი ნ.მ-შვილის, ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნახევარსარდაფის სართულზე მის მიერ დაკავებული 41,67კვ.მ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და ამ ბინიდან გამოსახლების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა; ნ. მ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა და იგი ცნობილ იქნა ქ.თბილისში ... ქ. #7-ში მდებარე, რ. ჩ-შვილის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის (6/8) ნახევარსარდაფის სართულზე მის მიერ დაკავებული 41,67კვ.მ-ის მესაკუთრედ, მოსარგებლის - ნ. მ-შვილის მიერ მესაკუთრის - რ. ჩ-შვილისათვის, დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების - 23000 აშშ დოლარის 25%-ის - 5750 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის სანაცვლოდ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით რ.ჩ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ივნისის განჩინებით რ.ჩ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

2008 წლის 15 ივლისს რ. ჩ-შვილმა წარმოადგინა განცხადება, რომლითაც უარი თქვა საკასაციო საჩივარზე და მოითხოვა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნება.

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განცხადებას და მიაჩნია, რომ საქმის საკასაციო წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია, სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამოწვევებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შემდეგაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

განსახილველ საქმეზე რ.ჩ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს სსსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად, მისი საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებამდე და მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რ. ჩ-შვილის განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, ამ საქმეზე უნდა შეწყდეს საკასაციო წარმოება და კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. რ.ჩ-შვილს განემარტოს, რომ მას ერთმევა უფლება კვლავ გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

რ. ჩ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდეს;

შეწყდეს ამ საქმეზე საკასაციო წარმოება;

კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 100 ლარი საქართველოს სახელმწიფო ხაზინის (კოდი:220101222) საბიუჯეტო შემოსავლების #300773150 სახაზინო კოდით ძველი თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900 ანგარიშიდან;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

### განჩინება

#ას-361-613-08

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკატრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, მოქმედების აკრძალვა, გირავნობის უფლების აღიარება



### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ჩალას ვაინსმა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს კ/ზ „ივერთბანკის“ მიმართ 1439427 ლარის ფარგლებში ფულადი ვალდებულების შესრულების, მოქმედების აკრძალვისა და გირავნობის უფლების აღიარების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1996 წლის 1 ოქტომბერს მხარეებს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება 1.000.000 ლარზე. 1998 წლის იანვრის მდგომარეობით შპს „ჩალას ვაინსმა“ დაფარა საკრედიტო დავალიანების ნაწილი - 526.505 ლარი. საკრედიტო ვალდებულების დარჩენილი ნაწილის დაფარვის მიზნით, 1998 წლის 12 მარტს, მხარეებს შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც შპს „ჩალას ვაინსმა“, 764200 ლარის დავალიანების დაფარვის ნაცვლად, სს კ/ზ „ივერთბანკს“ გადასცა მზა პროდუქცია - 173500 ცალი 0,7-ლიტრიანი ბოთლი მშრალი სუფრის ღვინო და 118900 დეკალიტრი ღვინომასალა. შპს „ჩალას ვაინსს“ დაეკისრა ბანკის პირველივე მოთხოვნისამებრ აღნიშნული პროდუქციის შენახვისა და მიწოდების ვალდებულება, სს კ/ზ „ივერთბანკს“ კი უნდა გადაეხადა მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ საქონელზე დღგ-სა და აქციზის ღირებულება, რაც, საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 პუნქტისა და აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, დღგ-სათვის შეადგენს 184.332 ლარს, ხოლო აქციზისათვის - 167.460 ლარს. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სს კ/ზ „ივერთბანკს“ უარი ეთქვა საკრედიტო ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე იმ საფუძველზე, რომ 1998 წლის 12 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით შეწყდა შპს „ჩალას ვაინსის“ საკრედიტო ვალდებულება. საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით სს კ/ზ „ივერთბანკის“ ლიკვიდაციის სარჩელი დაკმაყოფილდა და შპს „ჩალას ვაინსს“ დაეკისრა 1998 წლის 12 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული მზა პროდუქციისა და ღვინო-მასალის ბანკისათვის გადაცემა. 1998 წლის 12 მარტს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მანამდე არსებული საკრედიტო დავალიანება შეიცვალა ახალი ვალდებულებითი ურთიერთობით. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, სს კ/ზ „ივერთბანკი“ მზა პროდუქციასა და ჩამოსახმელ ღვინოს რეალიზაციამდე ტოვებდა შპს „ჩალას ვაინსში“, რომელსაც საამისოდ საჭირო პირობებისა და ნორმების დაცვით უნდა შეენახა. ზემოხსენებულ აქტში მითითებული შეთანხმება თავისი შინაარსით წარმოადგენს მიბარების ხელშეკრულებას. მასში არ არის აღნიშნული მიბარების საზღაური, მაგრამ შპს „ჩალას ვაინსი“ წარმოადგენს რა სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელმაც შენახვა განახორციელა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და 764-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად. საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნის თანახმად, შპს „ჩალას ვაინსის“ მიერ ღვინო-მასალაზე გაწეული ხარჯი შეადგენს ერთ ლიტრზე 0.01 ლარს ერთი თვის განმავლობაში. მიბარებული ქონების ოდენობისა და შენახვის ვადის გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ ღვინო-მასალის შესანახად გაწეული ხარჯმა მთლიანად შეადგინა 1087632 ლარი, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 776-ე მუხლის და 796-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სს კ/ზ „ივერთბანკს“ უნდა აეკრძალოს შპს „ჩალას ვაინსის“ საწყობიდან მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული საქონლის გატანა პროდუქციის შენახვის საზღაურისა და შენახვის ხარჯების ანაზღაურებამდე და ამ საქონელზე აღიარებულ იქნეს შპს „ჩალას ვაინსის“ გირავნობის უფლება. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის გირავნობის უფლება მოპასუხის კუთვნილ, მიბარებულ საქონელზე დარღვეული არ არის, მაგრამ მოპასუხე მოითხოვს რა ამ ქონების გადაცემას, მითითებული გამოიწვევს გირავნობის შეწყვეტას და სამომავლოდ შელახავს გირავნობის საგნით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ დღგ-სა და აქციზის გადასახადის გადახდევინების შესახებ, ვინაიდან, საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 პუნქტისა და 257-ე მუხლის შესაბამისად, ღვინომასალის ბანკისათვის გადმოცემა, საწყობიდან გატანა და რეალიზაცია არ მომხდარა. საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლი ადგენს რა ღვინომასალისა და მზა პროდუქციისათვის გადასახადს, გულისხმობს არსებული სტანდარტების შესაბამის საქონელს, მოცემულ შემთხვევაში კი შპს «ნორმას» #86 და 87 გამოცდის ოქმებით ირკვევა, რომ პროდუქციის რაიმე სახით გამოყენება ნაკლებადაა შესაძლებელი. მოსარჩელის მოთხოვნები ურთიერთსაწინააღმდეგოა, რადგან იგი ერთდროულად ითხოვს ღვინო-მასალის საწყობიდან გატანის აკრძალვასა და აქციზისა და დღგ-ს გადახდევინებას, ასევე დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა საქონლის შენახვის ხარჯების ნაწილშიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «ჩალას ვაინსის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და შპს «ჩალას ვაინსის» სარჩელი დაკმაყოფილდა, სს კ/ზ «ივერთბანკს» აეკრძალა 1998 წლის 12 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული პროდუქციის (მშრალი სუფრის ღვინის 0,7-ლიტრიანი 173500 ცალი ბოთლისა და ცისტერნებში 118900 დეკალიტრი მშრალი სუფრის ღვინის) შპს «ჩალას ვაინსის» საწყობიდან გატანა, აპელანტისათვის სს კ/ზ «ივერთბანკის» მიერ საქონლის შენახვაზე

გაწეული ხარჯის ანაზღაურებამდე, აღიარებულ იქნა შპს «ჩალას ვაინსის» გირავნობის უფლება მისთვის სს კ/ზ «ივერთბანკის» მიერ 1998 წლის 12 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით მიზარებულ პროდუქციაზე შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1996 წლის 1 ოქტომბერს შპს „ჩალას ვაინსისა“ და სს კ/ზ „ივერთბანკს“ შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება 1000000 ლარზე. 1998 წლის იანვრის მდგომარეობით შპს „ჩალას ვაინსისა“ დაფარა საკრედიტო დავალიანების ნაწილი - 526505 ლარი. საკრედიტო ვალდებულების დარჩენილი ნაწილის დაფარვის მიზნით, 1998 წლის 12 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება (მიღება-ჩაბარების აქტი), რომლითაც შპს „ჩალას ვაინსისა“, 764200 ლარის დავალიანების დაფარვის ნაცვლად, სს კ/ზ „ივერთბანკს“ გადასცა მზა პროდუქცია - მშრალი სუფრის ღვინო, 0,7-ლიტრიანი 173.500 ცალი ბოთლი და 118900 დეკალიტრი ღვინომასალა. შპს „ჩალას ვაინსის“ დაეკისრა აღნიშნული პროდუქციის შენახვისა და მიწოდების ვალდებულება სს კ/ზ „ივერთბანკის“ პირველივე მოთხოვნისთანავე. ბანკმა იკისრა მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულ საქონელზე დღგ-სა და აქციზის გადახდის ვალდებულება. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2001 წლის 12 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, სს კ/ზ „ივერთბანკს“ უარი ეთქვა საკრედიტო ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე იმ საფუძველით, რომ 1998 წლის 12 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით შეწყდა შპს „ჩალას ვაინსის“ საკრედიტო ვალდებულება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა სს კ/ზ „ივერთბანკის“ ლიკვიდატორის სარჩელი და შპს „ჩალას ვაინსის“ დაეკისრა 1998 წლის 12 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული მზა პროდუქციისა და ღვინო-მასალის სს კ/ზ „ივერთბანკისთვის“ გადაცემა. 1998 წლის 12 მარტს მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მანამდე არსებული საკრედიტო დავალიანება შეიცვალა ახალი ვალდებულებითი ურთიერთობით და მის შესაბამისად, სს კ/ზ „ივერთბანკი“ მზა პროდუქციას და ჩამოსასხმელ ღვინოს რეალიზაციამდე დატოვებდა შპს „ჩალას ვაინსისში“, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულებას იღებდა პროდუქცია შეენახა საამისოდ საჭირო პირობებისა და ნორმების დაცვით. სასამართლოს მითითებით, შპს „ჩალას ვაინსის“ სს კ/ზ „ივერთბანკისათვის“ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ამავე აქტში მითითებული საქონლის შენახვის საზღაურის - 1.087.632 ლარის დაკისრებას მოითხოვდა სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადებისა და 773-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. სააპელაციო პალატამ სადავო საკითხის გადაწყვეტილებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონედ ჩათვალა ის გარემოება, განხორციელდა თუ არა შპს „ჩალას ვაინსის“ მიერ მიზარებული პროდუქციის შენახვა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია აპელანტის მითითება, რომ მხარეები წარმოადგენენ მეწარმე სუბიექტებს და როგორც კრედიტის გაცემა, ასევე საკრედიტო ურთიერთობის ნოვაცია ემსახურებოდა მათ სამეწარმეო მიზნებს, ამასთან, ღვინო-მასალის წარმოებაში იგულისხმება მათი შენახვა და რეალიზაცია. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საქმიანობის განსახორციელებლად შპს „ჩალას ვაინსის“ გააჩნია ღვინის საცავი. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ სადავო საქონელი შეინახა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში და, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების შესაბამისად, შენახვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძველიანია. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მის მიერ საქონლის შენახვაზე გაწეული ხარჯების ოდენობა, ვინაიდან საქმის მასალებში შპს „ჩალას ვაინსის“ მიერ წარდგენილია აუდიტორული მომსახურების ფირმა შპს „გარანტის“ 2005 წლის 13 მაისის დასკვნა, რომლის შესაბამისად 1998-2005 წლებში სს კ/ზ „ივერთბანკის“ საქონლის მოვლა-შენახვაზე გაწეული ხარჯის ოდენობა შეადგენს 1087632 ლარს, მოპასუხეს აუდიტორული დასკვნით განსაზღვრული ხარჯების ოდენობა სადავო არ გაუხდია და საწინააღმდეგო სახის მტკიცებულება არ წარუდგენია. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, შენახვაზე მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობა დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოთხოვნა არაპირდაპირი გადასახადის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებაც. სასამართლომ დაადგინა, რომ ღვინო-მასალის მიწოდება წარმოადგენს დღგ-ითა და აქციზით დასაბეგრ ოპერაციას. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, დღგ-ს ოდენობა შეადგენს 184.332 ლარს, ხოლო აქციზის - 167460 ლარს, სულ არაპირდაპირი გადასახადის ოდენობა შეადგენს 351.95 ლარს. პალატამ დადგინდად მიიჩნია ასევე ის გარემოებაც, რომ, 1998 წლის 12 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება, დღგ-სა და აქციზის გადახდა, უნდა განხორციელებინა სს კ/ზ „ივერთბანკს“, ხოლო მხარეთა შეთანხმებით შპს „ჩალას ვაინსის“ მიერ პროდუქციის რეალიზაციისას სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ანგარიშსწორება დაეკისრებოდა მოსარჩელეს. სასამართლომ დაადგინა, რომ მხარეები არ შეთანხმებულან და, შესაბამისად, შპს „ჩალას ვაინსის“ პროდუქციის რეალიზაცია არ უწარმოებია, ამდენად, დღგ-სა და აქციზის გადახდის ვალდებულება ეკისრება სს კ/ზ „ივერთბანკს“. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია შპს „ჩალას ვაინსის“ მოთხოვნა მისთვის შესაბამისად მიზარებულ საქონელზე გირავნობის უფლების აღიარების შესახებ და აღნიშნა, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 776-ე მუხლიდან გამომდინარე, შესაბამისად მიზარებულ საქონელზე გირავნობის უფლების აღიარება წარმოადგენს შემნახველისათვის

მიმზარებლის ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, რისი დასაბუთებელი ინტერესი მოსარჩელეს, დავის არსიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში გააჩნია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს «ივერთბანკმა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა ბიუჯეტის მიმართ ბანკის მიერ დღგ-სა და აქციზის გადასახადის გადახდევინების შესახებ, რადგან, საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-14 პუნქტისა და 257-ე მუხლის შესაბამისად, სადავო გადასახადის დაკისრების საფუძველი – ღვინომასალის ბანკისათვის გადმოცემა, საწყობიდან გატანა და რეალიზაცია არ მომხდარა. რეალურ მდგომარეობას არ შეესაბამება მოწინააღმდეგე მხარის მიერ დასახელებული დღგ-სა და აქციზის გადასახადის ოდენობაც – 351795 ლარი, რის დასადასტურებლადაც მოსარჩელემ წარადგინა აუდიტის მსგავსი შინაარსის დოკუმენტი და საგადასახადო კოდექსის 258-ე მუხლზე მითითებით ჩათვალა, რომ ჩამოსხმულ ღვინოზე აქციზის თანხა შეადგენს 48860 ლარს, ჩამოსახმელ ღვინოზე – 118900 ლარს, სულ – 167460 ლარს, საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლზე დაყრდნობით კი მიიჩნია, რომ დღგ წარმოადგენდა 1843332 ლარს. სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემის შპს «ნორმას» საგამოცდო ლაბორატორიის 2006 წლის 17 მარტის #86-87 საგამოცდო ოქმებით ირკვევა, რომ სააღსრულებო ბიუროს მიერ დაყვადებული, იძულების წესით გადასაცემი ღვინომასალა გარუკვეველი სახის, ღვინოსა და მმარს შორის არსებული სითხეა, რომლის რამენაირად გამოყენება შეუძლებელია და არსებულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. საგადასახადო კოდექსის ზემოხსენებული ნორმები კი გადასახადებს ადგენს მხოლოდ სტანდარტების შესაბამისი ღვინომასალისა და მზა პროდუქციისათვის. ამასთან, სააღსრულებო ბიუროს მიერ მოწინააღმდეგე მხარის საცავებში არა მარტო სს «ივერთბანკისათვის» გადასაცემი, არამედ არც შპს «ჩალას ვაინსის» კუთვნილი მზა პროდუქციაც კი ვერ იქნა აღმოჩენილი, რის გამოც არ ირკვევა დღგ-სა და აქციზის გადახდევინების შესახებ მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის საფუძველი. აღსანიშნავია, რომ შპს «ჩალას ვაინსის» მოთხოვნები ურთიერთგამომრიცხავია, კერძოდ, ერთის მხრივ, იგი მოითხოვს, აეკრძალოს ბანკს ღვინომასალის საწყობიდან გატანა და მეორე მხრივ – აქციზისა და დღგ-ს გადახდას, რომლის გადახდევინება მხოლოდ ღვინომასალის საწყობიდან გატანის შემთხვევაშია შესაძლებელი. ამასთან, შპს «ჩალას ვაინსის» სადავო ღვინომასალისა და მზა პროდუქციის გადაცემა დაევალი იძულებითი წესით საკასაციო სასამართლოს მიერ, ამდენად, აღნიშნული მოთხოვნაც არამართლზომიერია და საქალაქო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა. უსაფუძველია და საქმის მასალებით არ დასტურდება შპს «ჩალას ვაინსის» მოთხოვნა სადავო პროდუქციის შენახვის ხარჯების – 1087632 ლარის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძველით, რომ მოსარჩელე 1998 წლიდან პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და წლების განმავლობაში ინახავდა სს «ივერთბანკის» კუთვნილ ღვინომასალას. 1998 წლის 12 მარტს მხარეთა შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით, შპს «ჩალას ვაინსმა» აღიარა ბანკის მიმართ 764200 ლარის ოდენობის მოთხოვნის არსებობა და ვალდებულება იკისრა, პირველივე მოთხოვნისამებრ სს «ივერთბანკისათვის» გადაეცა მის ბალანსზე რიცხული საქართველოში მოქმედი სტანდარტის შესაბამისი მზა პროდუქცია – 173500 ცალი მშრალი სუფრის ღვინო 0,7-ლიტრიანი ბოთლი (ერთი ბოთლის ღირებულება – 1,40 ლარი) და ჩამოსახმელი მშრალი ღვინო 118900 დეკალიტრის ოდენობით (ერთი დეკალიტრის ღირებულება – 4,30 ლარი). პროდუქციის რეალიზებამდე იგი შესაძლებელია დარჩა შპს «ჩალას ვაინსში», რომელსაც პროდუქცია სათანადო პირობებისა და ნორმების დაცვით უნდა შეენახა. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტში მიბარების ხარჯები ნახსენები არ არის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, სამოქალაქო კოდექსის 764-ე მუხლის თანახმად, მიბარება იყო უსასყიდლო, რადგან შპს «ჩალას ვაინსის» სამეწარმეო საქმიანობას სხვისი ღვინომასალის შენახვა არ წარმოადგენდა. საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ არის სს ივერთბანკის» წერილობითი მოთხოვნა პროდუქციის გადაცემის თაობაზე, ამდენად გაურკვეველია, გადაეცა თუ არა საერთოდ სადავო ნივთი კასატორს და თუ გადაეცა – როდის. ფაქტობრივად, პროდუქციის მისაღებად სს «ივერთბანკს» სასამართლოსათვის მიმართვაც დასჭირდა, თუმცა აღმასრულებელმა იძულებითი სააღსრულებო ღონისძიების მოქმედებების შესრულებისას შპს «ჩალას ვაინსის» დირექტორ ზ. დ-შვილისაგან შეიტყო, რომ საცავში მზა პროდუქცია 0,7-ლიტრიანი ბოთლში არ აღმოჩნდა, რის მიზეზადაც დასახელდა შემდეგი: 6 თვის შემდეგ მზა პროდუქციის ბოთლებში შენახვა შეუძლებელი გახდა, რის გამოც იგი მოთავსებულ იქნა ცისტერნაში. ამდენად, შპს «ჩალას ვაინსმა» სტანდარტის შესაბამისი პროდუქციის კასატორისათვის გადაცემისა და მისი თავისთან შენახვის დასადასტურებლად მიღება-ჩაბარების აქტისა და საკუთარი განმარტების გარდა რაიმე მტკიცებულება ვერ წარადგინა, თუმცა აღმასრულებელმა გამოთქვა სავსებით საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსარჩელემ ვარგისი პროდუქცია გაასხვისა და უვარგისი მასალით ჩაანაცვლა. შპს «ჩალას ვაინსის» მოთხოვნა 1998 წლიდან დღემდე სადავო პროდუქციის შენახვაზე ხარჯების გაწევის ნაწილში ემყარება რა აუდიტის დასკვნას, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მითითებულ დასკვნაში დაფიქსირებულია, თუ რა ოდენობის თანხა დაიხარჯა ღვინომასალისა და მზა პროდუქციის შენახვისათვის, თუმცა ნამდვილად გასწია თუ არა შპს «ჩალას ვაინსმა» აღნიშნული ხარჯი და ინახავდა თუ არა მას დადგენილი წესების შესაბამისად 1998 წლიდან დღემდე, საქმის მასალებით არ დასტურდება. ზემოხსენებული საფუძველით კი არ არსებობს შენახვის ხარჯების მოთხოვნის საფუძველი, შესაბამისად, გირავნობის უფლების აღიარებაზე მსჯელობა სასამართლოს მხრიდან გაუმართლებელია. ასევე დაუსაბუთებელია შპს «ჩალას ვაინსის» მოთხოვნა სადავო

პროდუქციის საწყობიდან გამოტანის აკრძალვის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული პროდუქცია უნდა გამოიტანოს კახეთის სააღსრულებო ბიურომ საკასაციო სასამართლოს განჩინების აღსასრულებლად. სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერება ამ გზით შეუძლებელია, ვინაიდან მხარის მოთხოვნა მიმართულია იმ პირის მიმართ, რომელსაც სადავო მოქმედების შესრულების უფლებამოსილება არ გააჩნია, ხოლო სააღსრულებო ბიურო, რომელმაც პროდუქციის გამოტანა უნდა განახორციელოს, მოცემულ დავაში მხარეს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. სს «ივერთბანკი» თანახმაა, უარი განაცხადოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 15 თებერვლის #ას-929-1166-04 გადაწყვეტილების საფუძველზე 2005 წლის 2 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებაზე;

2. შპს «ჩალას ვაინსი» უარს აცხადებს ყველა მოთხოვნაზე სს «ივერთბანკის» მიმართ, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა შორის 1998 წლის 12 მარტის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტიდან და მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული 2007 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «ივერთბანკს» სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს შალვა გორგამის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 8 მაისს გადახდილი 8000 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

## **და ა ა დ გ ი ნ ა :**

დამტკიცდეს მორიგება სს «ივერთბანკსა» და შპს «ჩალას ვაინსს» შორის შემდეგი პირობებით:

1. სს «ივერთბანკი» თანახმაა, უარი განაცხადოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 15 თებერვლის #ას-929-1166-04 გადაწყვეტილების საფუძველზე 2005 წლის 2 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებაზე;

2. შპს «ჩალას ვაინსი» უარს აცხადებს ყველა მოთხოვნაზე სს «ივერთბანკის» მიმართ, რომელიც გამომდინარეობს მხარეთა შორის 1998 წლის 12 მარტის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტიდან და მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული 2007 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან.

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 დეკემბრისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილებები.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება შპს «ჩალას ვაინსის» სარჩელის გამო სს «ივერთბანკის» მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების, მოქმედების აკრძალვისა და გირავნობის უფლების აღიარების თაობაზე.

მხარეებს განემარტოთ, რომ ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

სს «ივერთბანკს» სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს შ. გ-მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით 2008 წლის 8 მაისს გადახდილი 8000 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო

### განჩინება

#ას-948-1254-07

31 ივლისი, 2008 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** აუცილებელი გზის გამოყოფა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ლ., მ. და მა. ფ-ძეებმა მოპასუხე მ. (ო.) ბ-მის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. ქუთაისში, ... ქ. #2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე გააჩნიათ საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ჭიშკარი და შესასვლელი გზა ჰქონდა გ. ფ-ძესთან ერთად თანასარგებლობაში. გ. ფ-ძის მიერ თავისი სახლის გაყიდვის შემდეგ მ. (ო.) ბ-მე გახდა ახალი მესაკუთრე, რომელიც წინააღმდეგი იყო მოსარჩელებს ესარგებლათ ადრე საერთო სარგებლობაში არსებული ჭიშკრითა და შესასვლელი გზით.

მოსარჩელეთა განმარტებით, აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის გამო ისინი აღმოჩნდნენ ჭიშკრისა და ეზოში შესასვლელი გზის გარეშე, რის გამოც მოითხოვეს მოპასუხის დავალდებულება მიეცა მათთვის საშუალება ესარგებლათ საერთო შესასვლელით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ., მ. და მა. ფ-ძეებმა და მოითხოვეს აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება და ი. (მ.) ბ-მე დავალდებულ იქნა, მოსარჩელებისთვის მიეცა ... ქ. #2-ში არსებული საერთო სარგებლობის შესასვლელის გამოყენების უფლება.

სააპელაციო პალატამ საქმეში არსებულ საჯარო რეესტრის ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2007 წლის 21 მარტს გაცემული ამონაწერის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისში, ... ქ. #2-ში მდებარე 772 კვ.მ #133 მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ორი საცხოვრებელი ოთახი, სულ 50,23 კვ.მ საერთო ფართობით, 25,35 კვ.მ - სამეურნეო ფართობით, 28,20 კვ.მ ავტოფარეხით და დამხმარე ნაგებობებით ირიცხებოდა მოწინააღმდეგე მხარის - ი. (მ.) ბ-მის საკუთრებად, რომელმაც აღნიშნული საკუთრება შეიძინა გ. ფ-ძისაგან 2005 წლის 13 იანვარს სამისდღეში რჩენის პირობით საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნულ მისამართზე ფაქტობრივად ცხოვრობდნენ მა., მ. და ლ. ფ-ძეები, რაც დასტურდებოდა ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის ტერიტორიული სამსახურის უქიმერიონის განყოფილების 2006 წლის 1 აგვისტოს გაცემული ცნობით. მათ მიერ აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების მართლობითი მფლობელობის ფაქტი მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია, რის გამოც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტები იყვნენ ამავე მისამართზე არსებული სახლის კეთილსინდისიერი მფლობელები.

ასევე დადგენილია, რომ საქმეში არსებული ლ. ს-ულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს იმერეთის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის მიერ 2007 წლის 30 მარტს გაცემული #4\15 დასკვნის შესაბამისად, ქ. ქუთაისში, ... ქ. #2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, გარდა არსებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზისა, ალტერნატიული საავტომობილო გზის მოწყობა აღმოსავლეთის მხრიდან ნაკვეთის გამოყოფილ ნაწილში შეუძლებელი იყო.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. (მ.) ბ-მემ.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ობიექტური შეფასება არ მისცა ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნებს, ვინაიდან სასამართლომ დასახელებული დასკვნები გამოიყენა იმის დასამტკიცებლად, რომ

... ქ. #2-ში მდებარე #2 მიწის ნაკვეთს არ ჰქონდა ჯეროვანი კავშირი საჯარო გზებთან, რადგან შეუძლებელი იყო ალტერნატიული საავტომობილო გზის მოწყობა და, რომ #1 მიწის ნაკვეთი გამოყენებული უნდა ყოფილიყო როგორც ფეხით, ისე სამანქანო შესასვლელად. კასატორის აზრით, სასამართლომ ისე დააკმაყოფილა სარჩელი, რომ არ იმსჯელა დაცული იყო თუ არა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული მანძილის ზღვრული ნორმები. ასევე კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მტკიცებულებებს.

ასევე კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად გადაწყვიტა სათანადო მოპასუხის საკითხი. დავის სასამართლო განხილვის დროს კასატორის მიერ გაყიდული იყო #1 მიწის ნაკვეთი და ნასყიდობის გარიგება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში. შესაბამისად, კასატორი თვლის, რომ სასამართლოს უნდა შეეცვალა იგი სათანადო მოპასუხით, სსსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, ამ მუხლის სწორად გამოყენების შემთხვევაში იმისდა მიხედვით აპელანტები დაეთანხმებოდნენ თუ არა სათანადო მოპასუხის შეცვლას, დავის ბედი შეიძლება სხვაგვარად გადაწყვეტილიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის სასამართლო სხდომის ოქმით კასატორი ი. (მ.) ბ-მე შეიცვალა კასატორ შ. წ-მით.

2008 წლის 31 ივლისს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მხარეებმა საკასაციო პალატას წარმოუდგინეს მორიგების აქტი და მოითხოვეს მისი დამტკიცება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შ. წ-მესა და ლ., მ. და მა. ფ-ძეებს შორის დამტკიცდეს მორიგება შემდეგი სახით:

შ. წ-მე თანახმაა მის საკუთრებად აღრიცხულ 1035,48 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთში არსებული გზით, ფართობით 2188X3,50 მ<sup>2</sup>, ისარგებლონ ლ., მ. და მა. ფ-ძეებმა. ასევე, საერთო სარგებლობაში დარჩეს ... ქუჩიდან შემოსასვლელი ჭიშკარი. საერთო სარგებლობაში არსებული გზიდან, გააგრძელოს და ლ. ფ-ძემ მოაწყოს თავის საკუთრებაში არსებულ სახლთან მისასვლელი გზა შემდეგნაირად: გადაზომოს შ. წ-მის კუთვნილი სახლის დასავლეთ კუთხიდან 7,20 მ-ი, ხოლო აღმოსავლეთ კუთხიდან - 5,10 მ. გზის ნაწილის სიგანე იქნება 3,30 მ. გზა გამოიყენება ლ. ფ-მის ეზოში ყველა სახის ავტომანქანის მისასვლელად და დასაყენებლად. ლ. ფ-მის ეზოში შესავლელად გზის და ჭიშკრის მოწყობის ხარჯებს იღებს ლ. ფ-მე, რაზეც მხარეები თანახმა არიან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „დ« პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის - 272-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

შ. წ-მესა და ლ., მ. და მა. ფ-ძეებს შორის დამტკიცდეს მორიგება შემდეგი სახით:

შ. წ-მე თანახმაა მის საკუთრებად აღრიცხულ მიწის ნაკვეთში 1035,48 მ<sup>2</sup> არსებული გზით, ფართობით 2188X3,50 მ<sup>2</sup> ისარგებლონ ლ., მ. და მა. ფ-ძეებმა. ასევე საერთო სარგებლობაში დარჩეს ... ქუჩიდან შემოსასვლელი ჭიშკარი. საერთო სარგებლობაში არსებული გზიდან, გააგრძელოს და ლ. ფ-ძემ მოაწყოს მის საკუთრებაში არსებულ სახლთან მისასვლელი გზა შემდეგნაირად: გადაზომოს შ. წ-მის კუთვნილი სახლის დასავლეთ კუთხიდან 7,20 მ-ი, ხოლო აღმოსავლეთ კუთხიდან - 5,10 მ. გზის ნაწილის სიგანე იქნება 3,30 მ. გზა გამოიყენება ლ. ფ-მის ეზოში ყველა სახის ავტომანქანის მისასვლელად და დასაყენებლად. ლ. ფ-მის ეზოში შესავლელად გზის და ჭიშკრის მოწყობის ხარჯებს იღებს ლ. ფ-მე, რაზეც მხარეები თანახმაა.

დაუბრუნდეს შ. წ-მეს ი. (მ.) ბ-მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 300 ლარის ნახევარი 150 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

შ. წ-მესა და ლ., მ. და მა. ფ-ძეებს შორის მორიგების გამო გაუქმდეს მოცემულ საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები და მოცემულ საქმეზე შეწყდეს საქმის წარმოება.

განემართოთ მხარეებს, რომ იგივე მხარეებს შორის იგივე დავაზე სასამართლოსათვის მომართვა დაუშვებელია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

### განჩინება

#ას-485-724-08

16 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე)  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ტ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „გრანდის“ მიმართ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2004 წლის ივნისში მოსარჩელემ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მიმართა შპს „გრანდს“, სადაც დაუდგინდა გულის იშემიური დაავადება, ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტის გამწვავება და გულ-ფილტვის უკმარისობა და ორი წლის განმავლობაში მკურნალობდა ექიმის მიერ დანიშნული წამლებით. თ. ს-შვილმა ოთხჯერ უშედეგოდ გაიარა სტაციონალური მკურნალობის კურსი მოპასუხესთან, თუმცა მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „გრანდში“ მას არასწორად დაესვა დიაგნოზი და ფაქტობრივად დაავადებული იყო ტუბერკულოზით. მოპასუხე ორგანიზაციაში ორწლიანი მკურნალობის შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობა გაუარესდა და სამედიცინო გამოკვლევებმა დაადგინა, რომ ტ. ს-შვილის ასაკის გათვალისწინებით (იგი 80 წელსაა მიღწეული) მისი განკურნება და ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა დროულად დასმული სწორი დიაგნოზითა და მკურნალობით, ამჟამად კი შეუძლებელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გრანდს“ მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ გაწეული მკურნალობის ხარჯების - 1695 ლარის სრულად ანაზღაურება, კერძოდ: შპს „გრანდში“ სტაციონალური მკურნალობის დროს გადახდილი 690 ლარის, მისი ოჯახის წევრების მიერ გადაღებული 13 რენტგენოგრაფიული სურათის ღირებულების - 325 ლარის, 2004 წლის ივნისის პირველი 10 დღის განმავლობაში გადახდილი - 560 ლარის, მოპასუხის მიერ გაგზავნილი სასწრაფო დახმარებისათვის - 650 ლარის, ციტოლოგიური გამოკვლევის ღირებულების - 30 ლარისა და დასკვნაში გადახდილი 30 ლარის ანაზღაურება, ასევე, მორალური ზიანის - 10000 ლარის გადახდა.

მოპასუხე შპს „გრანდმა“ სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება მოპასუხის მიერ არასწორი დიაგნოზის დადგენის შესახებ. მოსარჩელის ჯანმრთელობა კლინიკაში მკურნალობის შედეგად გაუმჯობესდა, რაც იმითაც დასტურდება, რომ იგი გაეწერა ამბულატორიულად სამკურნალოდ უზნის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ამასთან, პაციენტს 2004 წლის ივნისიდან 2006 წლის იანვრამდე კლინიკისათვის არ მიუმართავს. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს წერილში აღნიშნულია, რომ პაციენტს დანიშნული ჰქონდა ფართო სპექტრის ანტიბიოტიკი «რიმფამიცინი», რომელიც ამავე დროს ძირითადი ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატია, გააჩნია ყველაზე მძლავრი ბაქტერიოციდული მოქმედება ტუბერკულოზის მიმართ. ამდენად, «რიმფამიცინის» გამოყენებამ მნიშვნელოვნად განაპირობა სამივე შემთხვევაში მკურნალობის დადებითი ეფექტი. მოსარჩელე თავის პრეტენზიას ამყარებს დაგვიანებულ დიაგნოზზე, რაც, სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლით, გათვალისწინებული დიაგნოზის არასწორად დასმას არ უთანაბრდება. აღსანიშნავია, რომ პაციენტი ტ. ს-შვილი 2006 წლის თებერვლამდე ტუბერკულოზით დაავადებული არ იყო, მისი დაავადებისთანავე კლინიკამ დასვა შესაბამისი დიაგნოზი და გააგზავნა იგი სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ტ. ს-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „გრანდს“ ტ. ს-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული მატერიალური ზიანის - 690 ლარისა და მორალური ზიანის - 10000 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს „გრანდმა“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.



თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2004 წლის 13 ივნისს ტ. ს-შვილი მოთავსებულ იქნა შპს კლინიკა „გრანდში“, სადაც პაციენტსა და კლინიკას შორის დაიდო ხელშეკრულება #223, რომლის თანახმად შპს „გრანდში“ აიღო ვალდებულება, შეექმნა ყოველგვარი პირობა პაციენტის სრულყოფილი მკურნალობისათვის, დაეცვა არსებული მკურნალობის სტანდარტები და კონტროლი გაეწია მკურნალობის ხარისხისათვის. კლინიკაში მოთავსებისას ტ. ს-შვილს დაუდგინდა დიაგნოზი: მარჯვენა მხრივი ექსუდაციური პლევრიტი, გულის იშემიური დაავადება, ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, II ხარისხის გულის უკმარისობა. 2004 წლის 18 ივნისს პაციენტი გაეწერა ბინაზე დიაგნოზით: მარჯვენა მხრივი ექსუდაციური პლევრიტი, გულის იშემიური დაავადება, II ხარისხის გულის უკმარისობა, ქრონიკული დისციკულატორული ენცეფალოპათია, მწვავე ცერებლარული უკმარისობა. შემდგომში პაციენტი შპს „გრანდში“ მოთავსებულ იქნა 2006 წლის 28 იანვარს ქრონიკული ათეროსკლეროზული ენცეფალოპათიით, პარკინსონის სინდრომით, 2006 წლის 1 თებერვალს ავადმყოფი გაეწერა დიაგნოზით - გულის იშემიური დაავადება, ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, გულ-ფილტვის II ხარისხის უკმარისობა, ქრონიკული ბრონქიტის გამწვავება, ათეროსკლეროზული დიცირკულატორული ენცეფალოპათია, პარკინსონის დაავადება. 2006 წლის 9 თებერვალს პაციენტი კვლავ მოთავსდა შპს „გრანდში“, საიდანაც გაეწერა 2006 წლის 13 თებერვალს დიაგნოზით: გულის იშემიური დაავადება, ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი, ექსტასისტოლური არითმია (პარკუჭოვანი), II ხარისხის გულის უკმარისობა, მძიმე მიმდინარეობის ფილტვის ქრონიკული ოქსტუქციული დაავადება, II ხარისხის სუნთქვის უკმარისობა, ქრონიკული ათეროსკლეროზული ენცეფალოპათია, პარკინსონის სინდრომი. მოსარჩელე ტ. ს-შვილი ამჟამად დაავადებულია ბაქტერიაგამომყოფი ტუბერკულოზით. იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2007 წლის 8 მაისის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ტ. ს-შვილის სასუნთქი სისტემის ტუბერკულოზზე ექვის მიტანა შესაძლებელი იყო ჯერ კიდევ 2004 წლის ივნისში, როდესაც ტ. ს-შვილი მარჯვენამხრივი დექსუდაციური პლევრიტის დიაგნოზით მოთავსებულ იქნა სტაციონალური მკურნალობისათვის შპს „გრანდში“. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ შპს „გრანდში“ ტ. ს-შვილს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაგვიანებით დაუსვა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ტუბერკულოზური პროცესის პროგრესირება. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2004 წელს მარჯვენამხრივი ექსუდაციური პლევრიტის ტუბერკულოზური ეტიოლოგიის დადგენისა და შესაბამისი ადეკვატური სტანდარტული ტუბსაწინააღმდეგო ქიმიოთერაპიის ჩატარების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა განკურნება და შემდგომში ფილტვის ტუბერკულოზის გავრცელებული ბაქტერიაგამომყოფი ფორმის ჩამოყალიბების თავიდან აცილება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემებით შპს „გრანდში“ 2004 წელს დაავადების კლინიკური ფორმა - მარჯვენამხრივი დექსუდაციური პლევრიტი დადგენილ იქნა სწორად, მაგრამ ვერ იქნა გამორკვეული დაავადების გამომწვევი მიზეზი და, შესაბამისად, დაავადების დიაგნოსტიკა იყო არასრულყოფილი. პალატამ მიიჩნია, რომ 2006 წელს ტ. ს-შვილს ფილტვების ტუბერკულოზის დიაგნოზი დასმული არ ჰქონდა და არც ტუბდაწესებულებაში ყოფილა გამოსაკვლევადა გაგზავნილი. სასამართლომ დაასკვნა, რომ დაავადების ხასიათიდან გამომდინარე, ტ. ს-შვილის შემთხვევაში ტუბერკულოზური პროცესი უნდა დაწყებულიყო დაახლოებით 6-10 კვირით ადრე ექსუდაციური პლევრიტის დიაგნოზის დადგენამდე. სააპელაციო სასამართლომ, სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, ჩათვალა, რომ ტ. ს-შვილს შპს „გრანდში“ ექსუდაციური პლევრიტის დიაგნოზი დაუდგინდა 2004 წლის 13-18 ივნისს, ამდენად, ტუბერკულოზური პროცესის დაწყების სავარაუდოდ დროდ მიიჩნია 2004 წლის გაზაფხული. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიერ მკურნალობისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა შეადგენს 690 ლარს. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 361-ე, 408-ე, 413-ე და 1007-ე მუხლები, შესაბამისად, ტ. ს-შვილის სარჩელი საფუძვლიანია და სწორად დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „გრანდში“ გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაცია და დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „გრანდში“ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება პაციენტის დადგენილი სტანდარტების შესაბამისი მკურნალობის თაობაზე. საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულებით, მათ შორის, კასატორის მიერ სადავოდ მიჩნეული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით არ არის დადასტურებული, რომ ტ. ს-შვილს ჩაუტარდა მკურნალობა, რომელიც არ შეესაბამებოდა არსებულ სტანდარტებს ან მკურნალობა იყო არასრულყოფილი. სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, კერძოდ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სუბდისიდების დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დასკვნა, რომლითაც არ იქნა გაზიარებული შემდგომში ამ საქმეზე დაკითხული ექსპერტ ნ.ქ-იას დასკვნა და დადგინდა, რომ ტ. ს-შვილს მკურნალობა ჩაუტარდა არსებული სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სააგენტოს გადაწყვეტილებით მკურნალობის ნაკლად მიჩნეულია სამედიცინო



ბარათის არასრულყოფილი შევსება და არა მკურნალობა. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები და ისე გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომელიც არ ემყარება მტკიცებულებების სწორ და ობიექტურ შეფასებას. სასამართლოს არ მიუთითებია შპს «გრანდის» მიერ ტ.ს-შვილთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების რომელი პუნქტი არ იქნა შესრულებული, რის გამოც სასამართლოს მითითება სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილზე იურიდიულად დაუსაბუთებელია. სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კასატორი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ვალდებული, აენაზღაურებინა ზიანი, თუ იგი დაარღვევდა ვალდებულებას. სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია, თუ რაში გამოიხატა ტ. ს-შვილისათვის მიყენებული ზიანი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დასკვნით მითითებული არ არის, რომ ტ.ს-შვილს არასწორი მკურნალობა ჩაუტარდა, რამაც მისი ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაზე, ექიმ-პულმონოლოგის დაკითხვის შესახებ სასამართლოს 2007 წლის 28 სექტემბრის განჩინების გაუქმებაზე. სასამართლომ მტკიცებულებად არ მიიღო მთავარი ექიმ-პულმონოლოგის წერილობითი განმარტება, რომ 2004 წლის 13 ივნისს მასთან კონსულტაცია გაიარა ტ. ს-შვილმა და პაციენტს ტუბერკულოზის ნიშნები არ აღენიშნებოდა. მოწმის აღნიშნულ ჩვენებას ადასტურებს ექსპერტ ნ. ქ-იას განმარტება, რომ შპს «გრანდში» სადავო დიაგნოზი დაისვა სწორად. სასამართლომ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნა და დადგინდა ფაქტობრივი გარემოება, რომ ტ. ს-შვილის მკურნალობისას 2004 წლის ივნისში დაისვა არასრულყოფილი დიაგნოზი. ჯერ კიდევ ექსპერტიზის ჩატარებამდე საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს განცხადებით მიმართა შპს «გრანდმა», რომ მოცემულ საქმეზე ექსპერტად არ დაემშავთ ნ.ქ-ია, რომელიც მუშაობს ტუბერკულოზურ დაავადებათა საავადმყოფოში და ბოლო დროს 2006 წელს მოსარჩელე მასთან მკურნალობას. ამასთან, მას გააჩნდა საქმიანი ინტერესები და ვერ იქნებოდა მიუკერძოებელი. კასატორის აღნიშნული მოთხოვნა საექსპერტო დაწესებულებამ არ დააკმაყოფილა და არც სასამართლოს არ შეუფასებია. ზემოხსენებული ექსპერტის ტენდენციურობის მიუხედავად, იგი კატეგორიულად ვერ ასკვნის, რომ 2004 წლის 13 ივნისს ტ. ს-შვილის სამკურნალოდ კლინიკაში მოთავსებისას მოსარჩელე დაავადებული იყო ტუბერკულოზით, არამედ ვარაუდობს, რომ ავადმყოფის სიმპტომები იძლეოდა მისი ტუბერკულოზზე შემოწმების საფუძველს. ექსპერტიზის დასკვნის გაზიარებისას სასამართლოს არ შეუფასებია საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი #223 საავადმყოფო ბარათი, რომლის მიხედვით 2004 წლის 13 ივნისს, 13.00 საათზე, ტ.ს-შვილი მოთავსებულ იქნა შპს «გრანდის» კლინიკის სომატურ განყოფილებაში და შემოსვლისას დაუდგინდა მარჯვენა მხრივი ექსუდაციური პლევრიტი, გულის იშემიური დაავადება, II ხარისხის გულის უკმარისობა, ქრონიკული დისცირკულატორული ენცელოპათია, მწვავე ცერებრალური უკმარისობა. კასატორმა ავადმყოფს ჩაუტარა როგორც კლინიკური, ისე ლაბორატორიული გამოკვლევები, გადაღებულ იქნა მისი ფილტვების რენტგენი და სპეციალისტის მიერ ტუბერკულოზით დაავადება გამოირიცხა. თავად ექსპერტმა ნ.ქ-იამ სასამართლოსათვის მიცემულ განმარტებაში დაადასტურა, რომ დიაგნოზი დაისვა სწორად. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ექსპერტიზის დასკვნა იყო წინააღმდეგობრივი. ექსპერტიზის დასკვნის მე-6 პუნქტში კატეგორიულადაა მითითებული, რომ შპს «გრანდში» ჩატარებულ მკურნალობას ტ. ს-შვილის ჯანმრთელობის გაუარესება არ გამოუწვევია, ამდენად, საფუძველს მოკლებულია სასამართლოს დასკვნა კასატორის ქმედების შედეგად მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების შესახებ და სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში გაუმართლებელია. ამასთან, სასამართლომ გავრცობილად განმარტა დასახელებული ნორმით გათვალისწინებული არასწორი დიაგნოზი, როდესაც იგი არასრულყოფილ დიაგნოზს გაუთანაბრა. სასამართლოს მიერ დაკითხულმა ექსპერტებმა - ბ-მემ და ქ-იამ განმარტეს რა, რომ კასატორმა ტ.ს-შვილს სწორი დიაგნოზი დაუსვა, თავადვე უარყვეს მათ მიერ შედგენილი დასკვნის 3.4 პუნქტი, რომლის მიხედვით მოსარჩელის შემთხვევაში «ადგილი ჰქონდა დაგვიანებულ დიაგნოსტიკას». ამდენად, ტენდენციურია და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ობიექტურ შეფასებას არ ემყარება სასამართლოს დასკვნა, რომ შპს «გრანდმა» ტ.ს-შვილს არასწორი დიაგნოზი დაუდგინა, რასაც პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა. სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მითითებული კოდექსის მიღების შემდეგ მიღებული სამედიცინო სფეროში მოქმედი სპეციალური კანონებით «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» და «პაციენტის უფლებების შესახებ». სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი უნდა გამოეყენებინა «პაციენტის უფლებების შესახებ» კანონის მე-10 მუხლთან შეჯერებით. ამდენად, სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის განმარტება არ გამომდინარეობს არც კანონის შინაარსიდან, არც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და ფაქტობრივი გარემოებებიდან. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა, რომ კასატორის კლინიკაში ტ.ს-შვილის მკურნალობას შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან საქმის მასალებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ 2004 წლის 18 ივნისისათვის ჩატარებული მკურნალობის შედეგად მოსარჩელის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუმჯობესდა, რაც ექსპერტიზის დასკვნაშიც აისახა. მან კასატორს კვლავ მხოლოდ 2 წლის შემდეგ მიმართა, რა დროსაც მიეცა ზეპირი კონსულტაცია, მიემართა ტუბდაავადებათა დაწესებულებისათვის. საქმეში არ მოიპოვება უტყუარი მტკიცებულება, რომ 2004 წლის ივნისში მოსარჩელეს დაესვა არასწორი დიაგნოზი და ჩაუტარდა არასწორი მკურნალობა.

სასამართლოს არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოება და მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომ კასატორმა დაარღვია მოსარჩელის უფლებები, ტ.ს-შვილის მიმართ განახორციელა ბრალეული, არამართლზომიერი, მცდარი სამედიცინო მოქმედება, რის გამოც შპს «გრანდისათვის», სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, ასევე «პაციენტის უფლებების შესახებ» კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა მთავარი სხდომის დაწყებამდე წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. შპს «გრანდი» მორიგების პირობების დამტკიცების შესახებ განჩინების მიღების დღიდან სამი კვირის ვადაში ტ. ს-შვილს გადაუხდის 5000 ლარს.

2. იმ შემთხვევაში, თუ შპს «გრანდი» მითითებულ ვადაში არ გადაიხდის ხუთი ათას ლარს, იგი ვალდებულია იღებს, გადაიხადოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული თანხა და ეს გადაწყვეტილება მიექცეს აღსასრულებლად კანონით დადგენილ წესით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დაამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «გრანდს» სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს შპს «გრანდის» დირექტორ თამაზ გრიგოლაშვილის მიერ სახელმწიფო ბაჟი სახით 2008 წლის 22 მაისს გადახდილი 534 ლარი, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება შპს «გრანდსა» და ტ. ს-შვილს შორის შემდეგი პირობით:

1. შპს «გრანდი» მორიგების პირობების დამტკიცების შესახებ განჩინების მიღების დღიდან სამი კვირის ვადაში ტ. ს-შვილს გადაუხდის 5000 ლარს.

2. იმ შემთხვევაში, თუ შპს «გრანდი» მითითებულ ვადაში არ გადაიხდის ხუთი ათას ლარს, იგი ვალდებულია იღებს, გადაიხადოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული თანხა და ეს გადაწყვეტილება მიექცეს აღსასრულებლად კანონით დადგენილ წესით.

დაუბრუნდეს შპს «გრანდს» 2008 წლის 22 მაისს შპს «გრანდის» დირექტორ თამაზ გრიგოლაშვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -534 ლარის ოდენობით.

გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება, ტ. ს-შვილის სარჩელის გამო შპს «გრანდის» მიმართ ზიანის ანაზღაურება თაობაზე.

განემარტოთ მხარეებს, რომ ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა  
მორიგების გამო**

**განჩინება**

#ას-42-327-08

17 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შედადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),  
თ. თოდრია**

**დავის საგანი თავდაპირველ სარჩელში:** ფაქტობრივად დამდგარი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

**დავის საგანი შეგებულ სარჩელში:** სესხის ძირითადი თანხისა და ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 13 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა კ. ვ-ძემ სს „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისაგან ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი ზიანის - 399 775,44 აშშ დოლარის ანაზღაურება, რაც შეადგენს დაკარგული გირავნობის საგნის რეალურ საბაზრო ღირებულებას (26651,696 გრ ოქრო X 15 აშშ დოლარზე).

მოსარჩელე კ. ვ-ძემ ასევე მოითხოვა მოპასუხისაგან მიუღებელი შემოსავლის სახით 133 110 აშშ დოლარის ანაზღაურება, ვინაიდან ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, იგი მიიღებდა მოგებას - თვეში საბრუნავი თანხის 3,33%-ს, ანუ 4437 აშშ დოლარს (133 258,48-ის 3,33%), რაც ხელშეკრულების დარღვევიდან 2003 წლის ივნისიდან სარჩელის აღძვრამდე - 2005 წლის 13 დეკემბრამდე - შეადგენდა 133 110 აშშ დოლარს.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის - 53 288 აშშ დოლარის (სადავო თანხის 10%-ის) მოპასუხისათვის დაკისრება.

2006 წლის 4 ივლისს მოპასუხე „ქართუ ბანკის“ მიერ აღძრულ იქნა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა 2002 წლის 30 მაისს დადებული საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე კ. ვ-ძისათვის სესხის ძირითადი თანხის - 133 190 აშშ დოლარის, დარიცხული ჯარიმის - 477 210 აშშ დოლარის, სულ - 610 400 აშშ დოლარის ანაზღაურება, ასევე, მოითხოვა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის, დავის საგნის ღირებულების - 10%-ის ანაზღაურება.

მოსამზადებელ სტადიაზე მოპასუხე სს „ქართუ ბანკმა“ შეცვალა წარდგენილი შეგებებული სარჩელის საფუძველი, კერძოდ, დაზუსტებული შეგებებული სარჩელის თანახმად, სს „ქართულ ბანკმა“ მოითხოვა კ. ვ-ძისაგან სესხის ძირითადი თანხის - 133 190 აშშ დოლარის ანაზღაურება, ასევე ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის მინიმალური ზიანის სახით ვადის გადაცილებიდან 2003 წლის ოქტომბრიდან (იმ დროიდან, როდესაც მოვალემ შეწყვიტა გადახდა) 2007 წლის 1 ივნისამდე ერთდროულად 175 824 აშშ დოლარის ანაზღაურება (133 190-ის 3% ყოველთვიურად შეადგენს 3996 აშშ დოლარს) და 2007 წლის 1 ივნისიდან ვალდებულების შესრულებამდე ყოველთვიურად 3996 აშშ დოლარის ანაზღაურება, გარდა ამისა, შეგებებული სარჩელით სს „ქართუ ბანკმა“ მოითხოვა ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის - 12 360 აშშ დოლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით კ. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სს «ბანკი ქართუს» შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კ. ვ-ძეს სს «ბანკი ქართუს» სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის - 133 190 აშშ დოლარის გადახდა, მასვე დაეკისრა ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონისმიერი პროცენტის, ერთდროულად 73 254,5 აშშ დოლარისა და 2007 წლის 1 ივნისიდან ვალდებულების სრულ შესრულებამდე თვეში 1664,90 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.06.2007 წლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. ვ-ძემ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინებით კ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.06.2007 წლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა კ. ვ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით კ. ვ-ძისა და სს „ბანკი ქართუს“ სარჩელები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; კ. ვ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა 399 775 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში, ხოლო სს „ბანკი ქართუს“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა 133 190 აშშ დოლარის ნაწილში; ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით სს „ბანკი ქართუს“ კ. ვ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 266 585 აშშ დოლარის გადახდა.

2008 წლის 30 ივნისს სს „ბანკი ქართუმ“ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა მოსარჩელე კ. ვ-ძის დანაშაულებრივ ქმედებაზე, რის დასადასტურებლადც წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებლის 2008 წლის 16 ივნისის დადგენილება კ. ვ-ძის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მოსამართლის ბრძანება კ. ვ-ძის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. 2008 წლის 30 ივნისის განმცხადებელმა წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენი.

მხარეებმა ასევე ერთობლივი განცხადებით მომართეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა თავიანთ სარჩელებზე უარის თქმის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებით გაუქმდა ამავე სასამართლოს 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და ამ საქმეზე განახლდა საკასაციო წარმოება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ კ. ვ-ძისა და სს „ბანკი ქართუს“ განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

მოცემულ საქმეზე, კასატორებმა კ. ვ-მემ და სს «ქართუ ბანკმა» წარმოდგინილი განცხადებით უარი განაცხადეს თავიანთ სარჩელებზე და მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება.

მხარეებს განემარტოთ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება (სსკ-ის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 272-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

კ. ვ-ძისა და სს „ბანკი ქართუს“ ერთობლივი განცხადება დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს ამ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებები და შეწყდეს საქმის წარმოება მხარეთა მიერ თავიანთ სარჩელებზე უარის თქმის გამო;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

#### **განჩინება**

# ას-478-719-08

2 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი**

**დავის საგანი:** აქტების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 12 ივნისს თერჯოლის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ფ-მემ, მოპასუხედ ჯ. ფ-მე, თერჯოლის რაიონის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის უფროსი - ლ. თ-მე, თერჯოლის რაიონის ნოტარიუსი - თ. ჩ-მე დაასახელა და მოითხოვა: 2007 წლის 18 აპრილის #2-61 სარეგისტრაციო მოწმობის გაუქმება, რომლითაც სადავო ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე ჯ. ფ-მე გახდა, სამემკვიდრეო მოწმობის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურში მომხდარი ჩანაწერის სამემკვიდრეო მოწმობის გაუქმება (ასევე სადავო საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის ჯ. ფ-მეზე აღრიცხვის შესახებ); ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს რეესტრის 1988 წლის 26 დეკემბრის ჩანაწერის გაუქმება, რომლითაც მისი საკუთარი საცხოვრებელი სახლი მამკვიდრებელ შ. ფ-მის სახელზე რეგისტრირებული და ამ ჩანაწერის საფუძველად გამოყენებული 1988 წლის 26 დეკემბრის #497 ტექნიკური პასპორტის გაუქმება; მიწის (უძრავი ქონების) 2002 წლის 2 აპრილის #4566\2002 სარეგისტრაციო მოწმობის #115 მიწის ნაკვეთის მიმართ, რომლითაც შ. ფ-მის სახელზე აღრიცხული მოსარჩელის სახლი და მიწის ნაკვეთი და იმავე თარიღის #4563\2002 მოწმობა #112 მიწის ნაკვეთის მიმართ, რომლითაც ა. ფ-მეზეა მიკუთვნებული შ. ფ-მის სახლი და სამოსახლო ნაკვეთი;

ასევე მოითხოვა მოპასუხე ჯ. ფ-მის გამოსახლება სადავო საცხოვრებელი სახლიდან მდებარე თერჯოლის რაიონის ... თემის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლიდან.

მოსარჩელის განმარტებით მამის გარდაცვალებიდან 1978 წლიდან 1984 წლამდე სადავო საცხოვრებელი სახლი მის სახელზე ირიცხებოდა და გადასახადებსაც იგი იხდიდა.

1985 წლიდან სახლი შ. ფ-მის სახელზე ირიცხება, ხოლო მამის - მ. ფ-მის კომლი გაუქმებულია კომლის უკანასკნელი წევრის გარდაცვალების გამო.

მოსარჩელის განმარტებით მამამისის კომლი არ უნდა გაუქმებულიყო, რადგან მოსარჩელეც ამ კომლის წევრი იყო და მამის გარდაცვალების შემდეგ ავტომატურად დაეუფლა ქონებას. საქმეშია 2001 წლის 17 აპრილს გაცემული ცნობა, რომლის თანახმადაც, სადავო საცხოვრებელი სახლი, საკომლო წიგნის მიხედვით, სწორედ მოსარჩელეზე ირიცხებოდა.

მოპასუხეებმა სარჩელი უსაფუძვლოდ და ხანდაზმულად მიიჩნიეს და მის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადეს.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 01 ნოემბრის გადაწყვეტილებით ა. ფ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. ფ-მე აღიარებულ იქნა თერჯოლის რაიონის სოფ. ... მდებარე სადავო #115 მიწის ნაკვეთისა და ამ ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელი სახლის 1\2-ის მესაკუთრედ, ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული აქტები, სარჩელის მოთხოვნას სადავო ქონების მეორე ნახევარზე ეთქვა უარი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ფ-მემ. გადაწყვეტილებაზე შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა ა. ფ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით ჯ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ა. ფ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ა. ფ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა 1988 წლის 26 დეკემბრის ტექ. ბიუროს ჩანაწერებისა და ამავე თარიღის #497 ტექნიკური პასპორტის გაუქმების თაობაზე - ხანდაზმულია. პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად აღნიშნული ჩანაწერის არსებობის თაობაზე, მოსარჩელისათვის ჯერ კიდევ 1990 წელს იყო ცნობილი.

მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლოს გაუქმებინა 2002 წლის 2 აპრილის #115 მიწის ნაკვეთზე სარეგისტრაციო მოწმობა, რომლითაც შ. ფ-მის სახელზე აღრიცხა სადავო საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი და იმავე თარიღით #112 მიწის ნაკვეთზე გაცემული სარეგისტრაციო მოწმობა, რომლითაც პირიქით, მოსარჩელეს მიეკუთვნა შ. ფ-მის სახლი და სამოსახლო ნაკვეთი სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა. პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების დასადასტურებლად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ... თემის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2001 წლის 17 აპრილის ცნობა #132, არაა ის მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელია იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურება, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი რიცხული იყო ა. ფ-მის სახელზე და რომ ა. ფ-მე იყო მისი მესაკუთრე.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელის უძრავ ნივთზე მესაკუთრედ ცნობის სამართლებრივი საფუძველი ვერ გახდებოდა ... სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1981 წლის 25 დეკემბრის #99 გადაწყვეტილება (მოსარჩელის კომლად აყვანის შესახებ)

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ კოლმეურნეობების რეორგანიზაციასა და ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით არსებობა შეწყვიტა საკოლმეურნეო კომლმა და შეიქმნა საკოლმეურნეო მეურნეობა. ა. ფ-მე არასოდეს დარეგისტრირებულა საკომლო მეურნეობად და არც სადავო ქონება დაურეგისტრირებია საადგილმამულო წიგნში.

პალატამ განმარტა, რომ ა. ფ-მის სახელზე გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობის მიუხედავად, რომლის მიღება-ჩაბარების აქტი საარქივო მასალებში არ არის, სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ა. ფ-მე ვერ იქნებოდა, ვინაიდან მიწა 1992 წლამდე მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ფ-მემ.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების გარეშე და კანონის უხეშო დარღვევით უთხრა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომლის ერთ-ერთ მოტივად მიუთითა, რომ თითქოს სასარჩელო მოთხოვნა 1988 წლის 26 დეკემბრის ტექ.ბიუროს ჩანაწერებისა და იმავე თარიღის #437 ტექ.პასპორტის გაუქმების თაობაზე იყო ხანდაზმული. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა რომ იგი აღნიშნული დოკუმენტების გაუქმებას მოითხოვდა უკვე მას შემდეგ, რაც სადავო სახლი გადაფორმებული იყო მის ძმისშვილ, მოპასუხე ჯ. ფ-მეზე და რისი მოთხოვნის საფუძველიც მას წარმოეშვა 2007 წლის აპრილის თვეში, მას შემდეგ, როცა უარი უთხრეს ბინაში შესვლაზე და მისთვის ცნობილი გახდა, რომ სახლი მასთან შეუთანხმებლად გადაფორმებული იყო ძმისშვილზე. ამდენად არავითარი ხანდაზმულობა არ არსებობს.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად მიუთითა იმის თაობაზე, რომ მას არ აქვს #115 მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი სამართლებრივი დოკუმენტი, მაშინ, როცა 1981 წელს ჩაწერილი იყო მამის კომლში და სახლიც და მიწის ნაკვეთი #115 ირიცხებოდა მის სახელზე და აღდგენილი იყო სოფ. ... სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სრულუფლებიან კომლად.

კასატორის აზრით სააპელაციო სასამართლო ასევე უკანონოდ დაეყრდნო თერჯოლის რაიონის საჯარო რეესტრის სამსახურის უფროსის განმარტებას 2002 წლის #115 სადავო მიწის ნაკვეთზე სარეგისტრაციო მოწმობათა გაცემის თაობაზე, მაშინ, როცა აღნიშნული დარღვევისათვის იგი დასჯილი იყო ადმინისტრაციული წესით, რაც მის მიერ წარდგენილი იყო სააპელაციო სასამართლოში. საქმეში არსებობს აღმასკომის გადაწყვეტილებები, საბჭოს მიერ გაცემული ცნობები და სხვა დოკუმენტები საიდანაც დასტურდება სახლის და #115 მიწის ნაკვეთი აღრიცხვა მის სახელზე.

კასატორის აზრით არასწორია პალატის განმარტება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან 1992 წლამდე მიწა იყო სახელმწიფო საკუთრება იგი ვერ გახდებოდა მიწის მესაკუთრე, რადგან მართალია სადავო მიწას ფლობდა სარგებლობის უფლებით, მაგრამ შემდგომში იგი გადავიდა მის საკუთრებაში. ასევე უკანონოა სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ არც არსებობს სადავო მიწის ნაკვეთზე და სახლზე მიღება-ჩაბარების აქტი, რადგან გაუგებარია, ვის უნდა მიეცა მიღება-ჩაბარების აქტი.

კასატორის აზრით სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არა-ერთი საპროცესო ნორმის დარღვევით.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

უხედავად სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 4 ივლისის განჩინების დასვეებად იქნა ცნობილი ა. ფ-მის საკასაციო საჩივარი.

2008 წლის 2 ოქტომბრის სასამართლო სახდელმაზე ნხარეთა მიერ წარმოდგენილი იქნა მორიგების აქტი და მოითხოვეს მისი დამტკიცება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, მხარეთა მორიგების აქტის შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. ზემოაღნიშნული ნორმების შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ფ-მესა და ჯ. ფ-მეს შორის დამტკიცდეს მორიგება შემდეგი პირობებით:

1. ჯ. ფ-მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი მდებარე სოფ. ... /ორსართულიანი/, დარჩეს მას საკუთრებაში #115 მიწის ნაკვეთთან ერთად და მასზე სადავო ა. ფ-მეს არ ექნება. ჯ. ფ-მე თანახმაა, გადაუხადოს ექვსი თვის ვადაში 2500 აშშ დოლარი ა. ფ-მეს.

2. ა. ფ-მის კუთვნილ #112 მიწის ნაკვეთზე და მასზე აღმართულ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე სოფ. ... პრეტენზია არ ექნება ჯ. ფ-მეს.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო, უნდა გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად, შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის - 272-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ა. ფ-ძესა და ჯ. ფ-ძეს შორის დამტკიცდეს მორიგება შემდეგი პირობებით:

1. ჯ. ფ-ძის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი, მდებარე სოფ. ... /ორსართულიანი/, დარჩეს მას საკუთრებაში #115 მიწის ნაკვეთთან ერთად და მასზე სადავო ა. ფ-ძეს არ ექნება. ჯ. ფ-ძე თანახმაა, გადაუხადოს ექვსი თვის ვადაში 2500 დოლარი ა. ფ-ძეს.

2 ა. ფ-ძის კუთვნილ #112 მიწის ნაკვეთზე და მასზე აღმართულ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე სოფ. ... პრეტენზია არ ექნება ჯ. ფ-ძეს.

გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდეს.

განემარტოთ მხარეებს, რომ იგივე მხარეებს შორის იგივე დავაზე სასამართლოსათვის მომართვა დაუშვებელია.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-436-678-08

9 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2003 წლის 19 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ლ. ბ-შვილმა, ქ. და მ. ფ-იებმა მოპასუხეების - ა. და თ. ა-ძეების, მესამე პირის - ბათუმის ტექადრიცხვის სამსახურის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს მოპასუხეების მიერ უნებართვოდ აშენებული ნაგებობების აღება და წილთა პროპორციულად მიწის ნაკვეთის რეალურად გაყოფა.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ მათი და მოპასუხეების სახლთმფლობელობები მდებარეობდა ბათუმში, ... ქ. #52-ში, 683კვ.მ მიწის ფართობზე. ქ. და მ. ფ-იების საკუთრებას შეადგენდა სახლთმფლობელობის 2/7, ლ. ბ-შვილის საკუთრებას - 8/28, ა. ა-ძის საკუთრებას - 6/21, ხოლო თ. ა-ძის საკუთრებას - 3/21. მოპასუხეებმა საერთო საკუთრების ეზოში ყოველგვარი თანხმობის გარეშე, უკანონოდ ააგეს ნაგებობები, რითაც შეიზღუდა თანამესაკუთრეთა უფლებები. რამდენადაც სადავო ფართი საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მიხედვით, მასზე ყოველგვარი სამუშაოს ჩატარება თანამესაკუთრეთა თანხმობას საჭიროებდა. მშენებლობის წარმოებისათვის ასევე საჭირო იყო არქიტექტურის თანხმობა, რაც მოპასუხეებს არ გააჩნდათ.

მოსარჩელეთა მტკიცებით, მოპასუხეებს უნებართვო მიშენებების გათვალისწინებით ეჭირათ 206.9კვ.მ. აღნიშნულის გათვალისწინებით, უკანონო შენობების წილის გაზრდით მიწის რეალურად გაყოფისას დამატებით რჩებოდათ 86.5კვ.მ მიწის ნაკვეთი, რითაც ილახებოდა მათი უფლებები. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 961-ე და 963-ე მუხლების შესაბამისად, მათ, როგორც თანამესაკუთრეებს, უფლება ჰქონდათ, მიწის რეალურად გაყოფა მოეთხოვათ იმ წილთა პროპორციულად, რასაც ფლობდნენ.

2003 წლის 29 მაისს ა. და თ. ა-ძეებმა იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინეს მოპასუხეების - ლ. ბ-შვილის, ქ., მ. ფ-იებისა და ქ. ბათუმის მერიის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს: საერთო სარგებლობის ეზოს რეალური გაყოფა, ეზოს 1/2 ანუ 341.5 კვ.მ-ის გამოყოფა, ქ. ბათუმში აჭარის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის კაბინეტის 1992

წლის 18 დეკემბრის #1087 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ლ. ბ-შვილის მიერ ეზოში უნებართვოდ აშენებული ღობის აღება, შემდეგი საფუძვლებით:

1921 წლის 9 თებერვალს მათმა და ლ. ბ-შვილის წინაპარმა სანოტარო წესით დამოწმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით თანაბარწილად შეიძინეს სადავო სახლთმფლობელობა მიწის ნაკვეთთან ერთად. 1929 წლის 3 ოქტომბერს მეზობლებს შორის მოხდა შეთანხმება ეზოს თანაბარწილად გაყოფის შესახებ. რამდენადაც საერთო სარგებლობის ეზო 683კვ.მ იყო, მისი ნაწილი შეადგენდა 341.5კვ.მ-ს, საიდანაც მათი ნაგებობებით დაფარული იყო მხოლოდ 206კვ.მ. ამასთან, ეზოს დანარჩენი ნაწილიდან კიდევ 136.5კვ.მ ეკუთვნოდათ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ა. და თ. ა-ძეები მიუთითებდნენ, რომ მ. და ქ. ფ-ებმა უკანონოდ, მათი ნებართვის გარეშე ააგეს 9კვ.მ სათავსი, რომელიც სამართლებრივ რეგისტრაციაში აჭარის ა/რ-ის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 12 დეკემბრის #1087 გადაწყვეტილებით გატარდა. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მხოლოდ სასამართლოში მათ წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის შემდგომ შეიტყვეს.

შეგებებული სარჩელის ავტორთა მოსაზრებით, მოპასუხეებს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გაშვებული ჰქონდათ, ვინაიდან მათი ნაგებობები აშენებული იყო 1992 წლამდე, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 6 ივნისის #421 გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით ლ. ბ-შვილის, მ. და ქ. ფ-ების სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ა. და თ. ა-ძეების შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მხარეებს შორის საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთი რეალურად გაიყო, თითოეულ მხარეს მიეკუთვნა ეზოს 1/2; ა. და თ. ა-ძეების მოთხოვნა უკანონო მინაშენის (სათავსის) აღებაზე არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ბ-შვილმა, ქ. და მ. ფ-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ბ-შვილის, ქ. და მ. ფ-ების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ლ. ბ-შვილის, ქ. და მ. ფ-ების სასარჩელო მოთხოვნა, ასევე, თ. და ა. ა-ძეების შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მხარეებს შორის სადავო საერთო სარგებლობის მიწის ნაკვეთი რეალურად გაიყო, რითაც მოსარჩელეს 380 კვ.მ, ხოლო მოპასუხეს - 303 კვ.მ დარჩა; სარჩელისა და შეგებებული სარჩელის დანარჩენი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მხარეებს უარი ეთქვათ.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. და თ. ა-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის 28 აპრილის განჩინებით თ. და ა. ა-ძეების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2003 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 14 ივნისის განჩინებით თ. და ა. ა-ძეების განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა. ლ. ბ-შვილს, ქ. და მ. ფ-ებს აკრძალა ბათუმში, ... ქ. #52-ში საერთო სარგებლობის ეზოში ყოველგვარი მშენებლობის წარმოება სასამართლოს მიერ სადავო საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ლ. ბ-შვილის, ქ. და მ. ფ-ების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ლ. ბ-შვილის, ქ. და მ. ფ-ების მიერ. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საერთო საკუთრების ეზოს გაყოფა სახლთმფლობელობის არსებული წილების გათვალისწინებით, სადაც კასატორების წილი შეადგენდა 4/7, ხოლო ა-ძეების - 3/7-ს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 24 მარტის განჩინებით ქ. და მ. ფ-ების, ლ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2004 წლის 12 ოქტომბრის განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას.

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 29 ივნისის განჩინებით ქ. და მ. ფ-ების, ლ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ



დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება.

აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 29 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ბ-შვილმა, ქ. და მ. ფ-იებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სადავო მიწის ნაკვეთიდან 4/7 წილის გამოყოფა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ლ. ბ-შვილის, ქ. და მ. ფ-იების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 29 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა აჭარის ა/რ-ის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

«საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანულ კანონში 25.11.2005წ. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა აჭარის ა/რის უმაღლესი სააპელაციო სასამართლო, რომლის წარმოებაში არსებული საქმეები ლიკვიდაციის შემდეგ გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 11 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. ბ-შვილის, ქ. და მ. ფ-იების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ლ. ბ-შვილის, ქ. და მ. ფ-იების სარჩელი დაკმაყოფილდა, გაიყო ბათუმში, ... ქ. #52-ში არსებული საზიარო მიწის ნაკვეთი საქმეში წარდგენილი ნახაზის შესაბამისად, ლ. ბ-შვილს, ქ. და მ. ფ-იებს ქ. ბათუმში, ... ქ. #52-ში არსებული მიწის ნაკვეთიდან მიეკუთვნათ 390 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო თ. ა-ძესა და ა. ა-ძეს ქ. ბათუმში, ... #52-ში არსებული მიწის ნაკვეთიდან მიეკუთვნათ 293 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თ. ა-ძისა და ა. ა-ძის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანეს ა. ა-ძემ და თ. ა-ძემ (წარმომადგენელი თ. ს-ია), რომლითაც მოითხოვეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის არსებითად განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 11 სექტემბრის განჩინებით თ. ა-ძის (წარმომადგენელი თ. სარია) საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 11 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

ზემოაღნიშნული დავის მიმდინარეობისას, 2006 წლის 3 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ა. და თ. ა-ძეებმა მოპასუხეების - ქ. და მ. ფ-იების, ლ. ბ-შვილის, კ. მ-ძისა და ქ. ბათუმის მერიის, მესამე პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს ქ. ბათუმში, ... ქ. #52-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და სახლთმფლობელობის 1/2-ის მათ საკუთრებაში აღრიცხვა და საჯარო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით ა. და თ. ა-ძეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. და თ. ა-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განჩინებით ა. და თ. ა-ძეების სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის განჩინებით ზემოაღნიშნული სამოქალაქო საქმეები ერთ წარმოებად გაერთიანდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. და თ. ა-ძეების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება; ქ. ფ-იას, მ. ფ-იასა და ლ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ქ. ფ-იას, მ. ფ-იასა და ლ. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საზიარო უფლება ქ. ბათუმში, ... ქ. #52-ში მდებარე მხარეთა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და აღნიშნული რეალურად გაიყო იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის 2003 წლის 16 ივნისის #47/18 დასკვნისა და იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის მიერ 2007 წლის 17 აპრილს შედგენილი #1054/5 დასკვნის პირველი ვარიანტის შესაბამისად; ა. და თ. ა-ძეების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ, 2001 წლის 28 მარტს შედგენილ ტექნიკური აღრიცხვის ბარათზე, რომლითაც ირკვეოდა, რომ ბათუმში, ... ქ. #52-ში მდებარე სახლთმფლობელობაში მოდავე მხარეების წილები შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: ა. ა-ძე - 6/21

ნაწილი, თ. ა-მე - 3/21 ნაწილი, ლ. ბ-შვილი და კ. მ-მე - 8/28 ნაწილი, ქ. და მ. ფ-იები - 2/7 ნაწილი, ხოლო 2003 წლის 5 სექტემბრის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ლ. ბ-შვილისა და კ. მ-მის 8/28 ნაწილი მთლიანად აღირიცხა ლ. ბ-შვილის სახელზე.

საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 1921 წლის 3 თებერვლის სანოტარო ხელშეკრულებით შ. ც-მემ და ა. ა-მემ თანაბარი წილის უფლებით შეიძინეს ბათუმში, ... ქ. #46-ში მდებარე შენობა-ნაგებობები, რომელიც განთავსებული იყო სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული სახლთმფლობელობიდან ა. ა-მემ მისი კუთვნილი წილი 30-იან წლებში საკუთარი სურვილით ჩააბარა კომუნალურ ფონდს, ხოლო ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1971 წლის 29 დეკემბრის #1/132 გადაწყვეტილების საფუძველზე მის მიერ გამოსყიდულ იქნა აღნიშნული სახლთმფლობელობის 3/7 ნაწილი, რაც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ტექნიკენტაროზაციის ბიუროში აღირიცხა მის საკუთრებაში.

რამდენადაც ა. და თ. ა-მეები წარმოადგენდნენ იმ უძრავი ქონების მესაკუთრეებს, რომელიც გარდაცვალებამდე ა. ა-მის საკუთრება იყო, ამასთან, ტექნიკენტაროზაციის ბიუროს ჩანაწერებით მათ სახელზე ირიცხებოდა ბათუმში, ... ქ. #52-ში მდებარე სახლთმფლობელობის 3/7, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ აღნიშნული წარმოადგენდა მათ საკუთრებას.

იმის გათვალისწინებით, რომ 1921 წლის 3 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებით მიღებული ქონება 30-იანი წლებიდან ა. ა-მის საკუთრებას აღარ წარმოადგენდა, სააპელაციო სასამართლომ ამ ხელშეკრულებით წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი გაუქმებულად მიიჩნია. შესაბამისად, უსაფუძვლოდ ჩაითვალა ა. და თ. ა-მეების მითითება სადავო უძრავ ქონებაზე 1921 წლის 3 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილი უფლების აღიარების თაობაზე.

სადავო სახლთმფლობელობის 683კვ.მ საერთო საკუთრების მიწაზე მესაკუთრეთა წლობრივი მონაცემების მიხედვით საზიარო უფლების გაუქმებასა და მათი კუთვნილი წილის რეალურად გაყოფასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ ექსპერტის დასკვნებზე და მათზე დაყრდნობით მოსარჩელეთა დასახელებული მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებლად მიიჩნია.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. და თ. ა-მეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

კასატორთა მითითებით, სადავო საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო მთლიანად დაეყრდნო ექსპერტის დასკვნას და, თავის მხრივ, არ შეუფასებია მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი შესაძლებლობა, კერძოდ, სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა ის გარემოება, რომ ეზოს გაყოფა გამოიწვევდა მოპასუხეების უფლებების დარღვევას. ასეთ პირობებში აღნიშნულების გარეშე რჩებოდა კასატორებისათვის მიკუთვნებული 3/7კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის ნამდვილ შინაარს ეწინააღმდეგებოდა. კანონის აღნიშნული ნორმის თანახმად, საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე საკასაციო საჩივრის განხილვისას კასატორებმა განაცხადეს, რომ ამცირებენ საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, უარს ამბობენ კასაციაზე ყველა ნაწილში, გარდა ქ., მ. ფ-იებისა და ლ. ბ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილისა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებენ მხოლოდ ქ., მ. ფ-იებისა და ლ. ბ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საზიარო უფლების გაუქმებისა და რეალურად გაყოფის შესახებ და რომ მათ მხოლოდ ამ ნაწილში აქვთ საქმეზე ინტერესი. კასატორებმა იმუამდგომლეს საკასაციო საჩივრის მხოლოდ აღნიშნულ ნაწილში განხილვა.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე მხარეებმა ასევე განაცხადეს, რომ შეთანხმდნენ და წარმოადგინეს შემდეგი შინაარსის მორიგების აქტი:

პროცესის მონაწილე მხარეები, ერთი მხრივ, კასატორები - თ. და ა. ა-მეები, ხოლო, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე მხარეები - ლ. ბ-შვილი, ქ. და მ. ფ-იები მორიგდნენ შემდეგზე:

1. ქ. ბათუმში, ... ქ. #52-ში არსებულ, მხარეთა საერთო საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთზე გაუქმდეს საზიარო უფლება და იგი გაიყოს მხარეებს შორის საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 26 აპრილის #1054/5 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტის დასკვნით გათვალისწინებული მეორე ვარიანტის შესაბამისად, კერძოდ:

პირველი პოზიცია - 40სმ;

მეორე პოზიცია - კიბიდან 5.20 მეტრი;

მესამე პოზიცია - კიბის სისწორიდან 2.60 მეტრი, სახლიდან 3.20 მეტრი;

მეოთხე პოზიცია - კიბის სისწორიდან 4.01 მეტრი;

მეხუთე პოზიცია - კიბიდან 3.02 მეტრი;

მეექვსე პოზიცია - სახლის კედლიდან 2.40 მეტრი;

მეშვიდე პოზიცია - სახლის კუთხიდან 1.59 მეტრი;

მერვე პოზიცია - ჭიშკარი - სახლიდან 1.57 მეტრი.

2. მიწის ნაკვეთის გასამიჯნავად საჭირო ხარჯები მხარეებს შორის განაწილდეს თანაბარწილად. მხარეები თანახმა არიან, გამიჯვნა მოხდეს ყრუ კედლით.

3. გაუქმდეს უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული მშენებლობის აკრძალვა, ქ. ბათუმში, ... ქ. #52-ში.

მხარეებმა მოითხოვეს მორიგების აქტის დამტკიცება და საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარზე ნაწილობრივ წარმოება უნდა შეწყდეს და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, 2008 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე, კასატორებმა განაცხადეს, რომ ამცირებენ საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, უარს ამბობენ კასაციაზე ყველა ნაწილში, გარდა ქ., მ. ფ-იებისა და ლ. ბ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილისა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც ასაჩივრებენ მხოლოდ ქ., მ. ფ-იებისა და ლ. ბ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საზიარო უფლების გაუქმებისა და რეალურად გაყოფის შესახებ და რომ მათ მხოლოდ ამ ნაწილში აქვთ საქმეზე ინტერესი. კასატორებმა იშუამდგომლეს საკასაციო საჩივრის მხოლოდ აღნიშნულ ნაწილში განხილვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს - ცნოს სარჩელი.

მოცემულ შემთხვევაში კასატორებმა საკასაციო საჩივარზე ნაწილობრივ უარის თქმით მოახდინეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ამავე კოდექსის 378-ე, 272-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარზე ნაწილობრივ უარის თქმის გამო უნდა შეწყდეს საკასაციო საჩივრის წარმოება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებაზე ყველა ნაწილში გარდა იმ ნაწილისა, რომლითაც დაკმაყოფილდა ქ., მ. ფ-იებისა და ლ. ბ-შვილის სარჩელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივრის დარჩენილი ნაწილის ფარგლებში წარმოდგენილი მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, კასატორებს - ა. და თ. ა-ძეებს უნდა დაუბრუნდეთ თამარ სირიას მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი - 150 ლარი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «გ» და «დ» ქვეპუნქტებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

I. დაკმაყოფილდეს კასატორების შუამდგომლობა. შეწყდეს წარმოება საკასაციო საჩივარზე, გარდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების იმ ნაწილში გასაჩივრებისა, რომლითაც დაკმაყოფილდა ქ., მ. ფ-იებისა და ლ. ბ-შვილის სარჩელი.

II. დაკმაყოფილდეს მხარეთა შუამდგომლობა და დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

1. ქ. ბათუმში, ... ქ. #52-ში არსებულ, მხარეთა საერთო საკუთრებაში რიცხულ მიწის ნაკვეთზე გაუქმდეს საზიარო უფლება და იგი გაიყოს მხარეებს შორის საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 26

აპრილის #1054/5 საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტის დასკვნით გათვალისწინებული მეორე ვარიანტის შესაბამისად, კერძოდ:

პირველი პოზიცია - 40სმ;

მეორე პოზიცია - კიბიდან 5.20 მეტრი;

მესამე პოზიცია - კიბის სისწორიდან 2.60 მეტრი, სახლიდან 3.20 მეტრი;

მეოთხე პოზიცია - კიბის სისწორიდან 4.01 მეტრი;

მეხუთე პოზიცია - კიბიდან 3.02 მეტრი;

მეექვსე პოზიცია - სახლის კედლიდან 2.40 მეტრი;

მეშვიდე პოზიცია - სახლის კუთხიდან 1.59 მეტრი;

მერვე პოზიცია - ჭიშკარი - სახლიდან 1.57 მეტრი.

2. მიწის ნაკვეთის გასამიჯნავად საჭირო ხარჯები მხარეებს შორის განაწილდეს თანაბარწილად. მხარეები თანახმა არიან გამიჯვნა მოხდეს ყრუ კედლით.

3. გაუქმდეს უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული მშენებლობის აკრძალვა, ქ. ბათუმში, ... ქ. #52-ში.

III. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, ამ ნაწილში შეწყდეს საქმის წარმოება. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

IV. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

V. ა. და თ. ა-ძეებს დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე თამარ სირიას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი - 150 ლარი ანგარიშიდან: თბილისის არასაგადასახადო შემოსულობების #200122900, საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი - #220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300773150, დანიშნულება - სახელმწიფო ბაჟი საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსახილველ საქმეებზე.

VI. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მხარეების მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

### განჩინება

#ას-398-646-08

21 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემდგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თანხის გადახდა

#### აღწერილობითი ნაწილი:

შპს «საქავტოტრანსის» ფილიალის #113-ე (ყოფილი #2678) ავტოკოლონამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ს. წ-შვილის მიმართ საიჯარო გადასახადის - 744 აშშ დოლარისა და ავტომობილის დარჩენილი ღირებულების - 2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი 5904 ლარის გადახდევინების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1993 წლის 15 მაისს «საქავტოტრანსის» #2678 ავტოკოლონის მძღოლ ს. წ-შვილს იჯარით გადაეცა მოსარჩელის კუთვნილი მოპასუხის სახელზე გაპირებული «კამაზ-53212» მარკის ავტომობილი სახელმწიფო ნომრით «0718 გრე». მოპასუხეს საიჯარო ქირა არ გადაუხდია და არც ავტომანქანა მოსარჩელისათვის არ დაუბრუნებია.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინებით შპს «საქავტოტრანსის» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ს. წ-შვილს იჯარით 3 თვის ვადით გადაეცა «კამაზ-53212» მარკის ავტომობილი, რომელიც მას საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელისათვის არ დაუბრუნებია. პალატამ ჩათვალა, რომ

აპელანტის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, 1993 წლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212-ე მუხლი, ხოლო 1998 წლის ვალდებულების აღიარების ხელწერილიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის - 361-ე მუხლის მეორე ნაწილი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო ურთიერთობისას მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულად სავსებით მართებულად ჩათვალა, ვინაიდან მხარეს არ მიუთითებია ისეთ გარემოებებზე, რომლებიც, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 82-ე და 83-ე მუხლების მიხედვით, შეიძლება ჩათვლილიყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობის შეჩერების ან შეწყვეტის კანონით დადგენილ საფუძველად და მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ასეთად მიჩნევის შემთხვევაშიც, აღნიშნული ზემოხსენებული ვადის შეწყვეტას ან შეჩერებას ვერ გამოიწვევდა, რადგან, მითითებული მტკიცებულებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის დარღვევით, წარმოდგენილ იქნა არა დედნის, არამედ - ასლების სახით. სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტმა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეჩერდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ 1998 წელს ვალდებულების აღიარების გამო, ვინაიდან, ფაქტობრივად, ს. წ-შვილს სადავო ვალდებულება არ უღიარებია, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება კი წარდგენილ იქნა ასლის სახით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოთ მითითებული დოკუმენტის დედნის სახითაც წარმოდგენისა და, შესაბამისად, სადავო ხანდაზმულობის ვადის 1998 წლიდან ათვლის შემთხვევაშიც მოსარჩელის მიერ 2006 წლის 18 აგვისტოს აღძრული მოთხოვნა მაინც ხანდაზმული იქნებოდა, რადგან გასული იყო სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სახელშეკრულებო ურთიერთობებზე დადგენილი 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს «საქავტოტრანსმა» გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევისას არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომ, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ორგანიზაციის უფროსმა კ.კ-ავამ 1996 წლის 1 მაისს #7 წერილით მიმართა შპს სისხლის სამართლის სამმეზროს მთავარ სამმართველოს უფროს ა. ჟ-იას (აღნიშნული მიმართვა საქმეში წარმოდგენილია დედნის სახით), სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცვით, რომელიც გადიოდა 1996 წლის 15 აგვისტოს. ასევე, 1998 წელს კასატორმა სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში ზარალის ანაზღაურების თაობაზე. ამავე წლის 18 მარტს მოსამართლე ვ. კ-მემ სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განჩინებით გადაუგზავნა მცხეთის რაიონულ პროკურატურას ს. წ-შვილის ქმედებაში შესაძლო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არსებობის მოტივით. საქმეში არსებული მცხეთის საგამომიებო განყოფილების უფროსის 2005 წლის 7 აპრილის ცნობის დედნით ირკვევა, რომ მცხეთის რაიონულმა პროკურატურამ სასამართლოდან გადმოგზავნილი მასალები გადაუგზავნა მცხეთის საგამომიებო განყოფილებას. 1998 წლიდან 2005 წლამდე აღნიშნული მასალები იმყოფებოდა სამართალდამცავი ორგანოების სხვადასხვა სტრუქტურებში ისე, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ იქნა, რადგან სადავო ხანდაზმულობის ვადა შეჩერებული იყო. აღნიშნულისათვის სასამართლოს შეფასება არ მიუცია. სამოქალაქო კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა გრძელდება 2005 წლის 7 აპრილიდან და სადავო სარჩელი შეტანილ იქნა 2006 წლის 18 აგვისტოს განმეორებით, ვინაიდან პირველი 1998 წელს შეტანილი სასარჩელო განცხადება, მოსარჩელისაგან დამოუკიდებელი მიზეზით, სამართალდამცავ ორგანოებში დაიკარგა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. მოპასუხე ს. წ-შვილი კისრულობს ვალდებულებას, 10 თვის განმავლობაში გადაიხადოს სადავო თანხიდან შეთანხმებით მიღწეული თანხა - 1000 აშშ დოლარი ყოველთვიურად 100 აშშ დოლარის გადახდით შპს «საქავტოტრანსის» სასარგებლოდ;

2. პირობის დარღვევის შემთხვევაში ხელწერილის დადების დღიდან ორი წლის შემდეგ ს. წ-შვილმა უნდა გადაიხადოს სადავო თანხა - 2500 აშშ დოლარი სრულად.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებოდნენ და აწერენ ხელს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს «საქავტოტრანსს» სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს ზურაბ ახალკაციშვილის მიერ სახელმწიფო ბაჟი სახით 2008 წლის 23 მაისს გადახდილი 300 ლარი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 257-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება შპს «საქავტოტრანსის» ფილიალის #113 ავტოკოლონასა და ს. წ-შვილს შორის შემდეგი პირობებით:

1. მოპასუხე ს. წ-შვილი კისრულობს ვალდებულებას, 10 თვის განმავლობაში გადაიხადოს სადავო თანხიდან შეთანხმებით მიღწეული თანხა - 1000 აშშ დოლარი ყოველთვიურად 100 აშშ დოლარის გადახდით შპს «საქავტოტრანსის» სასარგებლოდ;

2. პირობის დარღვევის შემთხვევაში ხელწერილის დადების დღიდან ორი წლის შემდეგ ს.წ-შვილმა უნდა გადაიხადოს სადავო თანხა - 2500 აშშ დოლარი სრულად.

დაუბრუნდეს შპს «საქავტოტრანსს» ზურაბ ახალკაციშვილის მიერ სახელმწიფო ბაჟი სახით 2008 წლის 23 მაისს გადახდილი 300 ლარი.

გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება «საქავტოტრანსის» ფილიალის #113 ავტოკოლონას სარჩელის გამო ს. წ-შვილის მიმართ თანხის გადახდევინების თაობაზე.

განემარტოთ მხარეებს, რომ ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა**

#### **განჩინება**

#ას-525-758-08

28 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**

**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა, ბინის თანამესაკუთრედ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ს. კ-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ქ.თბილისის #4 სერვისული ცენტრის მიმართ 1992 წლის 30 სექტემბრის პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანისა და ბინის თანამესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1980 წლიდან მოსარჩელე თავის ბიძაშვილ ლ. კ-ოვასთან ერთად ცხოვრობდა ქ.თბილისში, ... #63-ში მდებარე პირველი კორპუსის #89 ბინაში, სადაც ჩაწერილი იყო და ლ. კ-ოვასთან ერთად და ეწეოდა საერთო საოჯახო მეურნეობას. 1992 წლის 30 სექტემბერს ბინის ძირითადმა დამქირავებელმა ლ. კ-ოვამ, მისი თანხმობით, მოახდინა ბინის პრივატიზაცია და იგი აღრიცხა თავის სახელზე საკუთრების უფლებით. მოსარჩელე მუდმივად ცხოვრობდა ზემოხსენებულ მისამართზე და იხდიდა კომუნალურ გადასახადებს. 1999 წლის ივნისში ლ. კ-ოვა გარდაიცვალა.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ს. კ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა - სადავო პრივატიზაციის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მოსარჩელე ცნობილ იქნა სადავო ბინის 1/2-ის მესაკუთრედ.

ე. მ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 28 ივლისის განჩინებით ე. მ-შვილის განცხადება დაკმაყოფილდა და საქმის წარმოება განახლდა. განმცხადებელი ჩართულ იქნა საქმეში მოპასუხედ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ს. კ-ოვას ბინაში ჩაწერას ჰქონდა ფორმალური ხასიათი. ლ. კ-ოვამ მოსარჩელე შემთხვევით გაიცნო, შემდეგ დამეგობრდნენ და ეს უკანასკნელი ბინაში ჩაწერა მხოლოდ იმის გამო, რომ მოსარჩელეს სურდა ქ.თბილისში მუშაობის დაწყება. ამასთან, მათ ერთად არასოდეს უცხოვრიათ, მოსარჩელე არ ყოფილა ლ. კ-ოვას ოჯახის წევრი. ს. კ-ოვამ გადასახადები გადაიხადა ერთიანად, რადგან აღნიშნული სჭირდებოდა სარჩელში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად. მან თავისივე განცხადებით პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების დროს უარი განაცხადა ბინაზე. ამასთან, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილებით, ბინები უსასყიდლოდ გადაეცათ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს, ს. კ-ოვა კი არც ბინის პრივატიზაციის დროს და არც ამჟამად საქართველოს მოქალაქე არ არის, იგი ცხოვრობს ვლადიკავკაზში და პრივატიზაციის დროს მას ფართზე უფლება დაკარგული ჰქონდა. გარდა ამისა, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, რადგან პრივატიზაციის ხელშეკრულება დაიდო 1992 წელს, ხოლო სარჩელი აღიძრა 2001 წელს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით ს. კ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა და იგი ცნობილ იქნა ე. მ-შვილის სახელზე საკუთრების უფლებით რიცხული, ქ. თბილისში, ... #63-ის პირველ კორპუსში მდებარე #89 ბინის 1\2-ის მესაკუთრედ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებით ე. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1985 წლიდან ს. კ-ოვა ჩაწერა და ჩასახლდა ქ.თბილისში, წერეთლის გამზირი #63-ში მდებარე #89 ბინაში მისი დამქირავებლის - ლ. კ-ოვას თანხმობით. 1992 წლის 30 სექტემბერს ბინის დამქირავებელმა ლ. კ-ოვამ მოახდინა ბინის პრივატიზაცია და აღრიცხა თავის მესაკუთრედ. 1999 წლის 2 ივნისს ლ. კ-ოვა გარდაიცვალა. ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. მ-შვილი ცნობილ იქნა ლ. კ-ოვას დანაშთი ქონების, მათ შორის სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ, რის საფუძველზეც აღნიშნული ბინა საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ე. მ-შვილის სახელზე. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების მეხუთე პუნქტი, როდესაც ს. კ-ოვა მიიჩნია ბინის დამქირავებლის - ლ. კ-ოვას ოჯახის წევრად და პრივატიზაციის უფლების მქონე პირად. ასევე არასწორია აპელანტის მოსაზრება, რომ, ვინაიდან ს. კ-ოვამ წერილობითი თანხმობა განაცხადა ლ. კ-ოვას სახელზე მთლიანი ბინის პრივატიზაციაზე, მან დაკარგა მისი წილის პრივატიზაციის უფლება. სასამართლომ იხელმძღვანელა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების მეორე, მეხუთე პუნქტებით და ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ ყველა მოქალაქეს, რომელიც დადგენილი წესით იყო ჩასახლებული ბინაში, დამქირავებელი იქნებოდა იგი თუ მისი ოჯახის წევრი, მისცა საშუალება, გამხდარიყო ბინის მესაკუთრე. ამდენად, ყველა პირი, ვინც პრივატიზაციის დროს დადგენილი წესით იყო ჩასახლებული და ცხოვრობდა ბინაში, უნდა ჩაითვალოს ბინის პოტენციურ თანამესაკუთრედ იმის მიუხედავად, თუ ოჯახის რომელი წევრის სახელზე მოხდა ბინის პრივატიზაცია. საქმეში წარმოდგენილია ს. კ-ოვას განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა, ბინის პრივატიზაცია მოხდეს ლ. კ-ოვას სახელზე. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული ადასტურებს იმას, რომ სადავო ბინის პრივატიზების დროს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოებისა და თავად ბინის დამქირავებლის - ლ. კ-ოვას მიერ ს. კ-ოვა განხილული და მიჩნეული იყო ოჯახის სრულწლოვან წევრად, რომელსაც ჰქონდა ბინის პრივატიზაციაში მონაწილეობის უფლება. ის გარემოება კი, რომ სადავო ბინა პრივატიზაციის შედეგად აღირიცხა ლ. კ-ოვას სახელზე, რაზეც ს.კ-ოვამ თანხმობა განაცხადა, არ ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელმა დაკარგა საკუთრების კუთვნილი წილი ამ ბინაზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება ს. კ-ოვას სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ, ვინაიდან „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების თანახმად, ს. კ-ოვა მესაკუთრედ ითვლება ბინის პრივატიზაციის

მომენტიდან და მას, როგორც პოტენციურ მესაკუთრეს, შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ე. კ-ოვამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილება, როდესაც ს. კ-ოვა საქართველოს მოქალაქედ და სადავო ბინის დამქირავებელ ლ. კ-ოვას ოჯახის წევრად ჩათვალა. ფაქტობრივად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ნათლად ირკვევა, რომ მოსარჩელე ლ. კ-ოვას ნათესავი არ არის, იგი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, მუდმივად ცხოვრობს, ჩაწერილია და პენსიას ღებულობს ქ. ვლადიკავკაზში. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადავო ბინის პრივატიზებისას ს. კ-ოვა არ იყო საქართველოს მოქალაქე და ქ. თბილისში უსასყიდლოდ ბინის მიღების უფლება არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცების შესახებ შემდეგი პირობებით:

1. კასატორი ე. მ-შვილი თანახმაა, გადაუხადოს ს. კ-ოვას ქ.თბილისში, ... #63-ის პირველ კორპუსში მდებარე #89 ბინაში მისი წილის საკომპენსაციო თანხა - 12000 აშშ დოლარი;

2. ს. კ-ოვა უარს აცხადებს თავის წილზე ქ.თბილისში, ... #63-ის პირველ კორპუსში მდებარე #89 ბინაში საკომპენსაციო თანხის - 12000 აშშ დოლარის მიღების სანაცვლოდ.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ კასატორი ე. კ-ოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის «მ» ქვეპუნქტის საფუძველზე, ამასთან, მხარეები მორიგდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მთავარ სხდომამდე, რის გამოც მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 257-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება ე. მ-შვილსა და ს. კ-ოვას შორის შემდეგი პირობებით:

1. კასატორმა ე. მ-შვილმა გადაუხადა ს. კ-ოვას ქ.თბილისში, ... #63-ის პირველ კორპუსში მდებარე #89 ბინაში მისი წილის საკომპენსაციო თანხა - 12000 აშშ დოლარი;

2. ს. კ-ოვა უარს აცხადებს თავის წილზე ქ.თბილისში, ... #63-ის პირველ კორპუსში მდებარე #89 ბინაში მის მიერ მიღებული საკომპენსაციო თანხის - 12000 აშშ დოლარის სანაცვლოდ.

განემარტოთ მხარეებს, რომ ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

შეწყდეს სამოქალაქო საქმის წარმოება ს. კ-ოვას სარჩელის გამო ე. მ-შვილის მიმართ პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანისა და ბინის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#ას-346-598-08

7 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა  
პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი**

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2007 წლის 25 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ე-იამ მოპასუხე თ. ქ-შვილის, მესამე პირის - ნოტარიუს ო. ზ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხესთან 2000 წლის 26 მაისს დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა და თბილისში, ... მე-6 კორპუსში მდებარე #7 ბინის მის საკუთრებაში აღრიცხვა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლ. ე-ია ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. ბინა არის ოროთახიანი, რომელიც 1993 წლის პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლებით მას გადაეცა. მოხუცებულობის პერიოდში თავის დეიდაშვილიშვილს - ნ. ტ-იას შეუთანხმდა, რომ მოვლის სანაცვლოდ ქონებას მას დაუტოვებდა, რის შემდეგაც ნ. ტ-იამ და მისმა მეუღლე თ. ქ-შვილმა მოსარჩელეს შესთავაზეს სანოტარო წესით სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების გაფორმება. ასეთივე ხელშეკრულების დადება შესთავაზეს მის დას - ე. ა-იანს, რომლის სახელზეც ირიცხებოდა ლ. ე-იას ბინის გვერდით მდებარე ერთოთახიანი პრივატიზებული ბინა. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა 2000 წლის 26 მაისს. ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ თვეში ე. ა-იანი გარდაიცვალა. მოსარჩელე დარჩა სრულიად მარტო და თავს ირჩენდა თავისი დის კუთვნილი ერთოთახიანი ბინის გაქირავების ხარჯზე.

2005 წლის 16 მარტს ლ. ე-იასთან სახლში მისულმა თ. ქ-შვილმა მას აცნობა თანხის საჭიროების გამო ე. ა-იანის კუთვნილი ბინის იპოთეკით დატვირთვის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნულზე მოსარჩელემ ცალსახად უარი განაცხადა, რა დროსაც შეიტყო, რომ მისი და თავისი დის საცხოვრებელი ბინები უკვე თ. ქ-შვილის სახელზე ირიცხებოდა. განცდილი ნერვიულობის შედეგად მას დაენიშნა მკურნალობა. ამასთან, მოსარჩელე იძულებული შეიქმნა, თავისი უფლებების დასაცავად ადვოკატისათვის მიემართა, რის შემდგომაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 6.07.2005წ. და 12.07.2008წ. პასუხებით ლ. ე-იასათვის ცხადი გახდა, რომ თბილისში, ... 6 კორპუსში მდებარე #6 და #7 ბინებზე საკუთრების უფლება ნამდვილად თ. ქ-შვილის სახელზე იყო დარეგისტრირებული. ამავე სამსახურის მეშვეობით, ლ. ე-იამ მოიპოვა დოკუმენტაცია, კერძოდ, 2000 წლის 26 მაისს მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულებების ასლები, რომლებიც სამისდღეშიო რჩენის ნაცვლად ზემომითითებული ბინების თ. ქ-შვილისათვის საკუთრებაში გადაცემას მიუთითებდა, ხოლო იპოთეკის ხელშეკრულებით ირკვეოდა სს «თიბისი ბანკის» მთაწმინდის ფილიალში აღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად თავისი დის კუთვნილ ბინაზე იპოთეკის არსებობა.

მოსარჩელის მტკიცებით, ახლო ნათესაობა, განსაკუთრებული ნდობა და პატივისცემა, ასაკი, მხედველობისა და სმენის დაქვეითება - ეს ყველაფერი იმ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენდა, რამაც შინაარსის გაცნობის გარეშე მის მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა განაპირობა. რამდენადაც სხვა საცხოვრებელი არსად გააჩნდა, ლ. ე-ია ბინის გაყიდვაზე არ დათანხმდებოდა. მან, რეალურად, ნება გამოავლინა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადებაზე, თუმცა ხელშეკრულების დადების დღიდან მოპასუხე მის რჩენის მოვალეობას თავს არიდებდა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლსა და 56-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და სადავო ხელშეკრულების, როგორც თვალთმაქცური, მართლსაწი-ნააღმდეგო და ამორალური გარიგების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოგვიანებით, სარჩელის სამართლებრივ საფუძველად სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი დასახელდა, რომელიც ერთი მხარის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

მოპასუხე თ. ქ-შვილმა სარჩელი არ ცნო. მისი მოსაზრებით, 2000 წელს დადებული ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით სარჩელის 2007 წელს წარდგენა მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის გაშვებაზე მეტყველებდა. ლ. ე-იას მტკიცება ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის 2005 წლის მარტში შეტყობინების თაობაზე გაზიარებას არ ექვემდებარებოდა, რამდენადაც

2005 წლის სექტემბერში აღძრულ სხვა სარჩელში ბინის ნასყიდობის შესახებ ინფორმირების დროდ იგი 2005 წლის სექტემბერს ასახელებდა. გარიგების ბათილობის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხემ განმარტა, რომ თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობისათვის აუცილებელი იყო სხვა გარიგების დასაფარად მიმართული ორივე მხარის ნების არსებობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. მართალია, მოსარჩელის თავდაპირველ სურვილს ბინაზე სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადება წარმოადგენდა, მაგრამ მოგვიანებით მან ბინაში მუდმივ საცხოვრებლად დარჩენის პირობით ნასყიდობის ხელშეკრულების დადება გადაწყვიტა, რის შედეგადაც ბინაც შეინარჩუნა და თანხაც მიიღო. ხელშეკრულების ტექსტი ლ. ე-ის ნოტარიუსმა ხმამაღლა წაუკითხა, რაზეც მან თანხმობა განაცხადა.

სარჩელის ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელემ განმარტა, რომ 2005 წლის სექტემბრის თვეში მან სარჩელით მიმართა სასამართლოს და სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული სარჩელი უკან გაითხოვა, რის გამოც იგი განუხილველად იქნა დატოვებული. ამდენად, მოპასუხის არგუმენტი სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებაში უსაფუძვლო იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით ლ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით ლ. ე-იმ სარჩელი თავდაპირველად 2005 წლის სექტემბერში აღძრა, თუმცა 2006 წლის 15 ნოემბერს აღნიშნული სარჩელი გამოიხმო, რასაც შედეგად სარჩელის განუხილველობა მოჰყვა. ამავე ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით მეორე სასარჩელო განცხადება სასამართლოს 2007 წლის იანვარში წარედგინა. ამჯერად მოსარჩელე ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც თვალთმაქცური გარიგების ბათილად ცნობას მოითხოვდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე და სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლებზე და განმარტა, რომ, როგორც წესი, სარჩელის განუხილველად დატოვება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ იწვევდა. გამონაკლის შემთხვევას კანონი სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6 თვის ვადაში უფლებამოსილი პირის მიერ ახალი სარჩელის წარდგენას უკავშირებდა. «ახალ სარჩელში» იგულისხმებოდა სარჩელი, რომელიც შეეხებოდა დავას იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. მართალია, 2007 წლის იანვარში წარდგენილი სარჩელი იმავე მხარეებს შორის და იმავე საგანზე მიმართულ სასარჩელო განცხადებას წარმოადგენდა, მაგრამ აღნიშნული სარჩელის საფუძველი პირველი სასარჩელო განცხადების საფუძვლისაგან განსხვავდებოდა. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა მოცემულ შემთხვევაში შეწყვეტილად ვერ ჩაითვლებოდა.

ის გარემოება, რომ ლ. ე-იმ ხელშეკრულება არ წაიკითხა, საქალაქო სასამართლომ აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლად არ მიიჩნია, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულების შინაარსის განმარტების ფაქტს თავადვე ადასტურებდა. იმ შემთხვევაში, თუ განმარტება მისთვის გაურკვეველი დარჩებოდა, მას შეეძლო გაცნობოდა ხელშეკრულების შინაარსს და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის საკითხი ამის შემდგომ გადაეწყვიტა, რაც არ განუხორციელებია. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის ფიზიკური შეუძლებლობის ფაქტი (ავადმყოფობა და სხვა), რომელიც ხელშეკრულების გაცნობას გაართულებდა, საქმის გარემოებებით არ დასტურდებოდა. ასევე არ დასტურდებოდა ორივე მხარის მიერ სხვა გარიგების დაფარვის ნება, რაც თვალთმაქცური გარიგების არსებობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ე-იმ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის მითითებით, მოპასუხესთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე ნების არარსებობა გარიგების დამმოწმებელი ნოტარიუსისათვის სრულიად ცხადი უნდა ყოფილიყო. ამის მიუხედავად, სადავო ბინაზე ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რაც არასწორი იყო. შინაარსის გაცნობის გარეშე სადავო ხელშეკრულებაზე ლ. ე-ის ხელმოწერა მოპასუხესთან მისმა ახლო ნათესაობამ განაპირობა, რასაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინებით ლ. ე-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასა და უსაფუძვლობაზე, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სასამართლომ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად არ მიიჩნია აპელანტის მითითება იმის თაობაზე, რომ მისთვის სადავო ხელშეკრულების შინაარსის შესახებ ცნობილი გახდა 2005 წლის სექტემბერში, მას შემდეგ, რაც მისმა წარმომადგენელმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვის სახელზე და რა საფუძვლით ირიცხებოდა მისი და მისი დის საკუთრებაში არსებული ბინები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე და განმარტა, რომ კანონის დასახელებული ნორმა

მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა არა მარტო იმ დროს, როცა პირმა შეიტყო თავისი დარღვეული უფლების შესახებ, არამედ იმ დროსაც, როცა პირს აღნიშნულის თაობაზე უნდა შეეტყო. აპელანტი თავადვე მიუთითებდა, რომ სადავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2000 წელს. შესაბამისად, დროის ამ პერიოდიდან მას შესაძლებლობა ჰქონდა და ვალდებულიც იყო შეეტყო თავისი დარღვეული უფლების შესახებ, რაც არ განახორციელა.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ კანონის აღნიშნული ნორმით გარიგების ბათილობა დამოკიდებული იყო გარიგების მონაწილეთა ნებაზე, რომ მათ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით სურდათ სხვა გარიგების დაფარვა, რომლის განხორციელებასაც ისინი რეალურად ისახავდნენ. ის გარემოება, თუ რა დაფარული გარიგების დადების ნება გამოავლინეს მხარეებმა, აპელანტმა ვერ დაასაბუთა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ე-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, ნოტარიუსმა ლ. ე-ის ხელშეკრულების ტექსტი წაუკითხა. საქმეში არსებული მტკიცებულებები ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესაძლებლობას იძლეოდა, რადგან სრულიად ცხადი იყო ლ. ე-ის მიერ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის განმაპირობებელი გარემოებები, კერძოდ, მოპასუხესთან მისი ახლო ნათესაობა, განსაკუთრებული ნდობის არსებობა, მისივე ფიზიკური უძლურება, რასაც სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია.

ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის შესახებ შეტყობინებისთანავე ლ. ე-იამ თავისი დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა, რაც გამორიცხავს სარჩელის ხანდაზმულობას. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა ხელშეკრულების დადების დღეს არ უნდა დაუკავშირდეს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმოდგენილ იქნა მორიგების აქტი, რომლის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

მოდავე მხარეები, ერთი მხრივ, კასატორი - ლ. ე-ია, ხოლო, მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე მხარე - თ. ქ-შვილი მორიგდნენ შემდეგზე:

2000 წლის 26 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც თ. ქ-შვილმა ლ. ე-ისგან იყიდა ლ. ე-ის კუთვნილი #7 ბინა, მდებარე თბილისში, ... მე-6 კორპუსში, შეიცვალოს სამისდღეშიორჩენის ხელშეკრულებით და პირობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

სადავო ბინა რჩება თ. ქ-შვილის საკუთრებაში, ლ. ე-ია სამუდამო საცხოვრებლად რჩება აღნიშნულ ბინაში. თ. ქ-შვილი იღებს ვალდებულებას, ლ. ე-იას ყოველთვიურად გადაუხადოს სარჩენი თანხა 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, რომელსაც ლ. ე-ია გამოიყენებს თავისი შუხედულებისამებრ. ლ. ე-ია იღებს ვალდებულებას, რომ თ. ქ-შვილს არ შეუქმნის დაბრკოლებას თ. ქ-შვილის სახელზე რიცხული #6 ბინის, მდებარე თბილისში, ... მე-6 კორპუსში, (რომელიც მდებარეობს სადავო ბინის გვერდით) გაქირავებაში.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ სხვა მოთხოვნები არ გააჩნიათ. მათთვის ცნობილია მორიგების შედეგები, კერძოდ ის, რომ მორიგების შედეგად საქმის წარმოება წყდება და იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, იმავე საფუძველებით დავა არ დაიშვება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მორიგების აქტის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს და მოცემულ საქმეზე წარმოება შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს, თუ მხარეები მორიგდებიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მორიგების აქტი არ შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, რის გამოც შესაძლებელია მისი დამტკიცება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარეთა მორიგების გამო უნდა გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დამტკიცდეს მორიგება მხარეთა შორის შემდეგი პირობებით:

2000 წლის 26 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც თ. ქ-შვილმა ლ. ე-იასაგან იყიდა ლ. ე-იას კუთვნილი #7 ბინა, მდებარე თბილისში, ... მე-6 კორპუსში, შეიცვალოს სამისდღეში რჩენის ხელშეკრულებით და პირობები განისაზღვროს შემდეგნაირად:

სადავო ბინა რჩება თ. ქ-შვილის საკუთრებაში, ლ. ე-ია სამუდამო საცხოვრებლად რჩება აღნიშნულ ბინაში. თ. ქ-შვილი იღებს ვალდებულებას, ლ. ე-იას ყოველთვიურად გადაუხადოს სარჩენი თანხა 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, რომელსაც ლ. ე-ია გამოიყენებს თავისი შეხედულებისამებრ. ლ. ე-ია იღებს ვალდებულებას, რომ თ. ქ-შვილს არ შეუქმნის დაბრკოლებას თ. ქ-შვილის სახელზე რიცხული #6 ბინის, მდებარე თბილისში, ... მე-6 კორპუსში, (რომელიც მდებარეობს სადავო ბინის გვერდით) გაქირავებაში.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ სხვა მოთხოვნები არ გააჩნიათ. მათთვის ცნობილია მორიგების შედეგები, კერძოდ ის, რომ მორიგების შედეგად საქმის წარმოება წყდება და იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე, იმავე საფუძვლებით დავა არ დაიშვება.

2. მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების გამო, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განჩინება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდეს საქმის წარმოება.

3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს განემართოთ, რომ სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოხდება გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მხარეთა მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა

### განჩინება

#ას-429-671-08

11 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: მინდობილობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ბინიდან გამოსახლება

### აღწერილობითი ნაწილი:

აღ. ტ-ოვის წარმომადგენელმა ი. შ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. წ-აიას, მ. მ-ავასა და ქ. ბათუმის ნოტარიუს ლ. ჭ-იას მიმართ მინდობილობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო: ვ. წ-აიამ ისარგებლა რა მოსარჩელის მიერ ქართული წერა-კითხვის უცოდინრობით, 2002 წლის 4 მარტს მოტყუებით მოაწერინა მას ხელი სანოტარო აქტზე ა. ტ-ოვის კუთვნილი უძრავი ქონების განკარგვის უფლების ვ. წ-აიასათვის გადაცემის თაობაზე. რეალურად მოსარჩელე ფიქრობდა, რომ ხელს აწერდა ქ.ბათუმში, ... ქ. #7-ში მდებარე ა. ტ-ოვის კუთვნილი ბინის იპოთეკის ხელშეკრულებას, რომლითაც უზრუნველყოფდა მისი მეუღლე ე. ტ-ოვას მიერ ვ. წ-აიასაგან ასაღებ სესხს. სადავო დოკუმენტები შედგა მხოლოდ ქართულ ენაზე, ამდენად, მოსარჩელე სათანადო თარგმანით ან თარჯიმნით უზრუნველყოფილი არ ყოფილა. 2003 წლის 2 აპრილს ვ. წ-აიამ ზემოხსენებული ბინა მიჰყიდა თავის მეუღლე მ. მ-ავას. აღნიშნული გარიგება, ისევე, როგორც ზემოთ მითითებული მინდობილობა, ბათილია, ვინაიდან სადავო სანოტარო აქტის შინაარსის გაცნობის შემთხვევაში მოსარჩელე მას ხელს არ მოაწერდა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, ხოლო მ. მ-ავამ შეგებებული სარჩელი აღძრა აღ., ავ., არ., ე. და გ. ტ-ოვების მიმართ ბინიდან გამოსახლების შესახებ იმ საფუძვლით, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #7-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა არის მისი საკუთრება, მოპასუხეები კი მას უკანონოდ არ ათავისუფლებენ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. ტ-ოვის სარჩელი სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მინდობილობის გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, მ. მ-ავას შეგებებული სარჩელი კი დაკმაყოფილდა და მოპასუხეები დასახელებული ბინიდან გამოსახლდნენ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აღ. ტ-ოვის წარმომადგენელმა ი. შ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

მოცემული საქმე არაერთხელ განხილულ იქნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის განჩინებით ალ. ტ-ოვის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 9 ივნისის განჩინება და ქ. ბათუმში, ... ქ. #17-ში მდებარე მ. მ-ავას სახელზე რიცხულ საცხოვრებელ #9 ბინას ყადაღა მოეხსნა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2002 წლის 4 მარტს ალ. ტ-ოვსა და ვ. წ-აიას შორის სანოტარო წესით გაფორმდა მინდობილობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ალ. ტ-ოვმა ვ. წ-აიას ანდო მისი კუთვნილი უძრავი ქონების, მათ შორის, სადავო ბინის მართვა და განკარგვა. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ვ. წ-აიამ 2003 წლის 2 აპრილს მ. მ-ავასთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება და მ. მ-ავა საჯარო რეესტრში აღრიცხა ზემოხსენებული ბინის მესაკუთრედ. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მინდობილობის ხელშეკრულება დაიდო მოტყუებით, რეალურად კი ალ. ტ-ოვმა გამოხატა იპოთეკის ხელშეკრულების დადების ნება. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გარიგება ორივე მხარის ნამდვილი ნების საფუძველზე დაიდო, ამდენად, უდავოა, რომ ორივე მხარეს ზოგადად გარიგების დადება სურდა, თუმცა, მოსარჩელის განმარტებით, არა იმ შინაარსის, რომელიც მან რეალურად დადო. სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ა. ტ-ოვმა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ სინამდვილეში მხარეთა შორის დაიდო არა საკუთრების მინდობის, არამედ იპოთეკის ხელშეკრულება, რისი მტკიცების ტვირთიც მას ეკისრებოდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საქმის განხილვაზე ა.ტ-ოვის პასიურმა დასწრებამ, რა დროსაც მხარემ არც ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით განმარტა რაიმე და არც სასამართლოს მიერ მიჩენილი თარჯიმნის თარგმანის მოსმენა არ ისურვა. მისი წარმომადგენლის განმარტებით, ა. ტ-ოვი საქმის განხილვის განმავლობაში მუდამ უსიტყვოდ ესწრება სასამართლო პრეცედენტებს. აღნიშნულიდან და საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო პალატამ დაადასტურებულად ჩათვალა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ა. ტ-ოვმა და მისი ოჯახის წევრებმა პირდაპირ გამოხატეს სადავო ბინის გაყიდვის ნება, რაც თავისთავად გულისხმობს მხარეთა შორის იმ სახის ხელშეკრულების არსებობას, რაც გაფორმდა სანოტარო ბიუროში. საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 18 მაისის განჩინებაზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გარიგებაზე ხელის მოწერისას არსებობს ხელისმომწერის მიერ გარიგების შინაარსის ცოდნის პრეზუმფცია, მით უფრო, რომ აღნიშნული გარიგება დამოწმდა სანოტარო წესით, რასაც სასამართლო მეტად სარწმუნოდ მიიჩნევს, ვიდრე მარტივი წერტილით ფორმით დადებულ ან ზეპირ გარიგებებს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გარიგების შინაარსი ა. ტ-ოვისათვის ცნობილი იყო. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას დაკითხული ნოტარიუსის განმარტებით, მან გარიგების შინაარსი ხმამაღლა წაიკითხა და, ა. ტ-ოვის წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი რუსულად უთარგმნა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 54-ე-55-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველები არ არსებობს და მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი მოცემულ დავასთან კავშირში არ არის, ამასთან, გარიგება 54-ე მუხლით დაცულ საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს არ არღვევს. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება ნოტარიუსის მიერ «სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ» ინსტრუქციის დარღვევის თაობაზე, ვინაიდან, ხსენებული ინსტრუქციის მე-18 მუხლის შესაბამისად, კლიენტის მიერ სახელმწიფო ენისა და დამწერლობის არცოდნისას სანოტარო აქტის შედგენაში თარჯიმნის მონაწილეობა სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, თუ ნოტარიუსმა კლიენტისათვის გასაგები ენა არ იცის. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუს ლ. ჭ-იას მიერ რუსული ენის ცოდნა მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რის გამოც ა. ტ-ოვისათვის დამატებით თარჯიმნის მოწვევის აუცილებლობა არ არსებობდა. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ნოტარიუსმა დაარღვია ზემოთ მითითებული ინსტრუქციის მე-16 მუხლის მეშვიდე პუნქტი, როდესაც სადავო გარიგების შინაარსის ა. ტ-ოვისათვის რუსულად გადათარგმნის თაობაზე სანოტარო აქტში არ დააფიქსირა, თუმცა აღნიშნული გარემოება გარიგების ნამდვილობაზე გავლენას ვერ მოახდენს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 54-ე მუხლების შესაბამისად, ბათილად მიიჩნევა მხოლოდ სამართლებრივი შედეგის მომტანი მართლსაწინააღმდეგო ნების გამოვლენა, იმ შემთხვევაში კი, თუ მინდობილობის ხელშეკრულების დამოწმებისას ნოტარიუსი არღვევს სანოტარო მოქმედებათა წესის შესახებ ინსტრუქციას, აღნიშნული სადავო გარიგებას არარად ვერ აქცევს, არამედ შესაძლოა იმოქმედოს მხარის ნების ნამდვილობაზე და გარიგება აქციოს საცილოდ. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილი მინდობილობებზე ა. ტ-ოვის მიერ სხვადასხვა პირთათვის წარმომადგენლობით უფლებამოსილების მინიჭების შესახებ და მიუთითა, რომ აღნიშნული მინდობილობები გაფორმებულია ზემოხსენებული ინსტრუქციის დარღვევით, თუმცა მხარის მიერ გამოხატული ნება საცილოდ არასდროს არ გამხდარა, შესაბამისად, გარიგების ტექსტის თარგმნის მიუთითებლობა გარიგების ნამდვილობაზე გავლენას ვერ მოახდენს. სასამართლოს მითითებით, საკუთარი განმარტების გარდა ა. ტ-ოვი სადავო მინდობილობის ნაცვლად იპოთეკის გაფორმების დასადასტურებლად თვლის მტკიცებულებას - მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების მიერ შედგენილ ხელწერილს, რომლითაც დგინდება, რომ 2002 წელს მოსარჩელემ ვ. წ-აიასაგან ისესხა 5000 აშშ დოლარი ყოველთვიურად 10%-ის დარიცხვით 2003 წლის მარტამდე, ამასთან, თანხის გადაუხდელობის

შემთხვევაში ა.ტ-ოვის კუთვნილი ბინა გადავიდოდა ვ. წ-აიას საკუთრებაში. პალატამ აღნიშნა, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება 2003 წლის აპრილში, ზემოხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ დაიდო, რაც მხარემ იმით ახსნა, რომ შეთანხმების თანახმად, მოსარჩელეს სადავო ბინაში უნდა ეცხოვრა მინდობილობის ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის განმავლობაში. არსად, მათ შორის, არც პოლიციისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში მოსარჩელე თანხის მიცემის ფაქტს სადავოდ არ ხდის და სადავო მინდობილობის ხელშეკრულება სწორედ ამ სესხის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მითითებული ხელწერილი დაწერილია მოსარჩელის ან მისი მეუღლის მიერ, მას ხელს არ აწერს მოპასუხე და აღნიშნული ხელწერილი მხარის განმარტების ნაწილია. სასამართლომ მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა არ გაიზიარა, რადგან მოპასუხე ასეთს უარყოფს, ხოლო მოსარჩელეს სათანადო მტკიცებულება არ წარუდგენია. ამასთან, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების დადასტურების შემთხვევაშიც, სადავო მინდობილობის ხელშეკრულება ბათილად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან მოსარჩელის მიერ დასახელებული ფაქტებიდან არ ჩანს, რომ მხარეებს ან ერთ-ერთ მათგანს სურდათ მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სანივთო გარიგების დადება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. ტ-ოვის მიერ მითითებული სესხის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში მოხდებოდა მხარეთა მოთხოვნების ურთიერთჩათვლა, რადგან ა. ტ-ოვის სახლი შეფასებულ იქნა 10 000 ლარად, რაც სესხის - 5000 აშშ დოლარის შესაბამისია და აღნიშნული სადავო მინდობილობის ნამდვილობაზე ზეგავლენას ვერ იქონიებს. ანალოგიური დავის განხილვისას საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 11 ნოემბრის განჩინებით სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის საფუძველზე იგივე სამართლებრივი შედეგი იქნა მიღებული. პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან ა.ტ-ოვმა სადავო გარიგების შინაარსი იცოდა მისი დადების დღესვე, თუმცა იგი საცილოდ გახადა მინდობილობის გაფორმებიდან ერთი წლის შემდეგ, რითაც დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლით დადგენილი ერთვინაი ვადა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის მიხედვით, საკუთარ თავთან დადებული გარიგებაა და მიიჩნია, რომ ვ.წ-აია და მ.მ-ავა ორი სხვადასხვა პირია, ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან, შესაბამისად, არარეგისტრირებული თანაცხოვრების პერიოდში შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრება ვერ ექნებათ. ამდენად, მათ, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტებს, დაუბრკოლებრივ შეეძლოთ ერთმანეთს შორის გარიგების დადება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ალ. ტ-ოვმა გასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ალ. თომანოვი ქართულ ენას არ ფლობს, ხოლო წერა-კითხვა არც ერთ ენაზე არ შეუძლია. აღნიშნულს ადასტურებს საქმეში არსებული 2006 წლის 27 ოქტომბრის #1/7601 რწმუნებულებაში ნოტარიუსის მითითებაც, რის გამოც რწმუნებულებას ხელს აწერს ა.ტ-ოვის ნდობით აღჭურვილი პირი. ამდენად, სინამდვილეს არ შეესაბამება სადავო მინდობილობაში ნოტარიუს ლ. ჭ-იას მიერ დაფიქსირებული განმარტება, რომ მის მიერ გარიგების შინაარსის ა.ტ-ოვისათვის წაკითხვისა და განმარტების შემდეგ, ამ უკანასკნელმა წაკითხა იგი და ხელი მოაწერა. საქმეზე დადგენილია და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ სადავო მინდობილობის გაფორმებისას ნოტარიუს ლ. ჭ-იას ა. ტ-ოვისათვის თარჯიმანი არ მოუწვევია, რითაც ხსენებულმა ნოტარიუსმა დაარღვია «ნოტარიატის შესახებ» კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი სანოტარო მოქმედების შესრულებისას ა. ტ-ოვისათვის თარჯიმნის მიწვევის შესახებ. სააპელაციო პალატამ არ შეაფასა ე. ტ-ოვას განმარტება, რომ მის მეუღლე ა. ტ-ოვის სკოლაში არ უვლია, შესაბამისად, წერა-კითხვა და არც ქართული ენა არ იცის, ხოლო ნოტარიუს ლ. ჭ-იასთან მინდობილობაზე ხელი მოაწერა მათმა შვილმა - გ. ტ-ოვამ. ამასთან, ნოტარიუსს ე. ტ-ოვამ და ვ. წ-აიამ განუმარტეს, რომ მათ შორის უნდა გაფორმებულიყო სესხის ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ სადავო მინდობილობაზე ა.ტ-ოვის ხელმოწერა შესრულებულია რუსულ ენაზე. სადავო გარიგება ბათილია სამოქალაქო კოდექსის 54-ე-55-ე მუხლების შესაბამისად, რადგან ფარტობრივად, ა.ტ-ოვის საკუთრება განკარგა ე. ტ-ოვამ. კასატორი ვარაუდობდა, რომ ვ. წ-აიასთან აფორმებდა არა უძრავი ქონების განკარგვის შესახებ მინდობილობას, არამედ სესხის ხელშეკრულებას, რაზეც თანხმობა გამოთქვა კიდეც. ა.ტ-ოვმა სასამართლოს მიმართა იმ მომენტიდანვე, როდესაც შეიტყო კუთვნილი ქონების გასხვისების თაობაზე, ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მესაკუთრეს სადავო გარიგება არ მოუწონებია. სადავო მინდობილობის კანონით დადგენილი წესით გაფორმების შემთხვევაშიც იგი უნდა ჩათვლილიყო, სამოქალაქო კოდექსის 72-ე-73-ე მუხლების მიხედვით, შეცდომით დადებულ გარიგებად. შეცდომის თავიდან ასაცილებლად «ნოტარიატის შესახებ» კანონის 50-ე-51-ე მუხლები ითვალისწინებს ნოტარიუსის ვალდებულებას, განუმარტოს მხარეებს გარიგების შინაარსი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა. სამოქალაქო კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად, სადავო გარიგება ა. ტ-ოვმა საცილოდ გახადა მას შემდეგ, რაც სასამართლო უწყებით შეიტყო უძრავი ნივთის გასხვისების შესახებ, რაც მანამდე მისთვის ცნობილი არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის სხდომაზე მ.მ-ავას წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ნოტარიუსთან გაფორმდა სესხის ხელშეკრულება და არა მინდობილობა, შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარემ ფაქტობრივად აღიარა კასატორის სასარჩელო და სააპელაციო მოთხოვნები, თუმცა

გასაჩივრებული განჩინების მიღებისას აღნიშნული გათვალისწინებული არ ყოფილა. სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სადავო გარიგება დაიდო მოტყუებით, რაც იმითაც დასტურდება, რომ ა. ტ-ოვს ბინის გაყიდვისას, თუნდაც ხელშეკრულებაში მითითებული შეუსაბამო საფასურიც არ მიუღია, რითაც დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი. მ.მ-ავამ სასამართლოს არაერთხელ განუმარტა, რომ ვ. წ-აიასათვის, რომელიც მისი არარეგისტრირებული მეუღლეა, ბინის საფასური არ გადაუხდია და არც ნაყიდი ბინა არ უნახავს. ამდენად, ვ. წ-აიასა და მ. მ-დავას შორის დადებული ნასყიდობა უცილოდ ბათილი გარიგებაა, რადგან, სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის დარღვევით, მისი გაფორმებისას ვ.წ-აია ხელშეკრულების ორივე მხარეს წარმოადგენდა. ა. ტ-ოვს სადავო უძრავ ნივთზე გააჩნია სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით გათვალისწინებული მესაკუთრის უფლებები. საქმე განხილულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის სხდომის ოქმში დაფიქსირდა საქმის განხილვაზე მძიმე ავადმყოფი ალ. ტ-ოვის გამოცხადების ფაქტი. მას დაენიშნა თარჯიმანი, რომლის მეშვეობით მან გასცა პასუხი სასამართლოს შეკითხვებს, თუმცა მისი განმარტება, რომ არაფერი იცოდა და არაფერი არ გაუყიდა, სასამართლო სხდომის ოქმში არ დაფიქსირებულა, რაც კასატორმა გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის მთავარ სხდომაზე საქმის განხილვა გადაიდო 2008 წლის 21 თებერვალს გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად, რა დროსაც არც ერთი მოპასუხე არ გამოცხადდა. სასამართლომ, გადაწყვეტილების გამოსაცხადების ნაცვლად, მთავარი სხდომის განახლების გარეშე, გააგრძელა საქმის განხილვა. სააპელაციო პალატის მიერ მთავარი სხდომის განახლების შემთხვევაში მას უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხეთა გამოუცხადებლობის გამო. ამდენად, 2008 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმი შედგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 288-ე მუხლის ისეთი დარღვევებით, რომ ფაქტობრივად ოქმი არც არსებობს. აღნიშნული კი ამავე კოდექსის 394-ე მუხლის «თ» ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბერს ალ. ტ-ოვის წარმომადგენელმა თ. ი-მემ წარმოადგინა გარდაცვალების მოწმობა, რომლის მიხედვითაც ალ. ტ-ოვი 2008 წლის 15 აპრილს გარდაიცვალა, ასევე კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა ალ. ტ-ოვის მემკვიდრედ აკ. ტ-ოვის ცნობის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით ალ. ტ-ოვის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება მისი მემკვიდრე აკ. ტ-ოვი.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ალ. ტ-ოვის უფლებამონაცვლე (შვილი) აკ. ტ-ოვი ვალდებულებას კისრულობს, მ. მ-ავას 2009 წლის 12 მაისის ჩათვლით გადაუხადოს 22 000 აშშ დოლარი;
2. მ. მ-ავა ვალდებულებას კისრულობს, 2009 წლის 12 მაისს 22 000 აშშ დოლარის მიღების შემდეგ ქ. ბათუმში, ... ქ. #17-ში მდებარე ბინა საჯარო რეესტრში გადაუფორმოს აკ. ტ-ოვს;
3. თანხის გადაცემა დადასტურდეს ხელწერილით;
4. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქ. ბათუმში, ... ქ. #17-ში მდებარე ბინა მთლიანად დარჩება მ. მ-ავას საკუთრებაში.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდვე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აკ. ტ-ოვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 400 ლარი, კერძოდ: მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებამდე. სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს მორიგება ალ. ტ-ოვის უფლებამონაცვლე ავ. ტ-ოვსა და მ. მ-ავას შორის შემდეგი პირობებით:

1. ალ. ტ-ოვის უფლებამონაცვლე (შვილი) ავ. ტ-ოვი ვალდებულია კისრულობს, მ. მ-ავას 2009 წლის 12 მაისის ჩათვლით გადაუხადოს 22 000 აშშ დოლარი;

2. მ. მ-ავა იღებს ვალდებულებას, 2009 წლის 12 მაისს 22 000 აშშ დოლარის მიღების შემდეგ ქ. ბათუმში, ... ქ. #17-ში მდებარე ბინა საჯარო რეესტრში გადაუფორმოს ავ. ტ-ოვს;

3. თანხის გადაცემა დადასტურებულ უნდა იქნეს ხელწერილით;

4. მორიგების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქ. ბათუმში, ... ქ. #17-ში მდებარე ბინა მთლიანად დარჩება მ. მ-ავას საკუთრებაში.

შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება და გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

კასატორ ავ. ტ-ოვს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 400 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მხარეთა მორიგების გამო საქმის  
წარმოების შეწყვეტა**

**განჩინება**

#-3ა/790-01

12 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)**

**რ. ნადირიანი,**

**თ. თოდრია**

**საქმის ზეპირი მოსმენით** საკასაციო პალატამ განიხილა კასატორების: დ. ბ-ძის წარმომადგენლის ტ. გ-ძის და ა. თ-შვილის წარმომადგენლი რ. კ-ავას განცხადება მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 აპრილის განჩინებით შეჩერებულ იქნა გ. თ-შვილისა და ი. ფ-შვილის საკასაციო საჩივრების განხილვა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებაზე საქმეზე ა. თ-შვილის სარჩელისა გამო მოპასუხე ი. ფ-შვილის მიმართ, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისა და ბინიდან გამოსახლების თაობაზე; ი. ფ-შვილის შეგებებული სარჩელის გამო ა. თ-შვილის მიმართ ნივთის ფლობის შესახებ იურიდიული ფაქტის დადგენისა და ხანდაზმულობით საკუთრების შეძენის თაობაზე.

2008 წლის 8 დეკემბერს საკასაციო პალატას განცხადებით მომართა ა. თ-შვილის წარმომადგენელმა რ. კ-ავამ და დ. ბ-ძის წარმომადგენელმა ტ. გ-ძემ და მოითხოვეს მხარეთა შორის მორიგების გამო საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეზე განახლდა წარმოება.

კასატორების წარმომადგენელმა სასამართლო სხდომაზე წარმოადგინეს განცხადება, სადაც მიუთითეს, რომ მხარეები მოცემულ დავასთან დაკავშირებით მორიგდნენ, ერთმანეთის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნიათ და ამ საფუძველით საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე საკასაციო პალატის განჩინების იძულებითი აღსრულების საკითხს არ დააყენებენ, ვინაიდან ამ მორიგების იძულებითი აღსრულების ინტერესი მათ არ გააჩნიათ.

**სამოტივაციო ნაწილი:**



საკასაციო პალატა განცხადების შინაარსის გაცნობის შედეგად თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. ამავ კოდექსის 272-ე მუხლის «დ» პუნქტის თანახმად სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ მხარეები მორიგდნენ.

ვინაიდან მოცემულ საქმეზე მხარეები მორიგდნენ, არ გააჩნიათ ამ მორიგების პირობების სასამართლოს მიერ დამტკიცების საკასაციო პალატის განჩინების იძულებითი აღსრულების და ასეთი სახის აღსრულების მიმართ ინტერესი საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. აღნიშნულ საქმეზე მხარეთა მორიგების გამო შეწყდეს საქმის წარმოება და გაუქმდეს საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის - 272-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დამტკიცდეს კასატორების დ. ბ-მის წარმომადგენლ ტ. გ-მესა და ა. თ-შვილის წარმომადგენლ რ. პ-ავას შორის მორიგება შემდეგი სახით:

«მხარეებს ერთმანეთის მიმართ მოცემული დავიდან გამომდინარე პრეტენზიები არ გააჩნიათ.

მხარეები არ ითხოვენ მორიგების პირობების სასამართლოს მიერ დამტკიცებას, ვინაიდან არ აქვთ მორიგების იძულებითი აღსრულების ინტერესი».

გაუქმდეს ამ საქმეზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება და საქმის წარმოება შეწყდეს.

განემართო მხარეებს, რომ იგივე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით სასამართლოსათვის მომართვა დაუშვებელია.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეწყვეტა მხარეთა მორიგების გამო**

#### **განჩინება**

#ას-732-948-08

23 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავტორების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

პ. ტ-სკიმ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ოვას, მ. ჩ-ხი-ხ-შვილის, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-მის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძველებით: ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1995 წლის 17 მარტის #4-08/141 განკარგულებით ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევის #23-ში მდებარე სახლთმფლობელობა დაკანონდა აწ გარდაცვლილი მოსარჩელის პაპის ტ. ტ-სკის სახელზე. ბაბუის გარდაცვალების შემდეგ, 1999 წლიდან სადავო სახლთმფლობელობა საჯარო რეესტრში აღირიცხა პაპის - მემკვიდრე პ. ტ-სკის სახელზე. მოპასუხეები არიან მოსარჩელის ნათესავები, რომლებთანაც პ. ტ-სკის არაერთი სასამართლო დავა ჰქონდა ტ. ტ-სკის სახელზე ქონების დაკანონებისა და მის მემკვიდრედ ცნობის თაობაზე, თუმცა მითითებული დავები პ. ტ-სკის სასარგებლოდ გადაწყდა. მოსარჩელის არაერთი უშედეგო მიმართვის მიუხედავად, მოპასუხეები უკანონოდ ფლობენ და არ ათავისუფლებენ სადავო სახლთმფლობელობის ნაწილს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: ტ-სკების ოჯახი საქართველოში საცხოვრებლად გადმოვიდა 1935 წელს. 1937 წელს მათ შეიძინეს ქ. თბილისში, ... პირველ შესახვევში მდებარე 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რაც გაფორმდა ტ. ტ-სკის სახელზე. აღნიშნულ ნაკვეთზე ტ. ტ-სკიმ და მისმა ძმა ა-მ ააშენეს ლიტერ «ა» ნაგებობა, ხოლო მისმა დებმა - პ-მ და ვ-მ უკანონო ნაგებობები ლიტერ «ბ» და «ვ», სადაც ისინი ცხოვრობდნენ ოჯახებთან ერთად. მოპასუხე მ. მ-ოვა არის ვ. ტ-სკის შვილიშვილი, რომელიც სადავო ბინაში გაიზარდა და ამჟამად ცხოვრობს

ქმარ-შვილთან ერთად. აღნიშნულის მიუხედავად, პ. ტ-სკიმ მთელი სახლთმფლობელობა უკანონოდ დააკანონა ტ. ტ-სკის სახელზე და შემკვიდრეობა მთლიანად მიიღო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 11 იანვრის განჩინებით საქმის წარმოება მ. ჩ-ბი-ბ-შვილის მიმართ შეწყდა მოპასუხის გარდაცვალების გამო. ამავე სასამართლოს 2007 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით კი პ. ტ-სკის სარჩელი დაკმაყოფილდა - ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევის #23-ში მდებარე პ. ტ-სკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი და შენობა გამოთხოვილ იქნა მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვას, ა. ჩ-ძის უკანონო მფლობელობიდან და გადაეცა მოსარჩელეს, რაც მოპასუხებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და პ.ტ-სკის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1995 წლის 17 მარტის #4-08/141 განკარგულებით ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევის #23-ში მდებარე სახლთმფლობელობა დაკანონდა ტ. ტ-სკის სახელზე. დაკანონებამდე აღნიშნული უძრავი ქონება, როგორც უკანონო, ირიცხებოდა ტ. ტ-სკის სახელზე. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევის #23-ში მდებარე უძრავი ქონება ირიცხება მოსარჩელე პ. ტ-სკის საკუთრებად. პ. ტ-სკი არის ტ. ტ-სკის შვილი, მ. მ-ოვა - მისი დის ვასილისას შვილიშვილი (მ. ჩ-ბი-ბ-შვილის შვილი), ქ. ა-ოვა და ა. ჩ-ძე კი მ.მ-ოვას ქალიშვილი და სიძე. მ. მ-ოვა და ქ. ა-ოვა ცხოვრობენ და ჩაწერილები არიან სადავო სახლში, ამასთან, მ.მ-ოვა ჩაწერილია 1974 წლიდან, ისინი იხდიან კომუნალურ გადასახადებსაც, რაც მხარეთა შორის სადავო არ არის. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პ. ტ-სკის მოსაზრება, რომ სადავო ფართზე მოპასუხეების მართლზომიერ მფლობელებად მიჩნევის შემთხვევაშიც, მესაკუთრის მიერ მათ მიმართ წამოყენებული დასაბუთებული პრეტენზია მფლობელობის შეწყვეტის საფუძველია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. მ-ოვა წარმოადგენს სადავო ბინის მოსარგებლეს, ამდენად, მოცემული ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» კანონით. აღნიშნული კანონის 1<sup>1</sup> მუხლის «ა» ქვეპუნქტის, ასევე მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის თაობაზე გარიგების არსებობის დასადასტურებლად საკმარისია პირის სადავო ფართში რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტებს სადავო ფართის სარგებლობის უფლება მიღებული აქვთ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის შესახებ გარიგებით, რაც დასტურდება აღნიშნულ სადგომში მ. მ-ოვას რეგისტრაციით, კომუნალური გადასახადების გადახდით. პალატამ ჩათვალა, რომ სადავო უძრავი ქონების ტ. ტ-სკის სახელზე მისი გარდაცვალების შემდეგ, 1995 წელს დაკანონებისა და აღრიცხვის მიუხედავად, სადავო ურთიერთობა მაინც მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის არსებულ კატეგორიას განეკუთვნება, რადგან სადავო ფართზე სარგებლობის უფლება მოსარგებლეს მიანიჭა იმ პირმა, რომლის სახელზეც საბოლოოდ აღრიცხა ქონება, შესაბამისად, მ.მ-ოვას ჩაწერა, ცხოვრება და კომუნალური გადასახადების გადახდა მისთვის საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის უფლების მინიჭებას გულისხმობდა. ზემოხსენებული კანონის მე-2 მუხლის მესამე ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ პ. ტ-სკის მოთხოვნა მოპასუხეების მფლობელობიდან ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, რადგან მხარემ ვერ წარადგინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და საფუძველით. სააპელაციო პალატამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია პ. ტ-სკის არგუმენტი, რომ აპელანტთა მოთხოვნას წარმოადგენდა მხოლოდ საქმის წარმოების შეჩერება და სააპელაციო სასამართლო გასცდა მხარის მოთხოვნის ფარგლებს, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე იმსჯელა. პალატის მითითებით, აპელანტებმა დააზუსტეს მოთხოვნა და საქმის წარმოების შეწყვეტაზე უარის თქმის შემთხვევაში მოითხოვეს უკანონო და არასწორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო პ. ტ-სკის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ფაქტობრივი გარემოებები, რაზეც აპელანტები უთითებენ მათ მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოშიც იქნა მითითებული, მათი სამართლებრივი შეფასება კი სასამართლომ უნდა განახორციელოს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პ. ტ-სკიმ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ მ. მ-ოვა «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» კანონით გათვალისწინებულ საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლედ არასწორად ჩათვალა საცხოვრებელი სადგომის დათმობის გარიგების საფუძველზე, ვინაიდან მხოლოდ რეგისტრაცია და კომუნალური გადასახადების გადახდა აღნიშნული გარიგების არსებობის დასადასტურებლად საკმარისი არ არის. გარიგების დადება უნდა დადასტურდეს ასევე მესაკუთრისათვის გარკვეული საფასურის გადახდითაც, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა. სადავო გარიგების არარსებობას ადასტურებს ასევე ის ფაქტიც, რომ მხარეთა შორის წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა სადავო

ფართის მფლობელობასთან დაკავშირებით, კასატორი ასაჩივრებდა მ. მ-ოვას რეგისტრაციის სისწორეს იმ მოტივით, რომ რეგისტრაცია საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს მიერ 1997 წლის 30 აპრილის დასკვნით უკანონოდ იყო განხორციელებული. რაც შეეხება დანარჩენ მოპასუხეებს, ისინი არ იყვნენ რეგისტრირებული სადავო ფართში, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებანი ერთვის საკასაციო საჩივარს და მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, აღსანიშნავია, რომ მითითებული დოკუმენტები ვერ იქნებოდა წარდგენილი სააპელაციო სასამართლოში, რადგან მოსარგებლის საკითხი დავის საგანს არ წარმოადგენდა და სააპელაციო ინსტანციამდე სადავო არ იყო. «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მეშვიდე ნაწილიდან გამომდინარე, აპელანტი მოსარგებლედ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უცვნიდა და აღნიშნული არც სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ გამხდარა, რის გამოც ზემოხსენებული მტკიცებულებების წარდგენა საჭირო არ იყო და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო საქმისათვის მნიშვნელობის არქონის მოტივით მათ საქმეს არც დაურთავდა. ამასთან, საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ტ. ტ-სკი წინააღმდეგი იყო, მის დას ეცხოვრა სადავო ფართში, რაც ასევე მიუთითებს, რომ იგი კუთვნილი საცხოვრებელი სადგომის დათმობის შესახებ გარიგებას მოწინააღმდეგე მხარესთან არ დადგებდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და დაარღვია ამავე კოდექსის მე-3, 248-ე მუხლები. ასევე აღსანიშნავია, რომ საფუძველს მოკლებულია აპელანტთა მითითება საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე ამავე მხარეებს შორის, ამავე საფუძველზე, ამავე დავის საგანზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, რადგან ასეთი გადაწყვეტილება მათ სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მხარეებმა წარმოადგინეს მორიგების აქტი და იშუამდგომლეს მისი დამტკიცება შემდეგი პირობებით:

1. ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევი, #23-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძეს, მოცემული შეთანხმების მეოთხე პუნქტში მითითებული პირობების დაცვის შემთხვევაში საკუთრების უფლებით გადაეცემათ 112 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე ლიტ. «ა» ნაგებობით. დასახელებულ პირთათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთის საზღვრები დადგინდება შემდეგნაირად: ლიტ. «ა» ნაგებობის კუთხიდან (ქუჩის მხრიდან) 10 მეტრი სიგანის ზოლი და ამ ზოლის პერპენდიკულარულად, რაც ფართობის მიხედვით შეადგენს 112 კვადრატულ მეტრს (10X11, 2);

2. ხსენებული პარამეტრების დაცვით და მხარეთა სრული იზოლირების მიზნით ლიტ. «ა» ნაგებობიდან 10 მეტრის ნიშნულზე, ეზოს სიღრმეში 11,2 მეტრის მანძილზე და ასევე, ამ ნიშნულიდან ხელმარჯვნივ, მეზობლად მდებარე სახლის ღობემდე, ლიტ. «ა» და ლიტ «ვ» ნაგებობებს შორის, არაუგვიანეს 2009 წლის პირველი მაისისა, აღიმართება სულ მცირე 2 მეტრის სიმაღლის ბლოკით აშენებული, კაპიტალური ღობე, რომლის აშენებას ორგანიზაციულად და ფინანსურად კისრულობს ა. ჩ-ძე;

3. დღეის მდგომარეობით არსებული რკინის ჭიშკარი რჩება პ. ტ-სკის მფლობელობაში და მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვას და ა. ჩ-ძე მათთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე შესასვლელს მოაწყობენ დამოუკიდებლად, პ. ტ-სკის მფლობელობაში დატოვებული ჭიშკრის დაუზიანებლად. ამასთან, ამავე ვადაში მთლიანად გაათავისუფლებენ დღეისათვის მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიას - ლიტ «ბ» და ლიტ «ვ» ნაგებობებს და შესაბამის მიწის ნაკვეთს და ამ ქონებას დაუზიანებელ მდგომარეობაში აბარებენ პ. ტ-სკის;

4. საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, პ. ტ-სკი მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვას და ა. ჩ-ძისაგან, კომპენსაციის სახით, არაუგვიანეს 2009 წლის პირველი მაისისა, მიიღებს 10000 ლარს, საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის და აშშ დოლარის დღევანდელი თანაფარდობის, 1 X 1,66 კურსის შესაბამისად, რომელიც უნდა ჩაირიცხოს პ. ტ-სკის შემდეგ საბანკო ანგარიშზე - სს «საქართველოს ბანკი»-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101502, მიმღები პ. ტ-სკი, მიმღების ანგარიში - 114697701 (შენიშვნა: ჩარიცხვა შესაძლებელია როგორც ერთდროულად, ისე ეტაპობრივად);

5. დასახელებული ვადისათვის, ანუ 2009 წლის პირველი მაისისათვის მე-4 პუნქტში მითითებული თანხის - 10000 ლარის პ. ტ-სკის საბანკო ანგარიშზე სრულად ჩარიცხვის შემდეგ, არაუგვიანეს 2009 წლის 10 მაისისა, პ. ტ-სკი ვალდებულია იღებს გადასცეს მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვას და ა. ჩ-ძეს საკუთრებაში, ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევი, #23-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მოცემული შეთანხმების პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული საზღვრების სრული დაცვით, 112 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე ლიტ «ა» ნაგებობით, რისთვისაც ის შესაბამისი განცხადებით მიმართავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს. მითითებულ ვადაში, ანუ 2009 წლის 11 მაისამდე, პ. ტ-სკის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძის მიერ პ. ტ-სკის საბანკო ანგარიშზე 10000 ლარის 2009 წლის პირველ მაისამდე სრულად ჩარიცხვის პირობისას, ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევი, #23-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მოცემული შეთანხმების პირველ და

მეორე პუნქტებში მითითებული საზღვრების სრული დაცვით, 112 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე ლიტ. «ა» ნაგებობით, აღირიცხება მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძის სახელზე;

6. იმ შემთხვევაში, თუ მე-4 პუნქტში მითითებული ვადისათვის, ანუ 2009 წლის პირველი მასისათვის პ. ტ-სკის საბანკო ანგარიშზე სრულად არ იქნება ჩარიცხული საკომპენსაციო თანხა 10000 ლარის ოდენობით და/ან არ იქნება აღმართული მეორე პუნქტში მითითებული კაპიტალური ღირებულება, პ. ტ-სკი იტოვებს უფლებას თავად გადაუხადოს მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძეს საკომპენსაციო თანხა 15000 ლარის ოდენობით, მეოთხე პუნქტში მითითებული კურსის მიხედვით, მათ მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე და მოითხოვოს მათი გამოსახლება;

7. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დღეისათვის სადავო ტერიტორიაზე არსებული წყლისა და გაზის გაყვანილობა და შესაბამისი მრიცხველები გადატანილი იქნება მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მათივე ხარჯებით, ტექნიკური ნორმების დაცვით, ხოლო პ. ტ-სკისათვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე ანალოგიური კომუნიკაციები მოეწყობა პ. ტ-სკის მიერ, ასევე ტექნიკური ნორმების განუხრელი დაცვით.

მხარეები გაეცნენ მორიგების პირობებს, ეთანხმებიან და აწერენ ხელს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა მხარეთა მიერ წარმოდგენილ მორიგების აქტს, თვლის, რომ მათი მოთხოვნა მორიგების დამტკიცების თაობაზე კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო მოცემული საქმის წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მითითებული ნორმა ითვალისწინებს მოდავე მხარეთა მიერ გარკვეული შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული მორიგების პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ ლახავს მესამე პირთა ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მორიგების აქტი უნდა დამტკიცდეს.

მოდავე მხარეების მიერ შედგენილი მორიგების აქტი დაერთო საქმეს.

მხარეებს განემარტათ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, მხარეთა მორიგების შედეგად მოცემულ დავაზე სამოქალაქო საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ხოლო, ამავე კოდექსის 273-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პ. ტ-სკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს გ. თ-ძის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის ნახევარი - 150 ლარი. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა მორიგების აქტი წარმოადგინეს საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლებით და

## **და ა ა დ გ ი ა :**

დამტკიცდეს მორიგება პ. ტ-სკისა და მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვას, ა. ჩ-ძეს შორის შემდეგი პირობებით:

1. ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევი #23-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძეს, მოცემული შეთანხმების მეოთხე პუნქტში მითითებული პირობების დაცვის შემთხვევაში საკუთრების უფლებით გადაეცემათ 112 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე ლიტ. «ა» ნაგებობით. დასახელებულ პირთათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთის საზღვრები დადგინდება შემდეგნაირად: ლიტ. «ა» ნაგებობის კუთხიდან (ქუჩის მხრიდან) 10 მეტრი სიგანის ზოლი და ამ ზოლის პერპენდიკულარულად, რაც ფართობის მიხედვით შეადგენს 112 კვადრატულ მეტრს (10X11,2);

2. ხსენებული პარამეტრების დაცვით და მხარეთა სრული იზოლირების მიზნით ლიტ. «ა» ნაგებობიდან 10 მეტრის ნიშნულზე, ეზოს სიღრმეში 11,2 მეტრის მანძილზე და ასევე, ამ ნიშნულიდან ხელმარჯვნივ, მეზობლად მდებარე სახლის ღობემდე, ლიტ. «ა» და ლიტ «ვ» ნაგებობებს შორის, არაუგვიანეს 2009 წლის პირველი მასისა, აღიმართება სულ მცირე 2 მეტრის სიმაღლის ბლოკით აშენებული, კაპიტალური ღობე, რომლის აშენებას ორგანიზაციულად და ფინანსურად კისრულობს ა. ჩ-ძე;

3. დღეის მდგომარეობით არსებული რკინის ჭიშკარი რჩება პ. ტ-სკის მფლობელობაში და მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვას და ა. ჩ-ძე მათთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე შესასვლელს მოაწყობენ დამოუკიდებლად, პ. ტ-სკის მფლობელობაში დატოვებული ჭიშკრის დაუზიანებლად. ამასთანავე, ამავე ვადაში მთლიანად ათავისუფლებენ დღეისათვის მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიას - ლიტ «ბ» და

ლიტ «ვ» ნაგებობებს და შესაბამის მიწის ნაკვეთს და ამ ქონებას დაუზიანებელ მდგომარეობაში აზარებენ პ. ტ-სკის;

4. საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, პ. ტ-სკი მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვას და ა. ჩ-ძისაგან, კომპენსაციის სახით, არაუგვიანეს 2009 წლის პირველი მაისისა, მიიღებს 10000 ლარს, საქართველოს ეროვნული ვალუტის, ლარის და აშშ დოლარის დღევანდელი თანაფარდობის, 1 X 1,66 კურსის შესაბამისად, რომელიც უნდა ჩაირიცხოს პ. ტ-სკის შემდეგ საბანკო ანგარიშზე - სს «საქართველოს ბანკი»-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101502, მიმღები პ. ტ-სკი, მიმღების ანგარიში - 114697701 (შენიშვნა: ჩარიცხვა შესაძლებელია როგორც ერთდროულად, ისე ეტაპობრივად);

5. დასახელებული ვადისათვის, ანუ 2009 წლის პირველი მაისისათვის მე-4 პუნქტში დასახელებული თანხის 10000 ლარის პ. ტ-სკის საბანკო ანგარიშზე სრულად ჩარიცხვის შემდეგ, არაუგვიანეს 2009 წლის 10 მაისისა, პ. ტ-სკი ვალდებული იქნება იღებს, გადასცეს მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვას და ა. ჩ-ძეს საკუთრებაში, ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევი, #23-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მოცემული შეთანხმების პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული საზღვრების სრული დაცვით, 112 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე ლიტ «ა» ნაგებობით, რისთვისაც ის შესაბამისი განცხადებით მიმართავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს. მითითებულ ვადაში, ანუ 2009 წლის 11 მაისამდე, პ. ტ-სკის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძის მიერ პ. ტ-სკის საბანკო ანგარიშზე 10000 ლარის 2009 წლის პირველ მაისამდე სრულად ჩარიცხვის პირობისას, ქ. თბილისში, ... პირველი შესახვევი, #23-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მოცემული შეთანხმების პირველ და მეორე პუნქტებში მითითებული საზღვრების სრული დაცვით, 112 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი მასზე მდებარე ლიტ. «ა» ნაგებობით, აღირიცხება მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძის სახელზე;

6. იმ შემთხვევაში, თუ მე-4 პუნქტში მითითებული ვადისათვის, ანუ 2009 წლის პირველი მაისისათვის პ. ტ-სკის საბანკო ანგარიშზე სრულად არ იქნება ჩარიცხული საკომპენსაციო თანხა 10000 ლარის ოდენობით და/ან არ იქნება აღმართული მეორე პუნქტში მითითებული კაპიტალური ღირებულება, პ. ტ-სკი იტოვებს უფლებას თავად გადაუხადოს მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძეს საკომპენსაციო თანხა 15000 ლარის ოდენობით, მეოთხე პუნქტში მითითებული კურსის მიხედვით, მათ მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე და მოითხოვოს მათი გამოსახლება;

7. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დღეისათვის სადავო ტერიტორიაზე არსებული წყლისა და გაზის გაყვანილობა და შესაბამისი მრიცხველები გადატანილი იქნება მ. მ-ოვას, ქ. ა-ოვასა და ა. ჩ-ძისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მათივე ხარჯებით, ტექნიკური ნორმების დაცვით, ხოლო პ. ტ-სკისათვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე ანალოგიური კომუნიკაციები მოეწყობა პ. ტ-სკის მიერ, ასევე ტექნიკური ნორმების განუხრელი დაცვით.

შეწყდეს მოცემული საქმის წარმოება და გაუქმდეს ამ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

კასატორ პ. ტ-სკის დაუბრუნდეს გ. თ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 300 ლარის ნახევარი - 150 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები და ვადები

### საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები

#### განჩინება

#ას-986-1287-07

17 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: საქმეზე წარმოების შეჩერება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 2 თებერვალს მცხეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. შ-იამ მოპასუხე დ. შ-იას მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მამის დანაშთი ქონების ნაწილის, კერძოდ,

სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მამა ს. შ-ია გარდაიცვალა 1992 წლის 10 ოქტომბერს. 1987 წლის 10 ივნისს შედგენილი ანდერძით ს. შ-იამ მთელი მისი ქონება, მათ შორის, მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი უანდერძა თავის ერთ-ერთ შვილს - მოსარჩელე თ. შ-იას. მოსარჩელე მემკვიდრეობის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდგომაც ფლობს ამ ქონებას. ანდერძის თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა 2003 წლის 22 აგვისტოს, დედის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე. ამის შემდგომ თ. შ-იამ ანდერძით მიღებული ქონების დარეგისტრირების მიზნით განცხადებით მიმართა ნოტარიუსს, რომელმაც აღნიშნული ქონების მის სახელზე გაფორმებაზე უარი განუცხადა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის მოტივით. იმავდროულად, მოსარჩელემ მიმართა დანარჩენ მემკვიდრეებს, კერძოდ, თავის და-ძმას - ლ. და დ. შ-იებს, თანახმანი იყვნენ თუ არა, რომ მოსარჩელეს, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეს, სრულად მიეღო ს. შ-იას ანდერძში მოხსენიებული ქონება. აღნიშნულთან დაკავშირებით, დ. შ-იამ აღნიშნა, რომ მხოლოდ თითოეული მემკვიდრის წილის დადგენის შემთხვევაში გადაწყვეტდა, იტყოდა თუ არა უარს სამკვიდროს მიღებაზე. მოსარჩელის მითითებით, მის ძმას - დ. შ-იას, მამის სამკვიდროდან წილი უკვე მიღებული ჰქონდა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 9 ივნისის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, ხოლო ამავე სასამართლოს 2004 წლის 26 ივლისის განჩინებით საქმე განსჯადობით თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნა.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. შ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა და მას, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეს, ს. შ-იას დანატოვარი სამკვიდრო მიღებულად ჩაეთვალა; სამკვიდროდან მის წილში შევიდა მცხეთის რაიონის სოფელ ... არსებული ბინა, შესაბამის ნოტარიუსს დაევალა აღნიშნულ ბინაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. შ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 21 აპრილის განჩინებით დ. შ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით თ. შ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. შ-ია ცნობილი იქნა 1992 წლის 10 ოქტომბერს გარდაცვლილი მემკვიდრეობის, მამის - ს. შ-იას დანაშთი სამკვიდრო ქონების, მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მემკვიდრეობის ს. შ-ია გარდაიცვალა 1992 წლის 10 ოქტომბერს. მას დარჩა 4 პირველი რიგის კანონისმიერი მემკვიდრე: შვილები თ., ლ. და დ. შ-იები და მეუღლე მ. შ-ია, ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 2003 წლის 22 აგვისტოს. ს. შ-იამ 1987 წელს შეადგინა ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება უანდერძა შვილს - თ. შ-იას.

სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ სამკვიდრო მასაში შედიოდა თბილისში, ... მე-2 შესახვევის #11-ში მდებარე სახლი მიწის ნაკვეთით და მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე სახლი მიწის ნაკვეთით. თბილისში, ... მე-2 შესახვევის #11-ში მდებარე სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოპასუხე დ. შ-ია. შესაბამისად, დ. შ-იას მამის სამკვიდროდან წილი მიღებული ჰქონდა.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სამკვიდრო მასაში შემავალი, სოფელ ... სახლის 1/2-ის მესაკუთრეს წარმოადგენდა 2003 წელს გარდაცვლილი მ. შ-ია და ამ უკანასკნელის დანაშთი ქონება თანაბარწილად ეკუთვნოდა მის ყველა მემკვიდრეს, რამდენადაც საქმეში არსებული საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდებოდა, რომ სოფელ ... საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა გარდაცვლილი ს. შ-იას საკუთრებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევდით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1339-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეობა ს. შ-იას გარდაცვალების შემდეგ გაიხსნა მხოლოდ სამკვიდროს ნახევარზე და მ. შ-იას კანონის საფუძველზე ეკუთვნოდა ქონების ნახევარი, ამ უკანასკნელს არ მოუხდენია თავისი უფლებების რეალიზაცია და საკუთრების უფლებით არ აღურიცხავს სადავო ქონება. შესაბამისად, ს. შ-იას სამკვიდრო მასაში უნდა შესულიყო მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე სახლი და მიწის ნაკვეთი მთლიანად და არა მისი ნახევარი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებებით - გადასახადების გადახდის დოკუმენტებით, საკრებულოს მიერ გაცემული ცნობებით, მოწმეების ახსნა-განმარტებით დადგენილი იყო, რომ თ. შ-ია მამის

გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდრო ქონების ფლობასა და მართვას. სასამართლო სხდომაზე მოპასუხემაც არაერთხელ აღნიშნა, რომ მამის გარდაცვალების დღიდან ორივე მძაპერიოდულად ჩადიოდა სოფელში და ეხმარებოდა დედას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებაში. ამდენად, ორივე მემკვიდრეს სამკვიდრო მიღებული ჰქონდა ფაქტობრივი ფლობით. ამის მიუხედავად, დ. შ-იამ მიმართა სასამართლოს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნით. . . . რაიონული სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილებით მას გაუგრძელდა ეს ვადა, რომლის სასამართლო განხილვის დროს წარდგენილ იქნა მოსარჩელის მიერ ნოტარიულად დადასტურებული თანხმობა სამკვიდრო ნაწილის ერთ-ერთი მესაკუთრისათვის გადაცემის თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული თანხმობა თავისი შინაარსით წარმოადგენდა არა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას, არამედ სამკვიდროს გაყოფაზე მემკვიდრეთა შორის შეთანხმებას, კერძოდ, ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, რომელსაც მთელი ქონება ეანდერძა და რომელიც ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდროს, გამოხატა თანხმობა სამკვიდროდან გარკვეული წილის მეორე მემკვიდრისათვის გადაცემაზე, რაც არ ეწინააღმდეგებოდა კანონს და ვერ ჩაითვლებოდა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად.

სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის თანახმად, არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით. თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ იგი უარს ამბობს სამკვიდროზე. აღნიშნული ნორმის განმარტებით, მემკვიდრემ მთლიანად უნდა მიიღოს სამკვიდრო ან მთლიანად უნდა თქვას უარი მასზე. მოცემულ შემთხვევაში ორივე მემკვიდრემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო და შეთანხმდა მის გაყოფაზე.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა ანდერძისმიერი მემკვიდრეობის უფლება გამოეყენებინა და მთელი სამკვიდროს მესაკუთრე გამხდარიყო, მაგრამ ანდერძისმიერმა მემკვიდრემ არ წარადგინა ანდერძი, პირველი რიგის მემკვიდრეთა შორის ფაქტობრივად შედგა შეთანხმება სამკვიდროს გაყოფაზე, რასაც თავის დროზე მოპასუხეც დაეთანხმა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. შ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

აპელანტის მითითებით, საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების ერთ-ერთ ძირითად მოტივად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს არსებობდა შეთანხმება სამკვიდრო ქონების გაყოფაზე, რაც არასწორია. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ქონების მიმართ ნებისმიერი გარიგება უნდა დადასტურდეს და დამოწმდეს სანოტარო წესით და დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, რასაც მათ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საქალაქო სასამართლომ სამკვიდრო მასაში ჩათვალა აპელანტის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლი, რაც ასევე არასწორია, რადგან უკანონო მშენებლობა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად ვერ ჩაითვლება. აღნიშნულზე სასამართლოს არ უმსჯელია.

მართალია, მემკვიდრეობის მეუღლეს სამკვიდროს მიღებაზე ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს, მაგრამ იგი ფაქტობრივი ცხოვრებით შეუდგა სამკვიდროს ფლობას, რაც დასტურდებოდა მხარეთა ახსნა-განმარტებებით, ასევე სოფელ . . . საკრებულოს 2005 წლის 14 აპრილის #122 ცნობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 21 აპრილის განჩინებით პირველი ინსტანციით საქმის განმხილველ სასამართლოს დაევალა დაედგინა სამკვიდრო მასაში შემავალი ქონება და განესაზღვრა მოსარჩელის წილი სამკვიდროში, მასვე უნდა გამოერკვია, ხომ არ მიიღო დ. შ-იამ მშობლების სამკვიდროს ნაწილი მცხეთის რაიონის სოფელ . . . მდებარე საცხოვრებელი ბინიდან. მითითებულ საკითხებზე სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია.

გარდა ამისა, სასამართლომ არაობიექტურობა გამოიჩინა მისი შუამდგომლობის განხილვისას, რომლითაც იგი ითხოვდა ანდერძის ნამდვილობის დასადგენად საქმეში მცხეთის რაიონის ნოტარიუსის ჩაბმას. იგი ასევე ითხოვდა ესპერტოზის დანიშვნას, რამდენადაც მცხეთის რაიონის სოფელ . . . საკრებულოს თავმჯდომარის 2002 წლის 12 აგვისტოს #127, 2003 წლის 15 აგვისტოს #1501 და 2004 წლის 10 ივნისის #1465 ცნობების ვიზუალური დათვალიერებით ეჭვს იწვევდა ხელმოწერის ნამდვილობა. სასამართლომ აღნიშნული შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტის მიერ წარდგენილ იქნა დამატებითი მტკიცებულება, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელშიც სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ აღრიცხულია აპელანტი დ. შ-ია, უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტად კი მითითებულია 2007 წლის 30 აპრილს გაცემული სამკვიდრო მოწმობა.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 8 ოქტომბრის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარემ და მისმა წარმომადგენლებმა მოითხოვეს მოცემული საქმის წარმოების შეჩერება თ. შ-იას მიერ მცხეთის რაიონის სოფელ . . . მდებარე საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთზე 30.04.07წ. გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში აღძრულ საქმეზე (#2/2987-07) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით თ. შ-იას შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა, შეჩერდა წარმოება სამოქალაქო საქმეზე #28/2231-06 თ. შ-იას სარჩელისა გამო მოპასუხე დ. შ-იას მიმართ ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ, სამოქალაქო საქმეზე #2/2987-07 თ. შ-

იას სარჩელისა გამო მოპასუხე დ. შ-იასა და ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. მ-იას მიმართ სამკვიდრო მოწმობის გაუქმების შესახებ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეში თ. შ-იას სარჩელის საგანია მოთხოვნა მამის - ს. შ-იას დანაშთი ქონების ნაწილის, კერძოდ, სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. ამდენად, მოცემულ საქმეში სადავოა სწორედ აღნიშნული უძრავი ქონება.

იმის დასტურად, რომ აღნიშნული დავის პროცესში სადავო ქონების - სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ აღირიცხა აპელანტი დ. შ-ია, მან სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელშიც სადავო უძრავი ქონების მესაკუთრედ რეგისტრირებულია დ. შ-ია, უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტად კი მითითებულია 2007 წლის 30 აპრილს ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული სამკვიდრო მოწმობის გაუქმების შესახებ 2007 წლის 6 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა თ. შ-იამ მოპასუხეების - დ. შ-იასა და ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. მ-იას მიმართ. დადგენილად იქნა მიჩნეული ისიც, რომ აღნიშნული სარჩელი წარმოებაშია მიღებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 10 ივლისის განჩინებით და მინიჭებულია ნომერი: 2/2987-07. თ. შ-ია სწორედ დასახელებულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ითხოვს მოცემული სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერებას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. ამდენად, მითითებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, კანონმდებელი საქმის განხილვის შეუძლებლობად მოიაზრებს მოცემული საქმის განხილვისათვის აუცილებელ ისეთ არსებით ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც წარმოადგენს სხვა სასამართლოს განხილვის საგანს და რომლებსაც შემდგომში შეიძლება პრეიუდიციული მნიშვნელობა მიენიჭოს ამ საქმის გადაწყვეტისას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რამდენადაც ორივე სამოქალაქო საქმეში სადავოს წარმოდგენდა ერთი და იგივე უძრავი ქონება, ამასთან, ერთ შემთხვევაში სარჩელის საგანი იყო აღნიშნული ქონების, როგორც ს. შ-იას დანაშთი ქონების ნაწილის ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, მეორე შემთხვევაში სადავო ქონებაზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება, ამდენად, არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. შ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქმის სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ არ დააკმაყოფილებდა, რამდენადაც საქმეში არსებული თბილისის ... რაიონის სასამართლოს 1994 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით დ. შ-იას გაუგრძელდა სამკვიდროს მიღების ხანდაზმულობის ვადა. საქმეში ასევე წარდგენილი იყო მოსარჩელე თ. შ-იას თანხმობა, რომ ქ. თბილისში, ... ქ. მე-2 შესახვევის #11-ში, აწ გარდაცვლილ ს. შ-იას სახელზე რიცხული ბინა, გაფორმებულიყო მისი ძმის - დ. შ-იას სახელზე. გარდა ამისა, სოფელ ... საკრებულოს 2005 წლის 14 აპრილის #122 ცნობით ირკვეოდა, რომ მ. შ-ია გარდაცვალებამდე - 2003 წლის 22 აგვისტომდე - ფაქტობრივად ცხოვრობდა მცხეთის რაიონის სოფელ ..., მეუღლის სახელზე რიცხულ საცხოვრებელ ბინაში.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ორივე სამოქალაქო საქმეში სადავო იყო ერთი და იგივე უძრავი ქონება, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე მიიღო განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ. სასამართლოს არ უმსჯელია 1993 წლის 1 აპრილით დათარიღებულ კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობაზე და არც მოსარჩელეს უთხოვია ამ სამკვიდრო მოწმობის გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. შ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, საქმის წარმოება შეაჩეროს, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით. მითითებული ნორმის საფუძველზე საქმის წარმოების შეჩერებისას გადამწყვეტია, არსებობდეს საქმეთა შორის აუცილებელი კავშირი.



საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზემოაღნიშნულ ორ საქმეს შორის აუცილებელი კავშირის არსებობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა დ. შ-იას სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეჩერების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

თ. შ-იას მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი 10.07.07წ. განჩინებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო მისი სარჩელი ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ 30.04.07წ. გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმების შესახებ. აღნიშნული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე მოპასუხე დ. შ-ია საჯარო რეესტრში აღირიცხა აწ გარდაცვლილი ს. შ-იას დანაშთი ქონების ნაწილის, კერძოდ, მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ. სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე თ. შ-ია ითხოვს აწ გარდაცვლილი ს. შ-იას დანაშთი ქონების ნაწილის - მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობას. შესაბამისად, ვიდრე არ გაირკვევა სადავო ქონებაზე - სოფელ ... მდებარე საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთზე დ. შ-იას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის კანონიერების საკითხი, სააპელაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გადაწყვიტოს ამავე ქონებაზე სხვა პირის - თ. შ-იას საკუთრების უფლების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე წარმოება შეჩერებულია კანონიერი საფუძველით, რის გამოც კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-420-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. შ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეჩერების ვადები**

#### **განჩინება**

#ას-452-694-08

23 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკატრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ნივთის მართლზომიერ მფლობელად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. ა-შვილმა, ე. ბ-ძემ, მ. დ-იანმა, ს. ა-შვილმა, ვ. გ-ძემ, ქ. ჭ-ელმა, ო. ო-ანმა, ლ. გ-ძემ, ო. გ-ძემ, თ. ხ-შვილმა, ლ. ა-ძემ, მ. ხ-შვილმა, დ. ქ-ძემ, ე. ლ-იამ, მ. კ-შვილმა და მათმა წარმომადგენელმა გ. მ-იამ სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხეების - ნ., ლ. ა-შვილებისა და ც. ჭ-შვილის მიმართ ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე ფართის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ იმ საფუძველით, რომ მოსარჩელები არიან დასახელებულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების თანამესაკუთრეები, რომელსაც უკანონოდ ფლობენ მოპასუხეები და თავისი ნებით არ ათავისუფლებენ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

გ. ა-შვილმა შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში ამხანაგობა «ვერის უბნის» მიმართ ქ.თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე ფართის ნაწილის მართლზომიერ მფლობელად ცნობის შესახებ იმ საფუძველით, რომ სადავო ფართს ფლობს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის ხელშეკრულების თანახმად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის განჩინებით საქმეში თანამოსარჩელედ ჩაება ამხანაგობა «ვერის უბანი», ლ. კ-ძე, მ. დ-იანი და თ. ხ-შვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით მენაშენეთა ამხანაგობა «ვერის უბნის», ლ. კ-ძის, მ. დ-იანისა და თ. ხ-შვილის სარჩელი ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან მოპასუხეების გამოსახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გ. ა-შვილის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და იგი ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ... ქ. #7-ში მდებარე 30 კვ.მ-ის საცხოვრებელი სადგომის (18 კვ.მ საცხოვრებელი და 12 კვ.მ დამხმარე ფართის) მართლობიერ მფლობელად და მოსარგებლედ.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მენაშენეთა ამხანაგობა «ვერის უბნის» თავმჯდომარე ქ. ა-შვილმა, ლ. კ-ძემ, მ. დ-იანმა, თ. ხ-შვილმა, ასევე, მათმა წარმომადგენლებმა გ. მ-იამ და ქ. უ-შვილმა. მითითებული სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით მოცემული სამოქალაქო საქმის წარმოება ამ განჩინებიდან არა უმეტეს 8 თვის ვადით, აპელანტ ლ. კ-ძის უფლებამონაცვლის დადგენამდე შეჩერდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის წარმოების შეჩერების მოთხოვნით პალატას განცხადებით მიმართა ლ. კ-ძის მეუღლე ე. ვ-ევმა და წარადგინა ლ. კ-ძის გარდაცვალების ცნობა, რომლის თანახმად აპელანტი გარდაიცვალა 2008 წლის 2 თებერვალს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტისა და 281-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივ ურთიერთობებში საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, რის გამოც საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს აპელანტ ლ. კ-ძის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს გ. ა-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა რ. რ-ძემ, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაჩერა საქმის წარმოება ლ. კ-ძის გარდაცვალების გამო, ვინაიდან დასახელებული პიროვნება არც ძირითად და არც დაუხსტებულ სარჩელში მოსარჩელედ დაფიქსირებული არ ყოფილა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში იგი დასახელებულ იქნა შეცდომით. ასევე ლ. კ-ძეს თავისი ინტერესების დაცვა არც საქმეში მონაწილე მოსარჩელეთა წარმომადგენლებისათვის არ მიუხდია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ლ. კ-ძე ამხანაგობა «ვერის უბნის» წევრი არ ყოფილა. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განსაზღვრა საქმის შეჩერების ვადის ათვისების მომენტი, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე და 281-ე მუხლების, სამოქალაქო კოდექსის 1424-ე, 1433-ე და 1500-ე მუხლების შესაბამისად, მხარის გარდაცვალებისას საქმის წარმოების შეჩერების ვადა უნდა აითვალოს არა აღნიშნული შესახებ განჩინების გამოტანის, არამედ მხარის გარდაცვალების მომენტიდან.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მენაშენეთა ამხანაგობა «ვერის უბნის» თავმჯდომარე ქ. ა-შვილმა, ლ. კ-ძემ, მ. დ-იანმა, თ. ხ-შვილმა, ასევე, მათმა წარმომადგენლებმა გ. მ-იამ და ქ. უ-შვილმა. მითითებული სააპელაციო საჩივრის განხილვისას, 2008 წლის 28 მარტს სასამართლოს განცხადებით მიმართა ლ. კ-ძის მეუღლე ე. ვ-ევმა, რომელმაც წარმოადგინა ლ. კ-ძის გარდაცვალების მოწმობა, სადაც აპელანტის გარდაცვალების თარიღად მითითებულია 2008 წლის 2 თებერვალი. განმცხადებელმა მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება ლ. კ-ძის უფლებამონაცვლის დადგენამდე და განმარტა, რომ მას, როგორც აპელანტის მეუღლესა და ერთ-ერთ მემკვიდრეს, შეტანილი აქვს განცხადება ნოტარიუსთან ლ. კ-ძის სამკვიდროს მისაღებად.

სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით საქმის წარმოება ამ განჩინების მიღებიდან 8 თვით, ლ. კ-ძის უფლებამონაცვლის დადგენამდე შეაჩერა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ა-შვილის წარმომადგენლის - რ. რ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული კერძო საჩივრის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ, ლ. კ-ძის გარდაცვალების გამო, საქმის წარმოება არასწორად შეაჩერა, ვინაიდან დასახელებული პირი საქმეში მოსარჩელეს არ წარმოადგენს და არც სხვა მოსარჩელეთათვის თავისი ინტერესების დაცვა კანონით დადგენილი წესით არ მიუხდია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რადგან საქმეში წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის საოქმო განჩინებით გ.მ-იას შუამდგომლობის საფუძველზე საქმეში თანამოსარჩელედ ჩაება ამხანაგობა «ვერის უბანი», ლ. კ-ძე, მ. დ-იანი და თ. ხ-შვილი. მითითებული სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ კერძო საჩივრის ავტორი გ. ა-შვილი აღნიშნულ სასამართლო სხდომას ესწრებოდა და საქმეში მოსარჩელედ ლ. კ-ძის ჩართვა სადავოდ არ გაუხდია. ასევე საქმის მასალებში წარმოდგენილია ლ. კ-ძის მიერ ქ. უ-შვილის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომლითაც მარწმუნებელი უფლებას აძლევს რწმუნებულს იმოქმედოს მისი სახელით ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში და ამხანაგობა «ვერის უბანთან» ურთიერთობაში.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სავსებით სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას. დასახელებული ნორმა ადგენს სასამართლოს ვალდებულებას, შეაჩეროს საქმის წარმოება იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი გარდაიცვლება და, დავის არსიდან გამომდინარე, დასაშვებია საქმის წარმოების გაგრძელება მისი უფლებამონაცვლის მონაწილეობით. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ აღნიშნული სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა საპროცესო უფლებამონაცვლეობას უშვებს და საქმის წარმოება, მოსარჩელისა და აპელანტის - ლ. კ-ძის გარდაცვალების გამო, სწორად შეაჩერა.

რაც შეეხება გ. ა-შვილის არგუმენტს, რომ ლ.კ-მე ამხანაგობა «ვერის უზნის» წევრი არ იყო, აღნიშნულზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს, ვინაიდან მითითებული საკითხი მოცემული დავის ფარგლებს სცილდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოება შეჩერდება ამ კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. მითითებული ნორმა ადგენს საქმის წარმოების შეჩერების ვადას, რაც მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის მიერ მოცემული საქმის წარმოების შეჩერება 8 თვით სავსებით გამართლებულია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

გ. ა-შვილისა და მის წარმომადგენელ რ. რ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეჩერების საფუძველები**

#### **განჩინება**

#ას-607-833-08

17 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (სასარჩელო მოთხოვნა), სადავო ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება (შეგებებული სარჩელი )

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 25 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ხ. შ-ს ასულ ო-შვილმა მოპასუხეების ხ. გ-ს ასული ო-შვილის, შ., ს. და თ. ო-შვილების წინააღმდეგ. სასარჩელო განცხადების მოთხოვნა არის თბილისში, ... ქ. #31-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა. თავის მხრივ, შეგებებული სარჩელი იყო აღძრული მოპასუხე ხ. გ-ს ასული ო-შვილის მიერ და მის მიერ მოთხოვნილი იყო თბილისი, ... ქ. #31 მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლის და ეზოს გაუმჯობესება - გაფართოების მიზნით გაწეული ხარჯის ანაზღაურება ჯამში 40000 აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ხ. შ-ს ასული ო-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხეების ხ. გ-ს ასულ ო-შვილის, შ., ს. და თ. ო-შვილების მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა თბილისში, ... ქ. #31-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. ხ. გ-ს ასული ო-შვილის შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ხ. გ-ს ასულ ო-შვილმა, შ., ს. და თ. ო-შვილებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინებით აპელანტ ხ. გ-ს ასული ო-შვილის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე დაკმაყოფილდა. შეჩერდა საქმის წამოება სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო განჩინების დადგენამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ხ. შ-ს ასულ ო-შვილის წარმომადგენელმა თენგიზ ეკალაძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, განსახილველი საქმის დავის საგნას წარმოადგენს ხ. შ-ს ასული ო-შვილის სასარჩელო განცხადება მის სახელზე რიცხული ქ. თბილისში, ... ქ. #31-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან მოპასუხეების ხ. გ-ს ასული ო-შვილის, შ., ს. და თ. ო-შვილების გამოსახლება და მოპასუხეების შეგებებული სასარჩელო განცხადება აღნიშნულ საცხოვრებელ სახლზე გაწეული სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების შესახებ, ხოლო საქმის წარმოების შეჩერება მოხდა იმის გამო, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე მოსარჩელე ხ. შ-ს ასულ ო-შვილს და დედამისს - ვ. ხ-შვილს შორის 2001 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ასევე, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, განსახილველი საქმის დავის საგანს საერთოდ არ წარმოადგენს არც ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და არც ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რაიმე გარემოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული საოქმო განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ხ. შ-ს ასული ო-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, საქმის წარმოება შეაჩეროს, თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით.

ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა კავშირი არსებობს მის მიერ განსახილველ საქმესა და იმ საქმეს შორის, რომელიც სხვა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მიერ განხილვა, კერძოდ, გამომდინარეობენ თუ არა ისინი ერთი და იმავე ფაქტობრივი საფუძვლებიდან და სამართლებრივი ურთიერთობიდან.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის მიერ საქმის წარმოება შეჩერებულია იმ მოტივით, რომ მხარის მიერ სისხლის სამართლის წესით სადავოდ არის გამხდარი ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა არ იზიარებს ვინაიდან, სისხლის სამართლის საქმე, რომლის განხილვის დასრულებამდე შეჩერებულია საქმის წარმოება, ვერ იქონიებს გავლენას მოცემული დავის გადაწყვეტისათვის, რადგან განსახილველი საქმის დავის საგანს წარმოადგენს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და სადავო ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, შესაბამისად, შეჩერების საფუძვლად მითითებულ გარემოებებს არ აქვს კავშირი მოცემულ სამოქალაქო სამართლებრივი დავის გადაწყვეტასთან, რის გამოც არ არსებობს საქმის წარმოების შეჩერების კანონიერი საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე, 284-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

ხ. შ-ს ასული ო-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლები**

#### **განჩინება**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** საცხოვრებელი ბინიდან წილის გამოყოფა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. კ-იამ და ნ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მამის - ლ. ხ-შვილისა და ბებუის - ნ. ხ-შვილის მიმართ საცხოვრებელი ბინიდან წილის გამოყოფის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელები არიან დები. 1979 წელს მოპასუხე ლ. ხ-შვილმა ექვიანობის ნიადაგზე მოკლა მათი დედა, რისთვისაც იგი იხდიდა სასჯელს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მოპასუხემ ხელმოწერა და მოსარჩელები აიძულა, დაეტოვებინათ საცხოვრებელი ბინა. ამჟამად ქ. კ-ია და ნ. ხ-შვილი იმყოფებიან მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, ვინაიდან უხდებთ საცხოვრებლად უვარგის პირობებში ყოფნა და ბინის დაქირავება.

მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელებმა დიდი ხნის წინ დატოვეს სადავო ბინა და მათი მოთხოვნა ხანდაზმულია.

ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 22 ნომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ქ.კ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 19 მაისის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოცემული საქმის წარმოება შეჩერდა მოპასუხე ლ. ხ-შვილის გარდაცვალების გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. კ-იამ გაასაჩივრა კერძო საჩივრით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლო საქმეს დეტალურად არ განიხილა, ვინაიდან ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში ცნობილი გახდა, რომ ლ. ხ-შვილი არასათანადო მოპასუხეა და სადავო ბინა საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში ირიცხება ნ. ხ-შვილის სახელზე. ამდენად, ლ. ხ-შვილის გარდაცვალება არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს 2005 წლის 21 ივლისის განჩინებით ქ. კ-იას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე სასამართლოს 2005 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერდა ნ. ხ-შვილის გარდაცვალების გამო, ხოლო 2008 წლის 3 სექტემბრის განჩინებით საქმის წარმოება განახლდა.

მოცემული საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქ. კ-იამ და ნ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ლ. და ნ. ხ-შვილების მიმართ.

საქმეში წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობის თანახმად, ლ. ხ-შვილი 2005 წლის 22 აპრილს გარდაიცვალა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. კ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო პალატამ მოცემული საქმის წარმოება, ლ. ხ-შვილის გარდაცვალების გამო, არასწორად შეაჩერა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა არასათანადო მოპასუხედ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამდენად, მოსარჩელე უფლებამოსილია თავად აირჩიოს და დაასახელოს მოპასუხე, რომლის მიმართაც მიმართულია მისი პრეტენზია. მოცემულ შემთხვევაში ქ.კ-იამ სარჩელის აღძვრისას ერთ-ერთ მოპასუხედ დაასახელა ლ. ხ-შვილი და შემდგომ მითითებული პირის არასათანადო მოპასუხედ ცნობის თაობაზე სასამართლოს წინაშე არ უშუამდგომლია, შესაბამისად, ლ. ხ-შვილი საქმეში მონაწილეობდა მოპასუხის სტატუსით. მისი გარდაცვალების შედეგად საქმის წარმოების შეჩერება და მხარის უფლებამონაცვლის დადგენა აუცილებელ საპროცესო მოქმედებას წარმოადგენს იმისათვის, რომ განისაზღვროს და საქმეში მოპასუხედ ჩაებას ის პირი, რომელიც განახორციელებს მხარის უფლებებსა და სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილებისას იკისრებს მოსარჩელის მოთხოვნის შესრულებას.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია



საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის ამ პირის უფლებამონაცვლეობას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება უფლებამონაცვლის დადგენამდე. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას და საქმის განხილვისათვის აუცილებელია დადგინდეს აწ გარდაცვლილი ნ. ო-ლის უფლებამონაცვლე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით, 281-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ო-ლის საკასაციო საჩივრის განხილვა შეჩერდეს მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქმის წარმოების შეჩერების ვადები**

**განჩინება**

#ას-233-494-08

25 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე)**

**რ. ნადირიანი (მომხსენებელი),**

**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ო-ლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე გ. დ-მის სახელზე ხელვაჩაურის რაიონში ნოტარიუს თ. ჩ-ბას მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობები, რომლებიც რეგისტრირებულია 08.06.2006 წ. ნომრით #2-233 და 06.08.06წ. ნომრით #2-264 და რომლებითაც გ. დ-მემ გაიფორმა მემკვიდრეობა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისაში მდებარე 0,25 ჰა საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ 97,6 კვ.მ საცხოვრებელ სახლზე, ასევე «ვაზ-2107» მარკის ავტომანქანაზე, რომლის სახელმწიფო სანომრე ნიშანია 225;

მოსარჩელე ნ. ო-ლის სასარჩელო მოთხოვნაზე საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანის დავალდებულების ნაწილში უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე გ. დ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. დ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ნ. ო-ლის სარჩელი, გ. დ-მის სახელზე ხელვაჩაურის რაიონის ნოტარიუსის თ. ჩ-ბას მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ო-ლიმ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებით ნ. ო-ლის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე პალატის 2008 წლის 11 ივლისის განჩინებით ნ. ო-ლის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული და მიღებულ იქნა განსახილველად.

2008 წლის 24 ნოემბერს ნ. ო-ლის სხვა საკასაციო საჩივარზე, საქმეზე ნ. ო-ლის სარჩელის გამო, გ. დ-მისა და მესამე პირის - ზ. წ-ანის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე, ზ. წ-ანის წარმომადგენელმა გ. ჯ-მემ წარმოუდგინა საკასაციო პალატას ნ. ო-ლის გარდაცვალების მოწმობა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის წარმოება ნ. ო-ლის საკასაციო საჩივარზე უნდა შეჩერდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობიდან ირკვევა, რომ ნ. ო-ლი გარდაიცვალა 2008 წლის 13 ნოემბერს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის ამ პირის უფლებამონაცვლობას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 281-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში საქმის წარმოება შეჩერდება უფლებამონაცვლის დადგენამდე. კონკრეტულ შემთხვევაში სადავო სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლობას და საქმის განხილვისათვის აუცილებელია დადგინდეს აწ გარდაცვლილი ნ. ო-ლის უფლებამონაცვლე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით, 281-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

ნ. ო-ლის საკასაციო საჩივრის განხილვა შეჩერდეს მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.